გი დე მოპასანი

ღუმისოფელი

გი დე მოპასანი

წუთისოფელი

თავი I

ჟანამ ბარგი ჩაალაგა და ფანჯარას მიუახლოვდა; წვიმა გადაღებას არ აპირებდა.

კოკისპირული წვიმა მთელ ღამეს შხაპუნებდა ფანჯრებს და სახურავებზე. დაბალი, წყლით გაჟღენთილი ცა თითქოს სკდებოდა და მიწაზე იღვრებოდა, შაქარივით ადნობდა მას და ტალახის ფაფად აქცევდა. გაშმაგებულ გრიგალს სულის შემხუთველი პაპანაქება მოჰქონდა. წყლის ჩხრიალი ავსებდა უკაცრიელ ქუჩებს, სახლები კი ღრუბელივით ისრუტავდნენ სინესტეს, შიგ რომ იჭრებოდა და სარდაფის სხვენამდე ასველებდა კედლებს.

ჟანამ წინა დღით სამუდამოდ დატოვა მონასტრის კედლები და მზად იყო, უკვე თავისუფალს, შთაენთქა დიდი ხნის ნანატრი სიამენი ცხოვრებისა, ახლა კი ეშინოდა, მამა არ მოინდომებს გამოდარებამდე გამგზავრებასო და უკვე მესამედ გაჰყურებდა ჰორიზონტს.

უცბად ჟანამ შეამჩნია, რომ სამგზავრო ჩემოდანში კალენდრის ჩადება დავიწყებოდა. მოგლიჯა კედელზე თვეებად დაყოფილი და შუაში ნახატით დამშვენებული მუყაოს პატარა ნაჭერი, რომელზეც ოქროს ციფრით აღნიშნული იყო მიმდინარე — ათას რვაას ცხრამეტი წელი. შემდეგ ფანქრით გადახაზა პირველი ოთხი სვეტი და ყველა წმინდანის სახელი ამოშალა ორ მაისამდე, მონასტრიდან წასვლის დღემდე.

კარებს უკან გაისმა: — ჟანეტა!

— შემოდი, მამა, — უპასუხა ჟანამ და მამაც გამოჩნდა.

ბატონი სიმონ-ჟაკ ლე პერტუი დე ვო გასული საუკუნის აზნაური იყო, ახირებული და კეთილი ადამიანი. ჟან-ჟაკ რუსოს გატაცებულ მიმდევარს, უყვარდა ბუნება, ველები, ტყეები, ცხოველები.

წარმოშობით არისტოკრატს, ინსტინქტურად სძულდა ოთხმოცდაცხრამეტი წელი, მაგრამ ხასიათით ფილოსოფოსსა და აღზრდით ლიბერალს, ტირანიაც ეზიზღებოდა უწყინარი და მაღალფარდოვანი მძულვარებით.

მისი უდიდესი ძალა და უდიდესი სისუსტე სიკეთე იყო, ისეთი სიკეთე, რომელსაც ოთხი ხელი არ ყოფნიდა ალერსისათვის, გულუხვობისთვის, ხვევნისათვის. ეს იყო სიკეთე შემოქმედისა, უსაზღვრო დაუოკებელი, რომელიც, ნება-სურვილის ნერვის გაშეშებას ჰგავდა, ენერგიის ხარვეზს, თითქმის მანკსაც კი.

როგორც თეორეტიკოსმა, მან მოიფიქრა თავისი ქალიშვილის აღზრდის მთელი გეგმა. სურდა იგი ბედნიერი, კეთილი, გულმართალი და კაცთმოყვარე გამოეყვანა.

თორმეტ წლამდე ჟანა შინ ცხოვრობდა, შემდეგ კი, დედის ცრემლის მიუხედავად, საკრე-კერის მონასტერში მიაბარეს.

მამას იქ ქალიშვილი ჩაკეტილი, ჩამწყვდეული ჰყავდა, მკაცრ პირობებში. არაფერს ატყობინებდა და ჟანასაც ცხოვრების არაფერი გაეგებოდა. მამას სურდა, რომ მისთვის იგი ჩვიდმეტი წლის უმანკო გოგონად დაებრუნებინათ, რათა შემდეგ თვითონ ეზიარებინა მისი სული, ნაყოფიერი ველების წიაღში გაეფანტა მისი უმეცრება; სურდა, რომ მას, ცხოველთა ბუნებრივ სიყვარულს და გულუბრყვილო ალერსს რომ იხილავდა, შეეცნო ამქვეყნიური ცხოვრების კანონზომიერებანი.

და აი ჟანა გამოვიდა მონასტრიდან, სახე გაბრწყინებული, ძალღონითა და ბედნიერების წყურვილით აღსავსე, მზად იყო ეგემა ყოველგვარი სიხარული, ცხოვრების ყველა სიტკბოება, რაც თავის იმედებთან მარტოდმარტო დარჩენილმა ოცნებებით უკვე განიცადა მონასტერში უქმად გატარებულ დღეებსა და ღამეებში.

ჟანა ვერონეზეს პორტრეტს ჰგავდა თავისი ოქროსფრად მოელვარე თმებით, რომელიც თითქოს ნაზ ელფერს აძლევდა მის კანს, არისტოკრატი ქალის ოდნავ მოვარდისფრო კანს, დაჩრდილულს მსუბუქი, ღია ხავერდისებური ქინქლით, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეამჩნევდით, როცა მზის სხივები ეალერსებოდა. თვალები ცისფერი ჰქონდა, ისეთი მუქი ცისფერი, როგორც ჰოლანდიური ქაშანურის კაცუნებს აქვთ ხოლმე.

ცხვირის მარცხენა მხარეს პაწაწინა ხალი უმშვენებდა. მეორე კი მარჯვნივ ჰქონდა, ნიკაპზე, სადაც მისივე კანის ფერი რამდენიმე ხუჭუჭა თმა ამოსვლოდა და ამის გამო ვერც

კი ამჩნევდნენ. იგი მაღალი იყო, სავსე მკერდი და მოქნილი ტანი ჰქონდა. მისი წკრიალა ხმა ზოგჯერ მკვეთრად გაისმოდა, მაგრამ თავისი გულწრფელი სიცილით სიხარულს ჰფენდა ყველას. ხშირად, ჩვეული ჟესტით ორივე ხელი საფეთქლებთან მიჰქონდა ხოლმე. თითქოს თმას ისწორებსო.

ჟანამ მიირბინა მამასთან, აკოცა, მოეხვია და ჰკითხა : — მივემგზავრებით?

მამას გაეღიმა გააქნია უკვე შეჭაღარავებული კულულებიანი თავი და ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი.

— როგორ გავემგზავროთ ასეთ ამინდში?

მაგრამ ქალი ნაზი და შემპარავი ალერსით ეეედრებოდა: — ო, მამიკო, გავემგზავროთ, გემუდარები. ნაშუადღევს გამოიდარებს.

— კი, მაგრამ დედაშენი არაფრით არ დაგვეთანხმება.

— მე დავიყოლიებ, მენდე.

— თუ დაიყოლიებ მე თანახმა ვარ.

მაშინ ჟანა სწრაფად გაექანა ბარონის მეუღლის ოთახისაკენ. იგი ხომ მოუთმენლად ელოდებოდა ამ გამგზავრების დღეს.

საკრე-კერში შესვლის დღიდან ჟანა არ გასულა რუანიდან, რადგან მამამისი დანიშნულ დრომდე არავითარი გართობის უფლებას არ აძლევდა. მხოლოდ ორჯერ ჰყავდა იგი ორი კვირით პარიზში, მაგრამ ეს ხომ ქალაქი იყო, ჟანა კი სოფელზე ოცნებობდა!

ახლა მას ეს ზაფხული თავის მამულში — ჩინარში უნდა გაეტარებინა, ძველ საგვარეულო სასახლეში, რომელიც იპორის ახლოს, წყლისპირა მთავრეხილზე იდგა. ჟანა წინასწარ ტკბებოდა უსაზღვრო სიხარულით, რომელსაც ზღვის ნაპირას ლაღი ცხოვრება ანიჭებდა. გარდა ამისა, გადაწყვეტილი იყო გათხოვების შემდეგ მისთვის ეჩუქებინათ ეს სასახლე, რათა გამუდმებით იქ ეცხოვრა.

წვიმა, რომელიც გუშინ საღამოდან არ შეწყვეტილა, პირველი დიდი დარდი იყო მის ცხოვრებაში.

მაგრამ სამი წუთიც არ გასულა, რომ იგი სირბილით გამოვარდა დედის ოთახიდან და მთელი ხმით ყვიროდა: — მამა, მამა! დედა თანახმაა, უბრძანეთ ცხენები შეაბან.

მერეხი არ ცხრებოდა; როცა ეტლი პარმაღთან გაჩერდა, წვიმამ კიდევაც მოუმატა.

ჟანა უკვე ჯდებოდა ეტლში, როდესაც ბარონის მეუღლე კიბეზე დაეშვა. ერთი მხრიდან ქმარი მოჰყვებოდა, ხოლო მეორე მხრიდან მოახლე, ტანადი გოგონა, რომელიც არც სიმაღლით და არც ღონით არ ჩამოუვარდებოდა მამაკაცს. ეს იყო კოელი ნორმანდიელი, შესახედავად სულ ცოტა ოცი წლისა, მაგრამ ნამდვილად თვრამეტის თუ იქნებოდა. ოჯახში იგი მეორე ქალიშვილად მიაჩნდათ, რადგან ჟანას ძუძუმტე იყო. მას როზალია ერქვა.

როზალიას მთავარი მოვალეობა იყო მუდამ თან ხლებოდა ქალბატონს, რომელიც რამდენიმე წელია ძლიერ გასუქებულიყო გულის სიგანივრის გამო, რასაც განუწყვეტლივ უჩიოდა.

ბარონის მეუღლემ ქოშინით მოაღწია ძველი სახლის პარმაღს, შეათვალიერა ეზო, სადაც წყალი ნიაღვარივით მოედინებოდა, და ჩაიბუზღუნა: — ეს, მართლაც სისულელეა.

მისმა მუდამ მომღიმარმა მეუღლემ უპასუხა : — ეგ ხომ თვითონ თქვენ ისურვეთ, მადამ ადელაიდა. რადგანაც ცოლს მედიდური სახელი — ადელაიდა ერქვა, ბარონი მას დამცინავი პატივისცემით ყოველთვის წინ წაუძღვარებდა ხოლმე „მადამს“.

ბარონის მეუღლემ კვლავ განაგრძო გზა, გაჭირვებით ჩაჯდა ეტლში და ყველა რესორი ჩაკეცა ტანის სიმძიმით. ბარონი გვერდით მიუჯდა. ჟანამ და როზალიამ ადგილები დაიკავეს მოპირდაპირე სკამზე.

მზარეულმა ლუდივინამ მოიტანა თბილი წამოსასხამების მთელი გროვა, რომლითაც მუხლები დაიფარეს და ორი კალათი, რომლებიც ფეხებთან დამალეს; ბოლოს თვითონაც აცოცდა კოფოზე ბიძია სიმონის გვერდით და თავიდან ფეხებამდე გაეხვია დიდ პლედში. მეკარე და მისი ცოლი გამოეთხოვნენ, მიუხურეს ეტლს კარი, მოისმინეს უკანასკნელი განკარგულება, რომ ბარგი უკან გაეყოლებინათ ურმით, და ეტლიც დაიძრა.

მეეტლემ, ბიძია სიმონმა, თავი ჩაქინდრა, მოიბუზა და სამმაგ საყელოიან ლივრეაში ჩაიმალა. კვნესოდა მძაფრი ქარი, ღვართქაფი ეხეთქებოდა ფანჯრის მინებს და წალეკვით ემუქრებოდა გზატკეცილს.

ორცხენიანი ეტლი მძაფრად დაეშვა სანაპიროზე და გზა დიდი საზღვაო გემების გასწვრივ დაიჭირა, რომელთა ანძები, ქანდარები და მოწყობილობანი, თითქოს გატიტვლებული ხეებიაო, ნაღვლიანად აღმართულიყვნენ წყაროდ ქცეულ ცაში. შემდეგ ეტლი გავიდა ფართო ხეივანში, რომელიც რიბუდეს ბორცვს მიჰყვებოდა.

მერე სწრაფად გადაჭრეს მდელოები. დროდადრო, წვიმის ნისლში თუ გამოჩნდებოდა სველი ტირიფი, რომელსაც მიცვალებულივით ჩამოეშვა ტოტები. ცხენების ნალები ჭყაპუნობდა. ოთხივე ბორბალი გამალებით ისროდა ტალახის შხეფებს.

ხმას არავინ იღებდა თითქოს გონება ისევე დასველებულიყო, როგორც მიწა. დედიკომ თავი გადაკიდა ბალიშზე და თვალები დახუჭა. ბარონი პირქუშად გასცქეროდა ერთფეროვან პეიზაჟს და წვიმით დატბორილ მინდვრებს. როზალია, რომელსაც ბოხჩა ედო მუხლებზე, გაშტერებული იჯდა და ყვინთავდა, როგორც ეს მდაბიო ხალხს სჩვევია. მხოლოდ ჟანა გრძნობდა გამოცოცხლებას ზაფხულის ამ თავსხმაში, როგორც ჰაერზე გამოტანილი სათბურის ყვავილი. სიხარული ისე ფარავდა მის გულს დაღონებისგან, ვით მცენარეს სველი ფოთლები. იგი დუმდა მაგრამ ძლიერ სურდა ემღერა, სურდა გაეშვირა პეშვი, წყლით აევსო და დასწაფებოდა. ჟანა ტკბებოდა ცხენის სწრაფი ჩორთით, იმით, რომ ირგვლივ ხედავდა ნაღვლიან პეიზაჟს, თვითონ მას კი თავშესაფარი ჰქონდა და ეს წარღვნა ვერაფერს დააკლებდა.

კოკისპირულ წვიმაში ორივე ცხენის სველ, მოელვარე გავას ისეთი ოხშივარი ასდიოდა, თითქოს ეს-ეს არის მდუღარე გადაასხესო.

ბარონის მეუღლემ ნელ-ნელა ჩათვლიმა. მისი სახე, რომელსაც ექვსი თანატოლი გრძელი თმის კულული არშიასავით შემოვლებოდა, თანდათან ეშვებოდა ნიკაპის სამ რბილ ნაკეცზე, რომლის უკანასკნელი ტალღები მის უსაზღვროდ სავსე მკერდს უერთდებოდა. ყველა ამოსუნთქვის დროს ბარონის მეუღლეს თავი მაღლა ეწეოდა და იმწამსვე ქვემოთ უვარდებოდა. ლოყები ებერებოდა, ხოლო ნახევრად ღია ტუჩებიდან ძლიერი ხვრინვა მოისმოდა. ბარონი მისკენ დაიხარა და ფართოდ გადაჯვარედინებულ ხელებში ფრთხილად ჩაუდო პატარა ტყავის ქისა.

ამ შეხებამ გააღვიძა ბარონის მეუღლე. მას ჯერ კიდევ მთლად ვერ დაეღწია თავი ძილისათვის და დაბინდული თვალებით შეხედა ქისას, რომელიც გადავარდა და გაიხსნა. ოქრო და საბანკო ბილეთები ეტლში დაიფანტა. მაშინ იგი საბოლოოდ გამოფხიზლდა, ხოლო ქალიშვილმა წკრიალა სიცილით გამოხატა თავისი მხიარული განწყობილება.

ბარონმა მოაგროვა ფული, ცოლს მუხლებზე დაუდო და შენიშნა: — აი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველაფერი, რაც დარჩა ჩემი ელტოს ფერმიდან. იგი გავყიდე, რომ ჩინარი განმეახლებინა. ჩვენ ხომ ამიერიდან იქ ხშირად ვიცხოვრებთ. ცოლმა დაითვალა ექვსი ათას ოთხასი ფრანკი და მშვიდად ჩაიდო ჯიბეში.

ეს იყო მეცხრე გაყიდული ფერმა იმ ოცდათერთმეტიდან, რომლებიც მშობლებმა დაუტოვეს. მაგრამ ისინი დაახლოებით ოცი ათას ფრანკ შემოსავალს მაინც იღებდნენ მიწებიდან, თუმცა კარგი გამგებლის ხელში მათ თავისუფლად შეეძლოთ წლიურად ოცდაათი ათასიც კი მოეცათ.

ისინი უბრალოდ ცხოვრობდნენ და ეს შემოსავალი ეყოფოდათ, სახლში რომ არ ჰქონდათ მუდამ უძირო უფსკრული — გულკეთილობა. იგი ისე აშრობდა ფულს მათ ხელში, როგორც მზე სინესტეს ჭაობში. ფულები მიდიოდა და მოდიოდა, ისე ქრებოდა, როგორ არავინ იცოდა. ხან ერთი, ხან მეორე ამბობდა: — არ ვიცი როგორ მოხდა ეს, დღეს ასი ფრანკი დავხარჯე, თუმცა არაფერი ისეთი არ მიყიდია...

ასე იოლად რომ გასცემდნენ, ეს ერთ-ერთი უმთავრესი ბედნიერება იყო მათ ცხოვრებაში და ამ საკითხში საგანგებო თანაგრძნობასაც უწევდნენ ერთმანეთს..

ჟანამ ჰკითხა: — ლამაზია ახლა ჩემი სახლი?

ბარონმა მხიარულად უპასუხა : — თვითონ დაინახავ, ჩემო გოგონა.

ძლიერი თავსხმა თანდათან ცხრებოდა. ბოლოს მისგან დარჩა რაღაც ნისლისმაგვარი უწვრილესი წვიმის მტვერი. ღრუბლების მტვერი თანდათან ამაღლდა, განათდა და უჩინარი ხვრელიდან მზის გრძელი და ირიბი სხივი ჩამოეშვა მდელოზე.

ღრუბელი გაიფანტა, გამოჩნდა ცის კამარის ლურჯი ფსკერი. შემდეგ ჭუჭრუტანა ისე გაფართოვდა, თითქოს დაცრეცილი ფარდა იხევაო, და მშვენიერი კრიალა ცა, სუფთა და სავსე ლაჟვარდი გადაეფარა დედამიწას.

მსუბუქმა, გრილმა ნიავმა გადაიქროლა, თითქოს მიწამ შვებით ამოისუნთქაო. ხოლო როცა ეკიპაჟი ბაღებისა და ტყეების გასწვრივ მიდიოდა, დროგამოშვებით ისმოდა მხიარული ჭიკჭიკი ჩიტისა, დასველებულ ფრთებს რომ იშრობდა. ბინდდებოდა. ეტლში ჟანას გარდა ყველას ეძინა. ორჯერ შეჩერდნენ სასტუმრო — ბაკებში, ცხენები რომ დაესვენებინათ, შვრიით დაენაყრებინათ და დაერწყულებინათ.

მზე ჩავიდა. შორს ზარების რეკვა გაისმა. რომელიღაც პატარა სოფელში ფარნები აანთეს. ცაშიც მილიარდობით ვარსკვლავი აკიაფდა, ხან აქ, ხან იქ გამოკრთებოდა განათებული სახლები, რომელთა სინათლე ცეცხლის წერტილებივით აპობდა წყვდიადს. უეცრად, ფერდობიდან, ნაძვის ტოტებში გამოცურდა წითელი, თითქოს ძილისაგან დაბუჟებული ვეებერთელა მთვარე.

ისე თბილოდა, რომ ფანჯრები არ დაუხურავთ. ოცნებით დაქანცული და სასიხარულო სანახაობებით გულმოჯერებული ჟანა ახლა თვლემდა. დროდადრო უხერხულად ჯდომის გამო ფეხები უბუჟდებოდა. მაშინ გაიღვიძებდა, გარეთ იყურებოდა და ნათელ ღამეში ხეების ახლოს ხედავდა ფერმებს, ან მინდორში აქა-იქ წამონწეულ თავაწეულ ძროხებს. შემდეგ მხარს შეიცვლიდა და ცდილობდა ისევ აღედგინა მეხსიერებაში შენყვეტილი ოცნებანი, მაგრამ ეტლის განუწყვეტელი რახარუხი ყურს უჭედავდა, გონებას უქანცავდა და იგი კვლავ ხუჭავდა თვალებს, გრძნობდა რომ აზრიცა და გონებაც ისევე გადაექანცა, როგორც სხეული.

როგორც იქნა ეტლი გაჩერდა. კარებთან იდგნენ ფარნიანი კაცები და ქალები. ჩამოვიდნენ. ჟანამ მყისვე გაიღვიძა და სწრაფად გადმოხტა. მამამ და როზალიამ, რომელთაც ერთ-ერთი ფერმერი უნათებდა გზას, თითქმის გადმოიტანეს სავსებით გაწამებული ბარონის მეუღლე. იგი საშინლად ვიშვიშებდა და სულ იმეორებდა ძლივს გასაგონი ჩამკვდარი ხმით: „ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩემი საბრალო ბავშვები!“ მას არც სმა უნდოდა, არც ჭამა, დაწვა და იმწამსვე დაიძინა.

ჟანამ და ბარონმა ივახშმეს.

ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და იღიმებოდნენ, ხელს უჭერდნენ ხელზე და ბავშვური სიხარულით შეპყრობილნი, შეუდგნენ განახლებული სახლის დათვალიერებას.

ეს იყო მაღალი და დიდი ნორმანდიული სახლი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფერმასაც გავდა და ციხე-კოშკსაც. აუშენებიათ იგი ოდესღაც თეთრი ფილაქნისაგან, მაგრამ ჟამთა ვითარებაში ფილაქანი გაშავებულიყო. ისე გაშლილი და ფართო იყო ეს სახლი, რომ მთელ ტომს დაიტევდა.

ვრცელი ვესტიბიული თავიდან ბოლომდე ორად ჰყოფდა სახლს და ორივე მოპირდაპირე მხარეზე ფართო კარები ჰქონდა, ორმაგი კიბე ნახევარ წრედ უვლიდა შუაში ცარიელ ვესტიბიულს და მეორე სართულზე მისი ორივე ნახევარი ხიდივით ერთდებოდა.

პირველ სართულზე, მარჯვნივ, უზარმაზარი სასტუმროს დარბაზის შესასვლელი იყო. სასტუმროში გაკრულს შპალერზე ფოთლებში მოფარფატე მოხატული ჩიტები ეხატა. ყველა ავეჯის გადასაკრავი ჯვრებით იყო მოქარგული და ლაფონტენის ივავ-არაკების ილუსტრაციას წარმოადგენდა. ჟანამ სიხარულის თრთოლამ აიტანა, როცა დაინახა მისი ბავშვობის უსაყვარლესი სკამი, რომელზეც გამოხატული იყო მელიასა და წეროს ამბავი.

სასტუმრო ოთახის გვერდით ძველი წიგნებით სავსე ბიბლიოთეკა იყო და კიდევ ორი ოთახი, რომელთაც წინასწარი დანიშნულება არ ჰქონდათ. მარცხნივ — ახალი ხისპანელიანი სასადილო, შემდეგ სათეთრეულე, ბუფეტი, სამზარეულო და საკუჭნაო, სადაც აბაზანა მოეწყოთ.

დერეფანი სიგრძეზე ჰყოფდა მთელ მეორე სართულს. ათი ოთახის ათივე კარი ერთიმეორეს მისდევდა. მთლად სიღრმეში. მარჯვნივ იყო ჟანას ოთახი. მამა და შვილი იქ შევიდნენ. ბარონმა ახლახან ხელახლა მოართვევინა იგი, რისთვისაც ისარგებლეს იმ ავეჯითა და ფარდებით, გამოუყენებლად რომ ინახავდნენ სხვენზე.

ძველებური ფლამანდური შპალერი უცნაური ფიგურებით ავსებდა იქაურობას. თავის საწოლი რომ დაინახა, ჟანამ სიხარულით შეჰყვირა. ოთხივე მხარეს ცვილით გაპრიალებული ოთხი შავი მუხის ჩიტი იკავებდა საწოლს და გეგონებოდათ მას სდარაჯობენო. გვერდებზე მისდევდა ყვავილებისა და ხილის ფართო მოჩუქურთმებული თაიგული, ოსტატურად გამოხარატებული ოთხი სვეტი, კორინთული კაპიტელით რომ მთავრდებოდა, იკავებდა ვარდებითა და ამურებით მორთულ ლავგარდანს.

ეს დიდებული საწოლი კოხტაც იყო. მიუხედავად დროთა ვითარებაში გამუქებული ხის პირქუში შესახედაობისა.

საწოლი საბანი და მიჩიგდანის ფარდა ცის კამარასავით ელავდა. ისინი ძველებური, ცისფერი აბრეშუმისა იყო, რომელზეც ადგილ-ადგილ ვარსკვლავებივით იყო გაფანტული ოქროთი ამოქარგული დიდი შროშანები.

როცა ამ სანახაობით დატკბა ჟანამ სანთელი ასწია და შპალერის დათვალიერება დაიწყო, ნახატების შინაარსი რომ გაეგო.

მწვანე, წითელ და ყვითელ ფერებში უცნაურად გამონყობილი ახალგაზრდა დიდებული და ყმაწვილი ქალი საუბრობდნენ ცისფერი ხის ძირას, რომელზეც თეთრი ნაყოფი

მწიფდებოდა, ნაყოფივით თეთრი, ვეებერთელა კურდღელი წიწკნიდა მწირ ბალახს.

მათი თავების ზემოთ მოშორებით ჩანდა ხუთი პატარა მრგვალი სახლი წვეტიანი სახურავებით, უფრო მაღლა კი, თითქმის ცაში, წითელი ქარის წისქვილი. ყველაფერი ეს მოკაზმული იყო მსხვილი ნახატი ყვავილებით.

დანარჩენი ორი პანო ძალიან გავდა პირველს, ოღონდ სახლებიდან გამოდიოდა ფლამანდურად ჩაცმული ოთხი კაცუნა, რომლებსაც ხელები ცაში აღეპყროთ უკიდურესი აღშფოთებისა და განცვიფრების ნიშნად.

უკანასკნელი გობელენი კი დრამას ასახავდა. კურდღლის ახლოს, რომელიც ისევ წიწკნიდა ბალახს, გაშოტილი იყო ახალგაზრდა კაცი; კაცი ალბათ, მკვდარი იყო. ყმაწვილი ქალი რომელიც მას უყურებდა, მკერდს ხმლით იპობდა, ხეზე კი ნაყოფი მთლად გაშავებულიყო.

ჟანამ ის იყო იმედი გაუწყდა, ვერაფერი გავიგეო, რომ უცბად კუთხეში დაინახა მიკროსკოპული ზომის პატარა მხეცი, რომელსაც, ცოცხალი რომ ყოფილიყო ის კურდღელი ბალახის ღეროსავით გადაყლაპავდა. მაგრამ ეს პატარა მხეცი ლომი იყო.

ჟანა ახლა მიხვდა, რომ აქ გამოხატული იყო უბედური პირამისა და ტიზბეს ამბავი. თუმცა ნახატის მიამიტობამ ღიმილი მოჰგვარა, თავს მაინც ბედნიერად სთვლიდა, რომ ოთახში მარტოდმარტო დარჩებოდა ამ სატრფიალო ამბავთან ერთად, რომელიც შთააგონებდა ტკბილი იმედებით, და ყოველ ღამე, ძილშიც კი, აღაფრთოვანებდა ანტიკური ლეგენდის გმირთა ალერსი.

სხვა ავეჯეული წარმოადგენდა სულ სხვადასხვა სტილის ნარევს. აქ იყო ყველა თაობის დატოვებული ნივთები, რომელიც ძველ სახლებს მუზეუმებს ამსგავსებენ ხოლმე. ლუდოვიკო მეთოთხმეტეს სტილის პრიალა, სპილენძით შეჯავშნული კომოდის ორივე მხარეს შემოეწყოთ ლუდოვიკო მეთოთხმეტეს სტილის სავარძლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ თაიგულებიანი ძველი აბრეშუმის გასაკრავი. ვარდისფერი ხის ბიუროს წინ ბუხარი იდგა, ზედ მინის მრგვალ ხუფში ამპირის სტილის საათი მოჩანდა.

ეს იყო მოოქრული ყვავილების ბაღში მარმარილოს სვეტზე აღმართული ბრინჯაოს ბუკი. ბუკის მოგრძო ნაპრალიდან ეშვებოდა წვრილი ქანქარა და მინანქრის ფრთებიან ფუტკარს აიძულებდა განუწყვეტლივ ეფრინა ამ ყვავილნარზე.

ბუკის წინა კედელში ჩასმული იყო მოხატული ქაშანურის ციფერბლატი.

საათმა თერთმეტი დარეკა... ბარონმა აკოცა ქალიშვილს და თავის ოთახში წავიდა.

მაშინ ჟანა სინანულით ჩაწვა ლოგინში. უკანასკნელად მოავლო თვალი თავის ოთახს და ჩააქრო სანთელი. მაგრამ საწოლი მხოლოდ თავით ეყრდნობოდა ყრუ კედელს, და მარცხენა ფანჯრიდან ნაკადულივით იჭრებოდა მთვარის შუქი, გამჭვირვალე ტბად რომ იღვრებოდა იატაკზე.

მთვარის სხივთა ანარეკლი, მკრთალი ათინათი ანათებდა კედლებს და ნაზად ეალერსებოდა პირამისა და ტიზბეს უკვდავ სიყვარულს.

მეორე მოპირდაპირე ფანჯრიდან ჟანა ხედავდა მკრთალ შუქში გახვეულ დიდ ხეს. იგი გვერდზე გადაბრუნდა და თვალები დახუჭა , მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაახილა.

მას ეჩვენებოდა, რომ ისევ ანჯღრევდა ეტლი, ხოლო მისი ბორბლების ხმაური თითქოს ყურს უჭედავდა. ჟანა გაუნძრევლად იწვა და ეგონა, რომ ასე უფრო, მალე ჩაეძინებოდა, მაგრამ გონების მოუსვენრობა სხეულსაც გადასდებოდა.

ჟანას მუხლებში ჟრუანტელი უვლიდა და ციებ-ცხელებიანივით აჟრჟოლებდა. მაშინ იგი წამოხტა და ფეხშიშველმა, ტიტველი მკლავებით და გრძელი პერანგის ამარამ, რომელშიც მოჩვენებას გავდა, გადაირბინა იატაკზე დაღვრილი მთვარის შუქი, გააღო ფანჯარა და გარეთ გაიხედა.

ღამე ისეთი ნათელი იყო, რომ ყველაფერი დღესავით ჩანდა. ჟანა სცნობდა ამ მიდამოს, რომელიც ოდესღაც, ადრე ბავშვობაში ძლიერ უყვარდა.

უპირველეს ყოვლისა, თვალწინ იშლებოდა ფართო გაზონი, რომელსაც ღამის სინათლეზე ერბოსავით ყვითელი ფერი დასდებოდა. სახლის წინ ორივე მხარეს აღმართულიყო ორი გიგანტური ხე, ჩრდილოეთით ჭადარი, სამხრეთით კი ცაცხვი.

ფართო მდელოების ბოლოს პატარა წარაფი ამთავრებდა მამულს, რომელსაც ქარიშხლისაგან იცავდა ძველის ძველი, მოკაკვული გატყავებული და გამოხრული თელების ხუთი მწკრივი, რომელთაც მუდამ მძვინვარე ზღვის ქარისაგან კენწეროები სახურავის დაქანებასავით ალმაცერად დაეხარათ.

ეს პარკის მსგავსი ადგილი მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოზღუდული იყო, უზარმაზარი ჩინარების ორი გრძელი ხეივნით. ეს ხეივნები ჰყოფდა მასპინძლის სახლს ორი მოსაზღვრე ფერმისაგან, რომელთაგან ერთი ეჭირა კუიარების ხოლო მეორე მარტენების ოჯახს.

სწორედ ამ ჩინარებმა მისცეს სახელი მამულს. ღობის იქით გადაშლილიყო გარეული კვრინჩხით დაფარული დაუმუშავებელი ფართო დაბლობი, სადაც ქარი დღე და ღამე სტვენით დანავარდობდა. შემდეგ ნაპირი ერთბაშად მთავრდებოდა ასმეტრიანი ფრიალო და თეთრი ციცაბო კლდით, რომლის ძირსაც ტალღები ლოკავდა.

შორს ჟანა ხედავდა ჭავლით მოფენილი ოკეანის გრძელ ზოლს, რომელიც თითქმის თვლემდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ.

ამ უმზეო ბუნების სიმშვიდეშიც იგრძნობოდა ირგვლივ მოძალებული მიწის სურნელება. ქვედა სართულის ფანჯრებს შემოხვეული ჟასმინის მძაფრ სურნელს ერწყმოდა დამსკდარი კვირტების ნაზი არომატი. სუსტ ქარს მოჰქონდა ზღვის მლაშე ჰაერის მკვეთრი სუნი და წყალ მცენარეთა მწკლარტე ანაორთქლი.

ახალგაზრდა ქალი მთლად დაემორჩილებინა სიხარულს და სოფლის ეს სიწყნარე რომ მალავენ თავის უჩინარ ცხოვრებას, ჩუმი გამოცოცხლებით ავსებდნენ ბინდ-ბუნდს. უზარმაზარი ფრინველები უხმო ლანდებივით დასრიალებდნენ ჰაერში, უჩინარი მწერების ბზუილი ძლივს სწვდებოდა ყურთასმენას. იგრძნობოდა უჩუმარი მოძრაობა ნამიან ბალახზე და უდაბურ სილიან გზაზე.

მხოლოდ მოწყენილი გომბეშოები ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მონოტონურად შეჰყიყინებდნენ მთვარეს.

ჟანას ეჩვენებოდა, რომ მისი გული სავსე იყო გაურკვეველი გრძნობებით, როგორც ეს ნათელი ღამე — ბუნდოვანი ხმებით. და მოფრენილ სურვილთა გუნდი აცოცხლებდა მას, მსგავსად ამ ღამის ცხოველებისა, რომლებიც ირგვლივ ფუთფუთებდნენ. რაღაც ანათესავებდა მას ამ ცოცხალ პოეზიასთან და ღამის თბილ სითეთრეში გრძნობდა არამიწიერ ჟრჟოლას, შეუცნობელი იმედების თრთოლას, გრძნობდა რაღაც იდუმალს, რაც ბედნიერებას მოასწავებდა.

და მან დაიწყო ოცნება სიყვარულზე.

სიყვარული! უკვე ორი წელია, რაც ამაზე ფიქრი მომეტებული შიშით ავსებდა მის გულს. ახლა ჟანა თავისუფალია და შეუძლია უყვარდეს. მას მხოლოდ უნდა ეპოვნა ი გ ი.

როგორი იქნება ის? მას წარმოდგენა არ ჰქონდა და არც უფიქრია ამაზე. ეს იქნება ი გ ი — მორჩა და გათავდა.

ჟანამ მხოლოდ ერთი რამ იცოდა — მთელი არსებით ეყვარებოდა და ისიც გააღმერთებდა მთელი სულითა და გულით. ასეთ საღამოს კი, როგორიც ახლაა, ერთად გაისეირნებდნენ მკრთალ ნათელზე, ვარსკვლავები რომ ღვრიდნენ. ხელიხელჩაკიდებულნი, ერთმანეთზე მიკრულნი ივლიდნენ ისე, რომ გაიგონებდნენ ერთიმეორის გულისცემას, იგრძნობდნენ ერთმანეთის მხრების სითბოს და მათი წმინდა სიყვარული შეუერთდებოდა ზაფხულის ნათელი ღამის საამო ნეტარებას. ისინი ისე დაახლოვდებოდნენ, რომ სულ ადვილად მარტოოდენ გრძნობის ძალით ჩასწვდებოდნენ ერთმანეთის ყველაზე სანუკვარ აზრებს.

და ეს უსასრულოდ გაგრძელდებოდა ურყევი სიყვარულის სიმყუდროვეში.

უცბად ჟანამ იგრძნო, რომ იგი აქაა, მის გვერდით; და მღელვარე, ვნებიანმა თრთოლვამ აიტანა თავიდან ფეხებამდე. ანგარიშმიუცემლად მიიკრა ხელები გულ-მკერდზე, თითქოს სურდა თავის ოცნებას შემოხვეოდა. უცნობისაკენ გაწვდილი ტუჩები კი შეეხო რაღაცას, რამაც კინაღამ გრძობა დააკარგვინა — თითქოს გაზაფხულის სუნთქვამ სიყვარულის პირველი კოცნა გამოუგზავნა.

ამ დროს სადღაც სიბნელეში, სახლის უკან, გზაზე ფეხის ხმა გაისმა. ჟანა ისე იყო დარწმუნებული ღვთაებრივ წინათგრძნობაში, რომ თავს ბედნიერად თვლიდა — განგებამ რომანტიკული ბედი მარგუნაო. აფორიაქებული სულის მხურვალებით და შეუძლებლის რწმენით გამსჭვალულმა ჟანამ გაიფიქრა: „ვაი, თუ ის არის?“ იგი დაძაბული უსმენდა გამვლელის რიტმულ, მტკიცე ნაბიჯებს და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აი ახლა ის შეჩერდებოდა ჭიშკართან, დააკაკუნებდა და თავშესაფარს ითხოვდა.

როცა გამვლელმა ჩაიარა, ჟანამ დიდი სინანული იგრძნო, თითქოს მართლაც გულგასატეხი რამ შემთხვეოდეს. მაგრამ იგი უმალვე მიხვდა თავისი იმედების ფანტასტიკურობას და გაეღიმა თავის სიგიჟეზე.

როცა ცოტათი დაწყნარდა, უფრო გონებრივ ოცნებებს მიეცა. აწყობდა შემდგომი

ცხოვრების გეგმას და ცდილობდა განეჭვრიტა თავისი მომავალი.

მასთან ერთად ჟანა იცხოვრებდა აქ, ზღვაზე, ამაღლებულ წყნარ სასახლეში. მას უეჭველად ეყოლებოდა ორი ბავშვი, ბიჭი — იმისთვის, გოგო — თავისთვის. იგი უკვე ხედავდა, თუ როგორ დარბოდნენ ისინი მინდორზე ჭადარსა და ცაცხვს შორის, დედა და მამა აღტაცებით შესცინინებდნენ მათ, ხოლო ერთმანეთს ვნებიანი თვალებით უმზერდნენ.

ჟანა დიდხანს, დიდხანს ოცნებობდა ასე. მთვარემ უკვე დაამთავრა თავისი მოგზაურობა ცაზე და საცა იყო ზღვაში ჩაეშვებოდა. აგრილდა. აღმოსავლეთით ჰორიზონტმა გაფერმკრთალება დაიწყო. მარჯვენა ფერმიდან მამალმა დაიყივლა, სხვებმა მარცხენა ფერმიდან უპასუხეს. გეგონებოდათ, საქათმის კედლებით დახშული მათი ხრინწიანი ხმები საიდანღაც შორიდან მოისმისო. მაღალი ცის კამარა თანდათან ძლიერი, მხიარული გალობა კი ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე გადადიოდა.

უეცრად ჟანამ კაშკაშა სინათლე იგრძნო, ხელებში ჩამალული სახე ასწია და გარიჟრაჟის ბრწყინვალებით დაბრმავებულმა, მაშინვე დახუჭა თვალები.

ალისფერი ღრუბლების მწკრივი, სანახევროდ რომ იმალებოდა ჩინარების დიდი ხეივნის უკან, სისხლისფერ ათინათს სტყორცნიდა გაღვიძებულ მიწას.

და ნელ-ნელა გაარღვია რა სხივთა ფარდა, დაცხრილა რა თავისი ნაპერწკლებით ხეები, ველები, ოკეანე და მთელი ჰორიზონტი, — აუჩქარებლად ამოცურდა ვეებერთელა აგიზგიზებული ბურთი. ჟანას ეგონა ნეტარებისგან გაგიჟდებოდა, დაუოკებელი სიხარული, გრძობათა მოზღვავება, რასაც იგი განიცდიდა ბუნების მშვენიერებით, ავსებდა მის დაუძლურებულ გულს. ეს იყო მისი მზე! მისი განთიადი! მისი ცხოვრების დასაწყისი! მისი იმედების დილა! მან ხელები გაუწოდა სხივდაფრქვეულ სივრცეს, თითქოს ისწრაფოდა გულში ჩაეკრა მზე. სურდა ეთქვა, დაეყვირა რაღაც ისე მომხიბვლელი, ამ დროს ვარდივით გაფურჩქვნას რომ შეეფერებოდა. მაგრამ იგი გააშეშა, დაამუნჯა უღონო აღფრთოვანებამ, როცა იგრძნო, თვალები ენამებოდა, თავი ხელებში ჩაუვარდა და ნეტარების ცრემლები წამოსცვივდა.

თავი რომ ასწია, განთიადის მშვენიერი და მედიდური სანახაობა უკვე გამქრალიყო. ოდნავ დაღლილი და თითქოს გამოფხიზლებული ჟანა დამშვიდდა. ფანჯარა ღია დატოვა, ლოგინში ჩაწვა, კიდე რამდენიმე წუთი იოცნება და ისე ღრმად ჩაეძინა, რომ არ გაუგონია როგორ ეძახდა მამა რვა საათზე. მხოლოდ მაშინ გაეღვიძა როცა ბარონი მის ოთახში

შევიდა.

მამას სურდა ქალიშვილისათვის ეჩვენებინა სასახლის ახალი მორთულობა.

უკანა ფასადს მზისგან ყოფდა ვაშლის ხეებით გაშენებული ფართო ეზო. ეს სასოფლო გზა გლეხების შემოღობილ ეზოებს შორის გადიოდა და ნახევარ ლიეს იქით ჰავრ-პეკამპის გზატკეცილს უერთდებოდა. ტყის პირიდან პარმაღამდე პირდაპირი ხეივანი მოდიოდა. ეზოს ორივე მხარეზე, ფერმის გამყოფი თხრილების გასწვრივ იდგა ზღვის წვრილი ქვებით აშენებული და ჩალით დახურული პატარ-პატარა შენობები.

სახლის სახურავი განეახლებინათ ხის ნაწილები შეესწორებინათ, კედლები შეეკვეთებინათ, ოთახებში ახალი შპალერი გაეკრათ და შიგ ყველაფერი გადაეღებათ. ძველი, პირქუში საბაგონო სახლის მონაცრისფრო ფასადზე ლაქებივით მოჩანდა მოვერცხლისფრო-მოთეთრო ახლად შეღებილი დარაბები და შეუმშრალი ბათქაში.

მეორე მხრიდან, საითაც გამოდიოდა ჟანას ოთახის ერთი ფანჯარა, სახლი გაჰყურებდა გზას. ქარისგან მოხრილი თელებისა და წარაფის ზემოთ რომ მოჩანდა.

ხელიხელჩაკიდებულმა ჟანამ და ბარონმა ყველაფერი დაათვალიერეს, ერთი კუნჭულიც კი არ დაუტოვებიათ. შემდეგ დიდხანს ისეირნეს ჩინარების გრძელ ხეივანში რომელიც გარს ერტყა ეგრეთწოდებულ პარკს. ხეებს შორის უკვე ამოსულიყო ბალახი და მწვანე ნოხივით მოფენოდა არემარეს. წარაფი კი მართლაც მომხიბლავი იყო. ახალ ბალახებში გაკვალული დაკლაკნილი ბილიკები წარმტაცად იხლართებოდნენ ერთმანეთში. უეცრად საიდანღაც კურდღელი გამოხტა, შეაშინა ახალგაზრდა ქალი, გადაახტა ფერდობს და ლერწმებში მოკურცხლა ზღვის პირა კლდისაკენ.

ნასაუზმევს, როცა მადამ ადელაიდამ განაცხადა, ჯერ კიდევ დაღლილობას ვგრძნობ და დასვენება მსურსო, ბარონმა ჟანას შესთავაზა, იპორამდე გავისეირნოთო.

ისინი გზას გაუდგნენ და გაიარეს პატარა სოფელი ეტუვანი, რომელიც ჩინარს ესაზღვრებოდა. სამი გლეხი დიდი ხნის ნაცნობებივით მიესალმა მათ.

შემდეგ ისინი შევიდნენ ტყეში, ბორცვიანი ხეობის ფერდობით ზღვამდე რომ ეშვებოდა.

მალე სოფელი იპორი გამოჩნდა. ქალებმა, თავიანთი სახლების წინ რომ ისხდნენ და ძველმანებს იკერებდნენ, თვალი გააყოლეს მამა-შვილს. ქუჩის შუაგულში არხი გადიოდა,

ჭიშკრების წინ კი ნაგვის გროვა ეყარა; ჰაერი გაჟღენთილი იყო მარილიანი წყლის მძაფრი სუნით. გამუქებული ბადეები, რომელთაც ალაგ-ალაგ ვერცხლის ფულივით პრიალა თევზის ქიცვი შერჩენოდათ, ქოხების წინ შრებოდა, ხოლო კარებიდან ვიწრო საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი შმორის სუნი გამოდიოდა. არხის პირას მტრედები გამოფენილიყვნენ და საზრდოს ეძებდნენ.

ჟანა ათვალიერებდა გარემოს და ყველაფერი ისე საინტერესოდ და ახლად ეჩვენებოდა, როგორც თეატრის დეკორაცია. მაგრამ უეცრად რომელიღაც მოსახვევთან ჟანამ ზღვა დაინახა. მუქი ლურჯი და გლუვი. იგი უკიდეგანოდ გადაშლილიყო .

ისინი შეჩერდნენ ნაპირთან და უსაზღვრო სივრცეს დაუწყეს ცქერა. გაშლილ ზღვაზე თითქოს ფრინველის ფრთებიაო, თეთრად ქათქათებდნენ იალქნები. მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულიყო ვეებერთელა ფრიალო კლდეები. ერთ მხრივ სივრცეს ჭრიდა კონცხი, ხოლო მეორე მხრივ, ნაპირის ზოლი უსასრულოდ გრძელდებოდა. სანამ სადღაც შორს უჩინარ ხაზად არ იქცეოდა.

უახლოეს მოსახვევში ჩანდა ნავსადგური და სახლების რიგი: ხოლო პატარა ტალღები, ზღვის კიდეს ქაფის არშიასავით რომ უვლიდნენ შრიალით მიგორავდნენ კენჭებზე.

ქვიან ნაპირზე გამოტანილი ადგილობრივ მცხოვრებთა ნავები ფერდზე იწვნენ და მზისთვის მიეშვირათ ფისით გაპრიალებული გამობერილი მუცლები. რამდენიმე მეთევზე საღამოს მოქცევისათვის ამზადებდა მათ.

ერთი მეზღვაური მიუახლოვდა მამა-შვილს და თევზი შესთავაზა. ჟანამ იყიდა ქამბალა, რადგან სურდა თვითონ მიეტანა ჩინარში. შემდეგ მეთევზემ შესთავაზა, ზღვაზე გასეირნებისას მიმსახურეთო, თან გამუდმებით იმეორებდა თავის სახელსა და გვარს, ბატონებს რომ უკეთ დაემახსოვრებინათ იგი: „ლასტიკი, ჟოსეფინ ლასტიკი“.

ბარონი შეპირდა, რომ არ დაივიწყებდნენ მას და უკანვე გამობრუნდნენ.

ვეებერთელა თევზი ამძიმებდა ჟანას და ამიტომ ლაყუჩებში გაუყარა მამისეული ჯოხი, რომლის ერთი ბოლო თვითონ დაიჭირა ხელში, მეორე კი ბარონმა. ისინი მხიარულად აჰყვნენ მთას და თან ბავშვებივით ტიკტიკებდნენ. ქარი შუბლს უგრილებდათ მათ, თვალები უელავდათ. ხოლო თევზი, რომელმაც მკლავი ჩამოწყვიტა, მამა-შვილს თავისი მსუქანი კუდით ბალახს თელავდა.

თავი II

მომხიბლავი და თავისუფალი ცხოვრება დაეწყო ჟანას. იგი კითხულობდა, ოცნებობდა და მარტოდმარტო ხეტიალობდა შემოგარენში. ოცნებაში ჩაძირული, ნელი ნაბიჯით დახეტიალობდა გზებზე ან კიდევ ხტუნვა-ხტუნვით მოირბენდა დაკლაკნილ ღარტაფვებს, რომელთა ნაპირები აყვავებული კვრინჩხის ნაყარით იყო მოფენილი და ოქროსფერ მოსასხამს მოგაგონებდათ. პაპანაქებისაგან გამძაფრებული მისი მკვეთრი და ტკბილი სურნელება არომატულ ღვინოსავით ათრობდა ჟანას, ხოლო შორეული ზვირთცემა მწყობრი ხმაურით ნანასავით სწვდებოდა მის სულს.

ხანდახან მოთენთილი ჟანა გაწვებოდა სქელი ბალახით დაფარულ ფერდობზე, ხან კიდევ იდუმალი ბედნიერების წინათგრძნობით გაბრუებული, დაუოკებელ სიხარულს გრძნობდა, როცა დაბლობის მოსახვევს იქით, მზეზე მოელვარე ცისფერი ზღვის ჰორიზონტზე სამკუთხა იალქანს დაინახავდა. ამ კუთხის სიმშვიდე და სიგრილე, მისი დამამშვიდებელი ნაზი გარემო მარტოობის სიყვარულს უღვიძებდა ჟანას. იგი ისე დიდხანს და გაუნძრევლად იჯდა ხოლმე ბორცვის წვერზე, რომ გარეული ბაჭიები ხტუნვას იწყებდნენ მის ფეხთან.

სანაპიროს მსუბუქ ნიავთან ერთად ჟანა ხშირად დარბოდა ქედზე და მთელი სხეულით თრთოდა უდიდესი სიამოვნებისაგან. მას ისე ატკბობდა მოძრაობა, რომ დაღლილობასაც ვერ გრძნობდა, როგორც თევზი წყალში და მერცხალი ჰაერში.

ჟანა ისე ფანტავდა ყველგან მოგონებებს, როგორც თესლს ყრიან ხოლმე მიწაში.

იმ მოგონებებს, რომელთა ფესვებს სიკვდილამდე ვერ ამოგლეჯ. მას ეჩვენებოდა, რომ ამ ხეობათა ხვეულებში თავისი გულის ნამცეცებს ტოვებდა.

ჟანა მეტად გაიტაცა ბანაობამ. ძლიერი და გაბედული, იგი არ უფრთხოდა განსაცდელს და ისე შორს მიცურავდა, რომ თვალი ვერ მისწვდებოდა. თავს ჩინებულად გრძნობდა ამ ცივ, გამჭვირვალე და ლურჯ ზღვაში, რომელიც ოდნავ არწევდა და იკავებდა თავის ზედაპირზე. როცა ნაპირიდან შორს გაცურავდა, ზურგზე გაწვებოდა, ხელებს მკერდზე დაილაგებდა და მიაშტერდებოდა ცის ღრმა ლაჟვარდს, რომელსაც სწრაფად გადასჭრიდა ხოლმე მერცხალი ან ზღვის რომელიმე ფრინველის თეთრი სილუეტი. ირგვლივ ჩქამიც კი არ ისმოდა, ძლივგასაგონად, არამკაფიოდ აღწევდა მხოლოდ შორეული ზვირთცემის ხმა და ტალღების ტყლაშუნში არეული მიწის ბუბუნი. ბოლოს ჟანა ტრიალდებოდა სიხარულისაგან

თავდავიწყებული, წკრიალა ხმით ყვიროდა და ხელებს წყალს უტყაპუნებდა.

ზოგჯერ, როცა ძალზე შორს გაცურავდა, ნავს გზავნიდნენ ხოლმე მის მოსაძებნად.

შინ იგი ბრუნდებოდა შიმშილისაგან გაფითრებული, მაგრამ ლაღი და ცქვიტი, ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა, ხოლო თვალებში — სიხარული.

ბარონი კი, თავის მხრივ, გრანდიოზულ სასოფლო-სამეურნეო წამოწყებაზე ფიქრობდა. მას უნდოდა ცდები ეწარმოებინა გაეუმჯობესებინა მეურნეობა, გამოეცადა ახალი იარაღები, ახალ ჰავასთან შეეგუებინა უცხო ჯიშები. იგი ყოველდღე ესაუბრებოდა გლეხებს, რომლებიც უნდობლად ეკიდებოდნენ მის წამოწყებებს.

გარდა ამისა ბარონი ხშირად მიჰყვებოდა ზღვაში იპორელ მეთევზეებს. მახლობელი მღვიმეები, წყალ ვარდნილები ციცაბო კლდეები რომ დაათვალიერა, მან სურვილი გამოთქვა ხელი მოეკიდა თევზჭერისათვის, როგორც უბრალო მეთევზეს.

ქარიან დღეებში, როცა გამობერილი იალქანი ტალღების ქოჩორზე მიასრიალებდა დიდ მუცელა კარჭაპს, ხოლო მის ორივე მხარეს მიეთრეოდა ზღვის სიღრმეში ჩაშვებული გრძელი ნემსკავის მკედები, სკუმბრიების გუნდი რომ მისდევდა, ბარონს მღელვარებისაგან აკანკალებულ ხელში ეჭირა პატარა თოკი, რომელიც იმწამსვე ატოკდებოდა, როგორც კი დაჭერილი თევზი ანკესზე აფართხალდებოდა.

მთვარიან ღამეებში ბარონი მიდიოდა წინადღით ჩაშვებული ბადის ამოსაღებად. მას უყვარდა ანძის ტკაცანი, უყვარდა ღამის სუფთა და ზუზუნა ქარით სუნთქვა... დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, როცა ტივტივების ძებნაში ძლივს იკვლევდა გზას კლდის თხემის, სამრეკლოს სახურავისა ან თეკამპის შუქურას საშუალებით, ბარონი სიხარულისაგან უძრავად იჯდა და ტკბებოდა ამომავალი მზის პირველი სხივებით, რომლებიც ნავის ფსკერზე ცეცხლივით ანთებდა მარაოსებური სკაროსის ლორწოვან ზურგს და პალტუსის ქონიან მუცელს.

სადილზე ბარონი აღტაცებით ყვებოდა სეირნობის ამბებს, ხოლო მეუღლე უყვებოდა, თუ რამდენჯერ გაიარა ჩინარების დიდ ხეივანში, ისიც მარჯვენა მხარეს. კუიარების ფერმის გასწვრივ, რადგანაც მარცხენა მხარეს ნაკლებად ათბობდა მზე.

რაკი ქალბატონ ადელაიდას ურჩევდნენ „მოძრაობას“, ისიც მონდომებით სეირნობდა. როგორც კი ღამის სიგრილე გაიფანტებოდა, გარეთ გამოდიოდა. მას მოხვეული ჰქონდა

პელერინი და ორი შალი, თავს უფარავდა შავი კაპორი, მის ზემოთ კი წითელი საქსოვი თავსაფარი.

და აი, მიათრევდა რა მარცხენა ფეხს, რომელიც დაუძიმდა და ხეივნის მთელ სიგანეზე ტოვებდა ორ მტვრიან, ბალახმოთელილ კვალს, დედიკო იწყებდა სეირნობას პირდაპირი მიმართულებით სასახლის კუთხიდან წარაფის პირველ ბუჩქებამდე. ამ გზის ორივე ბოლოში მან დაადგმევინა ორივე სკამი და ყოველ ხუთ წუთში ჩერდებოდა საბრალო, სულგრძელ როზალიას მკლავებზე დაყრდნობილი და ეუბნებოდა: დავსხდეთ, ჩემო გოგონი, ცოტა დავიღალე.

ყოველი შეჩერებისას ბარონის მეუღლე სკამზე ტოვებდა ჯერ ნაქსოვ თავსაფარს, მერე ერთ შალს, მერე მეორეს, შემდეგ კაპორს და, ბოლოს, წამოსასხამს. ყველაფერი ეს ხეივნის ორივე მხარეს ქმნიდა ტანსაცმლის ორ დიდ შეკვრას, რომლებსაც როზალია თავისუფალ მკლავზე გადაიკიდებდა ხოლმე და უკან მიჰქონდა საუზმეზე დაბრუნებისას.

ნასაუზმევს ბარონის მეუღლე სეირნობას ანახლებდა უფრო შენელებული ნაბიჯებით და ხანგრძლივი შესვენებებით, ხოლო ზოგჯერ წაყვინთავდა კიდეც შეზლონგზე, რომელსაც გარეთ გამოუგორებდნენ ხოლმე... ივი ამბობდა რომ ეს იყო „მისი მოციონი“ ისევე, როგორც ამბობდა : „ ჩემი ჰიპერტროფია“.

ერთმა ექიმმა, რომელსაც ათი წლის წინ მიმართა, როცა სულის ხუთვა იგრძნო, ამ ავადმყოფობას გულის ჰიპერტროფია უწოდა. მას შემდეგ ეს სიტყვა, რომლის მნიშვნელობა ხეირიანად არც კი გაეგებოდა, ჩაეჭედა თავში. დედიკო დაჟინებით თხოვდა ბარონს, ჟანას და როზალიას მოესმინათ მისი გულისცემა, მაგრამ გული ისე ჰქონდა ჩაფლული მსუქან მკერდში, რომ არავის არაფერი ესმოდა. ივი მტკიცე უარს ამბობდა მიემართა სხვა ექიმისათვის, რადგან ეშინოდა ახალი დაავადებანი არ აღმომიჩინოსო. სამაგიეროდ პატარა საბაბიც კი საკმარისი იყო, რომ ლაპარაკი დაეწყო „თავის ჰიპერტროფიაზე“. თითქოს ეს სენი მარტო მის საკუთრებას წარმოადგენდა, როგორც იშვიათი რამ, რომელზეც სხვას ხელი არ მიუწვდებოდა.

ბარონი ამბობდა „ჩემი ცოლის ჰიპერტროფია''; ხოლო ჟანა — „დედაჩემის ჰიპერტროფია“, როგორც იტყოდნენ , მაგალითად, „დედაჩემის კაბა, შლაპა ან ქოლგა“.

ახალგაზრდობაში ბარონის მეუღლე ლამაზი და ლერწამივით წვრილი იყო. მას უცეკვია იმპერიის ყველა მუნდირთან, წაუკითხავს რომანი „კორინა“, რომელმაც ცრემლები აღვრევინა

და თავისებური დაღი დაასვა მის ცხოვრებას.

რამდენადაც ტანი უსქელდებოდა, იმდენად უფრო ივსებოდა მისი სული პოეტური მისწრაფებებით და როცა სიმსუქნემ სავარძელს მიაჯაჭვა, მთელი თავისი ფანტაზიით შეიჭრა სენტიმენტალურ ავანტიურებში, რომელთა მთავარ გმირად მუდამ თავისი თავი ჰქონდა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით შეიყვარა და ხშირად უბრუნდებოდა თავის ოცნებაში, როგორც არღანი იმეორებს გაუთავებლად ერთსა და იმავე მელოდიას. ყოველი სევდიანი რომანსი, ტყვე ქალებსა და მერცხლებს რომ ეხება, უეჭველად ცრემლით უნამავდა ქუთუთოებს. მას უყვარდა ბერანჟეს ზოგიერთი თამამი ლექსიც კი, რომელშიც ავტორი გამოთქვამდა სინანულს გარდასულის გამო.

ოცნებებით გატაცებული, ივი საათობით იჯდა უძრავად. ჩინარში ცხოვრება უსაზღვროდ მოსწონდა, რადგან წარმოსახული რომანების შესაბამის გარემოცვას უქმნიდა, ხოლო გარშემო ტყეები უდაბური ტრამალები, ახლოს გადაშლილი ზღვა აგონებდა ვალტერ სკოტის რომანებს, რომლებსაც იგი ბოლო დროს კითხულობდა.

წვიმიან დღეებში ბარონის მეუღლე ოთახიდან არ გადიოდა და თავის ევრეთწოდებულ „რელიკვიებს“ ათვალიერებდა. ეს იყო ძველი ბარათები, მამისა და დედის ბარათები, ბარონის ნიშნობის დროინდელი წერილები და ბევრი სხვა. ყველაფერი ეს ჩაკეტილი ქონდა თითბრის სფინქსებიან წითელი ხის ბიუროში და განსაკუთრებით ინტონაციით ამბობდა ხოლმე : — როზალია, ჩემო გოგონი მომიტანე მოგონებების ყუთი.

მოახლე გოგო გააღებდა ბიუროს უჯრას გამოიღებდა ყუთს, დადებდა სკამზე ქალბატონის გვერდით და ის შეუდგებოდა ამ წერილების კითხვას ნელა, ერთი მეორეზე და დროდადრო ცრემლებით ასველებდა მათ.

ხანდახან როზალიას ჟანა სცვლიდა და ასეირნებდა დედიკოს, რომელიც უყვებოდა თავის ბავშვობის ამბებს. ახალგაზრდა ქალი თავის თავს ხედავდა ამ ძველ ისტორიაში და უკვირდა მათი აზრების ერთობა და სურვილების მსგავსება, რადგანაც ყველას ჰგონია, რომ სხვაზე ადრე პირველმა მან განიცადა გრძნობათა მღელვარება, რომელიც გულს უძგერებდა პირველ ადამიანს და რომელიც კვლავ აუთრთოლებს გულს უკანასკნელ მამაკაცებსა და უკანასკნელ ქალებს.

დედისა და შვილის აუჩქარებელი ნაბიჯები შეესაბამებოდა მათ აუჩქარებელ საუბარს, რომელსაც დროდადრო რამდენიმე წუთით წყვეტდა დედიკოს ქოშინი, და მაშინ ჟანას

ფიქრები წინ უსწრებდა დაწყებულ თავგადასავალს და სიხარულით აღსავსე, იმედებით თავბრუდახვეული მომავალისაკენ მიისწრაფოდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ისინი სკამზე ისვენებდნენ ხეივნის ბოლოში უეცრად შენიშნეს მათკენ მომავალი მსუქანი მღვდელი.

იგი შორიდან მიესალმა მათ ღიმილით, ხოლო როცა სამ ნაბიჯზე მიუახლოვდა კიდევ დაუკრა თავი და წამოიძახა.

— აბა, ქალბატონო ბარონის მეუღლევ, როგორ გრძნობთ თავს? ეს იყო ადგილობრივი მოძღვარი.

ფილოსოფოსების ეპოქაში დაბადებული და ნაკლებად მორწმუნე მამის მიერ რევოლუციის დღეებში აღზრდილი დედიკო იშვიათად დადიოდა ეკლესიაში, თუმცა მღვდლები კი უყვარდა წმინდა ქალური რელიგიური ინსტიქტით. მან მთლად დაივიწყა მათი მრევლის მოძღვარი აბატი პიკო და მის დანახვაზე გაწითლდა. ბარონის მეუღლემ ბოდიში მოიხადა, რომ პირველმა არ განაახლა მისვლა-მოსვლა, მაგრამ გულკეთილი მოძღვარი სრულებით არ ჩანდა ნაწყენი. მან შეხედა ჟანას, მოეწონა და ქათინაურები უთხრა, შემდეგ დაჯდა, თავისი სამკუთხა ქუდი მუხლებზე დაიდო და შუბლი მოიწმინდა. იგი იყო ძალიან მსუქანი, წითური სახე ჰქონდა და ღვარივით ჩამოსდიოდა ოფლი. ყოველ წუთში ჯიბიდან იღებდა ოფლისაგან მთლად დასველებულ კუბოკრულ დიდ ცხვირსახოცს და სახესა და კისერს იწმენდდა. მაგრამ როგორც კი სველი ჩვარი ჯიბის შავ სიღრმეში ჩაიმალებოდა, შუბლიდან ჩამოდენილი ოფლის ახალი წვეთები ეცემოდა მუცელზე გამობერილ მტვრიან ანაფორას და მრგვალ ლაქებად აჩნდებოდა მას.

იგი ნამდვილი სოფლის მღვდელი იყო, მხიარული, შემწყნარებელი, ყბედი და გულკეთილი ადამიანი. მღვდელი მოჰყვა ამბებს. ილაპარაკა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და არც კი შეამჩნევინა, რომ შენიშნა თავისი ამ ორი მრევლის წირვაზე გამოუცხადებლობა, რის მიზეზიც იყო ბარონის მეუღლის სიზარმაცე და მცირე მორწმუნეობა, და ჟანას დიდი სიხარული, რომ თავი დააღწია მონასტერს, სადაც მოყირჭებული ჰქონდა ღვთისმოსაობის წეს-ჩვეულებები.

გამოჩნდა ბარონი. როგორც პანთეისტი, იგი გულგრილად ეკიდებოდა ყოველგვარ დოგმებს, მაგრამ ზრდილობიანად მოეპყრა მოძღვარს, რომელიც მისი ძველი ნაცნობი იყო და სადილად დასტოვა.

მღვდელს შეეძლო თავი მოეწონებინა იმ შეუცნობელი მოქნილობის წყალობით, სულთა ხელმძღვანელობა რომ ანიჭებს ხოლმე ყველაზე საშუალო პიროვნებასაც კი, როცა სხვადასხვა შემთხვევის გამო ძალაუფლებას მოიპოვებს თავისავე მსგავს ადამიანებზე.

ბარონის მეუღლე ელოლიავებოდა მღვდელს, ალბათ, მოხიბლა იმ მსგავსებამ, რომელიც ორი ერთნაირი ბუნების ადამიანს აახლოებს: თვითონ მსუქანს, მოსწონდა ამ სქელი კაცის სისხლჭარბი სახე და ქოშინი.

დესერტზე აბატი გამხნევდა და ძალდაუტანებლად, ფამილარული ტონით ლაპარაკობდა, როგორც ეს ჩვევიათ ხოლმე შექეიფიანებულ მღვდლებს მხიარული პურის ჭამის დამთავრებისას.

უეცრად, თითქოს ბედნიერმა აზრმა გაუელვაო ამოიყვირა : — ბატონი ვიკონტი დე ლამარიც ხომ ჩემ მრევლში შემოვა, ივი აუცილებლად უნდა წარმოგიდგინოთ.

ბარონის მეუღლემ ხუთი თითივით იცოდა მთელი პროვინციის საგერბო და ეკითხა : — ერელი დე ლამარის ოჯახიდან ხომ არ არის?

მღვდელმა თავი დაუქნია : — დიახ, ქალბატონო, მამამისი, ვიკონტი ჟან დე ლამარი, შარშან გარდაიცვალა.

მაშინ ქალბატონმა ადელაიდამ, რომელიც ყველაფერზე მაღლა აზნაურობას აყენებდა, შეკითხვები დააყარა მღვდელს და გაიგო, რომ მამის ვალების გასტუმრებისა და საგვარეულო მამულის გაყიდვის შემდეგ ახალგაზრდა კაცი დროებით დამკვიდრდა სამიდან ერთ-ერთ ფერმაში, რომელიც ეტუვანის თემში ჰქონდა. ეს მამული აძლევდა სულ ხუთ თუ ექვს ათას ლივრ წლიურ შემოსავალს. მაგრამ კეთილგონიერი და მომჭირნე ვიკონტი ფიქრობდა ორი-სამი წელი უბრალოდ ეცხოვრა თავის სახლში, დაეგროვებინა ცოტაოდენი ფული, რათა ღირსეული ადგილი დაეკავებინა მაღალ წრეში ისე, რომ არ აეღო ვალები, არ დაეგირავებინა ფერმები და ეშოვნა მზითვიანი საცოლე.

მოძღვარმა დაუმატა : — ივი მეტად მომხიბვლელი ყმაწვილია: დინჯი, უწყინარი, მაგრამ აქ მაინცდამაინც ვერ ერთობა.

ბარონმა უთხრა : — მაშ, ჩვენთან მოიყვანეთ ივი, ბატონო აბატო, ხანდახან მაინც გაერთობა.

საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს, როდესაც ყავის შემდეგ სასტუმრო ოთახში გავიდნენ, მღვდელმა პარკში გასვლის ნება ითხოვა, რადგანაც ნასადილევს ცოტაოდენი სეირნობა ჩვეოდა. ბარონი თან გაჰყვა მას. ისინი ნელა სეირნობდნენ წინ და უკან სასახლის თეთრი ფასადის გასწვრივ. მათი ჩრდილები — ერთი გრძელი, მეორე მრგვალი და თითქოს სოკოთი თავდახურული, ხან მათ წინ მირბოდა, ხან კიდევ უკან მისდევდა იმის მიხედვით, მიდიოდნენ ისინი პირით მთვარისაკენ თუ ზურგით მისგან. მღვდელმა რაღაც პაპიროსის მსგავსი ამოიღო ჯიბიდან და ზლაზვნით დაუწყო ღეჭვა. მან სოფლური გულწრფელობით განმარტა მისი დანიშნულება: — ეს ბოყინს იწვევს. მე საკმაოდ მძიმედ ვინელებ საჭმელს.

შემდეგ უცბად ცას ახედა, სადაც ღამის მნათობი სეირნობდა, და თქვა: — აი ამ სანახაობას კი ვერასოდეს თვალს ვერ მოწყვეტ.

და ქალებთან დაბრუნდა გამოსათხოვებლად.

თავი III

შემდგომ კვირას კიურესადმი პატივისცემით გამსჭვალული ბარონის მეუღლე და ჟანა წირვაზე წავიდნენ.

წირვის შემდეგ მათ მღვდელს დაუცადეს, რათა ხუთშაბათისათვის საუზმეზე დაეპატიჟებინათ. მღვდელი ეკლესიის სამოსსაცავიდან გამოვიდა მაღალ, მოხდენილ ახალგაზრდა კაცთან ერთად, რომელსაც შინაურულად მოეკიდა მისთვის ხელი. როგორც კი ეს ორი ქალი შეამჩნია, გახარებულმა მღვდელმა მოულოდნელად წამოიყვირა: — აი ბედი! ნება მიბოძეთ, ქალბატონო ბარონის მეუღლევ და მადმუაზელ ჟანა, წარმოგიდგინოთ თქვენი მეზობელი ბატონი ვიკონტი დე ლამარი.

ვიკონტმა თავი დაუკრა, მოახსენა, დიდი ხანია მსურდა თქვენი გაცნობაო, და მაღალ წრეში განაფული ადამიანივით თავისუფლად ალაპარაკდა. ვიკონტს ისეთი ბედნიერი გარეგნობა ჰქონდა, რომელზეც ქალები ოცნებობენ და რომელიც ყველა მამაკაცს ეჯავრება. ხუჭუჭა შავი თმები ჩრდილავდა მის გადატკეცილ მზემოკიდებულ შუბლს, ხოლო სწორი და ფართო, თითქოს ხელოვნური წარბები სინაზესა და სიღრმეს მატებდა მის მუქ თვალებს, რომელთა თეთრ გარსს ოდნავ დაჰკრავდა ცისფერი.

ხშირი და გრძელი წამწამები მის გამოხედვას ისეთ მჭევრმეტყველურ და ვნებიან იერს

აძლევდა, რომელიც აღელვებს მედიდურ ლამაზმანს, სასტუმრო ოთახში და ქუჩაში კალათით მიმავალ თავსაფრიან გოგონასაც აიძულებს უკან მოიხედოს.

ის მიბნედილი მომაჯადოებელი მზერა თითქოს დამაჯერებლობას მატებდა მის აზრებს და უმნიშვნელო სიტყვებსაც კი დიდ შინაარსს აძლევდა.

ხშირი, და რბილი მოვლილი წვერი მალავდა მის ოდნავ ფართო ყბას. ბევრი ქათინაურის შემდეგ ახალგაცნობილნი გაშორდნენ ერთმანეთს. ორი დღე გავიდა და ბატონი დე ლამარი პირველად ესტუმრა მათ.

ივი იმ დროს მივიდა, როცა ათვალიერებდნენ ბაღის სკამს, რომელიც დილით დაედგათ დიდი ჭადრის ქვეშ, სასტუმრო ოთახის ფანჯრების პირდაპირ. ბარონს სურდა ასეთივე სკამი მოპირდაპირე მხარეს, ცაცხვის ძირში დაედგათ, მაგრამ ყოველგვარი სიმეტრიის სასტიკი მტერი დედიკი, არ ეთანხმებოდა. ვიკონტი, რომელსაც რჩევა ჰკითხეს, ბარონის მეუღლეს მიემხრო.

შემდეგ ვიკონტმა საუბარი დაიწყო მათი მხარის შესახებ და განაცხადა, ჩვენი კუთხე მეტად თვალწარმტაცია, მარტოდმარტო სეირნობის დროს ბევრ მომხიბლავ და ლამაზ ხედს გადავეყარეო. დროდადრო მისი თვალები, თითქოს უნებურად, ჟანას თვალებს ხვდებოდნენ და ქალიშვილს უცნაურად აღელვებდა ეს სწრაფი და გადაკრული მზერა, რომელშიც გამოსჭვიოდა ალერსიანი თაყვანისცემა და ხანდახან გაღვიძებული სიმპათია.

ბატონი დე ლამარი — ვიკონტის მამა, შარშან რომ გარდაიცვალა, თურმე კარგად იცნობდა ჟანას დედიკოს მამის ბატონ დეკულტოს უახლოეს მეგობარს. ეს ამბავი საბაბი შეიქმნა დაუსრულებელი საუბრისა მოყვრობაზე, ნათესაობაზე, თარიღებზე. ბარონის მეუღლე საოცარ მეხსიერებას ავლენდა. ადგენდა რა ნაცნობი ოჯახების ასავალ-დასავალს და დაუბრკოლებლად მიმოდიოდა გენეალოგიის დახლართულ ლაბირინთებში.

— მითხარით, ვიკონტ, გაგიგონიათ ვალფრელერი სონუა? მისმა უფროსმა ვაჟმა გონტრანმა შეირთო მადმუაზელ დე კურსილი, კურვილელი კურსილების ოჯახიდან. უმცროსმა კი, ჩემი ბიძაშვილი მადმუაზელ დე ლა როშ-ობერი, რომელიც კრიზანჟებს ემოყვრებოდა. ბატონი დე კრიზანჟი კი მამაჩემის ახლო მეგობარი იყო და, ალბათ, იცნობდა მამათქვენსაც.

— დიახ, ქალბატონო, ეს ხომ ის ბატონი კრიზანჟია, რომელიც უცხოეთში გადაიხვეწა,

ხოლო შვილი გაუკოტრდა?

— სწორედ ის არის. მან ხელი სთხოვა დეიდაჩემს ქმრის — გრაფ დე ერეტრის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ დეიდაჩემი არ გაჰყვა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბურნუთს სწევდა. მართლა, ხომ არ იცით რა მოუვიდათ ვილუაზებს? მათ დატოვეს ტურენი ბედის გაუკუღმართების შემდეგ, დაახლოებით 1813 წელს და ორენში დასახლდნენ. მის მერე მათზე არაფერი მსმენია.

— როგორც ვიცი, ქალბატონო, მოხუცი მარკიზი ცხენიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. მას ორი ქალიშვილი დარჩა — ერთი ვიღაც ინგლისელის, მეორე კი მდიდარი ვაჭრის — ვინმე ბასოლის მეუღლეა. ამბობენ რომ მან შეაცდინა იგი.

ისევ და ისევ იგონებდნენ მოხუცი ნათესავებისაგან გაგონილ და ბავშვობიდან მეხსიერებაში შემორჩენილ გვარებს. ამ დიდგვაროვანთა ოჯახების ქორწინებანი მათ შეგნებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენდნენ, როგორც დიდი საზოგადოებრივი მოვლენები. ისინი ისე ლაპარაკობდნენ ადამიანებზე, რომლებიც არასდროს უნახავთ, თითქოს მეტად ახლოს იცნობდნენ მათ, ის ადამიანები კი, სხვაგან, ასე ლაპარაკობდნენ მათზე თითქოს მეგობრებად და ნათესავებადაც კი სთვლიდნენ თავს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთსა და იმავე კლასს, ერთსა და იმავე კასტას ეკუთვნოდნენ და ერთნაირი კეთილშობილი სისხლი ჰქონდათ.

ბუნებით კუშტი ბარონი ისე აღიზარდა, რომ თავისი წრის არავითარ მოსაობასა და ცრურწმენას არ იზიარებდა, ამიტომ არ იცნობდა მეზობლებს და მათ შესახებ გამოკითხა ვიკონტს.

ბატონმა დე ლამარმა უპასუხა: — ჩვენ ოლქში ძალიან ცოტა დიდებული ოჯახია.

— ეს ისეთი ტონით უთხრა, როგორც იტყოდა, მაგალითად, ამ სანაპიროზე ცოტა კურდღელიაო. მერე დაწვრილებით მოუთხრო, რომ ყველაზე ახლოს სამად სამი ოჯახი ცხოვრობდა: მარკიზი დე კუტელიე, ნორმანდიელი არისტოკრატიის მეთაური; ვიკონტი დე ბრიზვილი მეუღლით — საუკეთესო გვარის ადამიანები, მაგრამ საკმაოდ ჩაკეტილნი; და, ბოლოს, საფრთხობელას მსგავსი გრაფი დე ფურვილი, რომელიც თითქოს სასტიკად ტანჯავდა ცოლს მოწყენილობით, ცხოვრობდა ტბორის ნაპირზე აგებულ თავის ვრილეტის სასახლეში და მთელ დროს ნადირობაში ატარებდა.

იყო შემთხვევით გამდიდრებულთა რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც აქ შეიძინეს მამულები და ერთმანეთში ჰქონდათ ნაცნობობა. მაგრამ ვიკონტი მათ არ იცნობდა.

ბოლოს იგი გამოეთხოვა მასპინძლებს და უკანასკნელი მზერა ჟანას მიაპყრო, თითქოს მათ განსაკუთრებულად ეთხოვებოდა. უფრო გულითადად და ნაზად.

ბარონის მეუღლემ ძლიერ მომხიბლავ და, რაც მთავარია, მაღალი წრის პიროვნებად მიაჩნია ვიკონტი. მამიკო დაეთანხმა: — დიახ, ცხადია კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა.

მეორე კვირას ვიკონტი სადილად დაპატიჟეს. მერე კი იგი ამ ოჯახის მუდმივი სტუმარი გახდა.

ჩვეულებრივ იგი დღისით, ოთხ საათზე მოდიოდა ხოლმე, პირდაპირ „დედიკოს ხეივანში“ გასწევდა და ბარმენის მეუღლეს ხელს შესთავაზებდა, რათა გაჰყოლოდა „მისი მოციონის“ დროს. როცა ჟანა შინ იყო, მეორე მხრიდან შველოდა დედიკოს და ასე სამივენი ნელა მიდიოდნენ ამ სწორი ხეივნის ერთი ბოლოდან მეორეში, წინ და უკან, ვიკონტი სრულებით არ ელაპარაკებოდა ქალიშვილს, მაგრამ მისი შავი ხავერდოვანი თვალები ხშირად ხვდებოდა ჟანას ლურჯი აქატის თვალებს. რამდენჯერმა ჟანა და ვიკონტი ბარონთან ერთად ჩავიდნენ იპორში.

ერთ საღამოს, როდესაც ისინი ზღვის პირას ისხდნენ, მათთან ბიძია ლასტიკი მივიდა ისე, რომ პირიდან არ გამოუღია ჩიბუხი, ურომლისოდაც იგი უფრო განაცვიფრებდა ყველას, ვიდრე უცხვიროდ რომ ენახათ. მან თქვა : — ასეთ ქარში, ბატონო ბარონო, ცუდი როდი იქნება, თუ ხვალ ეტრეტამდე გავისეირნებთ და ხვალ უკანვე დავბრუნდებით. ჟანამ სათხოვრად გადააჭდო ხელები: — ოჰ, მამა, დათანხმდი!

ბარონი ვიკონტს მიუბრუნდა: — რას იტყვი ვიკონტ? ჩვენ შეგვიძლია იქ ვისაუზმოთ.

გამგზავრება იმ წუთშივე გადაწყდა.

განთიადისას ჟანა უკვე ფეხზე იყო. მან დაუცადა მამას, რომელიც ნელა იცვამდა. და ისინი ერთად გაემგზავრნენ დაცვარული გზით. ჯერ მინდვრები გაიარეს. შემდეგ კი ჩიტების ჟივჟივისაგან მთლად გაყრუებული ტყე. ვიკონტი და ბიძია ლასტიკი კაბესტანზე ისხდნენ.

ორი სხვა მეზღვაური ეხმარებოდათ მათ გამგზავრებაში. მხრებით ნავის ფერდზე მიყრდნობილი მამაკაცები მთელი ღონით აწვებოდნენ მას. ნავი ძლივს მიჩოჩავდა კენჭიან

მარჩხობზე. ლასტიკმა ხის გაქონილი სასრიალო შეაცურა ნავის ხერხემლის ქვეშ. შემდეგ თავისი ადგილი დაიკავა და შეცვლილი ხმით გაიძახოდა თავის განუწყვეტელ „ოჰო-ჰოპ“, რათა ერთად გაეწიათ ნავი.

როდესაც დაღმართს მიაღწიეს, ნავი უეცრად გაექანა წინ და დაფხრეწილი ტილოს ტკაცანით გასრიალდა მრგვალ კენჭებზე. იგი უცბად შეჩერდა პატარა ტალღების ქვიშიან არშიასთან და ყველანი სკამზე დასხდნენ. მერე დარჩენილმა ორმა მეზღვაურმა ხელი ჰკრა ნავს და ზღვაზე ჩაუშვა.

გაშლილი ზღვის მსუბუქი და მშვიდი სიო ოდნავ ეხებოდა და აციმციმებდა წყლის ზედაპირს. ანეული იალქანი ცოტათი გაიბერა და ტალღებზე ოდნავ რწევით ნავი დინჯად შეცურდა ზღვაში.

ჯერ პირდაპირ გაშლილ ზღვაში მიდიოდნენ. ჰორიზონტთან ცა დაბლა ეშვებოდა და ოკეანეს უერთდებოდა. ნაპირზე მაღალი ციცაბო კლდე ვეებერთელა ჩრდილს ჰფენდა წყლის ზედაპირს, ხოლო მისი აქა-იქ მოლიანი ფერდობები მზის სხივებით იყო მოფენილი. იქ, უკან, ფეკამპის თეთრი ჯებირიდან რუხი იალქნები მოცურავდნენ, ხოლო წინ აღმართული უცნაური ფორმის კლდე, მომრგვალებული და გამჭოლად გახვრეტილი, ზღვაში ხორთუმჩაშვებულ უზარმაზარ სპილოს მოგაგონებდათ. ეს იყო ეტრეტის პატარა ჭიშკარი.

ჟანას რწევისგან ოდნავ უბრუოდა თავი და ნავის გვერდს ხელჩაჭიდებული შორეთს გაჰყურებდა. მას ეჩვენებოდა. რომ მხოლოდ სამი რამ არის ამქვეყნად ჭეშმარიტად ლამაზი: სინათლე, სივრცე და წყალი.

ყველანი დუმდნენ. ბიძა ლასტიკი ნავს მართავდა და ხანგამოშვებით მოსვამდა ხოლმე სკამის ქვეშ დამალულ ბოთლიდან, თან განუწყვეტლივ ეწეოდა თავის მარად ჩაუქრობელ ჩიბუხს. ჩიბუხიდან გამუდმებით გამოდიოდა ძაფივით წვრილი ცისფერი კვამლი და ზუსტად ასეთივე ბოლი პირის ცალი კუთხიდან ეპარებოდა. არავის არ უნახავს, რომ მეზღვაურს, გაეჩაღებინოს ეკალმუხაზე შავი თიხის ეს ფილაქურა ან თუთუნის გაეტენოს. ხანდახან იგი ჩიბუხს გამოიღებდა ხოლმე, და პირის იმავე კუთხიდან, საიდანაც კვამლი გამოდიოდა, ზღვაში აფურთხებდა.

ბარონი ქიმზე იჯდა და თვალყურს ადევნებდა იალქანს. ოდნავ დარცხვენილი ჟანა და ვიკონტი გვერდი-გვერდ ისხდნენ. უხილავი ძალა ახვედრებდა მათ მზერას, რადგან, თითქოს რაღაც ზეშთაგონებას ემორჩილებიანო, დროულად ასწევდნენ ხოლმე თვალებს. მათ შორის

უკვე ვითარდებოდა ის გაურკვეველი და ნაზი სიმპათია, რომელიც მეტად სწრაფად წარმოიშვება ხოლმე ორ ახალგაზრდას შორის, როცა ვაჟი არც თუ უშნოა და ქალი კი ლამაზია. ისინი თავს ბედნიერად გრძნობდნენ ერთად, შესაძლოა იმიტომ, რომ ერთმანეთზე ფიქრობდნენ უკვე.

მზე ზევით იწევდა, თითქოს იმისთვის, რაც შეიძლება მაღლიდან დამტკბარიყო მის ქვემოთ გაშლილი ფართო ზღვით, მაგრამ ზღვა, თითქოს კეკლუცობსო, უცბად მსუბუქ ნისლში გაეხვია და თავი დაიფარა მზის სხივებისაგან. ეს იყო გამჭვირვალე, დაბლა ჩამოსული ოქროსფერი ნისლი, რომელიც არაფერს არ ფარავდა, მაგრამ ანაზებდა სივრცეს. მნათობი თავისი ცეცხლით მსჭვალავდა და ადნობდა ამ გაბრწყინებულ საბურველს და როდესაც მთელი ძალა მოიკრიბა, ნისლი აორთქლდა, გაქრა და სარკესავით გლუვი ზღვა სინათლეზე აბრჭყვიალდა.

აღელვებულმა ჟანამ წაიბუტბუტა.

— რა ლამაზია!

— ო, დიახ, ძალიან ლამაზია.

დილის გამჭვირვალე ნათელი თითქოს ექოს პოულობდა მათ გულში.

უეცრად გამოჩნდა ეტრეტის დიდი ჭიშკარი. ივი ჰგავდა ფრიალო კლდის ორ ფეხს, რომლებიც მიაბიჯებდნენ ზღვის ზედაპირზე, და იმდენად მაღალნი იყვნენ, რომ შეეძლოთ საზღვაო გემებისათვის თაღის მოვალეობა შეესრულებინათ; მის წინ აღმართული იყო კლდის თეთრი და წაწვეტილი შპილი.

ნავი ნაპირს მიადგა და სანამ ბარონი, რომელიც პირველი ჩამოვიდა, თოკით ეწეოდა მას ხმელეთისაკენ, ვიკონტმა ხელში აიყვანა ჟანა, ნაპირზე გამოსვლისას ფეხი რომ არ დასველებოდა. ასეთი წუთიერი ჩახუტებით აღელვებულნი, შემდეგ ერთმანეთის გვერდით დადგნენ კენჭებიან ციცაბო მეჩეჩზე და უცებ გაიგონეს, ძია ლასტიკი ბარონს რომ ეუბნებოდა : — მართლაცდა, მშვენიერი წყვილი იქნებოდა!

შესანიშნავად ისაუზმეს პლაჟის ახლოს პატარა ტრაქტირში. ნავში ყველანი დუმდნენ. ოკეანემ შთანთქა ხმები და ფიქრები. ახლა კი სუფრასთან ისე ალაქლაქდნენ, როგორც მოსწავლეები არდადეგებზე.

სულ უმნიშვნელო რამ დაუოკებელ სიხარულს იწვევდა მათში.

მიუჯდა თუ არა მაგიდას, ძია ლასტიკმა ბერეტში ფრთხილად შეინახა ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ჩიბუხი. ყველას გაეცინა. ბუზი, რომელიც უთუოდ ლასტიკის წითელმა ცხვირმა მიიზიდა, რამდენჯერმე დააჯდა ზედ. აუჩქარებელმა მეზღვაურმა მას ხელი მოუქნია მაგრამ ვერ დაიჭირა; ბუზი მაშინვე გაფრინდა და თანამოძმეთაგან უკვე დალაქავებულ მარმაშის ფარდაზე მოკალათდა. იქიდან იგი თითქოს ფხიზლად დარაჯობდა მეზღვაურის აწითლებულ ცხვირს და წარამარა ცდილობდა ხელახლა დასჯდომოდა ზედ.

ბუზის ყოველი დაჯდომა უჩვეულო ხარხარს იწვევდა, ხოლო როცა ამ დავიდარაბით შეწუხებულმა მოხუცმა წაიბუტბუტა: „რა უტეხია ეს წყეულიო“, ჟანას და ვიკონტს სიცილისაგან ცრემლები ცვიოდათ, და მათ რომ არ ეყვირათ პირზე ცხვირსახოცს იფარებდნენ.

ყავა დაამთავრეს.

— არ გავისეირნოთ? — იკითხა ჟანამ.

ვიკონტი ადგა, მაგრამ ბარონმა არჩია პლაჟზე ენებივრა და მზეზე გამთბარიყო :

— წადით, ბავშვებო, ერთ საათში აქ დაგხვდებით.

მათ პირდაპირ გადაჭრეს სოფელი, რომელიც რამდენიმე ქოხისგან შედგებოდა. როდესაც დიდი ფერმის მსგავს პატარა საბაგონო სახლს გასცდნენ, მათ წინ ფართო ველი გადაიშალა.

ზღვის რწევამ მოქანცა ისინი და დაურღვია ჩვეული წონასწორობა. მძაფრმა მარილიანმა ჰაერმა ორივე მოაშივა, საუზმემ ოდნავ გააბრუა, ხოლო სიცილმა აღაგზნო. ახლა ისინი ახირებულ ხასიათზე იყვნენ და სირბილი მოუნდათ ამ მინდვრებში. ჟანა აღაგზნო ამ ახალმა და მოულოდნელმა შთაბეჭდილებებმა.

მცხუნვარე მზე სხივებს ფენდა მათ. გზის ორივე მხარეს მწიფე თავთავები დახრილიყვნენ და სიცხისაგან თავი ჩაექინდრათ. ყველგან — ხორბლისა და შვრიის ყანებში, სანაპიროს ლერწმებში — ბალახის ღეროსავით უთვალავი კუტკალიის გამაყრუებელი ჭრიჭინი ისმოდა.

სხვა არავითარი ხმა არ ისმოდა ამ მოლურჯო-მოყვითალო გახურებულ ცის ქვეშ და გეგონებოდათ, ეს-ეს არის იგი ისევე გაწითლდება, როგორც ლითონი ცეცხლშიო.

მოშორებით, მარჯვნივ, პატარა ტყე შეამჩნიეს და მაშინვე იქით გასწიეს.

ორ ფერდობში მომწყვდეული ვიწრო გზა მზისთვის შეუღწეველ უზარმაზარი ხეების ჩრდილში იკლაკნებოდა. როგორც კი ფეხი შედგეს ამ გზაზე, მაშინვე სახეში ეცათ ხავსმოკიდებული მიდამოს სიგრილე, შმორიანი სინესტე, ფილტვებში რომ ატანს და ჟრჟოლას იწვევს. ჰაერისა და სინათლის უკმარისობას ბალახი გაექრო, მიწას კი ხავსი მოსდებოდა.

გზა განაგრძეს.

— შეხედეთ, აქ შეგვიძლია ცოტა ხნით დავსხდეთ, თქვა ჟანამ.

ორი ბებერი გამხმარი ხის ზოგან გამეჩხერებულ ფოთლებში სინათლე ნიაღვარივით იჭრებოდა და ათბობდა მიწას, სიცოცხლის ძალას ანიჭებდა ახლად ჩასახულ ბალახს, ბაბუაწვერებსა და ლიანებს, შლიდა თეთრ, ნაზ, პატარა ყვავილებს და თითისტარის მსგავს მცენარეებს. პეპლები, ფუტკრები, მოუხეშავი კრაზანები, უზარმაზარი კოღოები, ბუზის ჩონჩხს რომ წააგავდნენ, ათასობით ფრთიანი მწერი, ვარდისფრად დაწინწკლული ჭიამაიები, მწვანედ მოციმციმე ხოჭოები და სხვები —ზოგი შავი, ზოგი რქიანი, — ქოთქოთებდნენ ფოთლების ცხელ და ნათელ ჭაში.

ისინი დასხდნენ და თავი ჩრდილს შეაფარეს, ფეხები კი მზეს მიუფიცხეს, უყურებდნენ მთელი ამ წვრილფეხობის მოფუთფუთე ხანმოკლე ცხოვრებას, მზის სხივმა რომ გახადა შესამჩნევი, და გულაჩვილებული ჟანა იმეორებდა: — რა კარგია აქ! რა შესანიშნავია სოფელი! არის ისეთი წუთები, როცა მსურს მუმლად ან პეპლად ვიქცე და ყვავილებში ჩავიმალო.

ისინი ლაპარაკობდნენ თავის თავზე, ჩვეულებებზე, გემოვნებაზე, ლაპარაკობდნენ იმ დაბალი ინტიმური ტონით, რომლითაც სიყვარულს უხსნიან ხოლმე ერთმანეთს. ვიკონტი ამბობდა, რომ უკვე შესძაგდა მაღალი წრე და მობეზრდა მისი ერთი და იგივე ამბებით სავსე უაზრო ცხოვრება. იქ ვერასოდეს შეხვდები სიმართლესა და გულწრფელობას.

მაღალი წრე! ჟანას სურდა მისი გაცნობა, მაგრამ წინდაწინვე სჯეროდა, რომ იგი ახლოსაც კი ვერ მივიდოდა სოფლის ცხოვრებასთან.

რაც უფრო ახლოვდებოდა მათი გულები, მით უფრო ცერემონიულად მიმართავდნენ ისინი ერთმანეთს „მუსიო" და „მადმუაზელ", სამაგიეროდ, სულ უფრო ხშირად ხვდებოდნენ

და უღიმოდნენ ერთიმეორეს მათი თვალები. ეჩვენებოდათ, რომ რაღაც არნახული სინათლის გრძნობა იჭრებოდა მათში, რაღაც ყოვლისმომცველი თანაგრძნობა, და უჩნდებოდათ მრავალი ინტერესი, რომელთაც სხვა დროს არასოდეს შეუწუხებია ისინი.

ახალგაზრდები დაბრუნდნენ, მაგრამ ბარონი ფეხით წასულიყო „ქალწულების ტალავრის" დასათვალიერებლად, ასე ეძახდნენ მაღალ გამოქვაბულს კლდის თხემში, და სასტუმროში დაუცადეს მას. ზღვისპირა ხანგრძლივი სეირნობის შედეგ ბარონი მხოლოდ საღამოს ხუთ საათზე გამოჩნდა.

ისევ ჩასხდნენ ნავში, რომელიც ნებიერად გაჰყვა ქარს. იგი ოდნავადაც კი არ ირწეოდა, თითქოს სრულებით არ იძვრისო. უბერავდა წყნარი და თბილი ქარი. იალქანი წუთით გაიბერებოდა, ისევ ჩაიჩუტებოდა და ანძის გასწვრივ ვარდებოდა. ზღვის ბნელი ზედაპირი მკვდარივით გაშეშებულიყო, ხოლო მცხუნვარე სხივებისაგან დაცლილი მზე განაგრძობდა მოგზაურობას თავის ორბიტაზე და ნელა უახლოვდებოდა წყლის ზედაპირს.

მთვლემარე ზღვამ კვლავ ჩააჩუმა ყველანი. ისევ ჟანამ დაარღვია სიჩუმე.

— როგორ მინდა ვიმოგზაურო! ვიკონტი შეედავა.

— კი მაგრამ მარტო მოგზაურობა მოსაწყენია. სულ ცოტა ორნი მაინც უნდა იყვნენ შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად.

ქალი დაფიქრდა.

— ეს მართალია... თუმცა მაინც მიყვარს მარტო სეირნობა... ო! რა კარგია მარტოობა, როცა ოცნებობ...

ვიკონტი დააშტერდა მას.

— შეიძლება ორმაც იოცნებოს.

ჟანამ თვალები დახარა. ეს სიტყვის გადაკვრა იყო? შესაძლებელია. მან შეათვალიერა ჰორიზონტი, თითქოს მას იქით უნდოდა აღმოეჩინა რაიმე, და სვენებ-სვენებით თქვა: — მე იტალიაში წავიდოდი... და საბერძნეთში... დიახ, საბერძნეთში ... და კიდევ კორსიკაზე! ეს ძლიერ უცხო და მომხიბლავი ადგილი უნდა იყოს.

ვიკონტი შვეიცარიას ამჯობინებდა, იქაურ ფაცხებსა და ტბებს.

ჟანა ეუბნებოდა : — არა, უმჯობესია, სულ უცხო ქვეყანა, როგორიც კორსიკაა, ან წარსული მოგონებებით სავსე უძლიერესი ქვეყნები, როგორიც საბერძნეთია. მეტად სასიამოვნოა ნახო იმ ხალხთა კვალი, რომელთა ისტორია ბავშვობიდან გსმენია, და ის ადგილები, სადაც დიადი ამბები ხდებოდა.

ნაკლებად აღტაცებული ვიკონტი არ დაეთანხმა.

— მე ინგლისი უფრო მიზიდავს, იქ შეიძლება ბევრი რამ ისწავლო.

მაშინ მათ მთელი სამყარო შემოირბინეს, განსაჯეს თითოეული ქვეყნის ღირსება, პოლუსიდან დაწყებული ეკვატორამდე. აღტაცებით შესცქეროდნენ წარმოსახულ პეიზაჟებს. ბჭობდნენ ზოგიერთი ხალხის ფანტასტიკურ ზნე-ჩვეულებებს, როგორიც არიან ჩინელები და ლაპლანდიელები, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე კარგი ქვეყანა მსოფლიოში საფრანგეთია და თავისი ზომიერი ჰავით, გრილი ზაფხულითა და თბილი ზამთრით, თავისუფალი მინდვრებით, ამწვანებული ტყეებით, ფართო და მდორე მდინარეებით და სახვითი ხელოვნების ისეთი კულტურით, რომელიც სხვაგან არსად ყოფილა ათენის ოქროს საუკუნის შემდეგ.

მერე ისინი მიჩუმდნენ.

დაბლა დაწეული მზე სისხლისფრად ჩანდა, — და ფართო ცეცხლოვანი კვალი ელვარე გზად გადაჭიმულიყო ოკეანის ზედაპირზე ჰორიზონტის კიდიდან ნავის კიჩოს ჭავლამდე.

ქარმა უკანასკნელად ამოისუნთქა, გაქრა უმცირესი ჭავლიც და უმოძრაო იალქანი წითლად შეიღება. უსაზღვრო მყუდროება დაუფლებოდა სივრცეს და თითქოს ყველაფერი ჩააჩუმა ამ სტიქიონების შეხვედრამ. ცის ქვეშ ამოზნექილი ზღვა თავისი მოელვარე და ნარნარი ზედაპირით, გატაცებული მიჯნურის მსგავსად ელოდებოდა მისკენ დაშვებულ ცეცხლოვან სატრფოს, რომელიც ჩახვევნის სურვილით გაწითლებული ისწრაფოდა კალთაზე დასცემოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მზე შეუერთდა და ზღვამ ნელ-ნელა შთანთქა იგი.

მაშინ ჰორიზონტიდან სიგრილე წამოვიდა. ზღვის ზედაპირი ნიავმა ოდნავ შეარხია, თითქოს ზღვაში ჩაგორებულმა მნათობმა ქვეყანას ღამე მშვიდობისა უსურვაო.

დაისი ხანმოკლე იყო; ვარსკვლავებივით მოჭედილი ცის ქვეშ ღამე გადაიშალა. ძია ლასტიკამ ნიჩბები მოუსვა. ყველამ შეამჩნია, რომ ზღვა ფოსფორივით ანათებდა. ჟანა და ვიკონტი გვერდი-გვერდ ისხდნენ და უყურებდნენ ამ მკრთალ მოციმციმე სინათლეს,

რომელსაც ნავი სტოვებდა თავის ნაკვალევზე. ისინი თითქმის არაფერზე აღარ ფიქრობდნენ, ბუნდოვნად ჭვრეტდნენ და ნეტარი კმაყოფილებით აღიქვამდნენ საღამოს სიმშვიდეს. ჟანას ხელი სკამზე ედო და ვიკონტის თითი თითქოს შემთხვევით შეეხო მას. ამ მსუბუქი შეხებით განცვიფრებული ბედნიერი და შემკრთალი ქალიშვილი არ განძრეულა.

საღამოს თავის ოთახში დაბრუნებულმა ჟანამ ისეთი უცნაური დაღლილობა და გულის აჩვილება იგრძნო, რომ ყველაფერზე ეტირებოდა. მან საათს შეხედა და გაიფიქრა, ეს პატარა ფუტკარი გულის მსგავსად, მეგობრის გულის მსგავსად ერხევა და იგი მთელი ჩემი ცხოვრების მესაიდუმლე გახდება, თავისი ხშირი და თანაბარი ტაკა-ტუკით ჩემი სიხარულისა და მწუხარების თანამგზავრი იქნებოდა. ჟანამ გააჩერა მოოქრული ფუტკარი, მისთვის ფრთებზე რომ ეკოცნა. იგი ყველაფერს აკოცებდა ახლა, რაც არ უნდა ყოფილიყო. მას მოაგონდა უჯრის სიღრმეში შენახული ძველისძველი თოჯინა, სიხარულით გამოძებნა იგი, თითქოს მასში იპოვა საყვარელი მეგობარი და გულში ჩაკრულ თოჯინას მხურვალე კოცნით დაუფარა შეღებილი ლოყები და აწეწილი ხუჭუჭი კულულები.

მას ისევ თოჯინა ეკავა ხელში და ფიქრობდა: ნუთუ ეს არის ის, მეუღლე, რომელზეც ათასი იდუმალი ხმა ეჩურჩულებოდა და რომელიც უაღრესად ზებუნებრივმა განგებამ შეჰყარა გზაზე? ნუთუ ეს არის მისთვის დაბადებული არსება, რომელსაც იგი მთელი თავის სიცოცხლეს შესწირავს? ნუთუ ისინი იმ რჩეულ წყვილს წარმოადგენენ, რომელიც ნაზმა ალერსმა უნდა შეაერთოს, მტკიცედ შეაკავშიროს და წარმოშვას სიყვარული?

ჟანა ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა მთელი არსებით იმ გაშმაგებულ აღმაფრენას, იმ გიჟურ გატაცებას, იმ ძლიერ სულიერ ძვრას, რაც მისი აზრით, ვნებას აყოლილთ ახასიათებდათ. იმაში კი რწმუნდებოდა, რომ უყვარდა იგი, რადგანაც მასზე ფიქრისას ძალა ელეოდა. ფიქრობდა კი განუწყვეტლივ. ღელავდა მასთან ყოფნის დროს, წითლდებოდა და ფითრდებოდა მისი გამოხედვისას და ცახცახებდა მისი ხმის გაგონებაზე.

იმ ღამეს თითქმის არ ეძინა ჟანას.

ამ დღიდან მოკიდებული სიყვარულის ამაღელვებელი სურვილი სულ უფრო ძლიერად ეუფლებოდა მას. იგი გამუდმებით ესაუბრებოდა ამაზე თავის თავს, მარჩიელობდა ზიზილებით, ღრუბლებით, ჰაერში ასროლილი ხურდა ფულით.

ერთხელ, საღამოს, მამამ უთხრა : — ხვალ დილით რაც შეიძლება ლამაზად მოირთე.

ჟანამ ჰკითხა : — რატომ, მამა?

— ეს საიდუმლოა, — მიუგო ბარონმა.

და როდესაც დილით ჟანა, მთლად თეთრებში გამოწყობილი, ძირს ჩავიდა, სასტუმრო ოთახის მაგიდაზე დაინახა კანფეტების კოლოფები, ხოლო სკამზე — ვეებერთელა თაიგული.

ეზოში ოთხთვალა შემოვიდა. მასზე ეწერა: „ლერა, კონდიტერი ფეკამპში საქონინო სადილი". მზარეულ ლუდოვინას შეგირდის დახმარებით ფურგონის ქვედა კარებიდან გამოჰქონდა ბრტყელი კალათები, რომლებსაც სასიამოვნო სუნი ასდიოდათ.

ვიკონტ დე ლამარიც გამოჩნდა. მას ეცვა ვიწრო შარვალი და ძლიერ ლამაზი ლაკის ფეხსაცმელები, რომელიც ნათლად აჩენდა მის პატარა ფეხს. წელში გამოყვანილი გრძელი სერთუკი მკერდზე შეხსნოდა და მაქმანებიანი გულისპირი მოუჩანდა. მოხდენილი, ყელზე რამდენჯერმე შემოვლებული ვიწრო ჰალსტუხი, აიძულებდა მაღლა აეწია ლამაზი, შავგვრემანი თავი, რომელიც ამის გამო უფრო კოხტა ჩანდა. მას სულ სხვა, ის არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული იერი მიეღო, რასაც საზეიმო ტანისამოსი უეცრად აძლევს კარგად ნაცნობ სახეებსაც კი. განცვიფრებული ჟანა თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა ვიკონტს, თითქოს პირველად ხედავსო. და იგი მიიჩნია დიდებულად, უაღრეს არისტოკრატ ადამიანად.

ვიკონტმა ღიმილით დაუკრა თავი : — თქვენ მზად ხართ ნათლია? ქალმა წაილუღლუღა: — კი, მაგრამ რა ხდება?

— მალე ყველაფერს გაიგებ,— თქვა ბარონმა.

პარმაღს ეტლი მიადგა. როზალიას მკერდზე დაყრდნობილი ქალბატონი ადელაიდა ბრწყინვალედ მორთული ჩამოვიდა თავისი ოთახიდან. როზალია ისე ააღელვა დე ლამარის მოხდენილმა გარეგნობამ, რომ ბარონმა კიდეც ჩაულაპარაკა ვიკონტს: — ერთი დამიხედეთ, მე მგონი, ჩვენს მოახლეს თვალში მოუხვედით.

ვიკონტი ყურებამდე გაწითლდა, ისეთი სახე მიღო, ვითომ არც გაუგონია ეს სიტყვები, დიდი თაიგული დაისაკუთრა და ჟანას მიართვა. უფრო მეტად განცვიფრებულმა ჟანამ ჩამოართვა იგი. ოთხივენი ეტლში ავიდნენ. მზარეულმა ლუდოვინამ ძალ-ღონის მოსაკრეფად ცივი ბულიონი მიუტანა ბარონის მეუღლეს და თქვა: — მართლაცდა, ქალბატონო, ქორწილი არ გეგონებათ?

იპორს რომ მიუახლოვდნენ, გზას ფეხით გაუდგნენ და სანამ სოფელს გაივლიდნენ, მეზღვაურები გამოდიოდნენ თავისი სახლებიდან ჯერ კიდევ ნაკეცებიან ახალ სერთუკებში, ესალმებოდნენ, ხელს ართმევდნენ ბარონს და მასთან ერთად განაგრძნობდნენ გზას, თითქოს პროცესიას მიჰყვებიანო.

ვიკონტმა ხელი შესთავაზა ჟანას და მასთან ერთად წინ წავიდა.

ეკლესიას რომ მიაღწიეს, ყველანი შეჩერდნენ. გამოჩნდა დიდი ვერცხლის ჯვარი, ერთ-ერთ მომღერალ ბიჭს რომ მოჰქონდა და სწორად დაეჭირა. მას მოჰყვებოდა წითელ-თეთრში გამოწყობილი მეორე ბიჭი ნაკურთხი წყლით სავსე ლარნაკითა და სასხურებლით.

მერე გამოჩნდა სამი მგალობელი მოხუცი, რომელთაგან ერთი კოჭლობდა, შემდეგ სერპენტზე დამკვრელი, ბოლოს კი — მღვდელი გამობერილ მუცელზე გადაჯვარედინებული მოოქრული ოლარით. იგი ღიმილით და თავის ერთი დაკვრით მიესალმა ყველას. შემდეგ ნახევრად დახუჭა თვალები, ტუჩები ააცმაცუნა სალოცავად, ცხვირამდე ჩამოიწია სამკუთხა ქუდი და ზღვისაკენ გაჰყვა სტიქარით ამალას.

პლაჟზე ყვავილებით მორთულ ახალ ნავს ხალხი შემოხვეოდა. მის ანძაზე, იალქანზე და სხვა მოწყობილობაზე ქარი გრძელ ლენტებს აფრიალებდა, ხოლო კიჩოზე ოქროს ასოებით ეწერა ნავის სახელი: „ჟანა".

პროცესიას ბარონის ხარჯით აგებული ნავის კაპიტანი — ძია ლასტიკი შეეგება. ყველა მამაკაცმა ერთად მოიხადა ქუდი. ღვთის მლოცველმა ქალებმა, რომლებსაც კაპიშონიანი ფართო, შავნაოჭიანი მოსასხმელები ეცვათ, ჯვრის დანახვაზე ნახევარწრედ დაიჩოქეს.

მღვდელი, რომელსაც აქეთ-იქით ორი მსახური მოჰყვებოდა, ნავის ერთ ბოლოში დადგა, ხოლო მეორე ბოლოში — სამი მოხუცი მგალობელი. თეთრსამოსიანი უსუფთაო და გაუპარსავი მომღერლები ჩააცქერდნენ საეკლესიო საგალობელთა კრებულს და ნათელი დილის გაშლილ სივრცეში მთელი ხმით საზეიმოდ გაისმა მათი არეული სიმღერა.

როცა ისინი სულს ითქვამდნენ, მხოლოდ სერპენტი განაგრძობდა ღრიალს და დამკვრელის პატარა ნაცრისფერი თვალები გამობერილ ლოყებში იკარგებოდა. შუბლისა და კისრის კანი ისე ებურცებოდა ჩაბერვის დროს, თითქოს დაწებებული ხორცის ნაჭრებიაო.

უძრავი, ღრმად ჩაფიქრებული და გამჭვირვალე ზღვა თითქოს ნათლობაში ეხმარებოდა ნავს, მოკრძალებით მიწყნარდა, თითის სიმაღლე ქოჩორა ტალღებს ამოძრავებდა და

თითქოს ნიჩბებს უსვამსო, ოდნავ შრიალებდა კენჭებზე. დიდი, თეთრი თოლიები კი ფრთაგაშლილ წრეებს ხაზავდნენ ფირუზ ცაში, შორს მიფრინავდნენ, ისევ ბრუნდებოდნენ და ნარნარა ფრენით უვლიდნენ დაჩოქილ ბრბოს, თითქოს სურდათ გაეგოთ რა ხდებოდა იქ.

სიმღერა შეწყდა. ხუთ წუთიანი "ამინის" შემდეგ მღვდელმა ყრუ ხმით წაიკაკანა რამდენიმე ლათინური სიტყვა, რომელთაგან გარკვევით მხოლოდ მჟღერი დაბოლოებანი ისმოდა.

შემდეგ მან შემოუარა ნავს, ნაკურთხი წყალი შეასხა მას და შეჩერდა ერთ-ერთ ქიმთან, ნათლიების პირდაპირ, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი უძრავად იდგნენ, და ლოცვანის ბუტბუტს შეუდგა.

ახლგაზრდა კაცი ინარჩუნებდა ლამაზი მამაკაცის მედიდურ გამომეტყველებას, მაგრამ უეცარი მღელვარებით სულშეხუთული და ძალამიხდილი ქალიშვილი ისე კანკალებდა, რომ კბილები აუკაწკაწდა. ოცნება, რომელიც აეკვიატა ამ ბოლო დროს, სინამდვილედ ეჩვენებოდა. ვიღაცამ ქორწინება ახსენა, მღვდელიც წესს ასრულებდა და სტიქარიანი ადმიანები ლოცვას დუდუნებდნენ, ჟანას ჯვრისწერა ხომ არ იყო ნეტავ?

რა ემართება? მისი თითები შეიპყრო ნერვიულმა ცახცახმა თუ ქალის ძარღვებში მოფორიაქე ცდუნებამ მეზობლის გულში შეაღწია? იგრძნო მან? გამოიცნო? ნეტავ ისიც მასავით დაათრო სიყვარულმა? ან ეგებ გამოცდილებით იცის, რომ ვერც ერთი ქალი ვერ გაუწევს წინააღმდეგობას? უეცრად ჟანამ იგრძნო, რომ იგი ხელს უჭერს, ჯერ მსუბუქად, მერე უფრო ძლიერად, კიდევ უფრო და კინაღამ მტევნები დაუმტვრია. და ისე, რომ სახეზე არაფერი დატყობია, არც არავის შეუმჩნევია, გარკვევით, დიახ, გარკვევით უთხრა: ოჰ ჟანა თქვენ რომ მოისურვებდეთ, ეს ჩვენს ნიშნობად გადაიქცეოდა!

ჟანამ ნელა, ძალიან ნელა დახარა თავი. შეიძლება თანხმობის ნიშნად. მღვდელმაც, რომელიც ნავს ჯერ კიდევ ასხურებდა ნაკურთხ წყალს, თითებზე მიაშხეფა მათ რამდენიმე წვეთი.

ცერემონია დამთავრდა, ქალები ფეხზე წამოდგნენ. უკან დაბრუნებისას ყველანი აირ-დაირივნენ. ჯვარს, რომელიც მომღერალ ბიჭს მოჰქონდა, დაეკარგა სიდიადე. იგი სწრაფად მოჰქონდა. მარჯვნიდან მარცხნივ ირწეოდა, ხან კიდევ წინ იხრებოდა და გეგონებოდათ საცაა მიწაზე დაეცემაო. მღვდელი აღარ ლოცულობდა და კვალში მიაბოტებდა; მგალობლები და სერპენტისტი ვიწრო შესახვევში გაქრნენ, ტანსაცმელი რომ სწრაფად გამოეცვალათ,

მეზღვაურებიც აჩქარებით მიაბიჯებდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ერთი და იგივე ფიქრი თითქოს ავსებდა მათ სამზარეულოს სუნით, სიმკვირცხლეს მატებდა ფეხებს, პირს ნერწყვით უსველებდა, მუცლის სიღრმეში იჭრებოდა და შიგნეულს

უწრიალებდა.

დიდებული საუზმე ელოდებოდათ მათ ჩინარში.

ვაშლის ხეების ძირში გაშლილ დიდ მაგიდას სამოცი მეზღვაური და გლეხი შემოუსხდა. ბარონის მეუღლე მაგიდის თავში, ორ მღვდელს შუა იჯდა, ერთი იპორელი იყო, ხოლო მეორე შინაური. მათ პირდაპირ მერს და მის მეუღლეს შორის ბარონი გაჩხირულიყო. მერის მეუღლე — საკმაოდ შებერებული და გამხდარი სოფლელი ქალი წამდაუწუმ იქნევდა თავს და ყველას ესალმებოდა. გრძელი სახით, მაღალი ნორმანდიული ჩაჩით, მრგვალი და მუდამ გაოცებული თვალებით იგი თეთრ ქოჩორა ქათამს მოგაგონებდათ, და ისე სწრაფად ყლაპავდა პატარ-პატარა ლუკმებს, თითქოს თეფშიდან ცხვირით კენკავსო.

ჟანა ნათლიას გვერდით იჯდა და ოცნებებში მოგზაურობდა. იგი ვერაფერს ამჩნევდა, არაფერი ესმოდა და სიხარულისგან გაბრუებული ჩუმად იჯდა.

მან თავის მეზობელს ჰკითხა: — რა გქვიათ?

— ჟულიენი. არ იცოდით? — უთხრა მან.

მაგრამ ჟანამ აღარ უპასუხა, მან მხოლოდ გაიფიქრა; „რა ხშირად ვიმეორებ ამ სახელს!"

როდესაც საუზმე დამთავრდა, ბატონებმა ეზო მეზღვაურებს დაუთმეს, თვითონ კი სახლის მეორე მხარეს გადავიდნენ სასეირნოდ. ქმრის მკლავზე დაყრდნობილი ბარონის მეუღლე ორი მღვდლის თანხლებით თავის „მოციონს" შეუდგა. ჟანამ და ჟულიენმა ვიწრო, დახლართული ბილიკით წარაფისკენ გასწიეს. უცებ ჟულიენმა მას ხელი ჩასჭიდა : — მითხარით, გსურთ გახდეთ ჩემი ცოლი?

ჟანამ კვლავ დახარა თავი და, როდესაც ვიკონტმა წაიბუტბუტა: „მიპასუხეთ, გემუდარებით, მიპასუხეთ," წყნარად შეხედა მას და ამ გამოხედვაში ჟულიენმა პასუხი წაიკითხა.

თავი IV

ერთ დილით ბარონი ჟანას ადგომამდე შევიდა მის ოთახში და საწოლზე ჩამოუჯდა ფეხებთან: — ვიკონტ დე ლამარმა შენი ხელი გვთხოვა.

ჟანას მოუნდა საბანში ჩამალულიყო.

მამამ განაგრძო: — ჩვენ ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიგვიცია.

ჟანას მღელვარებისგან სული ეხუთებოდა. ბარონმა ერთ წუთს შეიცადა და ღიმილით დასძინა: — ჩვენ საქმის გადაწყვეტა არ გვინდოდა შენთან მოულაპარაკებლად. დედაშენი და მე არ ვართ ამ ქორწინების წინააღმდეგი, თუმცა არც ძალას გატანთ. შენ მასზე ბევრად მდიდარი ხარ, მაგრამ როცა საქმე ეხება ბედნიერებას ცხოვრებაში, განა ფულზე ფიქრობენ? მას არ ჰყავს მშობლები; მაშასადამე, თუ შენ გაჰყვები, იგი როგორც შვილი, ისე შემოვა ჩვენს ოჯახში. მაგრამ თუ სხვას მისთხოვდები, თვითონ შენ, ჩვენს ქალიშვილს, მოგიწევს უცხო ოჯახში შესვლა. ჩვენ მოგვწონს ვიკონტი. შენ?.. შენ მოგწონს?

ჟანა თმის ძირებამდე გაწითლდა და წაილუღლუღა: — მე თანახმა ვარ, მამა.

მამიკომ, რომელიც ისევ იღიმებოდა, თვალში ჩახედა მას და წაჩურჩულა: — მე ამაში თითქმის დარწმუნებული ვიყავი, მადმუაზელ.

ჟანა მთვრალივით დადიოდა საღამომდე, თავად არ იცოდა რას აკეთებდა, დაბნეული, მექანიკურად იღებდა ერთ საგანს მეორის ნაცვლად და, ამ დღეს სრულებით არ უვლია, ფეხები ეკეცებოდა დაღლილობისგან.

დაახლოებით ექვს საათზე, როდესაც იგი დედიკოსთან ერთად ჭადრის ძირას იჯდა, გამოჩნდა ვიკონტი.

ძალუმად აუძგერდა ჟანას გული. ახალგაზრდა კაცი, თითქმის აუღელვებლად მიუახლოვდა მათ. როდესაც სულ ახლოს მივიდა, აიღო ბარონის ხელი და თითები დაუკოცნა. შემდეგ ასწია ქალიშვილის ათრთოლებული ხელი და ტუჩებით დააკვდა ზედ, თითქოს ამ ხანგრძლივი კოცნით გამოთქვა თავისი ნაზი და მადლობის გამომხატველი გრძნობა.

დაიწყო ნიშნობის სასიხარულო დღეები. ისინი საუბრობდნენ სასტუმრო ოთახის

კუთხეში, წარაფის ბოლოს ფერდობზე, უკაცრიელი ტრამალების წინ, ზოგჯერ კი დედიკოს ხეივანში სეირნობდნენ. მაშინ ვიკონტი მომავალ ცხოვრებაზე ლაპარაკობდა, ხოლო ჟანა ბარონის მეუღლის მტვრიან ნაკვალევს დასცქეროდა.

რაკი საქმე გადაწყდა, დაყოვნება აღარ ღირდა. შეთანხმდნენ, ჯვარს დაიწერდნენ ექვს კვირაში, თხუთმეტ აგვისტოს, შემდეგ კი ნეფე-დედოფალი დაუყოვნებლივ გაემგზავრებოდა საქორწინო მოგზაურობაში. მოლაპარაკების დროს ჟანამ კორსიკა აირჩია, სადაც უფრო განმარტოებით იგრძნობა თავს, ვიდრე იტალიის ქალაქებში.

არცთუ ისე მოუთმენლად ელოდებოდნენ ახალგაზრდები ქორწინების დღეს. მომხიბლავი სინაზით შეპყრობილნი და გაბრუებულნი, ტკბებოდნენ უმწიკვლო ალერსის წარმტაცი მშვენიერებით, ხელების შეხებით, ხანგრძლივი ვნებიანი ცქერით, რომელიც თითქოს აერთებდა მათ სულსა და გულს. ნამდვილი ხვევნა— ალერსის გაუბედავი სურვილი ჯერ კიდევ ბუნდოვნად ტანჯავდათ მათ.

გადაწყვიტეს ქორწილზე არავინ მოეწვიათ, გარდა ბარონის მეუღლის დის — დეიდა ლიზონისა, რომელიც ვერსალის მონასტერში ცხოვრობდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ბარონის მეუღლეს სურდა ლიზონი თავისთან დაეტოვებინა, მაგრამ შინაბერას აეკვიატა აზრი, რომ იგი ყველას ავიწროვებდა, ყველას თავს აბეზრებდა, უსარგებლო იყო, და ამჯობინა შეხიზნოდა ღვთისმოსავთა ერთ-ერთ თავშესაფარს, სადაც აქირავებდნენ ოთახებს მარტოხელა, ცხოვრებით განაწყენებულ ადამიანებს.

ხანდახან იგი თავის ოჯახს ესტუმრებოდა ერთი ან ორი თვით.

ეს იყო, ჩია, სუსტი ქალი. იგი ცოტას ლაპარაკობდა, ყოველთვის იმალებოდა, გამოჩნდებოდა მხოლოდ პურის ჭამის დროს, მყისვე უკან ბრუნდებოდა თავის ოთახში და ჩვეულებრივ იქ იჯდა ჩაკეტილი.

მას კეთილი და უდროოდ მოხუცებული იერი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ორმოცდაორი წლისა იყო. თვალები სათნო და ნაღვლიანი ჰქონდა. ოჯახში არაფრად აგდებდნენ. ბავშვობისას არავინ ეფერებოდა, რადგან არც ლამაზი იყო და არც მკვირცხლი. წყნარი და მორჩილი, თავისთვის იჯდა ხან ერთ და ხან მეორე კუთხეში. მას შემდეგ რაც იგი ყველამ მოიძულა, ქალიშვილობაშიც არავინ დაუინტერესებია.

იგი ჰგავდა ჩრდილს თუ შეჩვეულ საგანს, ცოცხალ ავეჯს, რომელსაც ყოველდღე ხედავდნენ, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ.

მშობლიური სახლიდან გამოყოლილი ჩვეულებით, ლიზონს საკუთარი დაც ისე უყურებდა, როგორც უბადრუკ და სულ უმნიშვნელო არსებას. მას მოურიდებლად და უბოდიშოდ ეპყრობოდნენ, რომელშიც აბუჩადამგდები სიბრალული გამოსჭვიოდა. მას ლიზა ერქვა და ეს კოპწია ახალგაზრდული სახელი თითქოს ეუხერხულებოდათ. როცა დაინახეს, რომ იგი არ თხოვდებოდა და ვერც გათხოვდებოდა, ლიზა ლიზონად გადაუკეთეს. ჟანას დაბადებისთანავე იგი „დეიდა ლიზონი“ გახდა, საწყალი და ფაქიზი ნათესავი, უაღრესად მორცხვი თვით სიძესთან და დასთანაც კი. მათ მაინც უყვარდათ იგი, თუმცა გაურკვეველი სიყვარულით, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა უღიმღამო სინაზე, შეუცნობელი თანაგრძნობა და ბუნებრივი კეთილმოსურნეობა.

ხანდახან როდესაც ბარონის მეუღლე გაიხსენებდა ახალგაზრდობის ამბებს, თარიღი რომ ზუსტად დაედგინა, იტყოდა ხოლმე : „ეს მაშინ მოხდა, როცა ლიზონმა უგუნური საქციელი ჩაიდინა“.

მეტს არაფერს ამბობდნენ და ეს „უგუნური საქციელი“ საიდუმლოებით მოცული რჩებოდა.

ოცი წლის იყო ლიზა როცა, ერთ საღამოს წყალში გადავარდა. არავინ იცოდა რატომ. არც მის ცხოვრებაში და არც ქცევაში არაფერი ჩანდა ისეთი, რაც ამ სიგიჟის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი ცოცხალ-მკვდარი გამოათრიეს და იმის ნაცვლად, რომ გამოეძიათ ამ საქციელის დაფარული მიზეზი, მისი მშობლები აღშფოთებით ხელებს აღაპყრობდნენ და „უგუნურ საქციელზე“ ლაპარაკით კმაყოფილდებოდნენ. ლაპარაკობდნენ ისეთივე ტონით, როგორც ცხენ „კოკაზე“, რომელსაც ცოტა ხნის წინათ უბედურება შეემთხვა, ღრანტეზე წაიფორთხა, ფეხი მოიტეხა და იძულებული გახდნენ მოეკლათ.

ამის შემდეგ ლიზა, სულ მალე ლიზონად წოდებული, ჭკუასუსტად მიიჩნიეს. ამ საქციელით გამოწვეული ახლო ნათესავების უპატივცემულობა მისდამი ნელ— ნელა შეიჭრა მახლობელთა გულშიც. თვით პატარა ჟანაც კი, ბავშვური ალღოთი, არავითარ ინტერესს არ იჩენდა მისდამი, არასოდეს არ მირბოდა დეიდასთან საწოლში მისასალმებლად, არასოდეს არ შედიოდა მის ოთახში. მარტო როზალიამ თუ იცოდა, სად იყო ეს ოთახი, რადგან, ძალაუნებურად საჭირო სამსახური უნდა გაეწია იქ.

როდესაც დეიდა ლიზონი სასაუზმოდ შედიოდა ოთახში, „პაწაწინა გოგონა“ ჩვეულებრივ შუბლს მიუშვერდა ხოლმე ეს იყო და ეს.

თუ ვინმე მოისურვებდა მასთან ლაპარაკს, მსახურს გაუგზავნიდნენ; მაგრამ როცა ლიზონი არ ჩანდა, არავის არ აინტერესებდა და აგონდებოდა იგი, არავინ არ შეშფოთდებოდა და არ იტყოდა: „კი მაგრამ ლიზონი არ მინახავს დილას აქეთ“.

მას არავითარი ადგილი არ ეკავა ამქვეყნად. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომლებიც უცხონი და შეუმჩნეველნი არიან თვით შინაურებისთვისაც კი, რომელთა სიკვდილი არც ბზარს ტოვებს და არც სიცარიელეს ქმნის სახლში. იგი იყო ერთ-ერთი იმ სულიერთაგანი, რომელთაც არ შეუძლიათ შეიჭრან მახლობელთა არც ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებში, არც გულში.

როდესაც ამბობდნენ: „დეიდა ლიზონი“, ეს ორი სიტყვა ოდნავადაც არ აღელვებდა ვინმეს. თითქოს ვინმეს ეთქვას: „ყავადანი“ ან „საშაქრე“.

დადიოდა იგი ყოველთვის მოკლე, მაგრამ ჩქარი და ჩუმი ნაბიჯებით. არასოდეს არაფერს წამოედებოდა, თითქოს საგნებსაც მისგან გადასდებოდა უხმოობა. ხელები თითქოს ბამბისა ჰქონდა, ისე მსუბუქად და ფრთხილად ეხებოდა ყველაფერს.

იგი შუა ივლისში ჩამოვიდა, მთლად აფორიაქებული მომავალი ქორწინებით, თან ჩამოიტანა უამრავი საჩუქარი, მაგრამ, რადგანაც ეს ლიზონის საჩუქრები იყო, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა.

ჩამოსვლის მეორე დღიდან ლიზონს უკვე ვეღარ ამჩნევდნენ.

სამაგიეროდ, თვითონ არაჩვეულებრივად ღელავდა და თვალებს არ აშორებდა დანიშნულებს. მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლითა და გატაცებით შეუდგა მზითევის მომზადებას. უბრალო მკერავივით მუშაობდა თავის ოთახში, სადაც არავინ არ აკითხავდა.

დეიდა ლიზონს წარამარა მიჰქონდა ბარონის მეუღლესთან თავისი ხელით შემოკეცილი ცხვირსახოცი ან ამოქარგული ხელსახოცები და ეკითხებოდა: — მოგწონს, ადელაიდა?

დედიკო კი გულგრილად შეხედავდა მის ნახელავს და ეტყოდა: — თავს ნუ იკლავ, ჩემო საბრალო ლიზონ.

ერთხელ, თვის დამლევს, დახუთული პაპანაქება დღის შემდეგ მთვარე გამოჩნდა და ისეთი ნათელი და გრილი ღამე დადგა, როცა ყველაფერი გაღელვებს, გულს გიჩვილებს, აღგაგზნებს, გიღვიძებს სულის იდუმალ პოეზიას. მინდორ-ველის თბილი სუნთქვა იჭრებოდა წყნარ სასტუმრო ოთახში. ბარონი და მისი მეუღლე უხალისოდ თამაშობდნენ ბანქოს სინათლის იმ წრეზე, რომელსაც აბაჟური მაგიდაზე ქმნიდა. გვერდით იჯდა დეიდა ლიზონი და ქსოვდა, ხოლო რაფაზე დაყრდნობილი ახალგაზრდები ღია ფანჯრიდან გაჰყურებდნენ მთვარის სინათლით მოფენილ ბაღს.

ცაცხვი და ჭადარი ჩრდილს სცემდა ფართო მოელვარე მოლს, რომელიც მკრთალად გადაჭიმულიყო წარაფის შავ ზოლამდე.

ღამის ნაზმა მშვენიერებამ, ბუჩქებისა და ხეების მკრთალმა ნათებამ მოხიბლა ჟანა და მშობლებს მიუბრუნდა: — მამიკო, ჩვენ გავისეირნებთ მდელოზე, სახლის წინ.

ბარონმა ისე უპასუხა, თამაშობისათვის თავი არ დაუნებებია.

— წადით, ბავშვებო, — და თავისი პარტია განაგრძო.

ისინი გადავიდნენ და სეირნობა დაიწყეს დიდ, ნათელ კორდზე პატარა ტყის პირამდე.

დრო მიდიოდა, მაგრამ ისინი დაბრუნებას არ აპირებდნენ. დაღლილმა ბარონის მეუღლემ თავის ოთახში წასვლა მოინდომა.

— უნდა დაუძახოთ შეყვარებულებს, — თქვა მან.

ბარონმა თვალით შემოირბინა დიდი, განათებული ბაღი, სადაც ორი ჩრდილი ნელა ხეტიალობდა.

— თავი დაანებე, — უპასუხა მან, —გარეთ ისე კარგია! ლიზონი დაუცდის მათ. ხომ კი, ლიზონი?

შინაბერამ ასწია თავისი შეშფოთებული თვალები და ჩვეული გაუბედაობით უპასუხა: — რასაკვირველია დაველოდები.

მამიკომ წამოაყენა მეუღლე და სიცხიანი დღით დაქანცულმა თქვა: — მეც დავწვები, — და მეუღლესთან ერთად გავიდა.

მაშინ დეიდა ლიზონი ადგა, მიატოვა დაწყებული სამუშაო, მატყლის გორგალი და წინდის ჩხირი სავარძლის სახელურზე დატოვა, ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მომაჯადოებელ ღამეს გახედა.

დანიშნულები მიდი-მოდიოდნენ მოლზე წარაფიდან პარმაღამდე და პარმაღიდან წარაფამდე. ისინი ხელს უჭერდნენ ერთმანეთს და დუმდნენ, თითქოს თავისი თავი დაივიწყეს და მთლიანად შეერწყმნენ იმ ხილულ პოეზიას, რომელსაც მიწა აფრქვევდა.

უცბად ჟანამ ფანჯრის ჩარჩოში, ლამპის სინათლეზე, შინაბერას სილუეტი დაინახა.

— შეხედე, — თქვა მან, — დეიდა ლიზონი ჩვენ გვითვალთვალებს.

ვიკონტმა თავი ასწია და გულგრილად, დაუფიქრებლად თქვა : — დიახ, დეიდა ლიზონი ჩვენ გვიყურებს.

და, სიყვარულით აღვსილნი, ისინი განაგრძობდნენ ოცნებას და ხეტიალს. მაგრამ ბალახი ნამით დაიფარა და სიგრილემ ორივე ააჟრჟოლა.

— დროა დავბრუნდეთ — თქვა ჟანამ. და ისინი შინ დაბრუნდნენ.

როდესაც სასტუმრო ოთახში შევიდნენ, დეიდა ლიზონი ისევ თავის საქსოვს ეჯდა. მას თავი დაეხარა სამუშაოზე და, თითქოს გადაღლილობისაგან, გამხდარი თითები ოდნავ უცახცახებდა.

ჟანა მიუახლოვდა.

— დეიდა, ძილის დროა.

შინაბერამ თავი ასწია. თვალები ნამტირალევივით დასწითლებოდა, მაგრამ მიჯნურებმა ვერც კი შეამჩნიეს. სამაგიეროდ, ყმაწვილმა კაცმა უცბად შეამჩნია, რომ ქალიშვილს თხელი ფეხსაცმელები მთლად დასველებოდა. იგი შეწუხდა და ნაზად კითხა: — ხომ არ შესცივნია, თქვენ ლამაზ პატარა ფეხებს?

და უეცრად დეიდას თითები ისე აუკანკალდა, რომ ნაქსოვი ხელიდან გაუვარდა; მატყლის გორგალი პარკეტზე შორს გაგორდა. ლიზონმა სწრაფად ჩამალა სახე ხელებში. იგი იკრუნჩხებოდა და ხმამაღლა ქვითინებდა.

განცვიფრებული დანიშნულები გაშეშდნენ. შემდეგ ჟანამ სწრაფად დაიჩოქა. ხელებს სახიდან აცილებდა დეიდას და შეშფოთებული იმეორებდა.

— კი მაგრამ, რა მოგივიდა, დეიდა ლიზონ?

მაშინ მწუხარებისგან სულ მთლად მოკუნტულმა საბრალო ქალმა ცრემლებისაგან ჩახრინწული ხმით წაიბუტბუტა : — აი, მან გკითხა... ხომ არ შესცივნია თქვე... თქვე... თქვენს ლამაზ პატარა ფეხებსო? .. ასეთი რამ ხომ არასოდეს არ უთქვამთ... არასოდეს... არასოდეს...

ჟანა გაოცდა. გული აუჩვილდა და მაინც ეცინებოდა, როცა წარმოიდგინა მიჯნური, რომელიც ნაზად ეალერსებოდა დეიდა ლიზონს; ვიკონტი კი შებრუნდა, მხიარული განწყობა რომ არ გაემჟღავნებინა.

მაგრამ დეიდა უცბად წამოდგა, გორგალი იატაკზე დატოვა, საქსოვი კი — სავარძელში. უსინათლოდ აირბინა კიბეები და ხელის ფათურით მოძებნა თავისი ოთახი.

მარტო დარჩენილმა, ამ შემთხვევით გამხიარულებულმა ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს. ჟანამ წაიჩურჩულა: — საბრალო დეიდა!

— ივი ამ საღამოს ჭკუაზე არ უნდა იყოს ,— უპასუხა ჟულიენმა.

ხელჩაკიდებულნი ვერა და ვერ შორდებოდნენ ერთიმეორეს, შემდეგ კი გაუბედავად, ძლიერ გაუბედავად პირველად აკოცეს ერთმანეთს, სავარძელთან, რომელიც ის— ის იყო დეიდა ლიზონმა დატოვა.

მეორე დღეს მათ არც კი გახსენებიათ შინაბერას ცრემლები.

ქორწილამდე დარჩენილ ორ კვირაში ტკბილი მღელვარებით გადაღლილი ჟანა როგორღაც დაცხრა და დამშვიდდა.

ქორწილის დღეს, დილით, მას, სრულებით არ ეცალა საფიქრელად. ივი მხოლოდ სრულ სიცარიელეს გრძნობდა მთელ სხეულში. თითქოს კანქვეშ ერთიანად გადნობოდა სისხლი, ხორცი და ძვლები. საგნების შეხებისას ივი ამჩნევდა, რომ თითები საშინლად უცახცახებდა.

ივი გონს მოვიდა მხოლოდ ეკლესიაში, საკურთხევლის წინ წირვის დროს.

გათხოვილი! ახლა იგი გათხოვილია! ყველაფერი, რაც განთიადიდან დაწყებული იმ დღეს მოხდა, შემთხვევათა და შეგრძნებათა თანმიმდევრობა, მას სიზმარი ეგონა, ნამდვილი სიზმარი. არის ისეთი წუთები, როცა ყველაფერი ჩვენს ირგვლივ შეცვლილი გვეჩვენება, ყოველი ჟესტი ახალ მნიშვნელობას იღებს და თვითონ დროც კი თითქოს ირევა.

ჟანა ძლიერ დაბნეული, უფრო კი განცვიფრებული იყო. ჯერ კიდევ გუშინ ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, ოღონდ მისი ცხოვრების სანუკვარი ოცნება უფრო ახლოვდებოდა, თითქმის ხელშესახები გახდა. მან ქალიშვილად დაიძინა ახლა კი ქალია.

მაშ, ჟანამ გადალახა ის ზღუდე, რომელიც მალავდა სიხარულითა და ბედნიერებით სავსე მომავალს. მის წინ თითქოს კარები გაიღო. საკმარისია გადადგას ნაბიჯი, რომ მოლოდინი გაუმართლდეს.

ჯვრისწერა დამთავრდა. გავიდნენ თითქმის ცარიელ სამოსსაცავში, რადგან ქორწილში არავინ მოუწვევიათ. და ისევ გამოვიდნენ.

როდესაც ისინი ეკლესიის კარიბჭეში გამოჩნდნენ, საშინელმა გრიალმა შეაკრთო ახალჯვარდაწერილი ქალი, ხოლო ბარონის მეუღლემ ხმამაღლა შეჰკივლა. ეს გლეხებმა მისცეს თოფის ბათქი, და მთელ გზაზე ჩინარში მისვლამდე აღარ შეწყვეტილა თოფის ხმა.

შინ ოჯახისათვის გაეწყოთ პატარა საუზმე, რომელზეც მიიწვიეს ადგილობრივი და იპორელი მღვდლები, მერი და ახლო-მახლო მცხოვრებ მსხვილ ფერმათა შორის შერჩეული მოწმეები.

შემდეგ, სადილის მოლოდინში ბაღში გავიდნენ. ბარონი, მისი მეუღლე, დეიდა ლიზონი, მერი და აბატი პიკო დედიკოს ხეივანში სეირნობდნენ, მეორე მღვდელი კი დიდი ნაბიჯებით დადიოდა მოპირდაპირე ხეივანში და ლოცვას კითხულობდა.

ეზოდან გლეხების მხიარული ღრიანცელი ისმოდა. ისინი ვაშლის ხეების ძირში სიდრს სვავდნენ. ეზო სავსე იყო სადღესასწაულოდ მორთული სოფლელებით. ბიჭები და გოგოები ერთმანეთს ეკურკურებოდნენ.

ჟანამ და ჟულიენმა გადაჭრეს წარაფი, ავიდნენ ფერდობზე და დაუწყეს ყურება ზღვას. ცოტათი აგრილდა, თუმცა შუა აგვისტო იყო. ქროდა ჩრდილოეთის ქარი და კაშკაშა მზე ცივად ანათებდა ლურჯ ცაზე.

ჩრდილის ძებნაში ახალგაზრდებმა გადაიარეს ქვიშიანი დაბლობი და მობიბინე ტყიანი ჭალისკენ დაუყვნენ; ჭალა დაბლა, იპორში ეშვებოდა. როცა ტყეს მიაღწიეს, ქარის მცირე სუნთქვასაც აღარ გრძნობდნენ; გზიდან გადაუხვიეს ვიწრო ბილიკზე, რომელიც დაფოთლილ ფოთლებს ქვეშ მიდიოდა. სიარული ძლიერ ჭირდა. უეცრად ჟანამ იგრძნო, რომ ვაჟის ხელი ნელ-ნელა ეხვეოდა მას წელზე.

ქალმა არაფერი თქვა, აღელდა, გული აუჩქარდა და სუნთქვა შეეკრა. ჩამოშვებული ტოტები თმებზე ეხვეოდა და, რომ გაევლოთ ხშირად იკუზებოდნენ. ჟანამ მოსწყვიტა ფოთოლი, რომლის ქვემოთ მყიფე ნიჟარების მსგავსი ორი ჭიამაია მოკუნტულიყო.

ოდნავ დამშვიდებულმა ჟანამ გულუბრყვილოდ თქვა: — შეხედე ამ წყვილს.

ჟულიენი ტუჩებით შეეხო მის ყურს: — ამ საღამოს თქვენ ჩემი ცოლი გახდებით.

თუმცა ჟანამ ბევრი რამ გაიგო ველებში ხეტიალის დროს, მაგრამ სიყვარულში ჯერ კიდევ, მარტო პოეზიას ხედავდა, და განცვიფრდა. მისი ცოლი? განა იგი უკვე მისი ცოლი არ იყო?

ჟულიენი მიეალერსა ჟანას. ჩაუკოცნა საფეთქელი და კისერი იქ, სადაც მისი ხუჭუჭა თმები იწყებოდა. მამაკაცის ასეთ ხვევნა-კოცნას შეუჩვეველი ჟანა კრთოდა. უნებლიეთ თავს განზე სწევდა, ცდილობდა განრიდებოდა მის ალერსს, რომელიც ამავე დროს ხიბლავდა კიდეც.

მოულოდნელად ისინი ტყის პირას აღმოჩნდნენ. ჟანა შეცბუნდა, ასე შორს როგორ წამოვეხეტეთო, და შეჩერდა. რას იფიქრებენ?

— დავბრუნდეთ,— უთხრა მან.

ჟულიენმა ქალს სწრაფად მოაშორა წელზე მოხვეული ხელი. ორივენი შემობრუნდნენ და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ისინი ერთმანეთს მისჩერებოდნენ ისეთი მახვილი და გამოცდილი თვალებით, თითქოს ორი სული ერთ არსებად შერწყმასა ლამობსო. ერთიმეორის თვალებში, მათ სიღრმეში, ამ გამოუცნობ, იდუმალ არსებობაში ისინი თავის თავს ეძებდნენ. ერთმანეთს გმირავდნენ უტყვი და დაჟინებული კითხვით: რა იქნებიან ისინი ერთმანეთისთვის? როგორ წარიმართება მათი ერთობლივი ცხოვრება? რას უმზადებენ ერთმანეთს? სიხარულს, ბედნიერებას, თუ იმედების გაცრუებას ამ სამუდამო განურღვეველი ცოლქმრული კავშირის მანძილზე? და ორივეს მოეჩვენა, რომ პირველად ხედავდნენ

ერთმანეთს.

უცბად ჟულიენმა ჟანას ორივე ხელი მოხვია მხრებზე და მისი ტუჩების ვნებიანი კოცნით დაკავდა. ქალისათვის უჩვეულო იყო ასეთი კოცნა, ძალა რომ გამოაცალა, ძარღვებში შეიჭრა და ძვლის ტვინამდე მიაღწია; ასეთმა საოცარმა, წინათ განუცდელმა გრძნობამ ისე გააოგნა იგი, რომ დაბნეულმა ორივე ხელი ჰკრა ჟულიენს. თვითონ კი პირაღმა დაეცა.

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ — ბუტბუტებდა იგი.

ჟულიენმა არ უპასუხა მაგრამ ხელები ჩასჭიდა და აღარ უშვებდა.

შინ მისვლამდე მათ ერთი სიტყვაც აღარ უთქვამთ. ნაშუადღევის შემდეგ დრო ძლიერ გაჭიანურდა.

მაგიდას დაღამებისას მიუსხდნენ.

წინააღმდეგ ნორმანდიული ჩვეულებისა, სადილი იყო უბრალო და მალე დამთავრდა. დამსწრეებს რაღაც ბოჭავდათ. მხოლოდ მღვდლები, მერი და კიდევ ოთხი სტუმარი ფერმერი უწყობდნენ მხარს იმ ტლანქ მხიარულებას, რომელიც თან ახლავს ქორწილს.

სიცილიც უხალისო იყო, მხოლოდ მერი აცოცხლებდა მას მოსწრებული სიტყვებით. დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, ყავა რომ შემოიტანეს. გარეთ, პირველ ეზოში, ვაშლის ხეების ქვეშ სოფლური ბალი იწყებოდა, ღია ფანჯრიდან მთელი ზეიმი მოჩანდა. ტოტებზე ჩამოკიდებული ფარნები ფოთლებს მომწვანო— მონაცრისფრო ელფერს აძლევდა. ჭაბუკები და ქალიშვილები წრედ შეკრულიყვნენ, გაშმაგებით ხტოდნენ და რაღაც ველურ საცეკვაო სიმღერას ბღაოდნენ. მათ მოძახილს აძლევდა ორი მევიოლინე და ერთი კლარნეტისტი, დიდ საშზარეულო მაგიდაზე რომ აჩაჩხულიყვნენ, როგორც ესტრადაზე. ზოგჯერ გლეხების არეული სიმღერა მთლიანად ახშობდა ინსტრუმენტების ხმას, ხოლო ნაზი მელოდია, რომელსაც ხმების ღრიალი წყვეტდა, გეგონებოდათ ნაფლეთ— ნაფლეთ ცვიოდა ციდან და ცალკეულ ნოტებად იფანტებოდა.

ბრბოს დასათრობად ორი დიდი კასრი დაეგორებინათ, რომელთა ირგვლივ ჩირაღდნები გიზგიზებდა. ორი მსახური განუწყვეტლივ წყლიან როფში ავლებდა ჭიქებსა და თასებს, შემდეგ გაუმშრალებლად უშვებდა ონკანებს, საიდანაც მოედინებოდა ღვინის წითელი ან გამჭვირვალე სიდრის ოქროსფერი ნაკადი. აღგზნებული მოცეკვავენი, დინჯი მოხუცები, გაოფლიანებული ქალიშვილები ერთმანეთს აწვებოდნენ, ხელებს იშვერდნენ, რათა

რომელიმე სასმისს მისწვდომოდნენ, თავი გადაეკიდათ და გადაეშვათ ყელში ღვინო ან სადრი — ვისაც რა მოესურვებოდა.

იქვე მაგიდაზე ელაგა პური, კარაქი ყველი და ძეხვი. დროდადრო თითოეული მათგანი ლუკმას წაატეხდა. ეს ჯანსაღი და თავაწყვეტილი მხიარულება განათებული ფოთლების ჩარდახქვეშ დარბაზის უხალისო სტუმრებსაც აღუძრავდა სურვილს ეცეკვათ, დაელიათ ღვინო უზარმაზარი მუცლიანი კასრებიდან და იმათაც დაეყოლებინათ ნატეხი პური კარაქითა და ხახვით.

მერმა, რომელიც დანით რიტმულად აკაკუნებდა მაგიდაზე, წამოიყვირა: — დალახვროს ეშმაკმა! რა კარგად მხიარულობენ, ზუსტად ისე, როგორც განაშის ქორწილში.

სტუმრებმა თავშეკავებით გაიცინეს, მაგრამ აბატი პიკო, სამოქალაქო ხელისუფლების ნამდვილი მტერი, მერს არ დაეთანხმა: — თქვენ გინდოდათ გეთქვათ: „როგორც კანას ქორწილში“.

მაგრამ მერი თავისას გაიძახოდა: — არა, ბატონო მღვდელო, ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, რაკი ვთქვი განაშის-მეთქი, მაშასადამე, ეს არის განაშის.

ყველანი ადგნენ და სასტუმრო დარბაზში გადავიდნენ. შემდეგ ეზოში ჩავიდნენ, ცოტა ხნით განერიდნენ შეზარხოშებულ ხალხს და დაიშალნენ.

ბარონი და მისი მეუღლე რაღაცაზე ჩურჩულით კამათობდნენ.

მადამ ადელაიდა ჩვეულებრივზე მეტად ქოშინებდა და, როგორც ჩანდა, უარს ეუბნებოდა ქმარს მის თხოვნაზე. ბოლოს, თითქმის ხმამაღლა უთხრა: — არა, ჩემო მეგობარო, არ შემიძლია, არც კი ვიცი, როგორ დავიწყო ეს საქმე.

მაშინ მამიკომ მეუღლე სასწრაფოდ მიატოვა და ჟანას მიუახლოვდა: — არ გინდა ცოტა გავისეირნოთ ჩემო გოგონა?

აღელვებულმა ჟანამ უპასუხა: — როგორც თქვენ გსურთ, მამა. ისინი გავიდნენ.

როგორც კი ეზოში გავიდნენ, ზღვიდან მძაფრმა ქარმა დაჰბერა, ცივმა ზაფხულის ქარმა, რომელიც შემოდგომის მოახლოვებას გვაგრძნობინებს.

ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ, ხან პირბადედ ჩამოეფარებოდნენ ვარსკვლავებს, ხან

კიდევ აშიშვლებდნენ მათ.

ბარონი მკლავზე ეალერსებოდა ქალიშვილს და ნაზად იკრავდა გულში მის ხელებს. ისინი ასე რამდენიმე წუთს დადიოდნენ. მამა გაუბედავი და აღელვებული ჩანდა. ბოლოს, მან დაიწყო ლაპარაკი: — ჩემო პატარა, მე უნდა შევასრულო ძნელი მოვალეობა, რომელიც დედაშენს უფრო შეეფერებოდა, მაგრამ უარი თქვა და უნებლიეთ მე შევცვალე იგი. არ ვიცი რამდენად გარკვეული ხარ ამ საქმეში. არის საიდუმლოებანი, რომელთაც გულმოდგინედ უმალავენ ბაშვებს, განსაკუთრებით გოგოებს, რათა მათ შეინარჩუნონ გულისთქმათა სიწმინდე, ვიდრე ჩაბარდებოდნენ იმ მამაკაცს, რომელიც იზრუნებს მათ ბედნიერებისათვის. მასვე ევალება ფარდა ახადოს ცხოვრების ტკბილ გამოცანას, მაგრამ თუ გოგონებმა არაფერი იციან, მათ შეურაცხყოფს უხეში სინამდვილე, რომელიც ოცნებათა მიღმა იმალება: ისინი იტანჯებიან სულითაც და ხორცითაც და უარს ეუბნებიან მეუღლეს იმაზე, რაც ადამიანური კანონითაც მისი უთუო უფლებაა. მეტი არაფერი შემიძლია გითხრა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ არასდროს დაივიწყო: შენ მთლიანად ქმარს ეკუთვნი.

მართლაცდა, რა იცოდა ჟანამ? ან რა უნდა გამოეცნო? იგი ააცახცახა საშინელმა წინათგრძნობამ და მწვავე მტანჯველმა სევდამ მოიცვა გული.

ისინი დაბრუნდნენ და მოულოდნელი სანახაობით გაოცებულნი შეჩერდნენ სასტუმრო დარბაზის კარებთან: მადამ ადელაიდა ქვითინებდა ჟულიენის მკერდზე. იგი ისე ხმამაღლა სლუკუნებდა, ვეგონებოდათ მჭედლის საბერველი ქშინავო, ცრემლები თითქოს ერთდროულად სდიოდა თვალებიდანაც, ცხვირიდანაც და პირიდანაც. შეცბუნებული ახალგაზრდა უხერხულად იკავებდა მის მკლავებში მოქცეულ სქელ ქალს, რომელიც ევედრებოდა გაფრთხილებოდა მის პატარა, საყვარელ და მომხიბლავ შვილს.

ბარონი მათკენ გაეშურა: — ოჰ, სცენებს ნუ მომიწყობთ, ნუ იქნებით სენტიმენტალური, გთხოვთ.

მან ხელი მოჰკიდა ცოლს, რომელიც ცრემლით დასველებულ სახეს იწმენდდა, და იქვე სავარძელში ჩასცა, შემდეგ კი ჟანას მიუბრუნდა: — აბა, პატარავ, ჩქარა აკოცე დედაშენს და გასწი დასაძინებლად.

ჟანა ძლივს იკავებდა ტირილს, სწრაფად გადაკოცნა მშობლები და გაიქცა.

დეიდა ლიზონი ადრე ავიდა თავის ოთახში. ბარონი და მისი მეუღლე მარტონი დარჩნენ

ჟულიენთან. სამივენი ისეთ უხერხულობას გრძნობდნენ, რომ ვერც ერთი ენას ვერ ძრავდა. სადღესასწაულოდ მორთული ორივე მამაკაცი ფეხზე იდგა და თვალები დაეხარათ, ხოლო სავარძელში წამოწოლილი დანაღვლიანებული მადამ ადელაიდა ყელში მოწოლილ უკანასკნელ ცრემლებს ყლაპავდა. ბოლოს და ბოლოს, ასეთი უხერხული სიჩუმე აუტანელი გახდა და ბარონი ალაპარაკდა საქორწილო მოგზაურობაზე, რომელსაც ახალგაზრდები უნდა შესდგომოდნენ უახლოეს დღეებში.

ამ დროს ჟანას თავის ოთახში ტანთ ხდიდა როზალია, რომელსაც ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდა. იგი ხელებს ვეღარ იმორჩილებდა ვერც ზორტებს, ვერც საკინძეებს ვერ პოულობდა და აშკარად თავის ქალბატონზე მეტად ღელავდა. მაგრამ ჟანა ვერც კი ამჩნევდა ძუძუმტეს ცრემლებს. მას ეგონა, რომ სულ სხვა სამყაროში შევიდა, სულ სხვა პლანეტაზე მოხვდა, მოწყდა ყოველივე ნაცნობს და ძვირფასს. ყველაფერი თითქოს შებრუნდა მის ცხოვრებასა და შეგნებაში. ასეთი უცნაური აზრიც კი დაებადა: „მიყვარს კი ჩემი მეუღლე?" უცბად ჟანას ქმარი სულ უცხო პიროვნებად წამოესახა, რომელსაც ხეირიანად არ იცნობდა. სამი თვის წინ მან არც კი იცოდა მისი არსებობა, ხოლო ახლა კი მისი ცოლია. როგორ მოხდა ეს? რა საჭირო იყო ასე სწრაფად დაქორწინება, მახეში თავის გაბმა?

როდესაც ღამის ტუალეტს მორჩა, იგი ლოგინში შესრიალდა. გრილმა ზეწარმა კიდევ უფრო შეამცივნა ისედაც აკანკალებული ჟანა და გაუძლიერა სიცივის, მარტოობისა და მოწყენილობის შეგრძნება, ბოლო ორ საათს მძიმე ტვირთად რომ აწვა მის სულს.

როზალია ქვითინით გავიდა, ხოლო შეშფოთებული, გულშეკუმშული ჟანა უცდიდა იმას, რაც კარგად არ იცოდა და რაზეც ბუნდოვანი სიტყვები გადაუკრა მამამ, — იმ იდუმალ ზიარებას, სიყვარულის უდიდეს საიდუმლოებას რომ წარმოადგენს.

კარებზე წყნარად სამჯერ დააკაკუნეს. თუმცა ჟანას არც კი გაუგონია კიბეზე ფეხის ხმა. იგი საშინელმა თრთოლამ აიტანა და არ უპასუხა. ხელახლა დააკაკუნეს, ცოტა ხნის შემდეგ კი კარებში გასაღები აჩხაკუნდა. ჟანა საბანში ჩაიმალა, თითქოს მასთან ქურდი შეიპარა. პარკეტზე ოდნავ აჭრაჭუნდა ფეხსაცმელები და უეცრად ვიღაც შეეხო მის საწოლს.

ჟანა ნერვიულად წამოიჭრა და ხმადაბლა წამოიყვირა. საბნიდან თავი რომ გამოჰყო, დაინახა, რომ მის წინ ჟულიენი იდგა და უყურებდა მას.

— ოჰ! როგორ შემაშინეთ. — უთხრა ჟანამ.

— მაშ, სულ არ მელოდით? — ჰკითხა ჟულიენმა.

ქალმა არ უპასუხა. ჟულიენს ისევ საზეიმოდ ეცვა და ლამაზი მამაკაცის მედიდურ იხტიბარს არ იტეხდა. ჟანას საშინლად შერცხვა, რომ იწვა ასეთი თავაზიანი მამაკაცის წინაშე.

მათ არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ეკეთებინათ და ერთმანეთის შეხედვასაც ვერ ბედავდნენ ამ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ წუთში, რომელზეც დამოკიდებული იყო მთელი შემდეგი ცხოვრების ინტიმური ბედნიერება.

ჟულიენი, შესაძლებელია, ბუნდოვნად გრძნობდა, თუ რა განსაცდელს შეიცავდა ეს ორთაბრძოლა, რა მოქნილობა, თავდაჭერილობა, რა მარჯვე ალერსი იყო საჭირო, რომ არ შეურაცხეყო ოცნებებით გამოკვებილი უსაზღვროდ სათნო ქალწულებრივი სულის ფაქიზი უმანკოება და უზენაესი მგრძნობელობა.

მან ფრთხილად აიღო ჟანას ხელი, აკოცა, ლოგინთან ისე დაიჩოქა, როგორც საკურთხევლის წინ. და, თითქოს ამოიოხრაო. ოდნავ წასჩურჩულა: — გეყვარებით?

ქალი უცბად დაშშვიდდა, მაქმანებით დაფარული თავი ბალიშიდან წამოსწია და გაუღიმა: — მე თქვენ უკვე მიყვარხართ, ჩემო მეგობარო.

მან პირში ჩაიდო ცოლის პატარა, თხელი თითები და ამის გამო შეცვლილი ხმით უთხრა : — და გსურს დამიმტკიცოთ, რომ გიყვარვართ?

ჟანა ისე აღელდა და მხოლოდ მამამისის სიტყვების გავლენით, ისე, რომ ხეირიანად არც კი იცოდა რას ამბობდა, უპასუხა : — მე თქვენი ვარ, ჩემო მეგობარო.

ჟულიენმა გაუბედავი კოცნით დაუფარა ხელები, ნელ-ნელა წამოიმართა და ქალის სახისკენ წაიწია. ჟანამ ისევ სცადა საბანში დამალულიყო.

მაგრამ ვაჟი სწრაფად გადაიხარა საწოლზე. ერთი ხელი ცოლს საბანს ზემოდან მოხვია, ხოლო მეორე ხელი ბალიშის ქვეშ შეჰყო, წამოსწია იგი ჟანას თავთან ერთად და სულ ჩუმად, ძალიან ჩუმად ჰკითხა: — მაშ დამითმობთ სულ პატარა ადგილს თქვენს გვერდით? ჟანა შეკრთა. იგი ინსტინქტურად შიშმა შეიპყრო და წაილუღლუღა : — ოჰ! ჯერ არა, გთხოვთ.

ჟულიენი აშკარად იმედგაცრუებული, რამდენადმე შეურაცხყოფილიც კი ჩანდა და ისევ შეევედრა, მაგრამ უფრო უკმეხი ტონით.

— რატომ ჯერ არა, თუკი მაინც ამით უნდა დავამთავროთ?

ჟანას ეწყინა ეს სიტყვები, მაგრამ, ბედს დამორჩილებულმა, მაინც გაიმეორა.

— მე თქვენი ვარ, ჩემო მეგობარო.

მაშინ ჟულიენი უცბად გაქრა ტუალეტში. ჟანას მკაფიოდ ესმოდა მისი თითოეული მოძრაობა, გახდილი ტანსაცმლის შრიალი, ფულების ჩხარუნი ჯიბეში, დაგდებული ფეხსაცმლის ბრახუნი.

უეცრად ჟულიენმა წინდებისა და ნიფხვისამარამ გადაჭრა ოთახი და ბუხარზე საათი დადო. შემდეგ სირბილით დაბრუნდა მეზობელ პატარა ოთახში, სადაც დიდხანს კიდევ ინრიალა. როგორც კი ფეხის ხმა გაიგონა, ჟანა აჩქარებით, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თვალები დახუჭა.

ჟანა შეხტა, კინაღამ გადმოხტა, როდესაც მისი ფეხის გასწვრივ სხვისმა, ცივმა და ბალნიანმა ფეხმა გაისრიალა, მან სახეზე ხელი აიფარა, შიშისა და შეშფოთებისაგან დაბნეული მზად იყო ეყვირა და საწოლის კიდეში მიიკუნტა.

უცბად ჟულიენმა ხელები მოჰხვია, თუმცა ქალი ზურგშექცევით იწვა, და გაუმაძღარი კოცნით დაუფარა კისერი, მაქმანებიანი ჩაჩი და პერანგის ამოქარგული საყელო.

აუტანელი შიშით გაოგნებული ჟანა არ ინძრეოდა. იგი გრძნობდა ძლიერ ხელს, იდაყვებში ჩამალულ მის მკერდს რომ ეძებდა, და ვაჟის ასეთი უხეში შეხებით შეძრწუნებულს, სული ეხუთებოდა. ახლა მას მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: ეშველა თავისათვის, მთელი სახლი შემოერბინა და ჩაკეტილიყო სადმე, შორს ამ კაცისგან.

ჟულიენი აღარ ინძრეოდა. ჟანა მის სითბოს გრძნობდა ზურგზე. მაშინ შიშიც შეუნელდა და უცებ გაიფიქრა. საკმარისია ერთი შემოვბრუნდე, რომ გულში ჩავეკრა ქმარსო.

ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს ჟულიენმა მოთმინება დაკარგა და შეწუხებული ხმით ჰკითხა: — მაშ, არ გსურთ გახდეთ ჩემი ცოლიკო?

ჟანამ სახეზე ხელებაფარებულმა წაიბუტბუტა.

— როგორ განა მე უკვე არა ვარ თქვენი ცოლი?

ჟულიენმა ნაწყენი ხმით უპასუხა: — კარგით ერთი, ჩემო ძვირფასო, ნუ დამცინით.

ჟანა ძლიერ დააღონა მისმა უკმაყოფილო ტონმა და იმწუთშივე შებრუნდა მისკენ ბოდიშის მოსახდელად.

ჟულიენი დამშეულივით ეცა ქალს და სწრაფი, მწველი, გიჟური კოცნით დაუფარა მთელი სახე, ყელი და ალერსით აბრუებდა მას. ჟანამ ხელები გაშალა და უძრავად მიენდო ამ ძაბვას, არ იცოდა რა ხდებოდა მის თავს და რას აკეთებდა ის, და სულ აფორიაქებულს, უკვე არაფერი გაეგებოდა. უეცრად მან მწვავე ტკივილი იგრძნო; ჟანამ დაიკვნესა და ალერსის ბურანში დარჩა, ვიდრე იგი გაშმაგებით ფლობდა მას.

რა მოხდა შემდეგ ჟანას არაფერი ახსოვდა, რადგან გონება დაეკარგა, გრძნობდა მხოლოდ, რომ ტუჩები დაესეტყვა ხშირი მადლიერი კოცნით.

შემდეგ იგი თითქოს დაელაპარაკა ჟანას და მან, შესაძლებელია უპასუხა. მერე ჟულიენმა კიდევ სცადა იგივე გაემეორებინა. მაგრამ ჟანამ შიშით უარყო. თავს რომ იცავდა, იგი ქმრის მკერდზე ისეთსავე ბალანს შეეხო , როგორსაც წინათ ფეხებზე, და მაშინვე განერიდა.

ბოლოს ჟულიენს მობეზრდა ფუჭი მაძიებლობა, დაცხრა და ზურგზე დაწვა. სულის სიღრმეში შეძრწუნებული ჟანა კი ფიქრებს მიეცა. ტკბობა სიცრუ აღმოჩნდა, იგი სრულებით არ ჰგავდა სიზმარში ნანახ ოცნებებს, უწინდელი სანუკვარი იმედები დაიმსხვრა და გულგატეხილი ჟანა თავის თავს ეუბნებოდა:

„აი, თურმე, რა ყოფილა, რას ეძახიან ცოლობას... ეს არის! ეს არის!"

იგი დიდხანს იწვა ასე სევდიანი თვალებით ხეტიალობდა კედლებზე, სიყვარულის ძველ ლეგენდაში, რომელშიც მისი ოთახი იყო გახვეული.

მაგრამ რაკი ჟულიენი არ ინძრეოდა, ჟანამ ფრთხილად გადაიტანა მასზე მზერა და დაინახა, რომ მას ეძინა! მას ეძინა ნახევრად პირღიას, მშვიდი სახით! მას ეძინა!

ჟანას არ შეეძლო დაეჯერებინა ეს. იგი ან ძილმა უფრო აღაშფოთა, ვიდრე მისმა პირუტყვულმა უხეშობამ. მას მოექცნენ ისე, როგორც პირველ შემხვედრს. როგორ შეიძლებოდა ძილი ასეთ ღამეს? მაშ, რაც მოხდა მათ შორის, მისთვის სულაც არ ყოფილა განსაცვიფრებელი? ოჰ, ამის დანახვას ერჩივნა გაელახათ, კიდევ ერთხელ აეხადათ ნამუსი.

ერჩივნა ბილწი ალერსით დაეტანჯათ იგი გონების დაკარგვამდეც კი.

იდაყვზე დაყრდნობილი და ჟულიენისაკენ დახრილი, იგი უძრავად იწვა და უსმენდა მის მსუბუქ სუნთქვას, რომელიც ზოგჯერ ხვრინვას წააგავდა.

დღე დადგა ჯერ მქრქალი, შემდეგ ნათელი, შემდეგ ვარდისფერი, შემდეგ კი კაშკაშა. ჟულიენმა თვალები გაახილა, დაამთქნარა, გაიზმორა, ცოლს შეხედა, გაუღიმა და ჰკითხა: — კარგად გეძინა, ჩემო ძვირფასო?

ჟანამ შეამჩნია, რომ იგი შენობით ელაპარაკებოდა და გაოცებულმა ჰკითხა : — მე კი, თქვენ?

მან უპასუხა: — ო! მე შესანიშნავად გამოვიძინე.

შემდეგ მისკენ მიბრუნდა, აკოცა და მოჰყვა წყნარად საუბარს. გადაუშალა ცხოვრების გეგმები, აგებული ეკონომიკაზე. ამ სიტყვის რამდენჯერმე გამეორებამ განაცვიფრა ჟანა. იგი ისე უსმენდა ჟულიენს, რომ ხეირიანად არც კი ესმოდა მისი სიტყვების აზრი. უყურებდა მას და ათასობით წუთიერი ფიქრი უტრიალებდა თავში, რომლებიც მის ცნობიერებას სწვდებოდა.

საათმა რვაჯერ დარეკა.

— უნდა ავდგეთ, — თქვა ჟულიენმა. — ჩვენთვის უხერხულია გვიანობამდე ლოგინში ყოფნა.

იგი პირველი ადგა. როდესაც ჩაცმა დაამთავრა, ჟანას ნება არ მისცა როზალიასათვის დაეძახა, თვითონ თავაზიანად მოეხმარა ცოლს ყველა წვრილმანში, რასაც კი მისი ტუალეტი მოითხოვდა.

ოთახიდან გასვლისას ჟულიენი შეჩერდა.

— იცი, ჩვენ უკვე შეგვიძლია შენობით ველაპარაკოთ ერთმანეთს, მაგრამ მშობლებთან სჯობს ჯერ თავი შევიკავოთ, საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ კი ეს სავსებით ბუნებრივი იქნება.

ჟანა მხოლოდ საუზმეზე გამოვიდა და დღემ ისე ჩვეულებრივად ჩაიარა, თითქოს ახალი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ერთი კაცით გაიზარდა ოჯახი.

თავი V

ოთხი დღის შემდეგ მოვიდა ეტლი, რომელსაც მარსელში უნდა წაეყვანა.

პირველი ღამის საშინელების შემდეგ ჟანა შეეჩვია ჟულიენის სიახლოვეს, კოცნას, ნაზ ალერსს, თუმცა ზიზღი უფრო ინტიმური დამოკიდებულებისადმი ოდნავადაც არ შენელებია.

ჟანას მოსწონდა ქმარი, უყვარდა იგი და თავს ისევ ბედნიერად და მხიარულად გრძნობდა.

დამშვიდობება იყო ხანმოკლე და არა ნაღვლიანი. მხოლოდ ბარონის მეუღლე ჩანდა აღელვებული. გამგზავრების წინ დიდი ტყვიასავით მძიმე ქისა ჩაუდო ხელში თავის ქალიშვილს: — ეს პირადად შენ, წვრილმანი ხარჯებისათვის დაგჭირდება, ახალგაზრდა ქალი ხარ. — უთხრა მან.

ჟანამ ქისა ჯიბეში ჩაიდო და ცხენები დაიძრნენ.

საღამოვდებოდა, როცა ჟულიენმა ჰკითხა : — რამდენი მოგცა დედაშენმა სახარჯოდ?

ჟანა აღარ ფიქრობდა იმ ქისაზე და, როცა იგი კალთაში გადმოაბრუნა, ოქრო ნიაღვარივით წამოვიდა: ორი ათასი ფრანკი. მან ტაში შემოჰკრა: — „ ოჰ! რამდენს ვისულელებ“ — და მოაგროვა ფული.

პაპანაქება სიცხეში ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ ისინი მარსელში ჩავიდნენ.

მეორე დღეს პატარა ხომალდი „მეფე ლუდოვიკო”, აჟაკსიოს გავლით ნეაპოლს მიდიოდა, მათ კორსიკისაკენ მიაცურებდა.

კორსიკა! დაბურული ტყეები! ბანდიტები! მთები! მთები! ნაპოლეონის სამშობლო! ჟანას ეჩვენებოდა, რომ სინამდვილიდან იგი სიზმარში გადადიოდა.

ისინი გემბანზე იდგნენ ერთმანეთის გვერდით და უყურებდნენ, თუ რა ჩქარა უვლიდნენ გვერდს პროვანსის ციცაბო კლდეებს.

საოცრად ლურჯ, უსაზღვრო ცის ქვეშ გადაშლილი უმოძრაო ლაჟვარდოვანი ზღვა თითქოს შედედებულიყო, თითქოს გაქვავებულიყო ამ კაშკაშა მზის სინათლეზე.

ჟანამ ჰკითხა: — გახსოვს ჩვენი სეირნობა ბიძია ლასტიკის ნავით? პასუხის ნაცვლად ჟულიენმა მალულად აკოცა ყურზე.

ხომალდის ბორბლები წყალს ეხეთქებოდა და არღვევდა მის ღრმა ძილს, ხოლო კიჩოს უკან მისი გრძელი, ქაფიანი კვალი ფერმკრთალ და შორ ჰორიზონტში იკარგებოდა.

უცბად ხოლმალდის ცხვირთან სულ რამდენიმე საჟენზე უზარმაზარი ზღვის ღორი ამოხტა წყლიდან, იმწუთშივე ისევ ჩაყვინთა თავით და გაქრა. ჟანა შეშინდა, მოულოდნელობისაგან შეჰყვირა და გულში ჩაეკრა ჟულიენს. შემდეგ თავის სიმხდალეზე თვითონვე გაეცინა და შეწუხებულმა გადაიხედა, გამოჩნდებოდა თუ არა ის ცხოველი ხელახლა. რამდენიმე წამის შემდეგ დელფინი კვლავ ხმაურით ამოვარდა წყლიდან, როგორც დიდი მოსამართი სათამაშო, შემდეგ ისევ ჩაყვინთა და ისევ გამოჩნდა, მერე თავი ამოჰყო ორმა, შემდეგ სამმა, ექვსმა და მცველი რაზმივით გაჰყვნენ მძიმე გემს, თავის უზარმაზარ თანამოძმეს, რკინის ფარფლებიან ხის თევზს. ისინი უვლიდნენ ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან, ხან ერთად. შემდეგ კი მხიარულად მისდევდნენ ერთიმეორეს, როგორც თამაშის დროს, ხტებოდნენ ჰაერში, დიდ რკალს შემოხაზავდნენ, დაეძგერებოდნენ ერთმანეთს და ერთიმეორეს მიყოლებით ისევ ყვინთავდნენ წყალში.

ჟანა ტაშს უკრავდა, ხტოდა, აღტაცებული ცახცახებდა ამ ვეებერთელა მარჯვე მცურავების ყოველი გამოჩენისას.

უცებ დელფინები გაქრნენ. ისინი კიდევ ერთხელ შეამჩნიეს ძალიან შორს, გაშლილ ზღვაში და შემდეგ აღარ გამოჩენილან. ჟანა წუთით დააღონა მათ გაუჩინარებამ.

საღამო დადგა, მშვიდი, წყნარი, სხივმოსილი, ნეტარებით სავსე საღამო. არც ჰაერში, არც ზღვაში არაფერი არ იძროდა. ზღვისა და ცის უსაზღვრო სიმშვიდე მიყუჩებულ სულს სწვდებოდა და მასშიც აცხრობდა სიცოცხლის ნიშანწყალს.

უზარმაზარი მზე ნელა ეშვებოდა იქ, ჰორიზონტზე, უჩინარ აფრიკასთან, რომლის გავარვარებული მიწის მხურვალება თითქოს შორიდანვე საგრძნობი იყო, მაგრამ როცა მნათობი სულ მიიმალა რაღაცნაირი სიგრილე, ზღვის სიოს რომ არ ჰგავდა, მოუელამუნა მათ სახეებს.

მათ არ უნდოდათ კაიუტაში დაბრუნება, სადაც ხომალდის გულისამრევი სუნი იდგა და, ლაბადებში გამოხვეულნი, გვერდი-გვერდ გაწვნენ გემბანზე. ჟულიენს მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ

ახალი შთაბეჭდილებებით აღელვებულ ჟანას თვალი არ მოუხუჭავს. ბორბლების მონოტონური ხმაური არწევდა მას. მაღლა, სამხრეთის კრიალა ცაზე იგი ხედავდა მკვეთრი სინათლით მოკაშკაშე, თითქოს სველ, ურიცხვ ვარსკვლავს.

მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა. ხმაურმა, ხმებმა გააღვიძეს იგი. მეზღვაურებს სიმღერით მოჰყავდათ გემი წესრიგზე, მან შეანჯღრია მკვდარივით მძინარე ქმარი და ისინი ადგნენ.

ჟანა თავდავიწყებით ისუნთქავდა დილის მწკლარტე მარილიან ნისლს, რომელიც მთელ სხეულში ატანდა, ირგვლივ ყველგან ზღვა იყო. თუმცა არა, წინ, ტალღებზე თავმომწონედ მოჩანდა რაღაც ნაცრისფერი, ბუნდოვანი დილის რიჟრაჟის შუქზე, უცნაური, მახვილწვეტიანი და დაფლეთილი ღრუბლების გროვა.

შემდეგ იგი უფრო ნათლად გამოჩნდა. სილუეტი უფრო მკაფიოდ გამოხტა განათებულ ცაზე და მოევლინა იქაურობას უცნაური, წვეტიანი გრძელი გრეხილი — კორსიკა მსუბუქ პირბადეში გახვეული.

მზეც იქიდან ამოვიდა და მუქ ჩრდილებში გამოხატა თხემთა ხვეულება. ცოტა ხნის შემდეგ ყველა მწვერვალი განათდა, მაგრამ თვით კუნძული ისევ ორთქლის მსგავს ნისლში ეხვია.

გემბანზე გამოჩნდა კაპიტანი — ჩაფსკვნილი, მზისა და ქარისაგან გარუჯული, გამხმარი, მლაშე ქარებისაგან გამოკაკული პატარა მოხუცი. ოცდაათწლიანი უფროსობისაგან ჩახრინწული და შტორმების დროს ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით უთხრა ჟანას: — გრძნობთ, როგორი სუნი აქვს ამ საძაგელს?

ჟანა მართლაც გრძნობდა ბალახებისა და ველური მცენარეების ძლიერ, უცნობ სუნს.

კაპიტანმა განაგრძო: — ეს კორსიკა აფრქვევს საამურ არომატს, ქალბატონო, როგორც ყველა ლამაზ ქალს, მასაც თავისი განსაკუთრებული სურნელება აქვს. ოცი წლის განშორების შემდეგადაც კი ხუთ მილზე ვიცნობ მას. მე ხომ აქაური ვარ. და იმპერატორიც, წმინდა ელენეს კუნძულზე, ამბობენ, სულ თავის საშობლოს არომატს ნატრობსო.

კაპიტანი ქუდის მოხდით მიესალმა კორსიკას, ოკეანიდან მიესალმა. დიდ ტყვე იმპერატორს, რომელიც მას ენათესავებოდა.

ჟანას ისე აუჩვილდა გული კინაღამ ატირდა.

შემდეგ მეზღვაურმა ხელი გაიშვირა ჰორიზონტისაკენ: —„სისხლიანი კუნძულებია“ , — თქვა მან.

ჟულიენი ცოლის გვერდით იდგა, რომლისთვისაც წელზე ხელი მოეხვია. და ორივენი შორს იყურებოდნენ — თვალით ეძებდნენ მითითებულ წერტილს.

ბოლოს მათ დაინახეს რამდენიმე პირამიდისებური ციცაბო კლდე, რომელთაც ღემმა სწრაფად აუარა გვერდი და გაემართა ფართო და წყნარი ყურესაკენ. მას გარს ერტყა მაღალი მთები, რომელთა ქვემო ფერდობები ხავსის მცენარეებს დაეფარა.

კაპიტანმა დაანახა ცოლ-ქმარს ეს მცენარეულობა: — მიკი! — თქვა მან.

რამდენადაც ხომალდი წინ მიიწევდა, მთების წრე თითქოს მჭიდროვდებოდა მის უკან, და იგი აუჩქარებლად მიცურავდა ისეთ გამჭვირვალე, ლაჟვარდიან ტბაში, ფსკერიც კი მოჩანდა ზოგჯერ.

უცებ ყურეს სიღრმეში, ტალღების კიდესთან, მთების ძირში ქათქათა თეთრი ქალაქი გამოჩნდა.

რამდენიმე პატარა იტალიური ხომალდი ღუზაზე იდგა ნავსადგურში, მოგზაურობის მოლოდინში ოთხი თუ ხუთი ნავი დაძვრებოდა „მეფე ლუდოვიკოს” გარშემო.

ჟულიენმა, რომელიც ბარგს აგროვებდა, ჩურჩულით ჰკითხა ცოლს: — ოცი სულ ეყოფა ამ მებარგულს?

მთელი კვირის მანძილზე ყოველ წუთში ამას ეკითხებოდა იგი, რაც ტანჯავდა ჟანას. მან, ცოტა არ იყოს, წყენით უპასუხა: — სჯობს მეტი მისცე, ვიდრე დააკლო.

ჟულიენი განუწყვეტლივ ეკამათებოდა სასტუმროს მფლობელებსა და მსახურებს, მებარგულებს, სხვადასხვა ჯურის მოვაჭრეებს და, როდესაც ხანგრძლივი კამათის შემდეგ რაიმე შეღავათს მიაღწევდა, ხელების სრესით ეუბნებოდა ცოლს : — არ მიყვარს, როცა მყვლეფენ.

ყოველთვის, როცა ანგარიში მოჰქონდათ, ჟანა კანკალებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქმარი იმწუთშივე დავას ატეხდა თითოეული ციფრის გამო. ჟანა თმების ძირებამდე წითლდებოდა მსახურის აბუჩად ამგდები გამოხედვისაგან, რომლითაც აცილებდნენ მის

ქმარს, როცა გულდაგულ ინახავდნენ ხელში მისგან მიღებულ მცირე გასამრჯელოს.

ჟულიენი შეედავა მენავესაც, ხმელეთზე რომ გადაიყვანა ისინი. პირველი ხე, რომელიც ჟანამ დაინახა, პალმა იყო.

ისინი დაბინავდნენ, დიდ ხალხ ნაკლებ სასტუმროში, ფართო მოედნის ერთ კუთხეში და შეუკვეთეს საუზმე.

როცა დესერტი გაათავეს, ჟანა ადგა და ქალაქში გავლა დააპირა; ჟულიენი მოეხვია მას და ყურში ნაზად ჩაუჩურჩულა : — ცოტა ხანს ხომ არ მივწვეთ, ჩემო ფისუნია?

ჟანა გაოცდა.

_ მივწვეთ? მე სრულებით არ ვგრძნობ დაღლას.

ივი მოეხვია ცოლს: — მე შენ მინდიხარ, გაიგე? უკვე ორი დღეა ...

ჟანა სირცხვილისაგან გაწითლდა და წაილუღლუღა : — რას ამბობ ! ახლა? კი, მაგრამ, რას იტყვიან, რას იფიქრებენ? როგორ უნდა მოითხოვო ოთახი ამ შუა დღისას? ო, ჟულიენ, გევედრები, არ გინდა!

მაგრამ მან შეაწყვეტინა : — ფეხებზე მკიდია, რას იტყვიან ან რას იფიქრებს სასტუმროს ლაქიები. გგონია ეს დამაბრკოლებს?

და მან დარეკა.

ჟანას არაფერი აღარ უთქვამს. მას ყოველთვის სულითა და ხორცით აღაშფოთებდა მეუღლის ასეთი დაუოკებელი სურვილი, მხოლოდ ზიზღით ემორჩილებოდა, მიჰყვებოდა მის ნებას, მაგრამ თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან ამაში ხედავდა რაღაც პირუტყვულს, სამარცხვინოს, სიბილწესაც კი.

ჟანას გრძნობებს ჯერ კიდევ ეძინათ, ხოლო ქმარი უკვე ისე ეპყრობოდა, თითქოს ისიც იზიარებდა მის აგზნებულობას.

როდესაც მსახური მოვიდა, ჟულიენმა სთხოვა, ჩვენს ოთახამდე მიგვაცილეო. ლაქიამ, ნამდვილმა კორსიკელმა, რომელსაც წვერი თვალებამდე ამოსვლოდა, ვერაფერი გაიგო და ჟლიენს უმტკიცებდა, ოთახს საღამოსთვის მზად დავახვედრებთო.

მოთმინებიდან გამოსულმა ჟულიენმა განუმარტა: — არა, ამ წუთშივე, გზაში დავიღალეთ და დასვენება გვინდა.

მაშინ ლაქიამ ულვაშებში ჩაიცინა, ხოლო ჟანას ერჩივნა მიწა გახეთქოდა.

როდესაც ერთი საათის შემდეგ ძირს ჩამოვიდნენ, ჟანა ვერ ბედავდა ლაქიების გვერდით გავლას. სჯეროდა, რომ ისინი აუცილებლად დაიწყებდნენ სიცილსა და მითქმა-მოთქმას მის ზურგს უკან. მას გული მოსდიოდა ჟულიენზე, რომ ეს არ გაეგებოდა და არ გააჩნდა ფაქიზი მოკრძალება, თანდაყოლილი თავაზიანობა... ჟანა თავისთავსა და ქმარს შორის რაღაც რიდეს, ზღუდეს გრძნობდა და პირველად დარწმუნდა, რომ ორი ადამიანი ვერასოდეს შეიჭრება ერთიმეორეს სულში, ერთმანეთის იდუმალ ფიქრებში, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით იარონ, ზოგჯერ მჭიდროდ ჩახვეულებმა, მაგრამ ვერასოდეს შეერწყმიან ერთმანეთს და რომ თითოეული ჩვენგანის სულიერი არსება სამუდამოდ მარტო რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ისინი სამ დღეს დარჩნენ ამ პატარა, ლილისფერი ყურეს სიღრმეში ჩამალულ ქალაქში. გარშემორტყმული კლდეების საფარი ნიავსაც კი არ უშვებდა ქალაქისკენ და იგი ქურასავით ვარვარებდა.

შემდეგ მათ შეიმუშავეს მგზავრობის გეზი, და, ძნელ გადასასვლელებზე რომ არ შეფერხებულიყვნენ, ცხენები დაიქირავეს, მათ აიყვანეს ხმელ-ხმელი, მაგრამ დაუღალავი ორი პატარა კორსიკელი ულაყი და გათენებამდე გზას გაუდგნენ. გიდი ჯორით მიჰყვებოდა მათ და მიჰქონდა სურსათი, რადგანაც ტრაქტირები უცხო რამ არის ამ ველურ ქვეყანაში.

გზა ჯერ ყურეს მიჰყვებოდა, შემდეგ სწრაფად ეშვებოდა ოდნავ ჩაღრმავებულ ველზე და იქიდან მაღალი მთებისაკენ მიდიოდა, გზადაგზა სჭრიდნენ თითქის გამშრალ ნაკადებს. ოდნავ შესამჩნევი ღელეები დამალული ნადირივით ფრთხილად შრიალებდნენ ქვეშ-ქვეშ.

დაუმუშავებელი ქვეყანა უდაბური ჩანდა. ფერდობთა კალთები საშინელ სიცხეში გაყვითლებულ მაღალ ბალახს დაეფარა. დროდადრო ხვდებოდნენ მთიელებს. ზოგი მათგანი ქვეითად მიდიოდა, ზოგი კი პატარა ცხენზე ან ძაღლისოდენა ვირზე იჯდა. ყველა კორსიკელს მხარზე ეკიდა გატენილი თოფი. ძველი, დაჟანგული, მაგრამ მეტად საშიში მათ ხელში.

მძაფრი სურნელი არომატული მცენარეებისა, რომელთაც მთელი კუნძული დაეფარა, თითქოს ამძიმებდა ჰაერს. გზა მიიკლაკნებოდა მთების გრძელ გრეხილებს შუა.

ცისფერი ან ვარდისფერი გრანიტის მწვერვალები ამ გაშლილ პეიზაჟს ზღაპრულ იერს აძლევდა. უზარმაზარი წაბლის ტყეები კი უფრო დაბალ ფერდობზე მწვანე ბუჩქნარს გავდა.

ხანდახან გიდი ხელს მიაშვერდა მაღალ კლდეებს და იტყოდა სახელს. ჟანა და ჟულიენი იყურებოდნენ, მაგრამ, ვერაფერს ხედავდენენ. ბოლოს შეამჩნევდნენ რაღაც ნაცრისფერ, მწვერვალიდან ჩამოცვენილ ქვების გროვას. ეს იყო გრანიტით აშენებული რომელიღაცა სოფელი, კლდეს რომ მიკვროდა და ჩიტის ბუდესავით დაკიდებული არც კი ჩანდა უზარმაზარ მთაზე.

ხანგრძლივმა ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულმა გააღიზიანა ჟანა.

— გავაჭენოთ ცოტა, —თქვა მან და მიუშვა ცხენი.

რაკი ქმრის ცხენის ფეხის ხმა ვერ გაიგონა, იგი შემობრუნდა და თავშეკავებულად ახარხარდა. ჟულიენი ფერდაკარგული მოჰქროდა, ცხენს ფაფარში ჩასჭიდებოდა და უცნაურად ხტოდა. მისი სილამაზე, მოხდენილი მხედრის შესახედაობა უფრო სასაცილოდ ხდიდა მის მოუქნელობას და სილაჩრეს.

შემდეგ ცხენები ნელა ჩორთით წაიყვანეს. გზა ახლა მიდიოდა ორი უკიდეგანო გაუკაფავ ტყეს შორის, რომლებსაც ლაბადასავით დაეფარათ მთელი ფერდობი.

ეს იყო მიკი — თმასავით ერთმანეთში არეული მარადმწვანე მუხების, ღვიების, დათვის კენკრების, დანამასტაკების, ხეჭრილების, მანანების, ბზების, მურტების, დაფნის ხეების და ქონდრის გაუვალი ბარდი. ისინი ერთმანეთს გადაწნოდნენ ხვიარა კატაბარდებით, გიგანტური გვიმრებით, ჩიტავაშლებით, გარეული ვარდებით, როზმარინებით, ლავანდითა და მაყვლის ეკლიანი ბუჩქებით და სქელი მატყლივით გადაფენოდნენ მეთბის კალთებს.

ჟანას და ჟულიენს მოშივდათ. გიდი წამოეწიათ მათ და მიიყვანა ისინი მშვენიერ წყაროსთან, ასე ხშირად რომ გვხვდება მთებში. კლდის პატარა ხვრელიდან ყინულივით ცივი წყალი ძაფივით წვრილად და სწრაფად მოედინებოდა წაბლის ფოთოლზე, რომელიც ღარივით გაეკეთებინა ვიღაც გამვლელს, მორაკრაკე ნაკადი პირდაპირ პირში რომ ჩასვლოდა.

ჟანა ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ მზად იყო სიხარულისაგან ეყვირა.

ისინი ხელახლა გაუდგნენ გზას და დაბლა დაეშვნენ საგონის ყურეს შემოვლით.

საღამოს ისინი მიადგნენ ბერძნების სოფელ კარჟეს, ოდესღაც რომ დაუარსებიათ თავისი სამშობლოდან გაძევებულ ლტოლვილებს. არაჩვეულებრივი გრაციით აღსავსე, მაღალი, ლამაზ ქალიშვილებს, რომელთაც გრძელი ხელები, მოყვანილი თეძოები და მოხდენილი ტანი ჰქონდათ, თავი მოეყარათ წყალსატევთან. ჟულიენმა მათ მიაძახა: „საღამო მშვიდობისა". ქალებმა მღერადი ხმით უპასუხეს მიტოვებული სამშობლოს მელოდიურ ენაზე.

პიანაში რომ ჩავიდნენ, თავშესაფარს ისე ეძებდნენ, როგორც უძველეს დროს ამ მიყრუებულ მხარეში ჩადიოდნენ. ჟანა სიხარულისაგან ცახცახებდა, როდის გაიღებოდა კარები, რომელზეც ჟულიენმა დააკაკუნა. ო ..! აი ეს არის ნამდვილი მოგზაურობა, აღსავსე უცნობი გზების ყველა მოულოდნელობით.

ისინი პირდაპირ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მიადგნენ. მათ ისე შეხვდნენ, როგორც პატრიარქები ღვთის მოციქულებს. ეძინათ ჩალის ნალზე ჭიებით გამოჭმულ ძველ სახლში, სადაც დირეთა შემმუსვრელი გრძელი მაჟაურები ისე ფუსფუსებდნენ სულ მთლად გამოხრულ ძელურში, რომ იგი ცოცხალივით შრიალებდა და ხვნეშოდა.

გაემგზავრნენ ისინი მზის ამოსვლამდე და მალე შეჩერდნენ ტყესთან, მეწამული გრანიტის ნამდვილ ტყესთან. აქ იყო შპილებიც, სვეტებიც, გოდოლებიც, დროთა განმავლობაში ქარისა და ზღვის ნისლისაგან გამოძერწილი განსაცვიფრებელი ფიგურები.

სამ მეტრზე აზიდული ეს წვრილი, მრგვალი, დაგრეხილი, მოკაუჭებული, უფორმო, ფანტასტიკური, განსაცვიფრებელი ფორმის ციცაბო კლდეები ჰგავდა ხეებს,მცენარეებს, ცხოველებს, ძეგლებს, ადამიანებს, ანაფორიან ბერებს, რქიან ქაჯებს, ვეებერთელა ფრინველებს, ურჩხულთა მთელ ხროვას, რომელიღაც თავნება ღმერთის ახირებით გაქვავებულ კოშმარულ სამხეცეს.

ჟანა ენას ვეღარ ძრავდა, გული ეკუმშებოდა. მან ხელი ჩასჭიდა ჟულიენს ხელში და მაგრად მოუჭირა. ასეთმა ლამაზმა სანახაობამ იგი ვნებიანი სიყვარულის წყურვილით აღანთო.

უეცრად, ამ ქაოსიდან გამოსვლისას, მათ აღმოაჩინეს წითელი გრანიტის სისხლისფერი კედლით გარშემორტყმული ახალი ყურე, ცისფერი ზღვა ირეკლავდა ამ ალისფერ კლდეებს.

ჟანამ წაიბუტბუტა: „ოჰ! ჟულიენ !" მას ვერ ეპოვა სხვა სიტყვები. აღტაცებისაგან გულაჩუყებულს სული ეხუთებოდა და ცრემლები წასკდა. ჟულიენმა შეხედა მას და

გაკვირვებით ჰკითხა: „რა მოგივიდა, ჩემო ფისუნიავ?"

ქალმა მოიწმინდა ლოყები, გაიღიმა და ათრთოლებული ხმით უთხრა: — არაფერია... ეს ისე... ალბათ, ნერვებია ... თვითონ არ ვიცი ამან განმაცვიფრა. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ უბრალო რამეც კი გულს მიფორიაქებს.

მას ვერ გაეგო ეს ქალური ნერვიულობა. ეს მღელვარება მგრძნობიარე არსებაა, რომელიც ყველა წვრილმანს სიგიჟემდე მიჰყავს, და აღტაცება ისევე აღელვებს, როგორც კატასტროფა, ოდნავი შთაბეჭდილებაც კი აფიქრებს, და სიხარული თუ სასოწარკვეთილება ჭკუას აკარგვინებს.

ქალის ცრემლები ჟულიენს სასაცილოდ მოეჩვენა და ცუდი გზით ძლიერ შეწუხებულმა, უთხრა: — უკეთესი იქნება თუ ცხენს მიხედავ.

თითქმის გაუვალი ბილიკით ჩავიდნენ ისინი თვით ყურესთან, შემდეგ მარჯვნივ გაუხვიეს და აღმართს შეუდგნენ პირქუშ ოტას ველზე გადასასვლელად.

გზა საშინელი ჩანდა. ჟულიენმა შესთავაზა : — ფეხით ხომ არ ავიდეთ?

უკეთესს ვერც მოისურვებდა აღტაცებული ჟანა. რა სჯობს ფეხით გავლას. მასთან მარტო ყოფნას ცოტა ხნის წინ განცდილი მღელვარების შემდეგ.

გიდი წინ წავიდა თავისი ჯორით და ცხენებით, ისინი კი ნელი ნაბიჯით აყვნენ აღმართს.

თავიდან ბოლომდე გაპობილი მთა აქეთ-იქით იწეოდა. ბილიკი ეშვებოდა ამ ნაპრალში და მიჰყვებოდა ორი უზარმაზარი კლდის ძირას. ხეობის ფსკერზე კი აბობოქრებული ნიაღვარი მიედინებოდა. ჰაერი გაყინულიყო, გრანიტი შავად გამოიყურებოდა, ხოლო იქ, ზემოთ, გასაოცრად ლურჯი ცის პატარა ნაფლეთი მოჩანდა. ყველაფერი განსაცვიფრებელი და თავბრუდამხვევი იყო.

უეცრად ხმაურმა შეაკრთო ჟანა. მან აიხედა: ვეებერთელა ფრინველი გამოფრინდა რომელიღაც ხვრელიდან. ეს არწივი იყო მისი გაშლილი ფრთებით, გეგონებოდათ, ხეობის ორივე კიდეს ეხებაო. არწივი მაღლა აფრინდა და ლაჟვარდში მიიმალა.

უფრო შორს მთის ნაპრალი ორდებოდა. ბილიკი უფსკრულს შუა მიიკლაკნებოდა. აღგზნებული ჟანა მსუბუქად მირბოდა წინ. ფეხით აგორებდა კენჭებს და გაბედულად

იხრებოდა უფსკრულზე. ქმარი ქოშინით მიაბიჯებდა მის უკან და თვალს არ აცილებდა მიწას, თავბრუ არ დამესხასო.

უეცრად ისინი მზის შუქში გაეხვივნენ, თითქოს ჯოჯოხეთს დააღწიესო თავი. სწყუროდათ და ნესტიანმა კვალმა, ქვების გროვაში რომ გადიოდა, ისინი მიიყვანა სულ პატარა წყაროსთან, რომელიც თხის მწყემსებს ამოღრუტნულ მორში გადაეშვათ. მიწა ხავსს ხალიჩასავით დაეფარა. ჟანამ დასალევად დაიჩოქა. ჟულიენმაც მას მიბაძა.

ჟანას ცივი წყალი ეგემრიელა და პირი ვერ მოსწყვიტა, მაშინ ქმარმა წელზე მოჰხვია ხელები და მოინდომა ადგილი წაერთმია მისთვის ხის ღართან. ჟანა ეწინააღმდეგებოდა. მათი ტუჩები ერთმანეთს ხვდებოდა, ეჯახებოდნენ, ეცილებოდნენ, ამ ბრძოლის დროს ხან ერთი, ხან მეორე ეჭიდებოდა სადინარის ვიწრო ბოლოს, კბილს ავლებდა და არ უშვებდა: ხან შეჩერებული, და ხან ნებას მიშვებული ცივი წყლის ნაკადი კი განუწყვეტლივ ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა, ეშხეფებოდა მათ სახეზე, კისერზე, ტანსაცმელზე, ხელებზე, წვეთები მარგალიტის მძივებივით ბრწყინავდა მათ თმებში და წყალთან ერთად კოცნაც იფრქვეოდა.

უეცრად ჟანა სიყვარულის წყურვილმა აღაგზნო. მან პირი გაივსო გამჭვირვალე სითხით, ტიკივით გამობერა ლოყები და ჟულიენს ანიშნა, მსურს ჩემი ბაგიდან შესვა წყალიო.

ჟულიენმა ღიმილით გადასწია თავი, პირი მიუშვირა, მკლავები გაშალა და დაეწაფა ამ ცოცხალი წყაროს წყალს, რომელმაც გრძნობები აუშალა და მწველი სურვილით აღანთო იგი. ჟანა უჩვეულო სინაზით ეკვროდა ჟულიენს. ქალს გული უთრთოდა, მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა, თვალები დაებინდა. მან ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა: „ ჟულიენ ... მიყვარხარ“ თავისკენ მიიზიდა იგი, ზურგზე დაეცა და სირცხვილისგან გაწითლებული სახე ხელებში ჩამალა.

ჟულიენი ზედ დაემხო და გაშმაგებით ჩაეკონა. ჟანას ვნებიან მოლოდინში სული ეხუთებოდა და, რაღაც ელვისებური შეგრძნებისაგან განცვიფრებულს, უეცრად ყვირილი აღმოხდა; აი ამ უცნაურ სიამოვნებას ელოდა იგი.

იმდენად აღელვებული და ძალაგამოცლილი იყო ჟანა, რომ დიდხანს ვერ მიაღწიეს აღმართის მწვერვალს და მხოლოდ საღამოს ჩავიდნენ ევიზაში თავისი გიდის ნათესავ პაოლი პალაბრეტისთან.

ეს იყო მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ჭლექიანივით პირქუში კაცი. მან განკუთვნილ

ოთახამდე მიაცილა ისინი, ტიტველ, ქვის კედლებიან, უბადრუკ, მაგრამ მაინც მშვენიერ ოთახამდე ამ ქვეყნის კვალობაზე, სადაც ყოველგვარი სილამაზის წინაშე უმეცარნი რჩებიან. მასპინძელმა ვერც კი მოასრო თავისი კორსიკელი დიალექტით, იტალიურთან შერეული ფრანგულით ეთქვა, თუ რაოდენ დიდად ესიამოვნა მათი სტუმრობა, რომ წკრიალა ხმამ შეაჩერა იგი და ოთახში პატარა ქალმა შემოირბინა. იგი იყო შავგვრემანი და ჰქონდა დიდი შავი თვალები, მზისგან დამწვარი კანი და ნატიფი ტანი. იგი ღიმილით გადაეხვია ჟანას, მაგრად ჩამოართვა ხელი ჟულიენს და თან განუწყვეტლივ იმეორებდა: — სალამი ქალბატონო, სალამი ბატონო, როგორ ბრძანდებით?

მან ჩამოართვა მგზავრებს შლაპები, შალები და ყველაფერი ცალი ხელით მიალაგა, რადგან მეორე შეხვეული ჰქონდა. შემდეგ ყველანი გარეთ გამოაცილა და ქმარს უთხრა: — წადი, გაასეირნე სტუმრები სადილამდე.

ბატონი პალბერტი მაშინვე დაემორჩილა, ჩადგა ორ ახალგაზრდას შორის და წაიყვანა სოფლის დასათვალიერებლად. იგი ძლივს მიათრევდა ფეხებს. ნელა ლაპარაკობდა გამუდმებით ლაპარაკობდა და ყოველ წუთს ამბობდა : — ეს ვალის[1] გრილი ჰაერია, გულზე რომ მეცემა.

მან მივიწყებულ ბილიკზე გაიყვანა ისინი. უცებ იგი უზარმაზარი წაბლის ქვეშ შეჩერდა და მონოტონურად თქვა: — სწორედ აქ მოკლა ჩემი ბიძაშვილი ჟან რილანდი მატიე ლორიმ: აი, მე იქ ვიდექი. ჟანთან სულ ახლოს, როცა მატიე უცბათ გამოძვრა ათ ნაბიჯზე ჩვენგან. „ჟან,— დაიყვირა მან ,— ნუ დადიხარ ალბერტკაში. ნუ დადიხარ ჟან,თორემ იცოდე, მოგკლავ''.

მე ხელი ვტაცე ჟანს: „ნუ წახვალ, ჟან, იგი მართლა მოგკლავს''.

ეს მოხდა ერთი ქალიშვილის, პოლინა სინაკუპის გულისათვის, რომელსაც ორივე დასდევდა.

მაგრამ ჟანმაც ყვირილი დაიწყო: „— წავალ , მატიე და შენ ვერ დამიშლი ამას''.

მე ვერც მოვასწარი იარაღისათვის ხელი მეტაცნა, რომ მატიემ დაუმიზნა და ესროლა.

ჟანი ერთი კი შეხტა ორივე ფეხით, დამიჯერეთ, ბატონო სწორედ ისე, როგორც ბავშვი

[1] ვალი - ადგილის სახელია (იტალ.).

ახტება თოკს. და ისეთი ძალით დამეცა, რომ თოფი ხელიდან გამივარდა და აი, იმ დიდ წაბლთან დავარდა.

ჟანას პირი ღია ჰქონდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გათავდა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი განცვიფრებული უყურებდა ასეთი დანაშაულის აუღელვებელ მოწმეს. ჟანამ ჰკითხა: — მკვლელს რაღა მოუვიდა?

პაოლო პალაბრეტიმ დიდხანს ახველა, შემდეგ უთხრა: — მთაში გაიქცა. ჩემმა ძმამ მოკლა იგი მომდევნო წელს. იცნობთ ჩემ ძმას — ფილიპე პალაბრეტის, ბანდიტს?

ჟანას გააჟრჟოლა.

— თქვენი ძმა ბანდიტია?

უდარდელ კორსიკელს თვალები სიამაყით გაუბრწყინდა.

— დიახ, ქალბატონო, და მერე სახელგანთქმული. მან ექვს ჟანდარმს გააფრთხობინა სული. იგი ნიკოლა მორალისთან ერთად დაიღუპა, როდესაც ალყა შემოარტყეს ნიოლოში. ექვს დღეს იბრძოდნენ, ვიდრე შიმშილით არ ამოწყდნენ.

შემდეგ იმავე ტონით, როგორითაც თქვა: „ეს ვალის გრილი ჰაერიაო", თავმდაბლად დასძინა: — ჩვენს ქვეყანაში ასე იციან.

ისინი სადილად დაბრუნდნენ. პატარა კორსიკელი ქალი ისე ეპყრობოდა მათ, თითქოს ოცი წლის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

მაგრამ მოუსვენრობა თან სდევდა ჟანას. ისევ იგრძნობდა თუ არა იგი ჟულიენის მკლავებში ვნების იმ უცნობ მგზნებარე აფეთქებას, რომელიც წყაროსთან გამოსცადა ხავსზე?

როდესაც ისინი მარტო დარჩნენ ოთახში, ჟანას აკანკალებდა, ვაი თუ ვეღარ გამიტაცოს მისმა ალერსმაო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ტყუილად შიშობდა. ეს იყო მისი სიყვარულის პირველი ღამე.

მეორე დღეს, გამგზავრებისას მას არ უნდოდა დაეტოვებინა ეს უბადრუკი სახლი, სადაც მისი აზრით, ახალი ბედნიერი ხანა დაიწყო მათ ცხოვრებაში.

ჟანამ თავის ოთახში შეიხმო მასპინძლის პატარა ცოლი და გატაცებით ეხვეწებოდა, ნება დამრთე პარიზიდან მცირე საჩუქარი გამოვიგზავნო, არა ქირის სახით, არამედ სამახსოვროდო. ამ საჩუქარს იგი ცრურწმენით მნიშვნელობას აძლევდა.

ახალგაზრდა კორსიკელი ქალი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა, ბოლოს დაეთანხმა.

— მაშ კარგი, — უთხრა მან, —გამომიგზავნეთ პატარა დამბაჩა, სულ პატარა.

ჟანას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, დიასახლისმა კი სულ ჩუმად, ჩურჩულით განმარტა ისე, როგორც რაიმე ტკბილ და სანუკვარ საიდუმლოებას ანდობენ ხოლმე: — ჩემი მაზლის მოსაკლავად მინდა.

მან ღიმილით სწრაფად მოიხსნა სახვევი უმოძრავო მკლავზე და თეთრ ამობურცულ ხორცზე აჩვენა თითქმის შეხორცებული ბებუთის გამჭოლი ჭრილობა.

— ჩემზე ღონიერი რომ ყოფილიყო, — თქვა მან, — მომკლავდა. ჩემი ქმარი ეჭვიანი არ არის! მან იცის, რაც ვარ. გარდა ამისა, იგი ხომ ავადაა და ის უყინავს სისხლს... მე, ქალბატონო, მართლაც პატიოსანი ქალი ვარ, მაგრამ ჩემს მაზლს ყველაფერი სჯერა, რასაც ამბობენ. პატარა დამბაჩა რომ მექნება, მშვიდად ვიქნები და თანაც დარწმუნებული, რომ შემეძლება თავი დავიცვა.

ჟანა დაჰპირდა, იარაღს გამოვიგზავნიო, ნაზად აკოცა თავის მეგობარს და გზა განაგრძო.

მისი მოგზაურობის ბოლო დღეები დაუსრულებელი ხვევნა კოცნითა და მათრობელა ალერსით სავსე რაღაც სიზმარი იყო. ჟანა არაფერს არ ხედავდა — არც პეიზაჟს, არც ხალხს, არც ქალაქებს, სადაც ჩერდებოდნენ, იგი მხოლოდ ჟულიენს უყურებდა.

მაშინ დაიწყო მომხიბლავი ბავშვური სიახლოვე, აღსავსე სიყვარულის გულუბრყვილო სისულელეებით, ბრიყვული და მშვენიერი სიტყვებით; მათი მოფერებითი სახელებით მონათლეს ყველა ის ნაკეცი, ხვეული და ნაოჭი რომელსაც ტუჩებით ეხებოდნენ.

რაკი ჟანა მარჯვენა გვერდზე იძინებდა ხოლმე, გამოღვიძებისას მარცხენა ძუძუ ხშირად უშიშვლდებოდა. ჟულიენმა ეს შეამჩნია და იგი „მოხეტიალედ" მონათლა, ხოლო მეორეს „პირწუწკი" შეარქვა, რადგან მისი ვარდისფერი კერტი მეტ მგრძნობიარობას იჩენდა კოცნისადმი.

ძუძუებს შუა ღრმა ხევი „დედიკოს ხეივნად" გადაიქცა, რადგან ჟულიენი გამუდმებით დასეირნობდა იქ, ხოლო მეორეს უფრო დაფარულს „დამასკოს გზა" უწოდეს ოტას ველის მოსაგონრად.

ბესტიაში ჩასვლისას გიდი უნდა გაესტუმრებინათ. ჟულიენმა ჯიბეები მოიჩხრიკა, მაგრამ რაც საჭირო იყო, ვერ იპოვა და ჟანას უთხრა.

— რაკი არ სარგებლობ დედაშენის ორი ათასი ფრანკით, მომეცი, მე ვატარებ მას. ჩემთან ისინი უფრო საიმედოდ შეინახება, თანაც ფულის დახურდავებასაც ავცდები.

ჟანამ გაუწოდა თავისი ქისა.

ისინი ჩავიდნენ ლივორნოში, ინახულეს ფლორენცია, გენუა, მოიარეს მთელი ის სანაპირო.

ერთ ცივ ქარიან დილას ისინი კვლავ მარსელში აღმოჩნდნენ.

ორმა თვემ განვლო მათი ჩინარიდან გამომგზავრების შემდეგ. თხუთმეტი ოქტომბერი იყო.

შეწუხებული ძლიერი ცივი ქარით, რომელიც თითქოს შორეული ნორმანდიიდან ქროდა, ჟანა თავს მოწყენილად გრძნობდა, ბოლო დროს ჟულიენი შეცვლილი, გადაღლილი და გულგრილი ჩანდა და ჟანას ეშინოდა, თვითონაც არ იცოდა რისი.

ჟანამ ოთხი დღით კიდევ გადადო დაბრუნება, რადგან გაუჭირდა ამ კურთხეული მზიური მხარის მიტოვება. ეგონა, ეს-ეს არის ჩემი ბედნიერების წრე დავასრულეო.

ბოლოს გაემგზავრნენ.

პარიზში მათ უნდა ეყიდათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჩინარში საბოლოო მოწყობისათვის, და ჟანა წინასწარ ტკბებოდა, თუ რამდენ საკვირველ რამეს წაიღებდა დედიკოს ნაჩუქარი ფულით; მაგრამ პირველი, რაზეც გაიფიქრა, დამბაჩა იყო, ახალგაზრდა კორსიკელ ქალს რომ დაჰპირდა ევიზაში.

პარიზში ჩასვლის მეორე დღეს ჟულიენს უთხრა: — დამიბრუნე დედაჩემის ფული, ჩემო ძვირფასო, მინდა რამე ვიყიდო.

ჟულიენი უკმაყოფილო სახით მიუბრუნდა: — რამდენი გჭირდება? ქალს გაუკვირდა და წაილუღლუღა: — რამდენსაც მოისურვებ.

ჟულიენმა მოუჭრა: — აი ასი ფრანკი, მაგრამ ტყუილ უბრალოდ ნუ მიფანტ— მოფანტავ.

შეცბუნებულმა და დაბნეულმა აღარ იცოდა რა ეთქვა.

ბოლოს ყოყმანით შენიშნა: — კი... მაგრამ... ეს ფული... იმისთვის ჩაგაბარე, რომ...

ჟულიენმა არ დაამთავრებინა: — კი, რასაკვირველია, რაკი ჩვენ საერთო ქისა გვაქვს, სულ ერთი არ არის შენს ჯიბეში იქნება თუ ჩემსაში? მე ხომ უარს არ გეუბნები, თუკი გაძლევ ას ფრანკს. ასე არ არის?

ჟანამ უსიტყვოდ აიღო ხუთი ოქრო, მაგრამ ვეღარ გაბედა მეორე ხუთის მოთხოვნა და დამბაჩის მეტი ვერაფერი იყიდა.

რვა დღის შემდეგ ისინი გზას გაუდგნენ ჩინარისაკენ.

თავი VI

ავურის ბოძებიან თეთრ მოაჯირთან თავი მოეყარათ ნათესავებს და მსახურებს. საფოსტო კარეტა გაჩერდა და ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანდა. დედიკო ტიროდა, გულაჩუყებული ჟანა ცრემლებს იწმენდდა. აღელვებული მამა ბოლთას სცემდა.

სანამ ბარგი გამოჰქონდათ, სასტუმრო ოთახში, ბუხრის წინ, საუბარი გაჩაღდა მოგზაურობაზე. ჟანა სწრაფად ლაპარაკობდა რაღაც ნახევარ საათში ყველაფერი თქვა, ყველაფერი, გარდა ზოგიერთი წვრილმანისა, რომლებიც გამორჩა აჩქარებული თხრობისას. შემდეგ იგი ბარგის გამოსახსნელად წავიდა. როზალია, ისიც აღელვებული, ეხმარებოდა მას. როცა საქმეს მორჩნენ და თეთრეულს, კაბებს, ტუალეტის მოწყობილობას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს, მოახლე გაეცალა თავის ქალბატონს და ცოტათი დაღლილი ჟანა სკამზე ჩამოჯდა.

ჟანამ არ იცოდა რა გაეკეთებინა, რა საქმე გაეჩინა გონებისა და ხელებისათვის. მას არ უნდოდა დაბრუნებულიყო სასტუმრო ოთახში, სადაც დედამისი თვლემდა. გავისეირნებო, გაიფიქრა, მაგრამ პეიზაჟი ისე მოსაწყენი ჩანდა, რომ ფანჯრიდან გახედვაც კი მძიმედ

უღონებდა გულს.

მაშინ მიხვდა, რომ არავითარი საქმე არ აქვს და არც არასოდეს ექნება. მონასტერში გატარებული მთელი მისი სიყმაწვილე მომავალზე ფიქრით მოცული და მოუსვენარი ოცნებებით სავსე იყო. ამაღლებული იმედები მაშინ ისე უვსებდა დღეებს, რომ ისინი შეუმჩნევლად გარბოდნენ. შემდეგ, ამ ღვთისმოსავ კედლებიდან გამოსვლისთანავე, სადაც ვარდივით იფურჩქნებოდა მისი ილუზიები, დიდხანს არ ალოდინა სიყვარულმა, ისიც მაშინვე ეწვია. კაცი, რომელსაც ელოდებოდა შეხვდა. შეუყვარდა იგი და ჯვარიც დაიწერა. ყველაფერი ეს რამდენიმე კვირაში მოხდა, უეცრად. ამ კაცმა ისე გაახვია იგი ალერსში, რომ გონზე მოსვლაც არ დააცალა.

მაგრამ აი პირველი დღეების პირველი სინამდვილე უკვე ხდება ყოველდღიური სინამდვილე, რომელიც კარებს უხშობს ბუნდოვან მისწრაფებებს, წარმტაც მღელვარებას გამოუცნობის წინაშე. დიახ, დიახ ეს იყო ლოდინის აღსასრული.

და, მაშასადამე, გასაკვეთებელიც არაფერი დარჩა. არც დღეს, არც ხვალ, არც არასდროს. ყველაფერი ეს შეიგრძნო, როგორც ბუნდოვანი იმედგაცრუება, მთელი თავისი ოცნებების დამსხვრევა.

ჟანა ადგა და შუბლით მიეკრა ფანჯრის ცივ მინას. ერთხანს ათვალიერა ცა, სადაც მუქი ღრუბლები ხეტიალობდნენ და გადაწყვიტა სახლიდან გასულიყო..

ნუთუ ეს იგივე სოფელია, იგივე ბალახი, იგივე ხეებია, მაისში რომ იყო? მაშ, სად გაქრა მზით გამთბარი სიხარული, ველების ზურმუხტოვანი პოეზია ბაბუაწვერების ნაპერწკლებით, ყაყაჩოთა სისხლიანი ლაქებით, ზიზილების სხივებით, ფანტასტიკური ყვითელი პეპლებით, რომლებიც თითქოს უჩინარ ოქროსფერ ძაფზე ფარფატებდნენ? და აღარ იყო სიცოცხლითა და სურვილებით, მცენარეული მტვერით სავსე მათრობელა ჰაერი.

გათოშილი, თითქმის გატიტვლებული ჩინარების ქვეშ გადაჭიმული შემოდგომის განუწყვეტელი წვიმებისაგან გადარეცხილი და დაცვენილი ფოთლების სქელი ხალიჩით მოფენილი ხეივნები. ქარი არხევდა მყიფე ტოტებს და უკანასკნელი ფოთლები მზად იყვნენ ჩამოსაცვენად და სივრცეში გასაფრენად. თითქოს გადაუღლელი ნაღვლიანი წვიმა მოდისო, ეს შემორჩენილი, მთლად გაყვითლებული ოქროს ფირფიტების მსგავსი ფოთლები მთელი დღის განმავლობაში წყდებოდნენ, ტრიალებდნენ დაფრიალებდნენ და მიწაზე ცვიოდნენ.

ჟანა მივიდა წარაფამდე. იქ ისეთივე ნაღველს, დაესადგურებინა, როგორც მომაკვდავის ოთახში. მწვანე ბარდი, მყუდრო, ლამაზად დაკლაკნილ ბილიკებს რომ ყოფდა, ჩამოცვენილიყო. ერთმანეთში გადახლართული ბუჩქები, თითქოს ხის თხელი მაქმანებიაო, ჩამომხმარი ტოტებით ერთიმეორეს ეხუტებოდნენ; ჩამოცვენილი ხმელი ფოთლები, რომელთაც ქარი ატრიალებდა, ისე შრიალებდნენ, თითქოს მომაკვდავი ოხრავსო.

პანანა ჩიტუნები ხან იქ, ხან აქ მყივანა წრიპინით დახტოდნენ და თავშესაფარს ეძებდნენ.

მაგრამ ცაცხვსა და ჭადარს, რომელთაც ზღვის ქარისაგან იცავდა თელების სქელი ფარდა, ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ ზაფხულის კაზმულობა: ერთს თითქოს წითელი ხავერდი ეცვა, მეორეს კი თურინჯისფერი აბრეშუმი, შეფერადებული პირველი სუსხით, თვითეული მათგანის მცენარეული წვენის თვისებათა შესაბამისად.

ჟანა ნელი ნაბიჯით დადიოდა დედიკოს ხეივანში კუიარების ფერმის ახლოს. რაღაც გულს უმძიმებდა მას, თითქოს წინათგრძნობა მომავალი ერთფეროვანი ცხოვრების დაუსრულებელი სევდიანი დღეებისა.

შემდეგ იგი ფერდობზე ჩამოჯდა, იქ, სადაც ჟულიენმა პირველად ჩამოუგდო სიტყვა სიყვარულზე; იგი თავდავიწყებას მიეცა. თითქმის არაფერზე არ ფიქრობდა და საშინელ სისუსტეს გრძნობდა. მას უნდოდა დაწოლილიყო, დაეძინა, რათა გასცლოდა ამ დღის მოწყენილობას.

უცბად ცაზე შეამჩნია თოლია, რომელიც ქარს აეტაცა. და მას მოაგონდა არწივი. იქ, კორსიკაში რომ დაფრინდა ოტას პირქუშ ველზე. ჟანას გული აუძგერა მშვენიერი და უკვე წარსული სანახაობის მოგონებამ. მას მაშინვე თვალწინ წარმოუდგა შესანიშნავი კუნძული თავისი ველური სურნელებით, მისი მზე, რომელიც ფორთოხლებსა და ლიმონს ამწიფებდა, მისი მთები ვარდისფერი მწვერვალებით, ლურჯი ყურეები და ხევები, ნიაღვრები ბობოქრობენ.

გარემოს ნესტიანმა და მკაცრმა პეიზაჟმა, ნაღვლიანმა ფოთოლცვენამ და ნაცრისფერმა ღრუბლებმა, ქარი რომ მიერეკებოდა, ისეთი ღრმა სევდა აღძრა, რომ ჟანას შეეშინდა, არ ავქვითინდეო და სასწრაფოდ სახლში დაბრუნდა.

დედიკო მოთენთილი იჯდა ბუხრის წინ და თვლემდა. იგი შეჩვეოდა დღეთა ერთფეროვნებას და აღარ გრძნობდა მათ სევდიანობას. მამა და ჟულიენი სასეირნოდ და საქმეებზე სასაუბროდ წავიდნენ. ღამეც ჩამოწვა და კუშტ ბინდში გახვია დიდი ოთახი,

რომელსაც მხოლოდ ალის წამიერი ანარეკლი ანათებდა.

ფანჯრებს იქით კიდევ გაირჩეოდა ზამთრისპირის ჭუჭყიანი ბუნება და მონაცრისფრო, თითქოს ტალახით შეთხუპნული ცა.

მალე ბარონი და ჟულიენი დაბრუნდნენ. ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე ბარონმა ზარი დარეკა და დაიყვირა: — ჩქარა, ჩქარა, სინათლე! აქ ისეთი მოწყენილობაა.

ივი ბუხრის წინ დაჯდა. სანამ მისი სველი ჩექმები ცეცხლთან შრებოდა და ლანჩებიდან გამხმარი ტალახები ცვიოდა, ივი მხიარულად ისრესდა ხელებს.

— მე მგონია, თქვა მან, — მალე ყინვები დაიწყება; ჩრდილოეთით ცა მოიწმინდა, ხოლო ამ საღამოს ახალი მთვარეა, მაგარი ყინვა იქნება ამაღამ.

შემდეგ ივი ქალიშვილს მიუბრუნდა: — მითხარი, ჩემო გოგონა, კმაყოფილი ხარ შენს ქვეყანაში, შენს სახლში ბებრებთან რომ დაბრუნდი?

ამ უბრალო შეკითხვამ ააფორიაქა ჟანა. ივი მოეხვია მამას. თვალები ცრემლით აევსო და ნერვულად აკოცა, თითქოს ბოდიშს იხდიდა. ბევრს ეცადა მხიარული ყოფილიყო, მაინც საშინელ მოწყენილობას გრძნობდა. მან გაიხსენა, რა სიხარულით ელოდებოდა მშობლებთან შეხვედრას და აოცებდა საკუთარი გულცივობა, რომელიც ჰყინავდა ყოველგვარ სინაზეს. როდესაც განშორებული ბევრს ფიქრობ საყვარელ ადამიანებზე, მაგრამ აღარ ხვდები მათ ყოველ საათში, ხელახლა ხილვისას ერთგვარ უცხოობას გრძნობ მანამ, სანამ ერთად ცხოვრება ისევ არ განამტკიცებს ურთიერთ კავშირს.

სადილი ძლიერ გაჭიანურდა თითქოს არ ლაპარაკობდნენ, ჟულიენმა თითქოს სულ დაივიწყა თავისი ცოლი.

შემდეგ, სასტუმრო ოთახში, ჟანამ ჩასთვლიმა ცეცხლთან. ივი იჯდა დედიკოს პირდაპირ, რომელსაც მაგრად ეძინა. როცა ორი მამაკაცის კამათმა წუთით გამოაღვიძა ჟანა, ივი ცდილობდა გამოფხიზლებულიყო და თავისთავს ეკითხებოდა, ნუთუ მეც ჩამითრევს გულგრილ ჩვევათა ეს ბნელი ლეთარგია, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებაო.

ბუხრის ალი, სუსტი და მოწითალო დღისით, ახლა გამოცოცხლდა, გაჩაღდა, და ტკაცატკუცი გაჰქონდა: ივი დიდ, მკვეთრ სინათლეს ესროდა საკარძელთა გაუფერულებულ

გადასაკრავებს, რომლებზეც მელია და წერო, მელანქოლიური ყანჩა, ჭრიჭინა და ჭიანჭველა ეხატა.

ბარონი ღიმილით მივიდა ბუხართან, გაშლილი ხელი მიუშვირა აგიზგიზებულ მუგუზლებს და თქვა: — ოხ, ოხ! კარგად გიზგიზებს ამ საღამოს. გარეთ კი ყინავს, შვილებო, ყინავს.

შემდეგ მხარზე დაადო ხელი ჟანას და ცეცხლზე მიუთითა: — ხედავ, ჩემო გოგონა, აი ეს არის ყველაზე უკეთესი ამქვეყნად — კერა და ოჯახი მის გარშემო. არაფერი არ შეედრება ამას. მაგრამ ძილის დროა. თქვენ, ალბათ ძალიან დაიღალეთ ბავშვებო?

თავის ოთახში რომ შევიდა, ახალგაზრდა ქალი დაფიქრდა, ნუთუ მისი ორი დაბრუნება ესოდენ საყვარელ ერთსა და იმავე ადგილზე შეიძლება ასე განსხვავებული იყოს? რატომ გრძნობს თავს ასე განადგურებულად, რატომ ჩანს დღეს ასე ნაღვლიანი ეს სახლი, ეს მშობლიური მხარე, ყველაფერი ის, რაც აქამდე ძვირფასი იყო?

უეცრად მან კედლის საათს შეხედა. როგორც ყოველთვის პატარა ფუტკარი მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ სწრაფად და ზომიერად დაჰფარფატებდა მოოქრულ ყვავილებს და ჟანა აცრემლდა. უეცრად აღივსო სინაზით, უღრმესი გრძნობით ამ პატარა მექანიზმისადმი, და რომელიც სიმღერით ითვლიდა დროს და ცოცხალი გულით ძგერდა.

იგი როდი ღელავდა ასე, როცა დედ-მამას ეხვეოდა. გულს აქვს საიდუმლოებანი, რომელთაც გონება ვერ სწვდება. გათხოვების შემდეგ პირველად იწვა მარტო თავის ლოგინში. ჟულიენმა დაღლილობა მოიმიზეზა და მეორე ოთახში მოეწყო. ისინი წინასწარ შეთანხმდნენ, რომ თვითეულს ექნებოდა თავ-თავისი საძინებელი.

ჟანა დიდხანს ებრძოდა უძილობას. მას უცნაურად ეჩვენებოდა რომ გვერდით მეორე სხეულს ვერ გრძნობდა. უჩვეულოდ მიაჩნდა მარტო ძილი და აწუხებდა ჩრდილოეთის გაანჩხლებული ქარი, რომელიც სახურავზე მძვინვარებდა.

დილით იგი გააღვიძა მკვეთრმა სინათლემ, რომელსაც სისხლისფრად შეეღება მისი ლოგინი, თრთვილით შეჭირხლული ფანჯრები კი ისე გაწითლებულიყო, თითქოს მთელი ცის თაღი ინვოდა.

ჟანა ფართო პენუარში გაეხვია, ფანჯარასთან მიირბინა და გააღო.

სუფთა და გამჭვალავი ქარი შეიჭრა მის ოთახში. მწვავე სიცივემ კანი დაუსუსხა და თვალები აუცრემლა. ალისფერი ცის შუაგულში კი, ხეებს იქით, ბრიალა და ლოთის სახესავით გაბერილი უზარმაზარი მზე ამოდიოდა. დათრთვილული, გამხმარი და მშრალი მიწა კრაჭუნობდა ფერმის მომსახურეთა ფეხქვეშ. ამ ერთი ღამის განმავლობაში ჩინარების ყველა ტოტი, რომელთაც აქა-იქ კიდევ შერჩენოდათ ფოთლები, მთლად გატიტვლებულიყო, შორს ქვიშიანი დაბლობების იქით, ზღვის ტალღების თეთრად დაძარღვული მომწვანო ზოლი მოჩანდა.

ხშირი გრიგალისაგან ჭადარი და ცაცხვი თვალდათვალ იძარცვებოდა სამოსისაგან. ცივი ქარის ყოველი ჩამოქროლვისას უეცარი სუსხით ჩამოცვენილი ფოთლების კორიანტელი ფრინველთა გუნდის მსგავსად ქარში იფანტებოდა. ჟანამ ჩაიცვა, გარეთ გავიდა და, რაიმე საქმე რომ გაეჩინა, ფერმების სანახავად წავიდა.

მარტენები ხელგაშლილი შეხვდნენ, დიასახლისმა ორივე ლოყა ჩაუკოცნა. შემდეგ აიძულეს ერთი პატარა ჭიქა კაკლის ნაყენი დაელია, ჟანა მეორე ფერმისაკენ გაემართა. კუირებიც ხელგაშლილები შეხვდნენ. დიასახლისმა აკოცა და აქაც მოუწია შავი მოცხარის ნაყენი ეგემნა.

საუზმეზე ივი შინ დაბრუნდა.

და ეს დღეც გავიდა, როგორც გუშინდელი, ოღონდ ყინვიანი და არა ნესტიანი. კვირის სხვა დღეებიც ამ ორს ჰგავდა და თვის ყველა კვირაც პირველის მსგავსი იყო.

ჟანას სევდა შორეულ ქვეყანაზე თანდათანობით შესუსტდა. ჩვეულებამ მის ცხოვრებას მორჩილების დაღი დაასვა, მსგავსად ზოგიერთი წყლისა, საგნებზე რომ კირს ლაქავს. მასში გაიღვიძა ყურადღებამ ყოველდღიური ყოფის სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებისადმი. მასში ვითარდებოდა თავისებური ჭვრეტითი მელანქოლია, შეუცნობელი იმედგაცრუება ცხოვრებით. რა ესაჭიროებოდა მას! რა უნდოდა! თვითონაც არ იცოდა. მას სრულებით არ იზიდავდა საზოგადოებაში გამოსვლა, არც რაიმე გართობის წყურვილი ჰქონდა და არც მისაწვდომ სიამოვნებას ესწრაფოდა. თუმცა ამგვარი რამ არც არსებობდა მისთვის. როგორც სასტუმრო ოთახის ძველი, დროთა განმავლობაში გახუნებული სავარძლები, ყველაფერი ისე ნელ-ნელა უფერულდებოდა მის თვალში, ყველაფერი ქრებოდა და მკრთალ და პირქუშ ელფერს იღებდა.

ჟანას დამოკიდებულება ჟულიენთან სრულიად შეიცვალა. საქორწინო მოგზაურობიდან

დაბრუნების შემდეგ ჟულიენი სულ სხვა გახდა, როგორც მსახიობი, რომელმაც თავისი როლი შეასრულა და ჩვეულებრივი სახე მიიღო. იგი დიდ ძალას ატანდა თავს, თუ ყურადღებას აქცევდა ან ელაპარაკებოდა ცოლს. სიყვარულის ყოველგვარი კვალი ერთბაშად გაქრა; იშვიათი გახდა ღამეც, რომელსაც ცოლის ოთახში ატარებდა. ჟულიენმა იკისრა ქონებისა და მეურნეობის გაძღოლა, ამოწმებდა ანგარიშებს, თავს აბეზრებდა გლეხებს, ამცირებდა დანახარჯებს; თვითონ კი ფერმერი აზნაურის ზნე-ჩვეულებები შეიძინა და დაჰკარგა მთელი ბრწყინვალება, სასიძოს დროინდელი მთელი პენი.

იგი აღარ იშორებდა ხავერდის მთლად დალაქულ, სპილენძის ღილებიან სანადირო ტანსაცმელს, რომელიც თავის ადრინდელ გარდერობში გამონახა. ახალგაზრდა კაცის დაუდევრობით, რომელსაც აღარ ესაჭიროება ვინმეს თავი მოაწონოს, იგი არ იპარსებოდა გრძელი ცუდად შეკრეჭილი წვერი წარმოუდგენლად ამახინჯებდა. აღარც ხელებს უვლიდა და ყოველი სადილის შემდეგ ოთხ ან ხუთ სირჩა კონიაკს სვამდა.

როცა ჟანამ სცადა ალერსიანად ესაყვედურა, მან ისე უკმეხად უპასუხა: „აღარ დამანებებ თავს", რომ მეტად ვეღარ შებედა რჩევა მიეცა.

ჟანას თვითონ უკვირდა, როგორ იოლად შეურიგდა ამ ცვლილებებს. ჟულიენი უცხო გახდა, სრულიად უცნობი, რომლის სული და გული გაუგებარი იყო მისთვის. ჟანა ხშირად ფიქრობდა, თავის თავს ეკითხებოდა: როგორ მოხდა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ერთმანეთი შეიყვარეს, დაქორწინდნენ გატაცებით აღვსილნი, შემდეგ კი უეცრად საკვლებით უცნობები გახდნენ ერთმანეთისათვის, თითქოს არც არასოდეს სძინებოდეთ გვერდიგვერდ.

არც თუ ძლიერ ტანჯავდა ახლა მისი გულცივობა. ნუთუ ცხოვრებაში ასე ხდება? თუ თვითონ ისინი შეცდნენ ? ნუთუ მომავალიც სხვას არაფერს უქადის მას?

ჟულიენი ისეთივე ლამაზი, სათუთი, კოხტა მომხიბლავი რომ ყოფილიყო, როგორც წინათ ჟანა ალბათ უფრო დაიტანჯებოდა.

გადაწყდა, რომ ახალი წლის შემდეგ ახლად დაქორწინებულნი მარტო დარჩებოდნენ; დედა და მამა რუანს გაემგზავრებოდნენ და იქ თავის სახლში გაატარებდნენ რამდენიმე თვეს. ახალგაზრდები მთელ ზამთარს ჩინარში დაყოფდნენ, რათა საბოლოოდ მოწყობილიყვნენ, შეჩვეოდნენ და შეჰყვარებოდათ ის კუთხე, სადაც მთელ მათ ცხოვრებას უნდა ჩაევლო, თუმცა ჟულიენს სურდა თავისი მეუღლე წარედგინა რამდენიმე მეზობლისათვის: ბრიზვილის, კუტელიეს და ფურვილის ოჯახებში, მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-

ქმარს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ვიზიტად წასვლა, რადგან ვერა და ვერ იშოვეს მხატვარი, რომელიც გერბს შეცვლიდა ეტლზე.

საქმე ის იყო, რომ ძველი საგვარეულო ეკიპაჟი ბარონმა თავის სიძეს გადასცა და ჟულიენს არაფრის გულისათვის არ სურდა მანამ გამოჩენილიყო მეზობელ მამულში, ვიდრე დე ლამარების გერბი არ შეუერთდებოდა დე პერტუი დე ვოს გერბს.

იმ მხარეში ჰერალდიკურ კაზმულობათა მხოლოდ ერთი ოსტატი იყო ვოლბეკელი მხატვარი ბატაილი, რომელსაც ყველანი რიგ-რიგობით ეპატიჟებოდნენ ნორმანდიულ ციხე დარბაზებში, ეკიპაჟის კარებზე ძვირფასი ორნამენტების მოსახატავად.

ბოლოს, დეკემბრის ერთ დილას საუზმეს რომ ამთავრებდნენ ვიღაცამ ჭიშკარი გააღო და მარჯვენა ბილიკით პირდაპირ სახლისაკენ წავიდა. უცნობს ზურგზე ყუთი ეკიდა. ეს ბატაილი იყო.

იგი სასტუმროში შეიყვანს და საუზმე მიართვეს. როგორც თავისი წრის ადამიანს, რადგან მისმა სპეციალობამ, მუდმივმა ურთიერთობამ დეპარტამენტის მთელ არისტოკრატიასთან, ჰერალდიკის, მისი სპეციალური ტერმინოლოგიის, ყველა ემბლემის ცოდნამ გერბთმცოდნის სახელი გაუთქვა და აზნაურები ხელს ართმევდნენ მას.

მაშინვე მოატანინეს ფანქარი და ქაღალდი და სანამ ვატაილი ჭამდა ბარონი და ჟულიენი თავის ოთხად დაყოფილი გერბების მონახაზებს აკეთებდნენ. ბარონის მეუღლე, მთლად აფორიაქებული, როგორც ყოველთვის როცა ამ თემას აღძრავდნენ, რჩევა-დარიგებას იძლეოდა; თვითონ ჟანაც კი მონაწილეობდა საუბარში, თითქოს რაღაც იდუმალმა ინტერესმა გაიღვიძა უეცრად მასში.

ბატილი საუზმობდა და თან თავის აზრს გამოთქვამდა, ხანდახან კი ფანქარს აიღებდა. ხაზავდა ესკიზებს, ასახელებდა მაგალითებს, აღწერდა იმ მხარის მემამულეთა ყველა კარეტას და თავისი სულიერი განწყობილებით, აზრებით, ხმითაც კი ირგვლივ ქმნიდა კეთილშობილურ აგმოსფეროს.

ეს იყო დაბალი კაცი, ჭაღარა, მოკლედ შეკრეჭილი თმებითა და საღებავით გასვრილი ხელებით, რომელთაც ესენციის სუნი სდიოდათ. ამბობდნენ, რომ ძველად მას ჩაუდენია, ზნეობის შეურაცხმყოფელი რაღაც საქმე, მაგრამ ყველა დიდგვაროვანი ოჯახის საერთო პატივისცემამ დროთა განმავლობაში წაშალა ეს ლაქა.

როგორც კი ყავა დაამთავრა, იგი ეტლების ფარდულამდე მიაცილეს, ეტლს მუშამბის საფარი გადახადეს და ბატაილმა დაათვალიერა იგი. მერე მან რიხით გამოთქვა თავისი აზრი გერბის ზომაზე, თავის ნახატისათვის რომ ცნობდა საჭიროდ, და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეუდგა საქმეს.

მიუხედავად სიცივისა, ბარონის მეუღლემ სავარძელი მოატანინა, რომ მუშაობისათვის ეყურებინა; შემდეგ რეზინის სათბურა მოითხოვა, რადგან ფეხები გაეყინა და მშვიდად შეუდგა მხატვართან საუბარს, ეკითხებოდა იმ ნიშნობებზე, რომლებზეც ჯერ კიდევ არაფერი გაეგონა, ვინ მოკვდა, ვინ დაიბადა და ამ ცნობებით ავსებდა მეხსიერებაში შემორჩენილ გენეალოგიას.

ჟულიენი სიდედრის გვერდით სკამზე იჯდა. იგი ჩიბუხს აბოლებდა, მიწაზე აფურთხებდა, საუბარს უსმენდა და თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ აღბეჭდავდნენ საღებავებით მის აზნაურობას.

მალე მხატვრის მუშაობის საყურებლად შეჩერდა ბოსტანში მიმავალი ბიძია სიმონი მხარზე გადებული თოხით. ბატაილის ჩამოსვლის ამბავმა უკვე ორივე ფერმამდე მიაღწია და ფერმერებსაც არ დაუყოვნებია მოსვლა. ისინი ბარონის მეუღლესთან იდგნენ და აღტაცებულნი იმეორებდნენ: — რა მარჯვე კაცია, ასე კარგად რომ მუშაობს.

ორივე კარზე გერბების მოხატვა მხოლოდ მეორე დღეს, ისიც თერთმეტ საათზე დამთავრდა მაშინვე ყველანი იქ გაჩნდნენ. ეტლი გარეთ გამოაგორეს, უკეთ რომ დაენახათ.

უზადო ნამუშევარი იყო. ბატაილი ქათინაურებით აავსეს, მან კი ზურგზე ყუთი მოიკიდა და გასწია. ბარონმა, მისმა მეუღლემ, ჟანამ და ჟულიენმა ერთხმად განაცხადეს, რომ მხატვარი ფრიად ნიჭიერი კაცია და გარემოება რომ წყალობდეს, უეჭველია ნამდვილი ხელოვანი დადგებაო.

ეკონომიის მიზნით ჟულიენმა რეფორმები გაატარა, რამაც ახალ-ახალი ცვლილებები მოითხოვა.

ვიკონტმა თვითონ იკისრა ეტლის ტარება და, საკვებზე ფული რომ არ დახარჯოდა, ეტლის ცხენები გაყიდა. მოხუცი მეეტლე კი მებაღედ გადაიყვანა.

მაგრამ ვინმეს ხომ უნდა მოევლო ცხენებისათვის, როცა ბატონები ეტლიდან ჩამოვიდოდნენ, და მან ეტლის ლაქიად ახალგაზრდა მწყემსი მარიუსი აიყვანა.

ბოლოს, ცხენები რომ ყოველთვის ჰყოლოდა, მარტენებთან და კუიარებთან ხელშეკრულებაში სპეციალური მუხლი შეიტანა, რომლითაც ორივე ფერმერი ცალ-ცალკე ვალდებული იყო ყოველ თვეში ერთხელ, დანიშნულ დღეს, თითო ცხენი მიეყვანა. სამაგიეროდ ისინი აღარ გადაიხდიდნენ შინაური ფრინველის გადასახადს.

და აი, ერთხელ კურიარებმა მიუყვანეს დიდი წითელი ჯაგლაგი, ხოლო მარტენებმა პატარა თეთრბანჯგვლიანი ცხენი: ორივე ერთად შეაბეს და ბიძია სიმონის ძველ ლივრეაში ჩაფლულმა მარიუსმა ეკიპაჟი სასახლის პირმაღის წინ მოაგორა.

ჟულიენი გასუფთავებულიყო, გამოჭიმულიყო და ნაწილობრივ წინანდელი სიკოხტავე დაებრუნებინა, მაგრამ გრძელი წვერი მაინც ტლანქ შეხედულებას აძლევდა. მან შეათვალიერა ცხენები, ეტლი, პატარა ლაქია და ყველაფერი დამაკმაყოფილებლად მიიჩნია, რადგანაც იგი ყველაზე მეტად ახლად მოხატულ გერბს აფასებდა.

ბარონის მეუღლე ქმართან ხელჩაკიდებული ჩამოვიდა თავისი ოთახიდან, გაჭირვებით შევიდა ეტლში, დაჯდა და ზურგით ბალიშებს მიეყრდნო. ჟანაც გამოჩნდა. ჯერ მას ცხენების შეუსაბამობაზე გაეცინა, თეთრი, ამბობდა იგი, შვილიშვილად ეკუთვნისო წითელს, მაგრამ შემდეგ, როცა დაინახა მარიუსი, რომელსაც კოკარდიანი შლაპა მთელ სახეს დაუფარავდა, ცხვირს რომ არ შეეკავებინა ქუდი, და შეამჩნია, რომ ბიჭის ხელები სახელოთა სიღრმეში გაუჩინარებულიყო, ფეხები კი ლივრეის კალთებს დაემალა და ქვემოთ უცნაურად მოჩანდა ვეებერთელა ფეხსაცმელები, როცა დაინახა, როგორ გადასწევდა ხოლმე იგი თავს უკან, რაიმესათვის რომ შეეხედა, როგორ ადგამდა ფეხს, თითქოს მდინარის ფონში გადისო, როგორ ბრმასავით ეხეთქებოდა აქეთ— იქით, ბრძანებას რომ ასრულებდა, მთლად დამალული და გამქრალი სრული ტანსაცმელის ნაკეცებში, — ჟანა სიცილად გადაიქცა.

ბარონი შემობრუნდა, შეათვალიერა დაბნეული ბიჭი და იმ წუთში გადაედო შვილის სენი, სიცილი წასკდა და ცოლს დაუძახა ისე, რომ ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს: — შე-შე-შე-ხე-დე მა-მა-რი-უსს! რა სასაცილოა! ღმერთო ჩემო, რა სა-სა— ცი-ლოა!

მაშინ ბარონის მეუღლეც დაეყრდნო კარებს, შეხედა მარიუსს და ისე ახარხარდა, რომ ეტლმა ხტუნვა დაიწყო, თითქოს ძლიერი ნჯღრევისგან წაქცევას ლამობსო.

მგრამ ჟულიენი გაფითრდა და იკითხა: — რა გაცინებთ ასე? ხომ არ გაგიჟდით?!

ჟანას სიცილისგან ღონე გამოეცალა, სული ეხუთებოდა, თავს ვერ იკავებდა და

პარმაღის საფეხურზე ჩამოჯდა, ბარონიც ასევე მოიქცა; ეტლიდან კი გამწარებული ცხვირისცემინება და განუწყვეტელი კრუსუნი ისმოდა, რაც მოწმობდა, რომ ბარონის მეუღლე სიცილით იგუდებოდა. უეცრად მარიუსის ლივრეაც აცახცახდა. როგორც ჩანს, ბიჭიც მიხვდა რაში იყო საქმე და, ცილინდრის სიღრმეში ჩამძვრალი, თვითონ ჟულიენი ეცა ბიჭს და ისეთი სილა გააწნა, რომ უზარმაზარი შლაპა გადაძვრა და მინდორზე გადაფრინდა. შემდეგ თავის სიმამრს მიუბრუნდა და, სიბრაზით წამოიყვირა; — მე მგონია, თქვენ სულ ტყუილად იცინით, ჩვენ ასე არ ვიქნებოდით, რომ არ გაგვნიავებინათ თქვენი სიმდიდრე და არ გაგეფლანგათ თქვენი ქონება. ვისი ბრალია თუ გაკოტრდით?

მთელი მხიარულება ჩაკვდა და უეცრად შეწყდა. კრინტი არავის დაუძრავს. ჟანა მზად იყო ეტირა. იგი უხმოდ მოკალათდა დედამისის გვერდით. დამუნჯებული და დაბნეული ბარონი ქალების პირდაპირ დაჯდა, ჟულიენი კი კოფოზე მოეწყო მას შემდეგ, რაც იქ აათრია ასლუკუნებული და ლოყებდასიებული ბავშვი.

გზა გრძელი და მოსაწყენი აღმოჩნდა. ეტლში ჩუმად ისხდნენ. სამივე დაღვრემილი და შეძრწუნებული იყო და არ უნდოდათ გაემჟღავნებინათ, რა აღშფოთებდა მათ გულს. ისინი გრძნობდნენ რომ ყველა მათგანს ერთი აზრი აწუხებდა, არ შეეძლოთ სხვა რამეზე საუბარი და ამიტომ ნაღვლიან დუმილს ამჯობინებდნენ, ოღონდ არ შეხებოდნენ ამ მტანჯველ თემას.

ცხენების უთანაბრო ჩორთით ეტლი ფერმათა ეზოების ახლო მიდიოდა. ხანდახან კარეტა აფრთხობდა შავ ქათმებს, რომლებიც რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გარბოდნენ და მესერს ქვეშ ქრებოდნენ. ზოგჯერ ეტლს გააფთრებული ყეფით დაედევნებოდა ნაგაზი, შემდეგ კი შინ ბრუნდებოდა, მაგრამ ბალანაშლილი, მაინც უკან იხედებოდა და უყეფდა ეკიპაჟს. გზად შეხვედრილი გატალახიანებულ ხისფეხსაცმლიანი გრძელფეხა ჭაბუკი, ხელები ქარისგან ზურგში გამობერილი ლურჯი ხალათის ჯიბეებში რომ ეწყო, ნელა მოაბიჯებდა და, ეტლისათვის გზა რომ მიეცა, განზე გადგა, უშნოდ მოიშვლიპა ჩიხაქუდი და თავის ქალაზე მიწებებული სწორი თმები გამოაჩინა.

ფერმასა და ფერმას შორის გადაჭიმულიყო ვაკე, რომელზეც სხვა ფერმები გაფანტულიყვნენ.

ბოლოს ეკიპაჟი შევიდა ნაძვის ფართო ხეივანში, რომელიც გზას ემიჯნებოდა. ღრმა, ტალახით ამოვსებულ ღრანტეებზე ეტლი იხრებოდა და დედიკო დროდადრო შიშით წამოიყვირებდა ხოლმე. ხეივნის ბოლოს მოჩანდა თეთრი დაკეტილი ჭიშკარი. მარიუსი გაიქცა მის გასაღებად. მოხვეული გზით ეტლმა შემოუარა უზარმაზარ კორდს და მიადგა დარაბა

ჩარაზულ მაღალ და პირქუშ დიდ შენობას.

მოულოდნელად შუა კარები გაიღო და დაუძლურებული მოხუცი მსახური პატარა ნაბიჯით გვერდულად დაეშვა პარმაღიდან. მას ეცვა წითელი შავ ზოლებიანი ჟილეტი რომელსაც სანახევროდ ფარავდა წინსაფარი. მსახურმა სტუმრებს გამოკითხა გვარი, შეიყვანა ისინი ფართო სასტუმრო ოთახში და გაჭირვებით გააღო მუდამ ჩაკეტილი დარაბები. ავეჯი შალითაში, კედლის საათი და საკანდლე კი თეთრ ტილოში იყო გახვეული, ხოლო წარსული დღეების გამყაყებული ცივი და ნესტიანი ჰაერი თითქოს სევდით ჟღინთავდა ფილტვებს, გულსა და კანს.

სტუმრები დასხდნენ და იცდიდნენ ზედა სართულის დერეფნიდან აღწევდა ნაბიჯების ხმა, რაც უჩვეულო ფუსფუსის მაუწყებელი იყო ციხე-დარბაზის მცხოვრებნი, რომლებსაც მოულოდნელად წაადგნენ თავს, სწრაფად იცვამდნენ. მაგრამ სტუმრებს მაინც დიდხანს დასჭირდათ ლოდინი. რამდენჯერმე დარეკეს ზარი. ვიღაც არბოდა და ჩამორბოდა კიბეზე.

ძლიერი სიცივისაგან გათოშილი ბარონის მეუღლე უძრავად იჯდა და ყოველ წუთში ცხვირს აცემინებდა, ჟულიენი ბოლთას სცემდა. მოღუშული ჟანა დედის გვერდით იჯდა, ხოლო ბუხრის მარმარილოს მიყრდნობილი ბარონი თავჩაღუნული იდგა.

ბოლოს ერთ-ერთი მაღალი კარი გაიღო და გამოჩნდნენ ვიკონტე ბრიზვილი და მისი მეუღლე. ორივე პატარა იყო, გამხდარი, გაურკვეველი ასაკისა, ცერემონიული და ოდნავ შეცბუნებული. ცოლს აბრეშუმის ნაყშებიანი კაბა ეცვა თავზე მოხუცი ქალის ბაფთიანი ჩაჩი ეხურა. იგი ლაპარაკობდა სწრაფად წივანა ხმით.

ქმარს საზეიმო სერთუკი ეცვა და მუხლჩახრით იძლეოდა სალამს. მისი ცხვირი, თვალები, გადმოყრილი კბილები, თითქოს გასანთლული თმები და დიდებული სადღესასწაულო ტანსაცმელი ისე პრიალებდა, როგორც ნივთები რომელსაც საგანგებოდ უვლიან.

პირველ მისალმებათა და კეთილმეზობლური მოკითხვის შემდეგ ვერცერთმა ვერ გამონახა სათქმელი. მაშინ ორივე მხარემ, თუმცა ეს სრულებით არ იყო საჭირო, კიდევ ერთხელ კმაყოფილება და იმედი გამოთქვა, რომ შეინარჩუნებდნენ ესოდენ სასიამოვნო ნაცნობობას. როდესაც წლობით ცოცხლობ სოფელში, ასეთი შეხვედრები დიდი შვებაა.

სასტუმრო ოთახის გაყინული ჰაერი კი ძვალში აგანდა და ყველას ხმა ჩაეხლიჩა. ახლა

ბარონის მეუღლე ცხვირსაც აცემინებდა და კიდეც ახველებდა. მაშინ ბარონმა ანიშნა წავიდეთო. ბრიზვილებმა თავი გამოიდეს : — როგორ? ასე მალე? დარჩით კიდევ ცოტა ხანს.

მაგრამ ჟანა უკვე წამოდგა, თუმცა ჟულიენი, რომელსაც ვიზიტი მეტად ხანმოკლე ეჩვენა, ანიშნებდა დავრჩეთო.

მასპინძლებს სურდათ მსახური გამოეძახათ და ებრძანებინათ ეტლი ჩამოაყენეთო, მაგრამ ზარი არ მუშაობდა. მაშინ ოჯახის უფროსი მაშინვე გაიქცა და უკან რომ დაბრუნდა, განაცხადა, ცხენები თავლაში მოუთავსებიათო.

საჭირო გახდა დაცდა. თვითეული ეძებდა ფრაზას ან ერთ სიტყვას, რომ კიდევ რაიმე ეთქვათ. ილაპარაკეს წვიმიან ზამთარზე. უნებლიედ აცახცახებულმა ჟანამ იკითხა, რას აკეთებენ მარტოხელა მასპინძლები მთელი წლის განმავლობაშიო. ბრიზვილები გააოცა ამ შკითხვამ; მათ ხომ არასოდეს მოცლა არ ქონდათ, რადგან დიდი მიმოწერა ქონდათ საფრანგეთში გაფანტულ თავის დიდგვაროვან ნათესავებთან, გართული იყვნენ წვრილმანი საქმეებით ერთი მეორეს უცხოებივით ცერემონიულად ეკიდებოდნენ და დიდი მოწიწებით საუბრობდნენ სრულიად უმნიშვნელო საქმეებზე.

და უკაცრიელ, ფართო სასტუმროს მაღალ და გაშავებულ ჭერ ქვეშ, სადაც ყველაფერი შალთაში იყო შეხვეული, ეს სუსტი, სუფთა, თავაზიანი ცოლ-ქმარი, ჟანას მუმიად ქცეულ აზნაურებად მოეჩვენა. როგორც იქნა ეტლმა, რომელსაც ორი შეუსაბამო ცხენი მოათრევდა, ფანჯრის წინ ჩაიარა. მაგრამ ახლა მარიუსი გაქრა. ეგონა, საღამომდე თავისუფალი იყო და ალბათ, სასეირნოდ წავიდა ახლო-მახლო.

გამძვინვარებულმა ჟულიენმა მასპინძლებს თხოვა, რომ მარიუსი ფეხით გამოეშვათ უკან და მრავალგზის ურთიერთ მოკითხვის შემდეგ შინ, ჩინარში გაემგზავრნენ.

როგორც კი ეტლში ჩასხდნენ ჟანამ და მამამისმა ჟულიენის უხეშობის გამო აკვიატებული მოგონებების მიუხედავად, დაიწყეს სიცილი და ბრიზვილების ჟესტებისა და ინტონაციის გამოჯავრება. ბარონი ქმარს ბაძავდა. ჟანა კი ცოლს, მაგრამ ბარონის მეუღლემ თავისი აზნაურული ტრადიციების შეურაცხყოფა იგძნო და შენიშნა: — თქვენ ცდებით, ასე რომ დასცინით მათ. ისინი ძალიან პატივსაცემი ხალხია, საუკეთესო გვარს ეკუთვნიან.

დედიკო რომ არ გაეჯავრებინათ ისინი დადუმდნენ, მაგრამ დროდადრო თავს მაინც ვერ იკავებდნენ და ერთმანეთს გადახედავდნენ თუ არა, ხელახლა იწყებდნენ მასხარაობას.

ბარონი ცერემონიულად იძლეოდა სალამს და მედიდური ტონით ამბობდა : — თქვენი სასახლე ჩინარში მეტად ცივი უნდა იყოს, ქალბატონო იმ მუდმივი ქარის გამო, რომელიც ზღვიდან ქრის.

ჟანამ ნაწყენი სახე მიიღო და პრანჭვა-გრეხვით უპასუხა, თან თავს აქნევდა, როგორც იხვი ცურვის დროს: — ოჰ, რას ამბობთ ბატონო. მე უამრავი საქმე მაქვს მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა ჩვენ უამრავი ნათესავი გვყავს და წერილებსაც ხშირად ვწერთ ერთმანეთს. ბატონი დე ბრიზვილი ყველაფერს მე მაკისრებს. თვითონ კი მოძღვართან ერთად მეცნიერული გამოკვლევებითაა დაკავებული. ისინი ერთად წერენ ნორმანდიის რელიგიის ისტორიას.

ბარონის მეუღლე მშვიდად და ნაწყენი იღიმებოდა თან იმეორებდა; — არ ვარგა ჩვენი წრის ასეთი დაცინვა.

მაგრამ უეცრად ეტლი შეჩერდა. ჟულიენი უკან იხედებოდა, ყვიროდა და ვიღაცას ეძახდა.

ჟანამ და ბარონმა ფანჯარაში თავი გაჰყვეს და შეამჩნიეს უცნაური არსება, რომელიც თითქოს მოგორავდა მათკენ. ეს მარიუსი იყო. მას ფეხები ებლანდებოდა ლივრეის მოფრიალე კალთებში და ვერაფერს ხედავდა ცილინდრის ქვეშ, რომელიც წარამარა ეფხატებოდა თვალებზე. იგი წისქვილის ფრთებივით იქნევდა ხელებს, უკანმოუხედავად მოაბოტებდა ყველა გუბეში, ბორძიკობდა ყველა ქვაზე, რაც კი გზად ხვდებოდა, და ტალახში მთლად ამოთხუპნული ცქმუტვითა და ხტუნვით გამალებით მოსდევდა ეტლს.

როგორც კი მარიუსი დაეწია ეტლს, ჟულიენი დაიხარა, ჩასჭიდა ხელი საყელოში, თავისკენ მიიზიდა, ხელი გაუშვა სადავეებს და მუშტები ტყვიასავით დაუშინა ქუდს თითქოს დოლიაო, და მხრებამდე ჩამოაფხატა იგი. ბიჭი შლაპის ქვეშ ღრიალებდა, ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა, კოფოდან გადამხტარიყო მაგრამ ბატონი ერთი ხელით მას იკავებდა, ხოლო მეორეთი კვლავ განუწყვეტლივ ურტყამდა.

თავზარდაცემულმა ჟანამ დაიყვირა: — მამა... ოჰ! მამა...

საშინლად აღშფოთებულმა ბარონის მეუღლემ ხელი ჩასჭიდა ქმარს: — ბოლოს და ბოლოს, გააჩერე იგი, ჟაკ!

ბარონმა სწრაფად დაუშვა ეტლის ფანჯარა ხელი სტაცა სიძეს და რისხვისაგან

ათრთოლებული ხმით დაიყვირა : — დაანებებთ თუ არა თავს ამ ბავშის სცემას?

განცვიფრებული ჟულიენი შემობრუნდა: — ნუთუ ვერ ხედავთ, რას დაამსგავსა ამ საძაგელმა ლივრეა.

მაგრამ ბარონმა თავი გაჰყო მათ შორის და თქვა: — სულ ერთია! როგორ შიძლება ასეთი მხეცი იყოთ.

ჟულიენი აენთო: — დამანებეთ თავი თუ შეიძლება ეს თქვენი საქმე არ არის.

და მან ისევ ასწია ხელი მაგრამ, სიმამრმა ჰაერშივე დაიჭირა იგი და ისეთი ძალით დააშვებინა, რომ ხის კოფოს მოხვდა. ამავე დროს მრისხანედ დაიყვირა:

— თუ არ შეწყვეტთ, გადმოვალ და შეგაწყვეტინებთ!

ვიკონტი ერთბაშად დაცხრა. უსიტყვოდ აიჩეჩა მხრები და გადაუტყლაშუნა ცხენებს, რომლებიც სწრაფი ჩორთით დაიძრნენ.

მკვდარივით გაფითრებული ორივე ქალი გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ ბარონის მეუღლის, გულისცემა ისმოდა გარკვევით.

სადილზე ჟულიენს თავი ისე ეჭირა თითქოს არაფერი მომხდარაო, ჩვეულებრივზე თავაზიანადაც კი. ჟანა, მამამისი და ქალბატონი ადელაიდა თავის მშვიდი კეთილმოსურნეობის გამო იოლად ივიწყებდნენ წყენას და სიძის თბილი მოპყრობით გულმომბალნი, მხიარულებას მიეცნენ იმ საამო გრძნობით, რასაც მოკეთებული ავადმყოფები განიცდიან. როცა ჟანამ ხელახლა ჩამოაგდო საუბარი ბრიზვილებზე, ქმარმა თვითონ გაიხუმრა, მაგრამ იმ წამსვე დასძინა: — სულ ერთია. ისინი ნამდვილი არისტოკრატები არიან.

სხვაგან ვიზიტად აღარ წასულან, ყველას ეშინოდა მარიუსის ამბავი არ განმეორებულიყო. მხოლოდ გადაწყვიტეს, რომ მეზობლებს გაუგზავნიდნენ საახალწლო ბარათებს, ხოლო ინახულებდნენ გაზაფხულის პირველივე თბილ დღეებში.

შობა დადგა. სადილად ჰყავდათ მღვდელი, მერი და მისი ცოლი. ისინი ახალი წლისათვის დაპატიჟეს. ეს იყო ერთადერთი შესაქცევი ერთმანეთზე მიყოლებულ მონოტონურ დღეებში.

მამა და დედიკო ცხრა იანვარს უნდა წასულიყვნენ ჩინარიდან. ჟანამ მოინდომა ცოტა

ხნით შეეჩერებინა ისინი, მაგრამ ჟულიენმა არ დაუჭირა მხარი და ბარონმა, რომელიც ხედავდა სიძის დღითიდღე მზარდ გულცივობას, რუანიდან საფოსტო ეტლი გამოიძახა.

გამგზავრების წინა დღეს, ბარგის ჩალაგებას რომ მორჩნენ, რაკი მოწმენდილი, სუსხიანი ამინდი იდგა, ჟანამ და მამამისმა გადაწყვიტეს იპორში გასეირნება, სადაც ერთხელაც არ ყოფილან კორსიკიდან ჟანას დაბრუნების შემდეგ.

მათ გადაჭრეს ტყე, სადაც ჟანას ქორწინების დღეს ხელიხელჩაკიდებული ხეტიალობდა იმ ადამიანთან, ვისი თანამგზავრიც გახდა სამუდამოდ; ტყე, სადაც იგემა პირველი ალერსი, იგრძნო იმ ვნებიანი სიყვარულის მაუწყებელი პირველი თრთოლვა, რომელიც მხოლოდ უტას ველურ მინდორზე შეიცნო წყაროს ახლოს, სადაც ისინი იკლავდნენ წყურვილს და წყალთან ერთად კოცნასაც ეწაფებოდნენ.

აქ აღარ იყო არც ფოთლები, არც აქოჩრილი ბალახი. არაფერი, გარდა ტოტების შარიშურისა და შრიალისა, რომელიც გატიტვლებულ ზამთრის ტყეში ისმის ხოლმე.

ისინი შევიდნენ პატარა სოფელში. დაცარიელებული და მდუმარე ქუჩები ისევ ისე იყო გაჟღენთილი ზღვის, წყალმცენარეებითა და თევზის სუნით. კარების წინ გაშლილი ან რიყეზე გადაჭიმული დიდი მურა ბადეები ძველებურად შრებოდნენ. ცივი და რუხი ზღვა მარად ბობოქარი ქაფით უკან იხევდა და აშიშვლებდა მომწვანო ქვებს კლდოვანი თხემის ძირში ფეკანის ახლოს, ხოლო მთელი ნაპირის გასწვრივ მუცლით დამხობილი დიდრონი ნავები გამორიყულ თევზებს ჰგავდნენ. საღამოვდებოდა და მეთევზეები, რომლებსაც ყელზე შალის შარფები შემოეხვიათ და მაღალი საზღვაო ჩექმები ეცვათ, ჯგუფ-ჯგუფად ჩადიოდნენ ნაპირზე, ერთ ხელში არაყიანი მათარა ეჭირათ, ხოლო მეორეში ნავის სანათურები. დიდხანს ტრიალებდნენ ისინი წაფერდებული ნავის გარშემო, ნორმანდიული სიდინჯით ალაგებდნენ პატარა გემებში ბადეებს, სათევზაო ხელსაწყოებს, პურის კვერს, კარაქიან ქოთნებს, ჭიქასა და სპირტიან ბოთლს. შემდეგ ასწევდნენ ნავს და ზღვაში უბიძგებდნენ. ნავი ზათქით მიგორავდა კენჭებზე, აპობდა ქაფს, ადიოდა ტალღებზე, ქანაობდა რამდენიმე წამს, შლიდა თავის მუქ ფრთებს და წყვდიადში ქრებოდა ანძის წვერზე დამაგრებული პატარა ნათურით.

ხოლო მეზღვაურთა მაღალი ცოლები, რომელთა ტლანქი ძვლები ტანსაცმლის ქსოვილში იკვეთებოდა, უკანასკნელი მეთევზის გამგზავრებას უცდიდნენ და მხოლოდ შემდეგ ბრუნდებოდნენ მიძინებულ სოფელში, თავიანთი მყვირალა ხმით აფრთხობდნენ ბნელი ქუჩის ღრმა ძილს.

ბარონი და ჟანა გაუნძრევლად იდგნენ და უყურებდნენ, თუ როგორ ინთქმებოდნენ სიბნელეში ადამიანები, რომლებიც ყოველ ღამე გადიოდნენ ზღვაში, საფრთხეში აგდებდნენ სიცოცხლეს, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ და მაინც იმდენად ღატაკები იყვნენ, რომ ვერასდროს ვერ ჭამდნენ ხორცს.

ოკეანის სანახაობით აღტაცებულმა ბარონმა წაიჩურჩულა: — რა მრისხანეა და რა ლამაზი, რა დიდებულია ეს წყვდიადით მოცული ზღვა, სადაც, ვინ იცის, რამდენი სიცოცხლეა განსაცდელში! ჟანეტა?

ჟანამ ცივი ღიმილით უპაუხა: — ხმელთაშუა ზღვას მაინც ვერ შეედრება.

მაგრამ მამა აღშფოთდა: — ხმელთაშუა ზღვას! ზეთი, სიროფი, ლილიანი წყალი როფში. ერთი ამას შეხედე რა მრისხანეა ივი, რა ქაფიანი ქოჩრებია! და იფიქრე იმ ადამიანებზე, რომლებიც ზღვაში გავიდნენ და უკვე თვალსაც ვერ მოჰკრავ.

ქალმა ამოიოხრა და დაეთანხმა: — კარგი თუ შენ ასე გსურს, — მაგრამ სიტყვამ „ხმელთაშუა ზღვა", რომელიც წამოსცდა და მარწუხივით ჩაერჭო გულში, ჟანას ფიქრები დაუბრუნა იმ შორეულ მხარეებს, სადაც დასამარდნენ მისი ოცნებები.

ნაცვლად იმისა, რომ ტყით დაბრუნებულიყვნენ, მამა და შვილი გზაზე გავიდნენ და ნელა აჰყვნენ ციცაბო ნაპირს, მოსალოდნელი განშორებით დაღონებულნი, ისინი თითქმის არ ლაპარაკობდნენ.

ზოგჯერ, როცა რომელიმე ფერმის ახლოს მოუხდებოდათ ჩავლა, მათ სახეში სცემდათ დასრესილი ვაშლის სუნი — ახლად მოწურული სიდრის სურნელება, რომლითაც წელიწადის ამ დროში გაჟღენთილია ნორმანდიის ყველა სოფელი. ხან კიდევ ბოსლის სასიამოვნო და თბილი სუნი, რომელიც ძროხის პატივს ასდის. ეზოს სიღრმეში განათებული პატარა ფანჯარა მოწმობდა, რომ იქ საცხოვრებელი იყო.

ჟანას ეჩვენებოდა, რომ მისი სული ფართოვდებოდა და წვდებოდა უხილავს, ხოლო როცა ველად გაფანტული პატარა სინათლეები დაინახა, უეცრად განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო ყველა ცოცხალი არსების მარტოობა, არსებათა, რომელთაც ყველაფერი თიშავს, ყველაფერი განაშორებს, ყველაფერი წყვეტს იმას, რაც მათთვის ძვირფასი იქნებოდა.

მაშინ ჟანამ მორჩილი ხმით თქვა: — ყოველთვის მხიარული როდია წუთისოფელი.

ბარონმა ამოიოხრა: — რას იზამ, ვოვონა, ეს ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება.

და მეორე დღეს მამა და დედიკო გაემგზავრნენ, ჟანა და ჟულიენი კი მარტო დარჩნენ.

თავი VII

აქედან მოკიდებული ბანქო გახდა ახალგაზრდების მთავარი გასართობი. ყოველდღე, ნასაუზმევს, ჟულიენი ჩიბუხს აბოლებდა, ნელ-ნელა წრუპავდა ექვს ან რვა სირჩა კონიაკს და ბაზიგის რამდენიმე პარტიას ეთამაშებოდა ცოლს.

შემდეგ ჟანა თავის ოთახში ადიოდა, ფანჯარასთან ჯდებოდა და სანამ წვიმა და ქარი მინებს უკაკუნებდა, ბეჯითად ქარგავდა ქვედა კაბის მორთულობას. როცა დაიღლებოდა, თავს ასწევდა და შორს აქაფებულ ჩაბნელებულ ზღვას მისჩერებოდა. ამ წუთიერი უაზრო ჭვრეტის შემდეგ იგი ისევ უბრუნდებოდა ხელსაქმეს.

თუმცა მას სხვა არაფერი საქმე ჰქონდა, რადგან ძალაუფლების მოყვარული და მომჭირნეობის ავადმყოფური სურვილით შეპყრობილი ჟულიენი თვითონ მართავდა მთელ მეურნეობას. ჟულიენი უზომო სიძუნწეს იჩენდა, მსახურებისათვის არავის ფულს არ აჩუქებდა, აუცილებლობამდე ამცირებდა სუფრის ყოველდღიურ ხარჯს. ჩინარში ჩამოსვლისთანავე ჟანა ყოველ დილით მეფუნთუშეს პატარა ნორმანდიულ ლავაშს აცხობინებდა, ჟულიენმა ეს ხარკიც გააუქმა და გრენკებით დაკმაყოფილდა.

თავიდან რომ აეცილებინა ახსნა-განმარტება, კამათი და ჩხუბი, ჟანა არაფერს ამბობდა, მაგრამ ისრის ჩაცემასავით ტანჯავდა ქმრის სიძუნწის ყოველი ახალი გამოვლინება. ისეთ ოჯახში აღზრდილ ჟანას, სადაც ფულს არაფრად აგდებდნენ, ეს სიმდაბლე და სიბილწედ მიაჩნდა. რამდენჯერ გაუგონია დედიკოს სიტყვები:

„ფული იმიტომ არსებობს, რომ დაიხარჯოს", ახლა კი ჟულიენი ხშირად ეუბნებოდა: "ნუთუ არასოდეს მოიშლი შენ ჩვეულებას და არ გადაეჩვევი ფულების ფანტვას?" ყოველთვის, როგორც კი ჟულიენი რამდენიმე სუთი შეკვეცდა ხელფასს ან მოტანილ ანგარიშს, ფულს ჯიბეში უკრავდა თავს და ღიმილით იტყოდა ხოლმე: „პატარ-პატარა წყაროები ქმნიან დიდ მდინარეებს".

ისეთი დღეებიც იყო ხოლმე, როცა ჟანა ისევ ოცნებობდა. სამუშაოს გვერდზე გადადებდა, ხელებს დაუშვებდა, მზერა დაებინდებოდა და როგორც ქალიშვილობისას,

თხზავდა მიმზიდველ რომანებს, მთელი ოცნებით გადაეშვებოდა ხოლმე მომხიბვლელ თავგადასავლებში. მაგრამ უეცრად ჟულიენის ხმას, ბრძანებას რომ აძლევდა ბიძია სიმონს, იგი გამოჰყავდა მთვლემარე ოცნებიდან, ისევ ჰკიდებდა ხელს თავის საკირკიტო სამუშაოს, გუნებაში ამბობდა : „მორჩა, გათავდა ყველაფერი“, და ნემს გაჩრილ თითებზე ცრემლები ეღვრებოდა.

შეიცვალა ოდესღაც მხიარული და კეკლუცი როზალიაც. ლოყები ჩაუცვივდა და გაუფერმკრთალდა, ზოგჯერ მიწისფერიც კი ედებოდა.

ჟანა ხშირად ეკითხებოდა მას: — ავად ხომ არ ხარ, ჩემო გოგო?

მოახლე კი ყოველთვის პასუხობდა: — არა, ქალბატონო, — ლოყები ოდნავ შეუფაკლდებოდა და იმწამსვე გაუჩინარდებოდა.

როზალია წინანდებურად ვეღარ დარბოდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს, აღარც კოხტაობდა და ხელზე მოვაჭრენი ამაოდ ცდილობდნენ მოეხიბლათ იგი აბრეშუმის ლენტებით, კორსეტებით, მრავალნაირი პარფიუმერიით.

ვეებერთელა პირქუში სახლი, წვიმისაგან ძველი ნაცრისფერი ზოლებით, დალაქიანებული ფასადით მიყრუებული ჩანდა.

იანვრის ბოლოს დათოვა. შორიდან ჩანდა, როგორ მოცურავდნენ მოღუშულ ზღვაზე ჩრდილოეთის ღრუბლები და უცაბედად თოვლის ფანტელებმა იწყეს ცვენა. ერთ ღამეში მთელი ველი გადათეთრდა და დილით რთვილში გახვეული ხეები მოევლინა იქაურობას.

ჟულიენმა მაღალი ჩექმები ჩაიცვა, ულაზათოდ გამოეწყო და წვერ გაბურძგნული, ბუჩქებს ამოფარებული, მთელ დროს ჭალის ბოლოში ატარებდა თხრილში, რომელიც ლანდებზე[2] გადადიოდა, და ფრინველებს უდარაჯდებოდა. დროდადრო თოფის ხმა არღვევდა ველების გათოშილ სიჩუმეს, შეშინებულ ყორანთა გუნდი აფრინდებოდა მაღალი ხეებიდან და ჰაერში ტრიალებდა.

მოწყენილობით დაუძლურებული ჟანა ხანდახან სახლის წინ გამოდიოდა. სიცოცხლის ხმაური სადღაც შორიდან სწვდებოდა, და ექოს გამოსცემდა დედამიწის ფერმიხდილი და

[2] ლანდები - სილიანი ველი საფრანგეთის ჩრდილოეთში.

პირქუში სუდარის სიზმარეულ მდუმარებაში.

ცოტა ხნის შემდეგ მას ესმოდა მხოლოდ შორეული ტალღების ბუბუნი და გაურკვეველი და გამუდმებული სრიალი ყინვის მტვერისა, შეუჩერებლივ რომ ცვიოდა.

თოვლის საფარი კი იზრდებოდა და იზრდებოდა, განუწყვეტლივ ცვიოდა თოვლის ხშირი და მსუბუქი ფანტელები.

ერთ ასეთ უფერულ დილა ჟანა უძრავად იჯდა თავის ოთახში და ფეხებს ითბობდა, როზალია კი, რომელიც დღითიდღე სულ უფრო იცვლებოდა, ნელა ასწორებდა ლოგინს. უცბად ჟანას ზურგს უკან მწვავე ამოოხვრა მოესმა.

— რა დაგემართა?— კითხა მან ისე, რომ არ შებრუნებულა. მოახლემ, როგორც ყოველთვის, უპასუხა: — არაფერი ქალბატონო. მაგრამ მისი ხმა ძლივს ისმოდა.

ჟანა უკვე სხვა რამეზე ფიქრობდა, როცა შენიშნა, რომ როზალიას ბაიბური არ ისმოდა. მან დაიძახა: — როზალია!

არავინ გაეპასუხა. ჟანამ იფიქრა შეუმჩნევლად გასულაო და უფრო ხმამაღლა დაიყვირა: — როზალია.

და ის იყო ხელი გასწია ზარის დასარეკად, რომ სულ ახლოს მძიმე კვნესა მოესმა და შეშინებული წამოხტა.

მკვდარივით გაფითრებული მოახლე იატაკზე იჯდა, ფეხები გაეშალა, საწოლის ზურგს მიყრდნობოდა და თვალებს აცეცებდა.

ჟანა მივარდა: — რა დაგემართა, რა დაგემართა?

როზალიამ არაფერი უპასუხა, ოდნავადაც კი არ შერხეულა. იგი უაზროდ მიაშტერდა თავის ქალბატონს. საშინელი ტკივილისაგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა. შემდეგ უეცრად მთელი სხეული დაეჭიმა, პირაღმა დაეცა და კბილს კბილზე აჭერდა, ტკივილისაგან რომ არ დაეყვირა.

გაშლილ ფეხებზე გადაჭიმული მისი კაბის ქვეშ ამ დროს რაღაც ამოძრავდა. იმ წუთშივე უეცრად იქიდან უცნაური ხმა, რაღაც ბუყბუყი მოისმა, თითქოს ვიღაცას სული ეხუთებოდა და ირჩობოდა; მას მოჰყვა გაბმული კნავილი, სუსტი, მაგრამ უკვე გაწამებული ხმა პირველი

ჩვილი ბავშვისა, რომელიც ცხოვრებაში შემოდის.

ჟანა მყისვე მიხვდა ყველაფერს, სულ მთლად შეშფოთებული ეცა კიბეებს და დაიყვირა: — ჟულიენ, ჟულიენ!

ჟულიენმა ქვემოდან უპასუხა: — რა გინდა ?

ჟანამ ძლივს წარმოთქვა: — იქ... იქ... როზალიამ...

ჟულიენმა თვალის დახამხამებაში, ისე რომ ორ-ორ საფეხურს ახტებოდა, აირბინა კიბე და საძინებელ ოთახში შევარდა, ხელის ერთი მოქნევით აუწია ქალიშვის ქვედა კაბა და დაინახა დანაოჭებული, წკმუტუნა და მთლად ლორწოვანი ხორცის ამაზრზენი გუნდა, რომელიც დედის გაშიშვლებულ ფეხებში იკრუნჩხებოდა და ფართხალებდა.

გაბოროტებული ჟულიენი წელში გაიმართა და დაბნეული ცოლი ოთახიდან გააგდო.

— აქ არფერი გესაქმება. გასწი აქედან და გამომიგზავნე ლუდივინა და ბიძია სიმონი.

მთლად აცახცახებული ჟანა სამზარეულოში ჩავიდა და რაკი ისევ ზევით ასვლა ვერ გაბედა, შევიდა სასტუმრო ოთახში, რომელიც მისი მშობლების გამგზავრების შემდეგ არ გამთბარა და იქ მოუსვენრად უცდიდა ახალ ამბავს.

მალე მან დაინახა, როგორ გავარდა სახლიდან მსახური და ხუთი წუთის შემდეგ მოიყვანა დანტიუს ქვრივი, ამ სოფლის ბებია ქალი.

კიბეზე ჩოჩქოლი ატყდა თითქოს დაჭრილი მოჰყავდათ, ჟულიენი მოვიდა და ჟანას უთხრა, შეგიძლია შენს ოთახში ახვიდეო.

ჟანა ისე ცახცახებდა, თითქოს რაიმე უბედურ შემთხვევას შეესწროო, ისევ დაჯდა ბუხართან და იკითხა: — როგორ არის როზალია?

გაოგნებული ჟულიენი ოთახში მოუსვენრად ბოლთას სცემდა. ჩანდა, იგი სიბრაზეს აეტანა. მან არ უპასუხა ცოლს, რამდენიმე ხანს შეყოყმანდა და შემდეგ ჰკითხა: — რას უპირებ ამ გოგოს?

ჟანამ გაოცებით შეხედა ქმარს.

— როგორ? რა გინდა თქვა? ვერ გავიგე.

ჟულიენი უეცრად აენთო და დაიყვირა: — ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ბავშვი ვიყოლიოთ სახლში.

ჟანა შეძრწუნდა, მაგრამ დიდი ფიქრის შემდეგ თქვა: — როგორ ფიქრობ, ჩემო მეგობარო, არ შეიძლება იგი გავაძიძოთ?

ქმარმა სიტყვა შეაწყვეტინა.

— მერე ფულს ვინ გადაიხდის? რასაკვირველია შენ არა?

ჟანამ ისევ დიდხანს ეძება გამოსავალი და ბოლოს უთხრა: — ალბათ, ბავშვის მამა იზრუნებს მისთვის, ხოლო თუ როზალიას შეირთავს, ყველაფერი მოგვარდება.

ჟულიენს მოთმინების ფიალა აევსო და გააფთრებულმა დაიღრიალა: — მამა!... მამა!... იცი ვინ არის იგი... მისი მამა? არ იცი, ხომ? მაშ რა გინდა?

აღელვებული ჟანა გამოცოცხლდა: იგი ხომ არ დატოვებს ქალიშვილს, მაშინ უნამუსო იქნება! ჩვენ გავიგებთ მის ვინაობას, მოვძებნით და ახსა-განმარტებასაც მოვთხოვთ.

ჟულიენი დაწყნარდა და ისევ დაიწყო ოთახში სიარული: — ჩემო ძვირფასო, მას არ სურს გაამხილოს იმ კაცის სახელი; თუ იგი მე არ მეუბნება, შენ გეტყვის?.. და თუ იმ კაცს აღარ უნდა ეს ქალი? ჩვენ ხომ ვერ მივცემთ ჭერს უქმრო დედას თავისი ნაშიერით, გასაგებია ეს შენთვის?

ჟანა დაჟინებით იმეორებდა.

— მაშინ იგი არამზადაა, ის კაცი! მაგრამ მაინც მოვძებნით მას და ჩვენთან ექნება საქმე.

ჟულიენი მთლად გაწითლდა და აუმაღლა ხმას.

— კარგი, მაგრამ... ახლა რა ვქნათ?

ჟანამ არ იცოდა რა გადაეწყვიტა და ქმარს ჰკითხა: — თქვენ თვითონ რას ფიქრობთ?

ჟულიენმა დაუყოვნებლივ გამოთქვა თავისი აზრი: — მე სულ უბრალოდ მოვიქცეოდი: ცოტა ფულს მივცემდი და კისერიც უტეხია თავის ლაწირაკთან ერთად.

მაგრამ ახალგაზრდა ქალი აღშფოთდა და არ დაეთანხმა.

— ეგ არასოდეს მოხდება. ის გოგონა ჩემი ძუძუმტეა, ჩვენ ერთად გავიზარდეთ. ძლიერ დასანანია, რომ მან შესცოდა, მაგრამ რა გაეწყობა. ამისათვის ქუჩაში მაინც ვერ გავაგდებ და თუ სხვა გვარად არ მოხერხდა მე გავუზრდი ბავშვს.

მაშინ ჟულიენი საშინლად გააფთრდა: — კარგ სახელს კი მოვიხვეჭთ! ჩვენი გვარისა და ჩვენი მდგომარეობის ხალხი, ყველა იტყვის, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ ბიწიერებას, ვმფარველობთ ნათრევ დედაკაცებს. წესიერი ადამიანები ფეხსაც არ შემოდგამენ ჩვენთან. არა, ეს რა აზრი მოგივიდა თავში? შენ ჭკუაზე არა ხარ!

ჟანა დამშვიდდა: — არავის დავანანებ, რომ როზალია გააგდონ. და თუ შენ არ გინდა ვიყოლიოთ იგი, დედაჩემი წაიყვანს თავისთან. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ შევიტყობთ ვინ არის ბავშვის მამა?

გაცოფებულმა ჟულიენმა კარები გაიჯახუნა და ყვირილით გავიდა ოთახიდან: — რა სულელური შეხედულებები აქვთ ქალებს!

ნაშუადღევს ჟანა მშობიარესთან ავიდა. იგი დანტიუს ქვრივის მეთვალყურეობის ქვეშ თვალებდაჭყეტილი უძრავად იწვა საწოლში, ხოლო მომვლელი ქალი მკლავზე გადაწვენილ ახალშობილს ანანავებდა.

როგორც კი როზალიამ თავისი ქალბატონი დაინახა, მაშინვე ატირდა, თავზე საბანი წაიხურა და მთლად სასოწარკვეთილი, ქვითინისაგან აცახცახდა. ჟანას უნდოდა ეკოცნა, მაგრამ როზალია არ ანებებდა, სახეს მალავდა. მაშინ საქმეში მომვლელი ჩაერია, ძალით გადახადა სახეზე საბანი და როზალიაც დანებდა, თუმცა ისევ ტიროდა მაგრამ უკვე წყნარად.

ბუხარში მკრთალი ცეცხლი ღვიოდა. ციოდა. ბავშვი ტიროდა. იმის შიშით, რომ როზალიამ ხელახლა არ ინერვიულოსო, ჟანამ ვერ გაბედა სიტყვა ჩამოეგდო პატარაზე. მას მხოლოდ მოახლის ხელი ეკავა და ანგარიშმიუცემლად იმეორებდა: — ეს არაფერია, ეს არაფერია.

საბრალო გოგონა, მალულად უყურებდა მომვლელს და ჩვილის ყოველ წამოკნავლებაზე კრთებოდა. ღრმა მწუხარებას ჯერ არ გაევლო. იგი დროდადრო კიდევ ამოხეთქავდა ხოლმე გულამოსკვნილი სლუკუნით, ხოლო შეკავებული ცრემლები ყელში აწვებოდა.

ჟანამ კიდევ ერთხელ აკოცა მას და სულ ჩუმად ყურში ჩასჩურჩულა: — ნუ ღელავ. ჩემო კარგო, ჩვენ ვიზრუნებთ მასზე.

და რადგან როზალია ისევ სატირლად მოემზადა, ჟანა სასწრაფოდ გაეცალა.

ჟანა ყოველდღე ნახულობდა როზალიას და ისიც თავისი ქალბატონის დანახვისას გულამოსკვნილი ქვითინებდა.

ბავშვი მეზობელ ქალს მისცეს გასაზრდელად.

ჟულიენი კი ძლივძლივობით ელაპარაკებოდა ცოლს, თითქოს მისი საშინელი მგრობა გულში ჩაემარხა მას შემდეგ, რაც უარი თქვა გაეგდო მოახლე გოგო. ერთ დღეს იგი ისევ დაუბრუნდა ამ თემას, მაგრამ ჟანამ ჯიბიდან ამოიღო ბარონის მეუღლის წერილი, რომელშიც იგი მოითხოვდა, დაუყოვნებლივ გაეგზავნათ მასთან როზალია, თუ კი ჩინარში არ გააჩერებდნენ. გაცოფებულმა ჟულიენმა დაიღრიალა: — დედაშენიც ისეთივე შემლილია, როგორც შენ.

მაგრამ შემდეგ არფერი უთქვამს ამაზე.

ორ კვირაში მშობიარე უკვე ადგა და თავის საქმეს შეუდგა.

ერთ დილით ჟანამ დასვა იგი, დაუჭირა ხელები თვალებში ჩახედა და უთხრა:

— აბა, ჩემო გოგო მითხარი ყველაფერი.

როზალია სულ მთლად აკანკალდა და წაიბუტბუტა: — რა, ქალბატონო?

— ვისია ეს ბავშვი?

მოახლე ისევ სასოწარკვეთით აქვითინდა და მთლად აფორიაქებული ცდილობდა ხელები გაეთავისუფლებინა, სახე რომ დაემალა.

მაგრამ ჟანა მაინც კოცნიდა მას და ანუგეშებდა.

— ეს უბედურებაა, მართალია, მაგრამ რას იზამ, ჩემო კარგო. შენ სუსტი ნებისყოფა გამოიჩინე, მაგრამ ეს სხვებსაც დამართნიათ, თუ ბავშვის მამა გითხოვს ვინ რას იტყვის და შენთან ერთად მასაც ვაცხოვრებთ ჩვენთან.

როზალია ისე ოხრავდა, თითქოს აწამებენო, და დროდადრო ძალით ცდილობდა თავი გაენთავისუფლებინა და გაქცეულიყო.

ჟანამ განაგრძო: — მე ვიცი, რომ გრცხვენია, მაგრამ ხომ ხედავ, არ გიჯავრდები და ალერსიანად გელაპარაკები. თუ იმ კაცის სახელს გეკითხები, მხოლოდ შენ საკეთილდღეოდ. შენ ისე დამწუხრებული ხარ, რომ ჩანს იმან მიგატოვა, მაგრამ მე მინდა ხელი შევუშალო ამას, აი ნახავ, ჟულიენი წავა მასთან და ვაიძულებ შეგირთოს, ხოლო თუ ორივე ჩვენთან იცხოვრებთ, შენ თავს არ დავაჩაგვრინებთ მას.

ახლა კი როზალია ისე ღონივრად გაიწია, რომ ქალბატონს ხელებიდან გამოსტაცა თავისი ხელი და გიჟივით გაიქცა.

საღამოს, სადილობისას, ჟანამ უთხრა ჟულიენს: — მე შევეცადე როზალიას გაემხილა, ვინ შეაცდინა, არაფერი გამომივიდა. ახლა შენ სცადე, ჩვენ უნდა ვაიძულოთ ის არამზადა, შეირთოს როზალია.

ჟულიენი მყისვე აენთო: — იცი უკვე მომბეზრდა ეს ამბავი. შენ გადაწყვიტე ის გოგო არ გაგეგდო, ნურც გააგდებ, შენი ნებაა, მე კი თავი დამანებე.

როზალიას მშობიარობის შემდეგ ჟულიენი რაღაც განსაკუთრებით გულფიცხი გახდა. ცოლთან ყვირილით ლაპარაკი დასჩემდა, თითქოს მუდამ გულმოსული იყო მასზე. ჟანა კი თავს ძალას ატანდა, ყოველგვარ შეტაკებას გაურბოდა და ხმას დაუწევდა ხოლმე, ელაპარაკებოდა წყნარად, შემრიგებლური ტონით და ღამღამობით ხშირად ტიროდა თავის საწოლში.

მიუხედავად გამუდმებული გულფიცხობისა, ქმარმა განაახლა თავისი სასიყვარულო მოვალეობა, რომელიც გადაივიწყა მათი ჩინარში დაბრუნების შემდეგ, და იშვიათად გააცდენდა ზედიზედ სამ ღამეს, ისე, რომ საძინებელი ოთახის კარი არ შეეღო.

მალე როზალია სულ გამოკეთდა და იშვიათად მოიწყენდა ხოლმე, თუმცა შეშინებული ჩანდა და ცახცახებდა რაღაც უჩინარი საფრთხის წიანშე.

ორჯერ კიდევაც გაიქცა სახლიდან, როცა ჟანამ კვლავ სცადა მასთან გამოლაპარაკება.

ჟულიენიც მოულოდნელად უფრო ალერსიანი გახდა და ახალგაზრდა ქალს ბუნდოვანი იმედი მიეცა. იგი ისევ გამხიარულდა, თუმცა ხანდახან უჩვეულო უქეიფობას

გრძნობდა, რაზედაც ხმას არ იღებდა. ჯერ კიდევ თოვლს დნობა არ დაეწყო და კარგი ხუთი კვირის განმავლობაში დღისით ლურჯი ბროლივით გამჭვირვალე, ხოლო ღამით ვარსკვლავებით თრთვილივით მოფიფქული ცა გადამხობოდა გლუვ, მკვრივ და ელვარე თოვლის საბურველს.

მართკუთხა ეზოებითა და თოვლით დამძიმებული ხეების ფარდით სამყაროსაგან განცალკევებულ ფერმებს თავიანთ თეთრ პერანგებში თითქოს ჩასძინებოდათ. გარეთ არც კაცი არც პირუტყვი არ ჩანდა. მხოლოდ პატარა სახლების საკვამურები ამხელდნენ მათში შეხიზნულ სიცოცხლეს გაყინულ ჰაერში ზევით აღმავალი ძაფივით წვრილი კვამლით.

დაბლობი, ბუჩქები, მესრის გასწვრივ აღმართული თელები — ყველაფერი მკვდარი სიცივით განადგურებული გეგონებოდათ. დროდადრო ისმოდა ხეების ტკაცანი, თითქოს წყდებოდა და მიწაზე ვარდებოდა, რადგან ძლიერი ყინვა აქვავებდა მცენარეულ წვენს და გლეჯდა ბოჭკოებს.

ჟანა მოუთმენლად ელოდა თბილ ნიავს, რადგანაც მთელ თავის მომაბეზრებელ გაურკვეველ უგუნებობას წელიწადის ამ დროის სიმკაცრეს მიაწერდა.

ზოგჯერ მას არაფერის ჭამა არ შეეძლო, ყოველგვარი საჭმელი ეზიზღებოდა, გული გამალებით უცემდა, ზოგჯერ კი მისი კუჭი უმსუბუქეს საჭმელსაც ვერ ინელებდა, ხოლო მუდამ დაჭიმული ნერვები აიძულებდა გამუდმებით განეცადა აუტანელი მღელვარება.

ერთ საღამოს ტემპერატურა კიდევ უფრო დაეცა და სიცივისაგან მობუზულმა ჟულიენმა (სასადილო ოთახს ხეირიანად აღარ ათბობდა რადგან იგი შეშას ზოგავდა) მაგიდიდან ადგომისას ხელები დაისრისა და წაიბუტბუტა: — კარგი იქნება ამაღამ ერთად დავიძინოთ, ხომ ჩემო ფისუნიავ ?

ჟულიენი წინანდებურად ბავშვური გულარხეინობით იცინოდა და ჟანა კისერზე ჩამოეკიდა მას, მაგრამ სწორედ იმ საღამოს იმდენად უქეიფოდ გრძნობდა თავს, რომ ყველაფერი ტკიოდა, ნერვები ისე ჰქონდა მოშლილი, რომ ოდნავ გასაგონად და ტუჩებში კოცნით თხოვა ქმარს, მარტო დავიძინებო. ჟანამ რამდენიმე სიტყვით აუხსნა თავისი სატკივარი: — გთხოვ, ძვირფასო, მართლაც არ ვარ კარგად. ხვალ ალბათ, გაივლის.

ქმარმა არ დაუჟინა: — როგორც გენებოს, ჩემო კარგო. თუ ავად ხარ თავს უნდა გაუფრთხილდე.

ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანეს.

ჟანა ადრე დაწვა. ჟულიენმა ჩვეულებას გადაუხვია და ბრძანა, ცეცხლი დამინთეთ ოთახშიო. როცა უთხრეს, „კარგად გაჩაღდაო“, ცოლს შუბლზე აკოცა და გავიდა.

მთელი სახლი სიცივემ მოიცვა. გაყინული კედლები, თითქოს სიცივისაგან იბუზებაო, ტკაცუნობდა, და ჟანა მთლად ცახცახებდა ლოგინში.

ივი ორჯერ ადგა და ცეცხლს შეშის ღერი შეუკეთა. მოძებნა კაბები, ქვედაწელები, ძველი ტანსაცმელი და ყველაფერი ეს საწოლზე დაყარა, მაგრამ მაინც ვერ გათბა. ფეხები სულ გაეთოშა, ხოლო კანჭებიდან თეძოებამდე კანკალი უვლიდა და წამდაუწუმ წრიალებდა ლოგინში, ნერვიულობდა და ქანცის გამოცლამდე ღელავდა.

მალე კბილების კაწკაწი დააწყებინა; ხელები უცახცახებდა; მკერდი ეკუმშებოდა, გული ყრუდ და ნელა უცემდა ზოგჯერ კი თითქოს სულ უჩერდებოდა. ივი სულს ვერ ითქვამდა, ჰაერი არ ყოფნიდა.

მისი სული საშინელმა შიშმა მოიცვა, აუტანელი სიცივე ძვლებამდე ატანდა. არაფერი ამის მსგავსი არ განუცდია, არასოდეს არ უგრძვნია თავი ცხოვრებისაგან ასე გარიყულად და ეჩვენებოდა, რომ კვდებოდა, ახლავე განუტევებდა სულს.

ჟანამ გაიფიქრა: — აი, ახლა მოვკვდები... ვკვდები...

შეშინებული ლოგინიდან წამოხტა და როზალიას დაურეკა, დაუცადა, და ისევ დარეკა, ისევ დაუცადა, თან ცახცახებდა და ითოშებოდა.

მოახლე არ გამოჩნდა. ალბათ, თავი მისცა იმ პირველ ღრმა ძილს, რასაც ვერაფერი ვერ დაარღვევს, და გონებადაკარგულმა ჟანამ ფეხშიშველა მიაშურა კიბეებს.

ივი უხმაუროდ ავიდა ზევით, ხელების ფათურით მოძებნა კარი, გააღო და დაიძახა.

— როზალია!

მერე წინ წავიდა საწოლს დაეტაკა, ხელი მოუფათურა და მიხვდა, რომ ივი ცარიელი იყო, ცარიელი და ცივი, თითქოს არც არავინ წოლილა მასში.

გაკვირვებულმა გაიფიქრა: — როგორ! ისევ გაიქცა? ისიც ასეთ ამნიდში!

მაგრამ გული უეცრად ძალუმად აუძგერდა, სული შეეხუთა, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და უკანვე გაიქცა ჟულიენი რომ გაეღვიძებინა.

ღონემიხდილი ჟანა ელვის სისწრაფით შეიჭრა მასთან, დარწმუნებული, რომ საცაა მოვკვდებიო, და სურდა მანამდე შეეხედა ჟულიენისათვის, ვიდრე გონებას დაკარგავდა.

მიმქრალი ცეცხლის შუქზე მან ბალიშზე ქმრის თავის გვერდით როზალიას თავი შეამჩნია.

ჟანას ყვირილზე ორივე წამოხტა. ერთ წუთს იგი უძრავად იდგა, ამ აღმოჩენით შეძრწუნებული. შემდეგ თავის ოთახში გაიქცა, მაგრამ შეშფოთებულმა ჟულიენმა დაუძახა მას: — ჟანა!

და იგი შეიპყრო საშინელმა შიშმა, რომ დაინახავდა ჟულიენს, კიდევ გაიგონებდა მის ხმას, მოისმენდა ახსნა-განმარტებას, ტყუილებს, შეხედავდა თვალებში. ჟანა ისევ ეცა კიბეებს და ძირს ჩაირბინა.

ის ახლა სიბნელეში გარბოდა, ანგარიშს არ უწევდა, რომ შეიძლებოდა საფეხურებზე დაგორებულიყო და დამტვრეულიყო. იგი ვერაფერს ხედავდა წინ და რაღაც დაუოკებელი ძალა უკარნახებდა გაქცეულიყო, არაფერი აღარ სცოდნოდა, არაფერი დაენახა.

ქვევით რომ ჩაირბინა, საფეხურზე ფეხშიშველა და პერანგისამარა ჩამოჯდა და ასე იჯდა გონება დაკარგული. ჟულიენი ლოგინიდან წამოხტა და სწრაფად იცვამდა ტანზე. ჯანას ესმოდა მისი მოძრაობა, სიარული. იგი ადგა, რათა გაქცეოდა ქმარს. აი ჟულიენი უკვე ჩამოდიოდა კიბეებზე და ყვიროდა: — მომისმინე, ჟანა!

არა, ჟანას არ უნდოდა მოესმინა მისთვის, არ უნდოდა ჟულიენს თითიც რომ დაეკარებინა და იგი სასადილო ოთახში შევარდა, თითქოს მკვლელს გაურბოდა. ჟანა ეძებდა გამოსავალს, თავშესაფარს, ბნელ კუთხეს, როგორმე რომ დამალვოდა ქმარს. იგი მაგიდის ქვეშ მოიკუნტა, მაგრამ ჟულიენი უკვე გამოჩნდა ზღურბლზე, ხელში სანთელი ეკავა და ისევ იძახდა: — ჟანა!

და ჟანამ კურდღელივით მოკურცხლა, სამზარეულოში შეიჭრა და ორჯერ შემოირბინა იგი დევნილი ცხოველივით, რადგან ჟულიენმა აქაც მიაგნო მის კვალს. უცბად გამოაღო ბაღში გასასვლელი კარი და გარეთ გაიჭრა.

დროდადრო ჟანა ტიტველი ფეხებით მუხლებამდე ეფლობოდა თოვლში და ეს გამყინავი შეხება მას შეუპოვარ ძალას მატებდა. ჟანას არ ციოდა, თუმცა პერანგისამარა იყო; იგი საერთოდ არაფერს არ გრძნობდა, რადგან სულიერმა ტკივილმა გაუყრუა სხეული და გარბოდა მთლად გათეთრებული, როგორც თოვლით დაფარული მიწა.

ჟანა გაჰყვა დიდ ხეივანს, გადაჭრა წარაფი, გადაახტა თხრილს და პირდაპირ დაბლობისაკენ გაემართა.

მთვარე არ ჩანდა. ვარსკვლავები ცეცხლის ნაპერწკლებივით ელავდნენ ჩაშავებულ ცაზე; მკვდარივით გაშეშებული უსაზღვროდ მდუმარე ველი კი მკრთალი სითეთრით ანათებდა.

ჟანა სწრაფად, სულ მოუთქმელად მიდიოდა, არაფერი ესმოდა და არაფერზე არ ფიქრობდა. უეცრად იგი უფსკრულის პირას აღმოჩნდა, ინსტინქტურად ერთბაშად შეჩერდა და განადგურებული უაზრო და უნებისყოფო, თოვლში ჩაცუცქდა.

მის წინ, ბნელ ორმოში გაუჩინარებული და მდუმარე ზღვა მოქცევის დროს წყალმცენარეთა მარილიან სუნს უშვებდა.

იგი დიდხანს იჯდა იქ ასე სულითა და სხეულით უგრძნობელი, მაგრამ შემდეგ უეცრად საშინლად აცახცახდა, როგორც იალქანი ქარში. ფეხები, ხელები, თითები შეუკავებლად უთრთოდა, ხშირი ძაგძაგით ერხეოდა და თვალის დახამხმებაში ჟანას დაუბრუნდა ნათელი, ულმობელი ცხოვრება.

შემდეგ წარსულის ზმანებებმა გაიელვეს მის თვალწინ: ჟულიენთან სეირნობა ბიძია ლასტიკის ნავით, მათი საუბარი, სიყვარული, რომელიც ის იყო ფეხს იკიდებდა ჟანას გულში; ნავის ნათლობა; მერე მისი ფიქრები უფრო შორს წავიდა მოაგონდა იმედიანი, ოცნებით სავსე ის ღამე, როცა იგი ჩინარში ჩამოვიდა. ახლა კი, ახლა! ოჰ! მისი ცხოვრება დაიმსხვრა, ბედნიერებას ბოლო მოეღო, იმედები გაქრნენ, და მან წარმოიდგინა ტანჯვით, ღალატითა და მწუხარებით აღსავსე საშინელი მომავალი. სჯობს მოკვდეს და ყველაფერი ამით დამთავრდება.

შორიდან ყვირილი მოისმა: — აქეთ, აქეთ! აი, მისი კვალი; ჩქარა, ჩქარა, აქეთ! ეს ჟულიენი დაეძებდა მას.

ოჰ, არა! ჟანას არ უნდოდა მისი დანახვა; იქ, უფსკრულში, პირდაპირ მის ქვემოთ

ისმოდა სუსტი შრიალი, ტალღების ძლივს გასაგონი სრიალი კლდეზე.

ჟანა წამოიჭრა და ნახტომისათვის მოემზადა. ცხოვრებისაგან განწირულმა ამოიკვნესა სიცოცხლესთან გამოსამშვიდობებელი მომაკვდავთა უკანასკნელი სიტყვა. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი მეომრის უკანასკნელი სიტყვა:

„დედა!"

მაშინვე დედიკოზე ფიქრმა გაუელვა თავში. მან წარმოიდგინა აქვითინებული დედა, დაინახა შვილის დასახიჩრებული ცხედრის წინ დაჩოქილი მამა და ელვის სისწრაფით განიცადა მათი სასოწარკვეთილების მთელი ტკივილები.

ჟანა ღონემიხდილი დაეცა თოვლზე და გაქცევა აღარ უცდია, როცა ჟულიენმა და ბიძია სიმონმა მარიუსის თანხლებით, რომელსაც ფარანი ეჭირა, ხელი სტაცეს და უკან გამოათრიეს, რადგან იგი ზედ უფსკრულის პირას იწვა.

ისინი ისე ექცეოდნენ, როგორც სურდათ.— ჟანას განძრევის თავიც არ ჰქონდა. მხოლოდ გრძნობდა, როგორ მიჰქონდათ იგი, როგორ დააწვინეს ლოგინში, შემდეგ როგორ უზელდნენ ტანს ცხელი პირსახოცებით, მერე კი მეხსიერება დაკარგა და ცნობა წაუვიდა.

შემდეგ მას კოშმარები აეკვიატა, თუმცა იყო ის კოშმარი? ჟანა თავის ოთახში იწვა. გარეთ დღე იყო, მაგრამ მას ადგომა არ შეეძლო. რატომ? თვითონ არ იცოდა. იატაკზე ფაჩუნი გაისმა, ფხაკუნის მსგავსი, მერე ჟანამ შეხებაც იგრძნო და უცბათ თაგვმა, პატარა ნაცრისფერმა თაგვმა სწრაფად გადაურბინა საბანზე, იმ წუთშივე მას მეორე მიჰყვა თათების ხშირი და სწრაფი მოძრაობით, შემდეგ მესამე ააცოცდა გულმკერდზე. ჟანას არ შეშინებია, ოღონდ პატარა ნადირის შეპყრობა მოუნდა, ხელი გასწია, მაგრამ ვერ დაიჭირა.

მაშინ ათობით, ასობით, ათასობით სხვა თაგვი გამოძვრა ყოველი მხრიდან, ისინი დაცოცავდნენ საწოლის სვეტებზე, დასრიალებდნენ შალითებზე, მთლად მოედვნენ საწოლს. ბოლოს საბნის ქვეშაც შეძვრნენ. ჟანა გრძნობდა, როგორ სრიალებდნენ ისინი კანზე, უღიტინებდნენ ფეხებზე, არბოდ-ჩამორბოდნენ მთელ სხეულზე, იგი ხედავდა, როგორ მოედინებოდნენ ისინი საწოლის ფეხებიდან და ცდილობდნენ შიგ ხახაში ჩაძვრომოდნენ მას; ჟანა იგერიებდა მათ, ხელებს იქნევდა, უნდოდა ერთი მაინც დაეჭირა, მაგრამ ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა.

ჟანას გული მოსდიოდა, სურდა გაქცეულიყო, ყვიროდა და ეჩვენებოდა, რომ განძრევის

საშუალებას არ აძლევდნენ, ვიღაცის მძლავრი ხელები აკავებდნენ, თუმცა თვითონ ვერავის ხედავდა.

მას მიახლოებითაც არ შეეძლო დროის განსაზღვრა. ეს დიდი ხნის ამბავი უნდა ყოფილიყო, ძალიან დიდი ხნის.

შემდეგ ჟანა გამოფხიზლდა, გამოფხიზლდა გადაღლილი, განადგურებული, მაგრამ მაინც ბედნიერი. იგი თავს სუსტად გრძნობდა, თვალები უღონოდ გაახილა და არც გაჰკვირებია, დედიკო რომ დაინახა თავის ოთახში. მის გვერდით კი ვიღაც უცნობი მსუქანი მამაკაცი.

რამდენი წლისა იყო ჟანა? ესეც არ იცოდა, სულ პატარა გოგონა ეგონა თავისი თავი და მას არასდროს, არა, არასდროს არ ჰქონია წარსული.

მსუქანმა მამაკაცმა თქვა: — ნახეთ, გრძნობაზე მოდის. და დედიკო ატირდა.

მსუქანმა ისევ დაიწყო ლაპარაკი: — დაწყნარდით, ქალბატონო. ახლა უკვე შემიძლია იმედი მოგცეთ, მხოლოდ არაფერზე არ ელაპარაკოთ გესმით, არაფერზე. დაიძინოს.

ჟანას ეგონა, კიდევ დიდხანს ცხოვრობდა ამ ტკბილ ბურანში, რომ ოდნავი ჩაფიქრებაც კი საკმარისი იყო და ისევ დაიმორჩილებდა ღრმა ძილი. ამიტომ არც არაფრის გახსენებას ცდილობა. ალბათ, ბუნდოვან შიშს გრძნობდა იმ სინამდვილისადმი, რომელიც მის მეხსიერებას შეეძლო აღედგინა.

და აი, ერთხელ ჟანამ. გაიღვიძა და თავის საწოლთან მხოლოდ ჟულიენი დაინახა. მას ერთბაშად მოაგონდა ყველაფერი, თითქოს აიწია ის ფარდა, რომელიც წარსულს გადაფარებოდა.

ჟანას საშინელმა ტკივილმა დაუარა გულში და ისევ გაქცევა მოუნდა, გადაიძრო საბანი, გადმოხტა იატაკზე, მაგრამ ფეხებმა ვერ დაიმაგრეს და დაეცა.

ჟულიენი მივარდა მას. შეძრწუნებული ჟანა აღმუვლდა. მას შეეშინდა რომ ჟულიენი ხელით შეეხებოდა. იგი იკლაკნებოდა, გორაობდა იატაკზე, კარი გაიღო. დეიდა ლიზონმა მოირბინა დანტიუს ქვრივთან ერთად, შემდეგ ბარონი მოვიდა, ბოლოს კი აქოშინებული და შეშინებული დედიკო.

ჟანა ისევ დააწვინეს. მან იმწუთშივე თვალთმაქცურად დახუჭა თვალები, რომ არ ელაპარაკა და თავისუფლად ეფიქრა.

დედა და დეიდა უვლიდნენ მას. ფუსფუსებდნენ მის ახლოს, ეკითხებოდნენ: — ახლა გესმის ჩვენი, ჟანა, ჩემო პაწაწა ჟანა?

ჟანამ წაუყრუა და არ უპასუხა, მაგრამ მშვენივრად შენიშნა, რომ დღე იწურებოდა. დადგა ღამე. მასთან მომვლელი დარჩა და დროდა რო წყალს ასმევდა.

ივი მორჩილად სვამდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. გაწამებული ფიქრობდა, იხსენებდა იმ ამბებს, რომლებიც თავიდან ისე დაუსხლტა, თითქოს მეხსიერებაში უფსკრულები ჰქონოდა. ვეებერთელა ცარიელი ადგილები, სადაც მოვლენებმა სრულებით ვერ აღბეჭდეს კვალი.

ნელ-ნელა, დიდი დაძაბულობის შემდეგ, მან ყველა გარემოება აღადგინა და მთელი გულისყურით ჩაუფიქრდა.

რაკი დედიკო, დეიდა ლიზონი და ბარონი ჩამოვიდნენ, მაშასადამე, ჟანა ძალიან ავად იყო. მაგრამ ჟულიენი? რა თქვა მან? რა იციან მშობლებმა? ან რას შვრება როზალია? სად არის ივი? და რაც მთავარია, რა უნდა ქნას? რა უნდა ქნას ჟანამ? ერთმა აზრმა გაუელვა — წავიდეს მამასთან და დედასთან ერთად როანში და იცხოვროს იქ ძველებურად. ივი ქვრივი იქნება და ამით ყველაფერი დამთავრდება.

ამის შემდეგ ივი ყურს უგდებდა, რას ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ, ყველაფერი ძალიან კარგად ესმოდა, უხაროდა, რომ გონი დაუბრუნდა, მაგრამ ეშმაკობდა, მოთმინებით იცდიდა.

ბოლოს, როცა ერთ საღამოს ბარონის მეუღლესთან მარტო აღმოჩნდა, ჩუმად დაუძახა მას: — დედიკო!

საკუთარმა ხმამ გააკვირვა ჟანა, შეცვლილი მოეჩვენა ივი. ბარონის მეუღლემ ხელი სტაცა მას: — ჩემო გოგონა! ჩემო ძვირფასო ჟანა! ჩემო გოგო. მიცანი?

— კი, კი, დედიკო, მაგრამ ნუ იტირებ, ჩვენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს. ჟულიენმა გითხრა, რატომ გავიქეცი მაშინ თოვლში?

— მითხრა, ჩემო კარგო, შენ საშინელი და ძლიერ საშიში ციებ-ცხელება გქონდა.

— ეგ მართალი არ არის, დედა, ციებ-ცხელება მერე მქონდა. თუ გითხრა მან, რატომ გამიჩნდა ციებ-ცხელება და რატომ გავიქეცი?

— არა, ჩემო ძვირფასო.

— ეს იმიტომ, რომ როზალია შევასწარი მასთან ლოგინში.

ბარონის მეუღლემ იფიქრა, ჟანა ისევ ბოდავსო და მოეფერა შვილს.

— დაიძინე, საყვარელო, დამშვიდდი, ეცადე დაიძინო.

მაგრამ ჟანა არ ცხრებოდა: — მე ახლა სრულ გონზე ვარ, დედიკო, ნუ გგონია სისულელეს ვროშავდე, როგორც, ალბათ ამ უკანასკნელ დღეებში. ერთ ღამეს თავი ცუდად ვიგრძენი და ავდექი, რომ ჟულიენისათვის დამეძახა. იგი როაზალიასთან იწვა ლოგინში. მწუხარებამ გონება ამირია და თოვლში გავიქეცი, კლდიდან რომ გადავარდნილიყავი.

ბარონის მეუღლე ისევ იმეორებდა: — კარგი ჩემო საყვარელო, შენ ძალიან ავად იყავი, ძალიან ავად.

— რას ამბობ, დედა, მე როზალიას შევუსწარი ჟულიენის საწოლში და აღარ მსურს ქმართან ცხოვრება.

უკანვე წამიყვანე რუანში.

ბარონის მეუღლეს ახსოვდა ექიმის დარიგება, ავადმყოფს არ შეეპასუხოთ, და უპასუხა: — კი, ჩემო ძვირფასო. მაგრამ ავადმყოფმა მოთმინება დაკარგა: — ვხედავ, ჩემი არ გჯერა. წადი მამიკო მომიყვანე, ივი უფრო გამიგებს.

ბარონის მეუღლე გაჭირვებით ადგა, აიღო თავისი ორივე ჯოხი, ფეხების თრევით გავიდა და რამდენიმე წუთში გავიდა. დაბრუნდა ბარონის თანხლებით, რომელიც სიარულში შველოდა მას.

ისინი საწოლთან ისხდნენ. ჟანა იმ წუთშივე ალაპარაკდა. მან ყველაფერი უამბო მშვიდად, მისუსტებული ხმით, გარკვევით! ჟულიენის უცნაური ხასიათი, მისი უხეშობა, სიძუნწე და ბოლოს ღალატი.

როცა ჟანამ დაამთავრა, ბარონისათვის ცხადი იყო, რომ იგი არ ბოდავდა, მაგრამ არ იცოდა რა ეფიქრა, რა გადაეწყვიტა, რა ეპასუხა.

მან ნაზად მოჰკიდა შვილს ხელი, როგორც ოდესღაც ბავშვობაში, როცა ზღაპრებით აძინებდა ხოლმე.

— მისმინე, ჩემო ძვირფასო. საჭიროა ფრთხილად ვიმოქმედოთ. ნუ აჩქარდებით საკითხის გადაჭრაში; ეცადე აიტანო ქმარი მანამ, სანამ რამეს გადავწყვეტდეთ... მაძლევ ამის პირობას?

ჟანამ წაიბუტბუტა: — ვეცდები, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ, აქ არ დავრჩები.

მერე ძალიან ჩუმად დასძინა: — სად არის ახლა როზალია? ბარონმა მიუგო

— შენ მას ვეღარ დაინახავ.

მაგრამ ჟანა ჯიუტობდა.

— სად არის იგი? მინდა ვიცოდე.

მაშინ ბარონი გამოტყდა, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუტოვებია სახლი, მაგრამ დაარწმუნა, სულ მალე წავაო.

როგორც კი ავადმყოფის ოთახიდან გამოვიდა, ბრაზისაგან გაცეცხლებული ბარონი მოკლული მამის გულით ჟულიენთან გაემართა და პირდაპირ დაიწყო: — ბატონო, გთხოვთ ახლავე ამიხსნათ თქვენი საქციელი ჩემი ქალიშვილის მიმართ. თქვენ მას აგყუებდით და მოახლე გოგოში გაცვალეთ. ეს ორმაგი სიბილწეა.

მაგრამ ჟულიენმა უდანაშაულო კაცის როლი გაითამაშა. გაცხარებით უარყოფდა ყველაფერს, ფიცულობდა, ღმერთს იმოწმებდა. ან რა საბუთით უმტკიცებდნენ? ჟანა ხომ აგზნებული იყო? ახლახან არ გადაიტანა ციებ-ცხელება? განა ის გონდაკარგული არ იყო სნეულების დასაწყისშივე, ღამე რომ გაიქცა თოვლში? და სწორედ შეტევის დროს, როცა იგი თითქმის ტიტველი დარბოდა სახლში მოახლე გოგო მოეჩვენა ქმრის საწოლში!

ჟულიენი ხმას უწევდა, იმუქრებოდა... გიჩვენებთო, საშინლად შფოთავდა.

დაბნეულმა ბარონმა თავის მართლება იწყო, პატიება სთხოვა და გაუწოდა თავისი

კეთილშობილი ხელი, მაგრამ ჟულიენმა არ ჩამოართვა.

როდესაც ჟანამ გაიგო ქმრის პასუხი, არ გაჯავრებულა, მხოლოდ უპასუხა: — ის ტყუის მამა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ვათქმევინებთ.

ორი დღის განმავლობაში ჟანა დუმდა და მხოლოდ თავის ფიქრებში იყო გართული.

მესამე დილას მან როზალიას ნახვა მოისურვა. ბარონმა უარი თქვა გამოეძახა მოახლე და თქვა, იგი უკვე წავიდაო, მაგრამ ჟანა არ თმობდა და იმეორებდა.

— მაშინ ვინმე წავიდეს მასთან და მოიყვანოს.

ჟანა უკვე ბრაზობდა, როცა ექიმი შემოვიდა. ექიმს ყველაფერი უთხრეს, რათა თავისი აზრი გამოეთქვა, მაგრამ ჟანა უცბად ატირდა, საშინლად აღელდა და თითქმის ყვიროდა: — მე მინდა როზალია ვნახო, გესმით, უნდა ვნახო იგი!

მაშინ ექიმმა აიღო მისი ხელი და ჩუმად უთხრა: — დამშვიდდით ქალბატონო, ყოველგვარი მღელვარება თქვენთვის სახიფათოა, რადგანო ფეხმძიმედ ხართ.

ჟანა ტყვიანაკრავივით გაშეშდა და იმ წუთშივე მოეჩვენა, თითქოს რაღაც გაფაჩუნდა მასში. იგი დადუმდა, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, ყურადღებასაც არ აქცევდა რაზე ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ და თავის ფიქრებს მიეცა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მას არ აძინებდა უცნაური და ახალი აზრი, რომ აი იქ, მუცელში, ბავშვი ცოცხლობს. მას ნაღველი იპყრობდა და სწყინდა რომ იგი ჟულიენის შვილი იყო. ჟანას აღელვებდა და აშინებდა, რომ შეიძლება იგი მამას დამსგვასებოდა. როგორც კი გათენდა, მან ბარონი მოიხმო.

— მამიკო, ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა, მე ყველაფერი მინდა ვიცოდე, განსაკუთრებით ახლა, გესმის? მინდა, შენ კი იცი, რომ ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში არ შეიძლება სიტყვა შემომიბრუნოთ. კარგად მომისმინე. შენ მომიყვან ბატონ მღვდელს. იგი მჭირდება, როზალიამ სიმართლე რომ თქვას. მღვდელი რომ მოვა, შენ მოიყვან როზალიას და დარჩები აქ დედიკოსთან ერთად. რაც მთავარია, უფრთხილდი, რომ ჟულიენმა ეჭვი არ აიღოს.

ერთ საათში მღვდელი გამოცხადდა, იგი კიდევ უფრო გასუქებულიყო და დედიკოზე ნაკლებ როდი ქშინავდა. მღვდელი სავარძელში ჩაჯდა საწოლთან და გაშლილ ფეხებშუა

მუცელი ჩამოეკიდა, მან ხუმრობა დაიწყო და ჩვეულებისამებრ შუბლს იწმენდდა კუბოკრული ცხვირსახოცით.

— მაშ, ქალბატონო ბარონის მეუღლევ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვცდებით. ჩემის აზრით, ერთმანეთის შესაფერისები ვართ.

შემდეგ იგი ავადმყოფის საწოლისაკენ მიბრუნდა: — ჰე! ჰე! რას მეუბნებიან, ჩემო პატარა ქალბატონო, მალე ჩვენ ახალი ნათლობა გვექნება? ჰო, ჰო, ჰო, და ახლა ნავს კი არ მოვნათლავთ, არამედ სამშობლოს მომავალ დამცველს,— სერიოზული ტონით დააამთავრა მან. შემდეგ ცოტა ხანს დაფიქრდა და დასძინა : — თუ არ გაჩნდება სანდომიანი დედა ოჯახისა.

და თავი მდაბლად დაუკრა ბარონის მეუღლეს.

— თქვენსავით, ქალბატონო .

ამ დროს ოთახის უკანა კარი გაიღო. შეშინებული, აცრემლებული როზალია უარს ამბობდა შემოსვლაზე და ეჭიდებოდა კარის წირთხლს, ხოლო ბარონი ხელს კრავდა მას. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ბარონმა ძლიერად უბიძგა და ოთახში შეაგდო. მაშინ მოახლე გოგომ ხელებით დაიფარა სახე. იდგა დასლუკუნებდა.

როგორც კი დაინახა იგი, ჟანა სწრაფად გასწორდა და დაჯდა ზეწარივით გათეთრებული. გული ისე სწრაფად უცემდა, რომ ტანზე მიკრული თხელი პერანგი აუდ-ჩაუდიოდა. ჟანას ლაპარაკი არ შეეძლო, სულს ძლივს ითქვავდა, იხრჩობოდა. ბოლოს მღელვარებისაგან გაბზარული ხმით წარმოთქვა: — მე... მე... არ მჭირდება შენი დაკითხვა. საკმარისია შეგხედო... დაგინახო... როგორ გრცხვენია ჩემი.

იგი შეჩერდა, სული მოითქვა და განაგრძო: — მაგრამ მე მინდა ვიცოდე ყველაფერი, ყველაფერი... მე მოვუხმე ბატონ მღვდელს, რომ ეს შენთვის აღსარებისათვით იყოს, გაიგე?

როზალია არ ინძრეოდა, მხოლოდ გადაჭდობილ ხელებქვეშ ყრუ ქვითინი ისმოდა.

ბარონმა მოთმინება დაკარგა, მოახლეს ხელებში მისწვდა, აღშფოთებით ჩამოაშვებინა და დააჩოქა იგი საწოლის წინ: — თქვი... უპასუხე!

როზალია ისე იჯდა იატაკზე როგორც მონანიე ცოდვილებს ხატავენ ხოლმე, ჩაჩი

გვერდზე მოექცა, წინსაფარი იატაკზე განერთხო, ხოლო სახე ხელახლა დამალა ხელებში, როგორც კი გაითავისუფლა მარჯვენა.

ამ დროს მღვდელმა მიმართა მას: — აბა, შვილო ჩემო, მოუსმინე რას გეკითხებიან და უპასუხე. ცუდს არაფერს გიპირებთ, მაგრამ გვინდა სიმართლე ვიცოდეთ.

ჟანა საწოლის კიდეზე გადაიწია და უყურებდა მას. შემდეგ თქვა: — ეს ხომ მართალია, რომ შენ ჟულიენთან იწექი , როცა მე შემოვედი.

როზალიამ სახეზე აფარებულ ხელებშუა ამოიოხრა: — დიახ, ქალბატონო.

უეცრად ბარონის მეუღლე ატირდა. იგი ხმამაღლა ასლუკუნდა და მისი გულამოსკვნილი გოდება როზალიას ქვითინს უერთდებოდა.

ჟანა თვალს არ აცილებდა მოახლეს და ეკითხებოდა: — როდის დაიწყო ეს? როზალიამ წაიბუტბუტა: — პირველსავე დღეს, როცა იგი აქ მოვიდა.

ჟანამ ვერ გაიგო.

— როცა აქ მოვიდა... ესე იგი ... ესე იგი ...გაზაფხულზე?

— დიახ ქალბატონო.

— პირველ დღესვე, რაც ის სახლში შემოვიდა?

— დიახ, ქალბატონო.

ჟანას ცნობისმოყვარეობისაგან სული შეეხუთა და კითხვები დააყარა: — კი მაგრამ, როგორ მოხდა ეს? როგორ დაგიწყო ლაპარაკი? როგორ დაგიმორჩილა? რა გითხრა, როდის ან როგორ დათანხმდი? როგორ შეგეძლო მას დანებებოდი?

მაშინ როზალიამ სახიდან ხელები ჩამოიღო და, ლაპარაკისა და პასუხის გაცემის ძლიერი სურვილით შეპყრობილმა, დაიწყო: — აბა რა ვიცი! ეს მოხდა იმ დღეს, პირველად რომ აქ ისადილა. იგი ჩემ ოთახში შემოვიდა. მანამდე თურმე სხვენზე იმალებოდა. მე ყვირილი ვერ გავბედე, რომ ამბავი არ გახმაურებულიყო. და იგი ჩემთან დაწვა. მე თავი არ მახსოვდა მაშინ. მან კი ყველაფერი გააკეთა, რაც უნდოდა. მეც არაფერი მითქვამს, რადგან იგი მეტად მომივიდა თვალში!..

ჟანამ ყვრილით გააწყვეტინა: — მაშ... შენი... შენი ბავშვი... მისია ხომ? როზალია აქვითინდა.

— დიახ, ქალბატონო. და ორივენი გაჩუმდნენ.

ისმოდა მხოლოდ როზალიას და ბარონის მეუღლის ქვითინი.

შეძრწუნებულმა ჟანამ იგრძნო, რომ თვალები მასაც დაენამა, ცრემლი უხმოდ გადმოუგორდა ლოყებზე.

მის ბავშვსა და მოახლე გოგოს ბავშვს ერთი მამა ჰყავდათ! მისი გაშმაგება დაცხრა, იგი შეიპყრო ბუნდოვანმა, უდრტვინველმა, ღრმა, უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ.

ბოლოს მან შეცვლილი, ცრემლებით დახრინწული, სატირლად გამზადებული ქალის ხმით განაგრძო: — როცა ჩვენ დავბრუნდით იქ... იქიდან... მოგზაურობიდან.. ხელახლა როდის მოვიდა შენთან!

მოახლე გოგო იატაკს მიეკრა და წაიბუტბუტა: — პირ... პირველ ღამეს მოვიდა.

ყოველი სიტყვა გულს უღრღნიდა ჟანას. მაშასადამე, ჩინარში დაბრუნების პირველ ღამესვე მან მიატოვა იგი ამ გოგოს გულისათვის. აი თურმე ღამღამობით რატომ ტოვებდა მას მარტო!

ჟანამ უკვე საკმაოდ იცოდა ყველაფერი და მეტის გაგონება აღარ სურდა. მან დაიყვირა: — წადი, გამეცალე!

სულ მთლად განადგურებული როზალია ადგილიდან არ იძვროდა, და ჟანამ მამას სთხოვა: — წაიყვანე, გაათრიე აქედან.

ამ დროს მღვდელმა, რომელსაც ჯერ არაფერი ეთქვა, დროულად ცნო როზალია ორიოდე სიტყვით დაერიგებინა: — ის, რაც შენ გააკეთე, შვილო ჩემო, ძალიან, ძალიან ცუდია: უფალი ღმერთი ამას მალე არ გაპატიებს; იფიქრე ჯოჯოხეთზე, რომელიც შენ გელის, თუ ამიერიდან ზნეკეთილი არ იქნები. ახლა, როცა შენ უკვე ბავშვი გყავს, ჭკუაში უნდა ჩადგე, ქალბატონი ბარონის მეუღლე, რასაკვირველია, დაგეხმარება და ქმარს მოგიძებნით...

იგი კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, მაგრამ, ბარონმა ისევ წაავლო ხელი როზალიას მხრებში, წამოიყვანა, კარებამდე მიათრია და ტომარასავით გაისროლა დერეფანში.

როცა დაბრუნდა, ბარონი თავის ქალიშვილზე უფრო გაფითრებული იყო, მღვდელი კი განაგრძობდა: — რა ვქნათ! ყველანი ასეთები არიან ამ მხარეში. მეტად სავალალოა, მაგრამ, მათ არაფერი ეშველებათ, და მაინც შემწყნარებლობა გვმართებს ადამიანის სუსტი ბუნებისადმი. მერწმუნეთ, ქალბატონო, ყოველი მათგანი ჯერ ორსულდება და მხოლოდ შემდეგ თხოვდება. — მერე ღიმილით დასძინა: — ეს რაღაც ადგილობრივი ადათივითაა. — და უკვე აღშფოთებულმა განაგრძო: — ბავშვებიც კი არიან ამ საქმეში გასვრილნი. შარშან მე თვითონ ვნახე სასაფლაოზე ორი მოსწავლე, პატარა ბიჭი და გოგო! მშობლებს რომ შევატყობინე, იცით, რა მიპასუხეს? "რა ვქნათ, ბატონო მღვდელო, ჩვენ არ გვისწავლებია, მათთვის ეს სიბილწე და ვერც ვერაფერს გავხდებით" აი ბატონო, თქვენი მოახლე სხვებს არ ჩამორჩა.

მაგრამ ბრაზით აცახცახებულმა ბარონმა შეაჩერა იგი: — მოახლე? რა მენაღვლება იგი! მე ჟულიენი მაშფოთებს. იგი უნამუსოდ მოიქცა და მე ახლავე წავიყვან ჩემ ქალიშვილს.

იგი ბოლთას სცემდა ოთახში და მოთმინებიდან გამოსული ღრიალებდა: მან უნამუსოდ უღალატა ჩემს ქალიშვილს, გესმით, უნამუსოდ! იგი გაიძვერა კაცია, არამზადა. გარყვნილი! პირში ვეტყვი ყველაფერს! სილას გავაწნი, ჩემი ჯოხით ამოვხდი სულს!

მაგრამ მღვდელი, რომელიც აცრემლებული ბარონის მეუღლის გვერდით იჯდა, იყრიდა ცხვირში ერთ მწიკვ ბურნუთს და ფიქრობდა, როგორ უკეთ შეესრულებინა მშვიდობისმყოფველის მოვალეობა, ახლა საქმეში ჩაერია: — ყური მიგდეთ, ბატონო ბარონო, ჩვენ შორის დარჩეს და ისიც ისე მოიქცა, როგორც ყველა იქცევა. ბევრს იცნობთ ცოლის ერთგულ ქმარს? — და მან მიამიტური ცბიერებით დასძინა :— სანაძლეოს ვდებ, თავის დროზე თქვენც არ დაგიკლიათ ხელი ამგვარი ოინებისათვის. აბა, გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, ხომ მართალს ვამბობ?

შემცბარი ბარონი მღვდლის პირდაპირ შეჩერდა, ის კი განაგრძობდა: — დიახ, თქვენც ისე იქცეოდით, როგორც სხვები. ვინ იტყვის, რომ არასოდეს მოგიცაცუნებია ხელი ამ მოახლის მსგავსი ტურფა გოგონებისათვის? გეუბნებით, რომ ყველა ასე აკეთებს, მაგრამ განა ამისათვის ცოლს ნაკლებად ანებივრებდით ან ნაკლებ გიყვარდათ იგი, ასეა, ხომ?

აფორიაქებული ბარონი ადგილზე გაშეშდა.

ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ სიმართლე იყო, ისიც ისე იქცეოდა და ხშირადაც, ყოველთვის, როცა კი საშუალება ეძლეოდა ოჯახურ კერასაც კი არ ინდობდა. თუ ცოლის

მოახლე გოგო ლამაზი იყო, ხელს როდი აკლებდა. მერე და ამიტომ იგი არამზადაა? რატომ განსაჯა მან ასე მკაცრად ჟულიენის საქციელი, როცა თავის საკუთარს ერთი წუთითაც არ თვლიდა დანაშაულად?

ბარონის მეუღლე კი, თუმცა ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ცრემლი, ქმრის ოინების გახსენებამ ღიმილი მოჰგვარა, რადგან თვითონ ეკუთვნოდა იმ სენტიმენტალურ, მგრძნობიარე და კეთილ ადამიანებს, ვისთვისაც სამიჯნურო თავგადასავალი არსებობის განუყოფელი ნაწილია.

დანაღვლიანებული ჟანა უღონოდ იწვა ზურგზე, მოდუნებული მკლავები გაეშალა, სივრცეს გაჰყურებდა და გულისტკივილით ფიქრობდა. მას მოაგონდა როზალიას სიტყვები, სული რომ დაუკოდა და ბურღივით შეეჭრა გულში: „მეც არაფერი მითქვამს რადგან იგი ძალიან მომივიდა თვალში".

ჟანას მოუვიდა თვალში, და მხოლოდ ამიტომ დანებდა მას, სამუდამოდ დაუკავშირდა, მხოლოდ ამიტომ უკუაგდო სხვა იმედები, ყველა მომავალი შეხვედრა, ყველა ხვალინდელი უცნობი. იგი დაქორწინდა და გადაეშვა უძირო უფსკრულში, რომელმაც არგუნა ასეთი მწუხარება, ასეთი ნაღველი, ასეთი სასოწარკვეთილება და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ისევე, როგორც როზალიას, მასაც თვალში მოუვიდა იგი.

ვიღაცამ კარს გაშმაგებით კრა ხელი. კარი გაიღო და გამოჩნდა გამძვინვარებული ჟულიენი. იგი კიბეზე შეხვდა ასლუკუნებულ როზალიას და იმწუთშივე მიხვდა, რომ რაღაც ხრიკებს უწყობდნენ, რომ მოახლე გოგომ ალბათ, ყველაფერი დაფქვა და მოვიდა ამბის გასაგებად. მაგრამ მღვდელი რომ დაინახა, გაშეშდა.

მან აკანკალებული, მაგრამ მშვიდი ხმით იკითხა: — რა არის ეს? რა მოხდა?

ბარონი, რომელიც ერთი წუთის წინ აღშფოთებული იყო, ახლა კრინტს ვერ ძრავდა იმის შიშით რომ მღვდელი იგივეს გაიმეორებდა და სიძეც ამ საბუთებს თავის გასასამართლებლად გამოიყენებდა. დედიკომ ტირილს მოუმატა, მაგრამ ჟანა წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო და სულშეგუბებული უყურებდა იმ ადამიანს, ვინც ასე დაუნდობლად აწამა იგი.

ჟანა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა: — ის მოხდა, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით, ვიცით მთელი თქვენი სიბილწე... მას შემდეგ... იმ დღიდან... რაც თქვენ ამ სახლში ფეხი

შემოდგით... და რომ მოახლე გოგოს ბავშვი თქვენგან ყავს ისევე... ისევე... როგორც... მე... ისინი ძმები იქნებიან...

ამ აზრმა აუტანელი ტანჯვა მიაყენა ჟანას, იგი მოწყვეტით დაეცა საწოლზე და თავშეუკავებლად აქვითინდა.

ჟულიენი გამშრალი იდგა, არ იცოდა რა ეთქვა, რა ემოქმედა. საქმეში ისევ მღვდელი ჩაერია: — ასე როგორ შეიძლება, თავს რად იკლავთ, ჩემო პატარა ქალბატონო. გონს მოდით.

მღვდელი ადგა, საწოლს მიუახლოვდა და თავისი თბილი ხელი შუბლზე დაადო სასოწარკვეთილ ქალს. ამ უბრალო შეხებამ ჟანა საოცრად დააწყნარა. იგი ერთბაშად მოეშვა, თითქოს ცოდვების შენდობასა და ნუგეშის ცემას მიჩვეული ამ ძლიერი ტლანქი ხელის შეხება მხნეობა ჩაუნერგა და იდუმალი სიმშვიდე მოუტანა მას.

ღვთისნიერი ადამიანი ისევ იდგა ჟანას ახლოს და ლაპარაკობდა: — ქალბატონო, ყოველთვის უნდა შევუნდოთ. თქვენ დიდი უბედურება შეგემთხვათ, მაგრამ მოწყალე ღმერთმა სამაგიეროდ მოგიზღოთ დიდი ბედნიერება.— თქვენ მალე დედა გახდებით. ეს ბავშვი თქვენი ნუგეში იქნება. მისი სახელით გემუდარებით, გლოცავთ, აპატიოთ ბატონ ჟულიენს მისი დანაშაული. ეს იქნება ახალი კავშირი, რომელიც კვლავ შეგაერთებთ თქვენ, ეს იქნება მისი მომავალი, ერთგულების საწინდარი. როგორ შეგიძლიათ გულიდან ამოიღოთ ის, ვის ნაყოფსაც მუცლით ატარებთ?

ჟანამ არაფერი უპასუხა. მოთენთილს გატანჯულსა და გაწამებულს არც აღშფოთებისა და არც სიძულვილის თავი არ ჰქონდა. მისუსტებული ნერვები თითქოს შეუმჩნევლად გადაუჭრეს და სიცოცხლე ძლივს სუნთქავდა მასში.

ბარონის მეუღლისათვის უცხო იყო გულღვარძლიანობა. იგი ვერ იტანდა ხანგრძლივ სულიერ დაძაბულობას და ქალიშვილს წასჩურჩულა: — გეყოფა, ჟანა!

მაშინ მღვდელმა საწოლთან მიიყვანა ახალგაზრდა კაცი და მისი ხელი ცოლს ჩაუდო ხელში თან ზემოდან თვითონ გადააჭდო ხელი, თითქოს სამუდამოდ აერთებდათ მათ. შემდეგ მიატოვა ზნეობის მქადაგებლის საქმიანი ტონი და კმაყოფილი გამომეტყველებით შენიშნა: — აი ასე, ყველაფერი რიგზეა; დამიჯერეთ ასე აჯობებს.

ორი ხელი კი ერთი წუთით შეერთებული, მაშინვე გაითიშა. ჟულიენმა ვერ გაბედა

ჟანასთვის ეკოცნა და სიდედრს ემთხვია შუბლზე. მკვეთრად შეტრიალდა ქუსლზე, ხელი გაუყარა ბარონს, რომელიც უსიტყვოდ დაემორჩილა და გულში ბედნიერად გრძნობდა თავს, საქმე რომ ასე მოეწყო; ისინი ერთად გავიდნენ სიგარის მოსაწევად.

ამის შემდეგ არაქათ გამოცლილ ავადმყოფს ჩაეძინა მღვდლის და დედიკოს წყნარსა და ხმადაბალ საუბარში.

აბატი ლაპარაკობდა, განმარტავდა, თავის შეხედულებას გამოთქვამდა, ბარონის მეუღლე კი თავს უქნევდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. ბოლოს მღვდელმა დაასკვნა: — მაშ, გადაწყდა. ამ გოგოს თქვენ აძლევთ ბარვილის ფერმას, ხოლო მე უნდა გამოვუძებნო პატიოსანი და წესიერი ქმარი. ო, ოცი ათასი ფრანკის მზითვს მსურველი გამოუჩნდება, გაძნელდება მხოლოდ არჩევანი.

ბარონის მეუღლე კი უკვე იღიმებოდა და ხარობდა; მას ორი კურცხალი კიდევ შერჩენოდა ლოყაზე, მაგრამ მათი სველი კვალი უკვე გაშშრალიყო.

მან დაადასტურა: — დიახ, გადაწყდა. ბარვილი სულ ცოტა ოცი ათას ფრანკად ღირს, მაგრამ ეს ქონება ბავშვის სახელზე უნდა დაიწეროს, ისე , რომ მშობლებმა მთელ სიცოცხლეში ისარგებლონ მისი შემოსავლით.

მღვდელი ადგა და ხელი ჩამოართვა დედიკოს : — ნუ წუხდებით, ბარონის მეუღლევ, ნუ წუხდებით. მე ვიცი, რად გვიღირს მე და თქვენ თითოეული ნაბიჯი.

გასვლისას ივი შეხვდა დეიდა ლიზონს, რომელიც ავადმყოფის სანახავად მოდიოდა. საბრალოს არაფერი შეუმჩნევია, არც ვინმეს უთქვამს რაიმე და როგორც ყოველთვის, ვერც ვერაფერი გაიგო.

* * *

თავი VIII

როზალიამ დასტოვა სახლი, ხოლო ჟანა ამთავრებდა მტანჯველი ფეხმძიმობის პერიოდს. დედობა არავითარ სიამეს არ ჰგვრიდა მას, მეტისმეტმა მწუხარებამ მოქანცა იგი. მოულოდნელ უბედურებათა შიშით გატანჯული ჟანა ბავშვს მოუთმენლად როდი ელოდა.

გაზაფხული შეუმჩნევლად მოვიდა. გატიტვლებულ ხეებს ჯერ კიდევ ცივი ქარი არხევდა, მაგრამ თხრილებში, სადაც პირველი ყვითელი ენძელა გამოჩნდა, მთელი დაბლობი, ფერმის ეზოები, გადარეცხილი მინდვრები ნესტს გაეჟღინთა, იდგა გაფუებული მიწის სუნი. მურა მიწიდან თავი ამოეყო უამრავ პატარა ღეროს და მზის სხივებზე ბრწყინავდა.

როზალია შეცვალა სქელმა, ზორბა ქალმა. იგი მხარში ედგა და შველოდა ბარონის მეუღლეს თავისი ერთფეროვანი სეირნობის დროს ხეივანში, სადაც მისი დამძიმებული ცალი ფეხით მუდამ სველ და ჭუჭყიან კვალს ტოვებდა.

მამიკო ხელგაყრილი ასეირნებდა ჟანას, რომელიც ჩვეულებრივზე მეტად დამძიმებულიყო და მუდამ უქეიფოდ გრძნობდა თავს. მომავალი ამბებით შეშფოთებული და შეწუხებული დეიდა ლიზონის ჟანას მეორე ხელი ეკავა. მას აღელვებდა საიდუმლო, რომელსაც თვითონ ვერასოდეს გამოსცდიდა.

ასე ხეტიალობდნენ ისინი მთელი საათობით და თითქმის არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ჟულიენი, რომელიც უეცრად ცხენოსნობამ გაიტაცა, ამ დროს ახლომახლო მიდამოებში დაჯირითობდა.

არაფერი არ არღვევდა მათ უღიმღამო ცხოვრებას. ბარონი, მისი მეუღლე და ვიკონტი სტუმრად იყვნენ ფურვილებთან, რომლებსაც ჟულიენი, როგორც ჩანდა, დიდი ხანია იცნობდა, თუმცა ვერავინ იტყოდა ზუსტად, როგორ მოხდა ეს. მეორე მეტად ცერემონიული ვიზიტი ჰქონდა აგრეთვე ბრიზვილებთან, რომლებიც ძველებურად ჩაკეტილი ცხოვრობდნენ თავიანთ მთვლემარე სასახლეში.

ერთხელ ნაშუადღევს, ასე ოთხ საათზე, ორი ცხენოსანი —კაცი და ქალი ჩორთით შემოვიდა სასახლის ეზოში და ძლიერ აღფრთოვანებულმა ჟულიენმა ჟანას ოთახში შემოირბინა: — ჩქარა, ჩქარა ჩამოდით. ფურვილები არიან! ისინი მეზობლურად, შინაურულად მოვიდნენ, რადგან იცოდნენ შენი მდგომარეობა. უთხარი, რომ შინ არა ვარ,

მაგრამ მალე დავბრუნდები, ტანისამოსს გამოვიცვლი.

გაკვირვებული ჟანა ძირს ჩავიდა. ახალგაზრდა, ფერმკრთალმა, სანდომიანი და ავადმყოფური სახის ქალმა, აღგზნებული თვალებითა და ღია ოქროსფერი თმებით, რომლებსაც თითქოს არასოდეს არ მიალერსებია მზის სხივები, მშვიდად წარუდგინა თავისი ქმარი, ნამდვილი ბუმბერაზი, რაღაც წითელულვაშიანი საფრთხობელა. შემდეგ ქალმა განმარტა.

— ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა შევხვედროდით ბატონ დე ლამარს. მისგან ვიცოდით, რომ შეუძლოთ ბრძანდებით და გადავწყვიტეთ აღარ დაგვეყოვნებინა, გვენახეთ მეზობლურად, სრულიად უცერემონიოდ. თუმცა თქვენც ხედავთ, რომ ცხენებით გეახელით. გარდა ამისა, ამ დღეებში ბედნიერება გვქონდა გვწვეოდა დედათქვენი და ბარონი.

ივი ლაპარაკობდა გასაოცარი ნატიფი უბრალოებით. მან ერთბაშად მოხიბლა და მოაჯადოვა ჟანა . „აი ვინ იქნება მეგობარი" — გაიფიქრა მან.

გრაფი დე ფურვილი, პირიქით, სასტუმრო ოთახში შემოსულ დათვს ჰგავდა. როცა დაჯდა, თავისი ქუდი მეზობელ სკამზე დადო, ერთხანს არ იცოდა სად წაეღო ხელები, — ხან მუხლებს დაეყრდნო იდაყვებით! ხან კიდევ საკარძლის სახელურებს, ბოლოს მლოცველივით გადააჯვარედინა თითები.

უცბად ჟულიენი შემოვიდა. განცვიფრებული ჟანა თვალს არ უჯერებდა — ჟულიენს წვერი გაეპარსა, გალამაზებულიყო, კოხტა და მომხიბვლელი ჩანდა, როგორც ნიშნობის დღეებში. გრაფმა, რომელიც თითქოს გამოფხიზლდა ჟულიენის შემოსვლისას ბანჯგვლიანი თათი გაუწოდა მას. შემდეგ ხელზე აკოცა გრაფის მეუღლეს, რომელსაც მკრთალი ლოყები შეუფაკლდა და წამწამები აუთრთოლდა.

ჟულიენი ალაპარაკდა. ივი ისეთივე თავაზიანი იყო, როგორც ოდესღაც. მისი დიდი თვალები, სიყვარულის სარკეს რომ ჰგავდნენ, ისევ ალერსიანი გამხდარიყვნენ. ერთი წუთის წინ უფერული და უხეში თმები ჯაგრისს და სურნელოვან ზეთს რბილ, მბრწყინავ ტალღებად დაეწყო.

როცა ფურვილებმა გამგზავრება დააპირეს, გრაფის მეუღლე მიუბრუნა მას: — გნებავთ, ძვირფასო ვიკონტ, ხუთშაბათს ცხენით გავისეირნოთ?

და იმ დროს როცა თავდახრილი ჟულიენი ლუღლუღებდა: ო, რა საკვირველია,

ქალბატონო, გრაფის მეუღლემ ხელი მოჰკიდა ჟანას და ალერსიანი, გულში ჩამწვდომი ხმით და ნაზი ღილით უთხრა: — ოჰ, როცა მოიკეთებთ, სამივენი ერთად ვიჯირითებთ ამ მიდამოებში. მშვენიერი რამ იქნება, ხომ მართალია?

მან მარდად ასწია მაზონის შლეიფი და ჩიტივით შეფრთხიალდა უნაგირზე. მისი ქმარი კი მოუქნელად გამოეთხოვა მასპინძლებს და შეაჯდა თავის უზარმაზარ ნორმანდიულ ცხენს, რომელიც მხედართან ერთად კენტავრი გეგონებოდათ.

მიიმალნენ თუ არა ისინი ღობის კუთხეში, მოჯადოებულმა ჟულიენმა წამოიყვირა: — რა მშვენიერი ხალხია, აი ნამდვილად გამოსადეგი ნაცნობობა.

ჟანამ, კმაყოფილმა, თავად არ იცოდა რად, უპასუხა: — გრაფის პატარა მეუღლე მომხიბლავია, მე მგონია შემიყვარდება იგი, მაგრამ მისი მეუღლე მხეცსა ჰგავს. მაინც სად გაიცანით ისინი?

ჟულიენი მხიარულად ისრესდა ხელებს: — მათ შემთხვევით შევხვდი ბრიზვილებთან. ქმარი ცოტა არ იყოს, ულაზათო ვინმეა. იგი თავგადადებული მონადირეა, მაგრამ ნამდვილი კეთილშობილი ადამიანია.

საღილმა თითქმის მხიარულად ჩაიარა, თითქოს იდუმალი ბედნიერება შევიდა მათ სახლში .

მეტი ახალი არაფერი მომხდარა ივლისის უკანასკნელ დღეებამდე.

ერთ საშაბათ საღამოს, როცა ისინი ჭადრის ძირში ისხდნენ ხის მაგიდის გარშემო, რომელზეც ორი სირჩა და არაყიანი გრაფინი იდგა, ჟანამ უეცრად წამოიყვირა. გაფითრდა ორივე ხელი მუცელზე იტაკა. მწვავე ტკივილმა ელვის სისწრაფით გაურბინა და იმ წუთშივე ჩაქრა, მაგრამ არა ისევ გაუმეორა უფრო ხანგრძლივი, მაგრამ არა ისეთი მწვავე ტკივილი. ჟანა დიდი გაჭირვებით შევიდა სახლში. მამას და ქმარს თითქოს მოჰქონდათ იგი. მოკლე მანძილი ჭადრიდან თავის ოთახამდე უსასრულოდ მოეჩვენა. ისე ტანჯავდა მუცელში ჩამოწოლილი ტვირთი, რომ უნებურად კვნესოდა და წამდაუწუმ ითხოვდა, დავსხდეთ, შევჩერდეთო. ჯერ კიდევ მშობიარობის დრო არ იყო, ბავშვის დაბადებას სექტემბრამდე არ ელოდნენ, მაგრამ უბედური შემთხვევის შიშით ბიძია სიმონს უბრძანეს ორთვალა შეება და ექიმი მოეყვანა.

ექიმი შუაღამისას მოვიდა და ერთი თვალის გადავლებით დაინახა ნაადრევი

მშობიარობის სიმპტომები.

საწოლში ჟანას ოდნავ შეუნელდა ტანჯვა, მაგრამ ახლა საშინელ შიშს, სულიერ დაცემას განიცდიდა, სიკვდილის იდუმალი წინათგრძნობა კი გულს უმძიმებდა. ეს ისეთი წუთი იყო, როცა სიკვდილი ისე ახლოა, რომ მისი სუნთქვა გულს გვიყინავს.

ოთახი სავსე იყო ხალხით. სავარძელში წამოწოლილ დედიკოს სული ეხუთებოდა, დაბნეული ბარონი კი აქეთ-იქით აწყდებოდა. აკანკალებული ხელებით მიჰქონდა რაღაც საგნები, რჩევა-დარიგებას სთხოვდა ექიმს. ჟულიენი ოთახში წინ და უკან დადიოდა, შეწუხებული სახით, მაგრამ შინაგანად დამშვიდებული. დანტიუს ქვრივი საწოლის ფეხებთან იდგა გარემოების შესაბამისი გამომეტყველებით, იმ დიდი ქალის გამომეტყველებით, რომელსაც ვერაფრით გააკვირვებ. ბებია ქალი, ავადმყოფის მომვლელი, მიცვალებულის მეთვალყურე, იგი პირველი ხვდებოდა ახალშობილს, ცხოვრებაში რომ შემოვიდოდა, იგი იყო მისი პირველი ამოყვირების მოწმე, პირველი იგი ავლებდა წყალს ბავშვის თოთო ტანს და პირველ საცვალში ახვევდა მას. და შემდეგ ასევე აუღელვებლად ისმენდა ამქვეყნიდან მიმავალთა უკანასკნელ სიტყვებს, უკანასკნელ ხროტინს, უკანასკნელ გაჟრჟოლებას, უკანასკნელად აცმევდა, ძმრით წმენდდა უსიცოცხლო სხეულს, უკანასკნელად ზეწარში ახვევდა და მუდამ ურყევი გულცივობით ხვდებოდა დაბადებისა თუ სიკვდილის ყველა შემთხვევას.

მზარეული ლუდივინა და დეიდა ლიზონი წინა ოთახის კარებს უკან მიყუჟულიყვნენ.

ავადმყოფი კი დროგამოშვებით სუსტად კვნესოდა.

ორი საათის განმავლობაში შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ მშობიარობა მალე არ დაიწყებოდა; მაგრამ გათენებისას ტკივილები უცბად ახალი ძალით განახლდა და მალე აუტანელი გახდა.

თუმცა ჟანა კბილს კბილზე აჭერდა, ყვირილს მაინც ვერ ახერხებდა, თან გამუდმებით ფიქრობდა როზალიაზე, რომელსაც სრულებით არ უწვალია, თითქოს არც დაუკვნესია, და ბავშვი, უკანონო ბავშვი, დაიბადა იოლად და გაუწვალებლად.

თავის უბედურ და აფორიაქებულ გულში იგი თავისთავს განუწყვეტლივ როზალიას ადარებდა, სწყევლიდა ღმერთს, რომელსაც სამართლიანად სთვლიდა ოდესღაც, აღშფოთებით ბედის მიუტევებელი მიკერძოება და მათი დანაშაულებრივი სიცრუე, ვინც

სიმართლესა და სიკეთეს ქადაგებს.

ზოგჯერ შეტევა ისე მტანჯველი იყო, რომ ჟანა აზრს კარგავდა. ტანჯვა ნთქავდა მთელ მის ძალას, მთელ სიცოცხლეს, მთელ ცნობიერებას.

ტკივილის დაყუჩებისას იგი თვალს ვერ აშორებდა ჟულიენს და მეორე ტკივილი, სულიერი ტკივილი გულს უღრღნიდა და აგონებდა იმ დღეს, როცა მისი მოახლე სწორედ ამ საწოლთან იატაკზე დაეცა ფეხებშორის დაგდებული ბავშვით, ამ პატარა არსების ძმით, რომელიც ასე ულმობლად უგლეჯდა შიგნეულობას. მეხსიერებაში იგი დაწვრილებით აღადგენდა ქმრის ჟესტს, გამომეტყველებას, სიტყვებს, როცა იმ გაშხლართულ გოგოს უყურებდა. ახლაც ჟანა ქმრის აზრებს ისე კითხულობდა, თითქოს ისინი მის მოძრაობაში ეწერა: კითხულობდა იმავე სინანულს, იმავე გულცივობას, როგორც იმ მოახლე გოგოსადმი გამოიჩინა, ხედავდა იმავე უზრუნველობას ეგოისტი მამაკაცისა, რომელსაც მამობა აღიზიანებს.

მაგრამ ამ დროს ისეთი საშინელი კრუნჩხვები და ულმობელი სპაზმები დაეწყო, რომ დაიყვირა: — ახლა კი მოვკვდები! ვკვდები!

საშინლად აღშფოთებულს, შეჩვენების სურვილი აღეძრა და უსაზღვროდ მძულვარებით აღივსო იმ კაცისადმი, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა, და იმ უხილავი ბავშვისადმი, რომელიც კლავდა მას.

ჟანამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ამ ტვირთის მოსაშორებლად. უცბათ მოეჩვენა რომ მუცელი მყისვე დაუყუჩდა.

მომვლელი ქალი და ექიმი დახრილიყვნენ და ზელდნენ მას, შემდეგ მათ რაღაც გამოიღეს და იმავე წუთში როგორღაც დაშთობილმა ხმამ, რომელიც ჟანას უკვე გაგონილი ჰქონდა, შეაკრთო იგი. ამ უმწეო ტირილმა, ახალშობილის ამ სუსტმა კნავილმა შეაღწია მის სულსა და გულში, მთელ მის ავადმყოფ, გაწამებულ სხეულში და ჟანამ შეუგნებელი მოძრაობით მოიწადინა ხელი გაეწოდებინა მისთვის. იგი განიმსჭვალა სიხარულით, ახლახან გაჩენილი ბედნიერებისაკენ მისწრაფებით. უცბად მან იგრძნო, რომ თავისუფალი, დამშვიდებული და ბედნიერი იყო, ისე ბედნიერი როგორც არასოდეს. გული და სხეული უცოცხლდებოდა და იგრძნო რომ დედა იყო!

ჟანას უნდოდა ენახა თავისი ბავშვი. ჩვილს, რადგან ნაადრევად დაიბადა, არ ჰქონდა

თმა, არც ფრჩხილები, მაგრამ როცა ჟანამ დაინახა, როგორ ფათურობდა ეს ჭიაყელა, როგორ აღებდა საგირლად პაგარა პირს, როცა იგი ხელით შეეხო დანაოჭებულ, მოძრავ მუჭისტოლა უდღეურს, დაუძლეველმა სიხარულმა შეიპყრო, და მიხვდა, რომ გადარჩა, თავი დააღწია უიმედობას, და სხვა არაფერი აღარ უნდოდა.

ამ წუთიდან ჟანას მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდა: ბავშვი. უცბად იგი ფანატიკოსი დედა გახდა, მით უფრო გატაცებული, რამდენადაც მოტყუებული სიყვარულში და გაცრუებული თავის იმედებში. მას უნდოდა აკვანი ყოველთვის მის საწოლთან ყოფილიყო, ხოლო შემდეგ, როცა წამოდგომა შეძლო, მთელ დღეებს ფანჯარასთან ატარებდა, აკვნის ახლოს და არწევდა მას.

იგი ეჭვიანობდა ძიძას. როცა მოშივებული ჩვილი ხელებს გაიწვდიდა მის მოლურჯო ძარღვებით დასერილ აფუებული ძუძუებისაკენ, შემდეგ კი ხარბად ეცემოდა დანაოჭებულ ყავისფერ ძუძუსთავს, ჟანა ფითრდებოდა, კანკალებდა, შეჰყურებდა ბრგე, მშვიდ გლეხის ქალს და სურდა გამოეგლიჯა მისთვის შვილი, ეცემა, ფრჩხილებით დაეკაწრა ის ძუძუ, რომელსაც ჩვილი გაუმაძღრად სწოვდა. მან მოისურვა თვითონ მოექარგა პაგარასთვის კოხტა და უცნაური ტანსაცმელი. ბავშვს ხვევდნენ უამრავ მაქმანში, თავზე ახურავდნენ მდიდრულ ჩაჩებს. ჟანა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა და ყოველგვარ საუბარს წყვეტდა, რომ ჩვილის სახვევებით, გულსაფრით ან ჩინებულად მოქარგული პერანგით დამტკბარიყო. იგი ყურს არ უგდებდა რაზე ლაპარაკობდნენ მის გარშემო.

აღტაცებული გამუდმებით ატრიალებდა ხელში თეთრ საცვლებს, უკეთ რომ დაეთვალიერებინა ისინი, და შემდეგ უეცრად წამოიძახებდა: — თქვენი აზრით, მოუხდება მას?

ბარონსა და დედიკოს აცინებდა ეს დაუოკებელი გრძნობა, მაგრამ ჟულიენი, რომელსაც ამ მყვირალა და ყოვლის შემძლე ტირანის გამოჩენამ შეურყია ჩვეულებები და დაუმცირა მბრძანებლის მედიდურობა, შეუგნებლად ეჭვიანობდა ამ ადამიანის ნაფლეთზე, რომელმაც მისი ადგილი მიიტაცა სახლში. იგი ყოველთვის მოუთმენლად და ბრაზით იმეორებდა: — აუტანელია ეს ქალი თავისი ბიჭით!

მალე ჟანა ისე შეიპყრო დედურმა სიყვარულმა, რომ ღამეებს ატარებდა აკვანთან და უყურებდა, როგორ ეძინა პაწიას. მაგრამ ამ აგზნებულმა და ავადმყოფურმა ჭვრეტამ იგი ძლიერ მოქანცა, სულ არ ჰქონდა მოცლა, სუსტდებოდა ხმებოდა, ახველებდა და ექიმმა მოითხოვა დაეცილებინათ დედა— შვილი.

ჟანა ჯავრობდა, ტიროდა, ივედრებოდა, მაგრამ მის თხოვნას ყურს არ უგდებდნენ. ბავშვი ყოველ საღამოს ძიძასთან გადაჰყავდათ, ხოლო დედა ყოველ ღამე დგებოდა და ფეხშიშველი მირბოდა კართან, ყურს ადებდა გასაღების ჭუჭრუტანას და ისმენდა, მშვიდად ეძინა თუ არა მის პატარას, ხომ არ ტიროდა, ან ხომ არ სჭირდებოდა რაიმე.

ერთხელ ჟულიენი ფურვილებთან სადილობის შემდეგ გვიან დაბრუნდა და ჟანას სწორედ ამ მდგომარეობაში მიუსწრო. ამიერიდან ჟანას გასაღებით უკეტავდნენ ოთახს, რომ საწოლს არ მოსცილებოდა.

ბავშვი აგვისტოს ბოლოს მონათლეს. ნათლიები იყვნენ ბარონი და დეიდა ლიზონი. ბავშვს დაარქვეს პიერ-სიმონ-პოლი, შინაურულად კი პოლი.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ლიზონი უხმაუროდ გაემგზავრა. მისი არ ყოფნა ისევე შეუმჩნეველი დარჩა, როგორც ყოფნა.

ერთ საღამოს, ნასადილევს, მღვდელი მოვიდა. იგი აშკარად შეშფოთებული ჩანდა, თითქოს რაღაც საიდუმლოება ამძიმებდა, და გრძელი, უაზრო სიტყვის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ბარონის მეუღლესა და ბარონს სთხოვა რამდენიმე წუთი ეწყალობებინათ განმარტოებული საუბრისათვის.

სამივე ნელი ნაბიჯით ბოლომდე გაჰყვნენ დიდ ხეივანს, თან გაცხარებით საუბრობდნენ. ჟანასთან მარტო დარჩენილი ჟულიენი გაოცებული, შეშფოთებული და ნაწყენი იყო ამ საიდუმლო საუბრით.

როცა მოძღვარი გამოეთხოვა მათ, ჟულიენმა მისი გაცილება მოისურვა და ისინი ერთად გაუდგნენ გზას ეკლესიისაკენ, საიდანაც ისმოდა ზარების რეკვა, რომელიც ღვთისმშობლის ლოცვის დროს ამცნობდა ხალხს.

გრილოდა, თითქოს ციოდა. ამიტომ ყველანი მალე დაბრუნდნენ სასტუმრო ოთახში. ისინი ოდნავ თვლემდნენ, როცა ჟულიენი უცბად გამოჩნდა. იგი მთლად გაწითლებული და აღშფოთებული იყო.

ოთახის კარებიდან მან ხმამაღლა დაუყვირა სიდედრსა და სიმამრს და არც კი უფიქრია ჟანას მორიდებოდა: — ნამდვილად გაგიჟებულხართ, ღმერთმანი! ოცი ათასი ფრანკი უნდა გადააგდოთ იმ გოგოსათვის?

მოულოდნელობისაგან ყველანი ისე განცვიფრდნენ, რომ ვერც ერთმა კრინტი ვერ დაძრა. იგი ღრიალებდა: — ასე სულელი როგორ შეიძლება იყოთ; თქვენ დედიშობილათ დაგვტოვებთ ჩვენ!

მაშინ ბარონმა, რომელიც გონს მოვიდა, სცადა მისი შეჩერება.

— გაჩუმდით, იფიქრეთ რას ლაპარაკობთ თქვენს ცოლთან.

მაგრამ ჟულიენი სიბრაზისაგან ცახცახებდა: — ფეხებზე მკიდია მე ეგ. მან ხომ მან ხომ ყველაფერი იცის. ეს მისი ქონების განიავებაა.

განცვიფრებული ჟანა უაზროდ იყურებოდა. მან წაიბუტბუტა.

— რა იყო, რა მოხდა?

მაშინ ჟულიენი ცოლს მიუბრუნდა და, როგორც თანამონაწილე, რომელიც მასთან ერთად ზარალდებოდა, მოწმედ დააყენა. მან სასწრაფოდ გააცნო ჟანას საიდუმლო მორიგება როზალიას გათხოვების თაობაზე, რომ მას მზითვად აძლევდნენ ბარვილის ფერმას, რომელიც სულ ცოტა ოცი ათასი ფრანკი ღირდა. იგი განუწყვეტლივ იმეორებდა: — შენი მშობლები ჭკუაზე შეიშალნენ, ჩემო ძვირფასო, თავზე ხელაღებული გიჟები არიან! ოცი ათასი ფრანკი! ოცი ათასი ფრანკი! მთლად დაკარგეს ჭკუა! ოცი ათასი ფრანკი ნაბიჭვარს!

ჟანა აუღელვებლად და აღუშფოთებლად უსმენდა, თავისი სიმშვიდისა თვითონ უკვირდა, მაგრამ ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, რაც შვილს არ შეეხებოდა.

ბარონს სული ეხუთებოდა, საპასუხო სიტყვას ვერ პოულობდა, მაგრამ ბოლოს ისიც გაცეცხლდა, ფეხები დააბაკუნა და დაიყვირა: — ბოლოს და ბოლოს, დაუფიქრდით რას ამბობთ! ეს წარმოუდგენელია! ვისი მიზეზია, რომ იმ გოგოს გამზითვება დაგვჭირდა? ვისია ის ბავშვი? რასაკვირველია, ახლა მოხარული იქნებოდით, თუ თავიდან მოიშორებთ!

ბარონის სიმკაცრით განცვიფრებული ჟულიენი მიაშტერდა მას და უფრო დამშვიდებული ტონით განაგრძო: — კი, მაგრამ ათას ხუთასი ფრანკი სავსებით საკმარისია. გათხოვებამდე მაგათ ყველას ჰყავთ ბავშვი, ვისგან — ეს სულ ერთია. თუ თქვენ მას აჩუქებთ ოცი ათას ფრანკად ღირებულ ერთ-ერთ ფერმას, არა მარტო ჩვენ დაგვაზარალებთ, არამედ საქვეყნოდ გაახმაურებთ იმას, რაც მოხდა. რაც არ უნდა იყოს, ჩვენს სახელსა და მდგომარეობაზე უნდა გეფიქრათ.

ივი ლაპარაკობდა მკაცრად, როგორც თავის სიმართლესა და მსჯელობის ლოგიკურობაში დარწმუნებული კაცი. ბარონი სულ დააბნია ამ მოულოდნელმა არგუმენტაციამ. თავისი უპირატესობა რომ იგრძნო, ჟულიენმა დაასკვნა: — საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვიანი არ არის, მე ვიცნობ ერთ ახალგაზრდას, რომელიც შეირთავს მას. კარგი ყმაწვილია და მასთან ყველაფერი მოგვარდება. მე ვკისრულობ ამას.

და ალბათ იმის შიშით, რომ კამათი კიდევ არ გაგრძელებულიყო, იგი იმწამსვე გავიდა, გახარებული საერთო სიჩუმით, რაც თანხმობად მიიჩნია.

როგორც კი ჟულიენი თვალს მიეფარა, საშინლად გაოცებული და აღშფოთებული ბარონი აყვირდა: — ოჰ, ეს კი მეტისმეტია!

მაგრამ ჟანამ, მამის დაბნეულ სახეს რომ შეხედა, უეცრად გადაიხარხარა. იგი იცინოდა წკრიალა ხმით, როგორც ოდესღაც სჩვეოდა რაიმე სასეიროს ნახვისას. იგი იმეორებდა: — მამა, მამა, გაიგონე როგორ ამბობდა : „ოცი ათასი ფრანკი“.

დედიკო, რომელიც, თავს ბედნიერად გრძნობდა ჟანას კარგი გუნება— განწყობილებით და რომელსაც სიცილი და ცრემლი თანაბარი სისწრაფით ეუფლებოდა, მთლად აძაგძაგდა, სიცილით იხრჩობოდა, და ცრემლებიც კი წამოცვივდა, როცა გაიხსენა სიძის მრისხანე სახე, მისი აღშფოთებული ყვირილი და მტკიცე უარი, რომ ფული მიეცათ გოგოსათვის, რომელიც თვითონ შეაცდინა, ის ფული, რომელიც მისი არ იყო. მაშინ ამ გადამდები სენით შეპყრობილი ბარონიც აჰყვა მათ და სამივენი, როგორც ეს წინათ ბედნიერ დღეებში სჩვეოდათ ხოლმე, არაქათ გამოცლამდე იცინოდნენ.

როცა ოდნავ დაწყნარდნენ, ჟანამ გაიკვირვა: — საინტერესოა ახლა არაფრად ვაგდებ ყოველივე ამას. ჟულიენს ისე ვუყურებ, როგორც უცხოს. ისიც არ მჯერა, რომ მისი ცოლი ვარ. თქვენ ხედავთ, მე მეცინება კიდეც მის... მის... უტაქტობაზე.

და თვითონაც არ იცოდნენ რისთვის, ერთმანეთი გადაკოცნეს და გულაჩუყებულნი ისევ იღიმებოდნენ.

ორი დღის შემდეგ, ნასაუზმევს, ის იყო ჟულიენი ცხენით გაემგზავრა, რომ ჭიშკარში შემოძვრა ერთი მაღალი ბიჭი, ასე ოცდაორი-ოცდახუთი წლისა. მას ეცვა ახალთახალი, საგანგებოდ დაუთოებული ლურჯი ბლუზა, რომელსაც გაუტეხელი ნაკეცები უჩანდა, გაბერილი სახელოები ჰქონდა და მაჯებზე ღილით იკვრებოდა. უეჭველია, ივი დილიდანვე

უდარაჯებდა მათ, ახლა კი კუიარების ღობის გასწვრივ გაძვრა, შემოუარა სასახლეს და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბარონს და ორ ქალს, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ჭადრის ქვეშ ისხდნენ.

თვალი მოჰკრა თუ არა მათ, ბიჭმა ქუდი მოიხადა და იქით გაემართა, თან გზადაგზა, შემკრთალი, თავს უკრავდა, ესალმებოდა მასპინძლებს.

როცა იმდენად მიუახლოვდა მათ, რომ მის ხმას გაიგონებდნენ, ბიჭმა დაილუღლუღა: — თქვენი მონა-მორჩილი მსახური, ბატონო ბარონო, ქალბატონო და საზოგადოებავ!

რაკი პასუხი ვერ მიიღო, გამოაცხადა: — ეს მე გახლავართ-დეზირე ლეკოკი. ბიჭის ვინაობა მაინც უცნობი დარჩა და ბარონმა ჰკითხა: — რა გნებავთ?

როცა დაინახა, რომ გარემოება ახსნა-განმარტებას მოითხოვდა, ახალგაზრდა სულ აირია. იგი ხან ძირს დახრიდა თვალებს, ხან ზევით აიხედავდა, ხან ქუდს აშტერდებოდა, რომელსაც სრესდა და ძლიერ მაღლა სწევდა. ბოლოს ბორძიკით ალაპარაკდა: — თვითონ ბატონმა კიურემ ჩამომიგდო სიტყვა ამ საქმეზე...

ბიჭს შეეშინდა, ზედმეტი არ წამოვროშო, ჩემს ინტერესებს არ ვავნოო და ჩაჩუმდა.

ბარონმა ვერაფერი გაიგო და ხელახლა იკითხა: — რა საქმე? მე არაფერი არ ვიცი.

მაშინ ახალგაზრდამ ხმას დაუწია და გაბედა: — აი თქვენს მოახლე გოგოს... როზალიას საქმე...

ჟანა ყველაფერს მიხვდა, ადგა და ბავშვით ხელში იქაურობას გაეცალა. ბარონმა თქვა: — ახლოს მოდით, — და მიუთითა სკამზე, რომელიც მისმა ქალიშვილმა ის-ის იყო დატოვა.

გლეხი იმწუთშივე დაჯდა და წაიბუტბუტა: — თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით.

შემდეგ მოლოდინში გაჩუმდა, თითქოს მეტად არაფერი ჰქონდა სათქმელი. საკმაოდ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მან გამბედაობა მოიკრიბა და თვალი ლურჯ ზეცას აღაპყრო და თქვა: — ამ დროისათვის კარგი ამინდია. მიწაც ასეთია საჭირო დასათესად,— და ისევ გაჩუმდა.

ბარონმა მოთმინება დაკარგა, უცბად შეუტია და უკმეხად ჰკითხა: — მაშ ასე, თქვენ ირთავთ როზალიას?

გლეხს მოუსვენრობა დაეტყო, დაიბნა, შეშინდა, რომ მისი ნორმანდიული ცბიერება არ გამომჟღავნებულიყო. მან უპასუხა მკვირცხლად, მაგრამ უნდობლად: — გააჩნია გარემოებას, შეიძლება —კი, შეიძლება — არა.

მაგრამ ბარონს აღიზიანებდა ეს ხრიკები: — ეშმაკმა დალახვროს! პირდაპირ მიპასუხეთ: ამისთვის მოხვედით თუ არა? შეირთავთ თუ არა?

კაცი საგონებელში ჩავარდა და ახლა თავის ფეხებს დასჩერებოდა: — თუ ისეა, როგორც ბატონი კიურე ამბობს, შევირთავ, მაგრამ თუ ისეა როგორც ბატონმა ჟულიენმა ბრძანა, მაშინ არა.

— რა გითხრათ ბატონმა ჟულიენმა?

— ბატონმა ჟულიენმა მითხრა, რომ ათას ხუთას ფრანკს მივიღებ, ბატონმა კიურემ კი — ოცი ათას ფრანკსო, — ოცი ათას ფრანკად სიამოვნებით, მაგრამ ათას ხუთასად — არა.

ბარონის მეუღლე, რომელიც ნახევრად წამოწოლილიყო სავარძელში, სიცილად გადაიქცა, ამ გაუთლელი ბიჭის შეშფოთებული სახე რომ დაინახა. გლეხმა უკმაყოფილოდ, ალმაცერად გახედა მას, რადგან ვერ გაიგო მხიარულების მიზეზი, და პასუხს დაელოდა.

ბარონს მობეზრდა ვაჭრობა და მოკლედ მოჭრა: — მე ვუთხარი ბატონ კიურეს, რომ მთელ თქვენს სიცოცხლეში ბარვილების ფერმა თქვენი იქნება, შემდეგ კი ბავშვს გადაეცემა. ეს ფერმა ოცი ათასი ფრანკი ღირს. მე სიტყვის კაცი ვარ. საქმე ასეა — ჰო თუ არა?.

გლეხმა პირმოთნედ, კმაყოფილებით ჩაიცინა და მყისვე ლაყბობას მოჰყვა: — თუ ასეა, უარს არ ვამბობ, ეს მიშლიდა მხოლოდ ხელს. როცა ბატონმა კიურემ სიტყვა ჩამომიგდო ამის შესახებ, იმწუთშივე დავეთანხმე. ღმერთმანი, მინდოდა ბატონ ბარონისათვის მესიამოვნებინა. იგი ამას დამიფასებს-მეთქი, გულში ვფიქრობდი. მართლაც ასეა, ადამიანს რაიმეს გაუკეთებ და ხედავ, იგი სამაგიეროს გიხდის. მაგრამ ამას წინათ ბატონმა ჟულიენმა შემოიხედა ჩემთან და აღმოჩნდა, რომ მთავაზობენ მხოლოდ ათას ხუთას ფრანკს. მაშინ ვიფიქრე — წავალ, გავიგებ-მეთქი და მოვედი კიდევაც. რასაკვირველია, არ მეეჭვებოდა, მაგრამ მაინც მინდოდა გამეგო სიმართლე. ანგარიში მეგობრებს უფრო აკავშირებს, ხომ მართალია, ბატონო ბარონო?

საჭირო გახდა მისი შეჩერება და ბარონმა ჰკითხა: — როდის ფიქრობთ დაქორწინებას?

მაშინ გლეხი ისევ დაფრთხა და აირია. ბოლოს ყოყმანით თქვა: — ხომ არ შეიძლება პატარა ქაღალდი შეგვედგინა?

ამჯერად ბარონი აენთო: — ეშმაკმა წაგიღოს! თქვენ ხომ ქორწინების ხელშეკრულებას მიიღებთ. ამაზე უკეთესი ქაღალდი რა იქნება.

გლეხი გაჯიუტდა: — კარგი იქნება მანამდე თუ შევადგენთ ქაღალდს. ეს არაფერს დააშავებს.

ბარონი ადგა რათა ბოლო მოეღოთ ვაჭრობისათვის: — ახლავე მიპასუხეთ: კი თუ არა? თუ გადაიფიქრეთ, პირდაპირ თქვით. მე მყავს სხვა მთხოვნელი.

კონკურენტის შიშმა მთლად არია ცბიერი ნორმანდიელი და მაშინვე გადაწყვიტა. მან ხელი გაუწოდა ბარონს, როგორც ამას ძროხის ყიდვისას აკეთებენ.

— დაარტყით ხელი, ბატონო ბარონო, საქმე მოგვარებულია... სულელი თუ იტყვის ამაზე უარს.

ბარონმა ხელი დაურტყა და შემდეგ დაიყვირა: — ლუდივინა!

მზარეულმა ქალმა თავი გამოჰყო ფანჯარაში: მოიტანეთ ერთი ბოთლი ღვინო.

ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს, რათა დაესველებინათ საქმის დაგვირგვინება. და ბიჭი უფრო მკვირცხლად წავიდა.

ჟულიენისთვის არაფერი უთქვამთ ამ ვიზიტის შესახებ. ხელშეკრულება ფრიად საიდუმლოდ მოამზადეს, ხოლო საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, ერთ ორშაბათ დილას ქორწილიც გადაიხადეს.

ეკლესიაში რომ მიდიოდნენ, მექორწილეთა უკან მეზობლის ქალს ხელში ატატებული ჩვილი მოჰყავდა, როგორც მათი კეთილდღეობის უტყუარი საწინდარი. და არავის მთელ მხარეში არ გაკვირვებია ეს. მხოლოდ შურით უყურებდნენ დეზირე ლეკოკს. ქუდბედი დაჰყვაო, ამბობდნენ ცბიერი ღიმილით, მაგრამ საკვლებით დაუძრახავად.

ჟულიენმა საშინელი ამბავი დააგრიალა, რამაც დააჩქარა სიდედრისა და სიმამრის გამგზავრება ჩინარიდან. გაცილებისას ჟანას არცთუ დიდად უნაღვლია, რადგან პოლი იყო მისი სიხარულის დაუშრეტელი წყარო.

* * *

თავი IX

როცა მშობიარობის შემდეგ ჟანა საბოლოოდ გამოკეთდა, გადაწყვიტეს სწვეოდნენ ფურვილებს და მოენახულებინათ მარკიზ დე კუტელიეც.

ჟულიენმა ის იყო აუქციონით იყიდა კარეტა, ერთცხენიანი ფაეტონი, რათა თვეში ორჯერ შეძლებოდა მგზავრობა.

დეკემბრის ერთ მოწმენდილ დღეს ეტლი შეაბეს და ნორმანდიულ ვაკეზე ორი საათის მგზავრობის შემდეგ დაეშვნენ ღარტაფში, რომლის ფერდობები ტყეს დაეფარა, ქვემოთ კი მოხნული იყო.

ხნულები მალე მდელოებმა შეცვალა, ხოლო მდელოები — ჭაობმა, რომელიც დაეფარა მაღალ და წლის ამ დროისათვის ხმელ, ყვითელი ლენტის მსგავსი გრძელი ფოთლებით მოშრიალე ლერწამს.

უეცრად ველის მკვეთრი მოსახვევის იქით ლა ვრილეტის სასახლე გამოჩნდა. ერთი მხრით იგი მიკვროდა ტყიან ფერდობს, ხოლო მეორე მხრით დიდ გუბურას უერთდებოდა. გუბურის მოპირდაპირე ნაპირზე დაბლობის მეორე კალთა მაღალი ნაძვნარით იყო დაფარული.

საჭირო გახდა ძველებური ასანევი ხიდისა და ლუდოვიკო XIII დროინდელი მაღალი კარიბჭის გავლა, რათა ჩასულიყვნენ იმავე ეპოქის ლამაზ ციხესთან, რომელიც აგურით იყო მოპირკეთებული და აქეთ-იქით შიფერით გადახურული კოშკურები ჰქონდა.

ჟულიენი ჟანას აცნობდა შენობის ყველა ნაწილს, როგორც აქაური კაცი, რომელიც ზედმიწევნით იცნობს თითოეულ კუნჭულს. იგი ამაყობდა ამ სასახლით, აღტაცებული იყო მისი სილამაზით.

— შეხედე ამ კარიბჭეს! შეხედე, რა დიდებული სახლია! მოპირდაპირე ფასადი მთლიანად გუბურაზე დგას, მისი, მეფის საკადრისი შესასვლელი კი წყლის პირას ჩადის. კიბის ქვედა საფეხურებზე ოთხი ნავია მიჯაჭვული: ორი გრაფისა, ორიც გრაფის მეუღლესათვის. აი იქ, მარჯვნივ, სადაც ჩინარების მწკრივია, გუბურა მთავრდება და იქვე იწყება მდინარე, რომელიც ფეკამპამდე მიდის ეს მხარე გარეული ფრინველებითაა სავსე. გრაფს გაგიჟებით უყვარს ამ ადგილებში ნადირობა. აი, ნამდვილი ბატონკაცური

საცხოვრებელი.

შესასვლელის კარი გაიღო და გამოჩნდა ფერმკრთალი მოხდენილი გრაფის მეუღლე, იგი ღიმილით გაემართა სტუმრების შესახვედრად. მას ეცვა მიწამდე ჩამოფენილი შლეიფიანი კაბა, როგორც ეს შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის მფლობელს შეეფერებოდა. იგი ნამდვილი ტბის ასული გეგონებოდათ, ამგვარი ზღაპრული სასახლისათვის დაბადებული.

დარბაზის რვა ფანჯრიდან ოთხი გადიოდა გუბურას და მოპირდაპირე ბორცვზე გაშლილ ბნელ ნაძვნარში.

მცენარეულის მუქი ფერის გამო გუბურა ღრმა, მკაცრი და პირქუში ჩანდა, ხოლო როცა ქარი ქროდა ხეების შრიალი ჭაობის კვნესა გეგონებოდათ.

გრაფის მეუღლემ ორივე ხელი გაუწოდა ჟანას, თითქოს ბავშვობიდანვე მეგობრობდა მასთან. შემდეგ დასვა იგი, თვითონაც მის გვერდით მოკალათდა დაბალ სავარძელში, ხოლო ჟულიენი რომელმაც ეს ხუთი თვეა დაიბრუნა ძველებური პენი, მეგობრული ძალდაუტანებლობით საუბრობდა და იღიმებოდა.

გრაფის მეუღლე და ჟულიენი ლაპარაკობდნენ ერთობლივ ცხენით სეირნობაზე. ქალი ოდნავ დასცინოდა მის ცხენოსნობას და „ბორძიკა მხედარს“ ეძახდა მას. ისიც იცინოდა, ეხუმრებოდა და „ამაზონის დედოფალს“ უწოდებდა. ფანჯარასთან თოფმა იგრიალა და მოულოდნელობისაგან ჟანამ შეჰყვირა. ეს გრაფმა მოკლა იხვი.

ცოლმა იმწუთშივე იხმო იგი. გაისმა ნიჩბების თქაფუნი, ქვაზე ნავის რახუნი და გამოჩნდა გრაფი, მაღალ ჩექმებიანი გოლიათი პატრონივით წითური, ორი მთლად დასველებული ძაღლი, რომელიც მას მოსდევდა, ხალიჩაზე გაწვა.

თავის სახლში გრაფი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს და გულწრფელად გაეხარდა სტუმრების მოსვლა. მან ბრძანა შეშა შეეკეთებინათ ცეცხლისათვის და მოეტანათ მადერა და ნამცხვარი. შემდეგ უეცრად წამოიყვირა: — თქვენ სადილად დარჩებით, ეს გადაწყვეტილია.

ჟანა განუწყვეტლივ თავის ბავშვზე ფიქრობდა და შეეცადა უარი ეთქვათ. გრაფმა თავისი დაიჟინა, ხოლო როცა ჟანა გაჯიუტდა ჟულიენი უკმაყოფილოდ აწრიალდა. ჟანას შეეშინდა ჟულიენმა არ გამოავლინოს თავისი ავი და ანჩხლი ხასიათიო და დათანხმდა, თუმცა გულში იტანჯებოდა, რომ დილამდე ვეღარ ნახავდა პოლს.

დღემ მომხიბლავად ჩაიარა. ჯერ წყაროები ნახეს. ისინი ჩუხჩუხებდნენ ხავსიანი კლდის ძირში და ჩაედინებოდნენ მოუსვენარ, მდუღარესავით განუწყვეტლივ მოთუხთუხე გამჭვირვალე აუზში. შემდეგ ნავით გაისეირნეს გამხმარი ლერწმების ამონაყარში გათელილი ნამდვილი ბილიკებით. გრაფი იჯდა თავის ორ ძაღლს შუა, ყურდაცქვეტილი ჰაერს რომ ყნოსავდნენ, და ნიჩბებს უსვამდა. ნიჩბების ყოველი მოსმისას ნავი ხტუნვით მიიწევდა წინ. დროდადრო ჟანა ხელს ჰყოფდა ცივ წყალში და ტკბებოდა ყინულოვანი სიგრილით, თითებიდან გულამდე რომ უვლიდა. ნავის კიჩოზე ჟულიენი და შალში გახვეული გრაფის მეუღლე გამუდმებით იღიმებოდნენ იმ ბედნიერი ადამიანებივით, რომელთაც სრულყოფილმა ბედნიერებამ ენაც კი წაართვა.

საღამო დგებოდა, ჩრდილოეთის ცივი ქარი ხმელ ლერწმებში ქროდა. მზე ნაძვების უკან ჩაიმალა და უცნაური ალისფერი ღრუბლებით დაცხრილული მეწამული ცა თვალის ერთი გადავლებითაც კი სიცივის გრძნობას იწვევდა.

სეირნობის შემდეგ დაბრუნდნენ ფართო სასტუმრო დარბაზში, სადაც კაშკაშა ცეცხლი გიზგიზებდა. სითბოსა და მყუდროების შეგრძნება კარებიდანვე მხიარულად განაწყობდა ადამიანს. და გრაფმა თავისი გოლიათური ხელი დაავლო ცოლს, ბავშვივით აიტაცა, ტუჩებამდე მიიტანა და ორივე ლოყა დაუკოცნა გულკეთილი კაცის კმაყოფილებით.

ჟანა ღიმილით უყურებდა ამ კეთილ გიგანტს, რომელიც თავისი საშინელი ულვაშებით კაციჭამიას ჰგავდა, და ფიქრობდა: „რა ხშირად ვერ ვცნობთ ადამიანებს“. შემდეგ თითქმის უნებურად გადახედა ჟულიენს. მთლად გაფითრებული ჟულიენი კარებში იდგა და გრაფს მიშტერებოდა. შეშფოთებული ჟანა მიუახლოვდა ქმარს და ხმადაბლა ჰკითხა : — ავად ხომ არა ხარ? რა მოგივიდა?

— არაფერი, თავი დამანებე, შემცივდა, — გაჯავრებით უპასუხა მან.

როცა სასადილო ოთახში გავიდნენ, გრაფმა სტუმრებს სთხოვა, ძაღლებს შემოვიყვანო. ისინი მყისვე მოკალათდნენ პატრონის მარჯვნივ და მარცხნივ იგი ყოველ წუთში უყრიდა მათ ხორცის ნაჭრებს და ეალერსებოდა გრძელ, აბრეშუმისებრ ყურებზე. ძაღლები კისერს იგრძელებდნენ, კუდს აქიცინებდნენ, და კმაყოფილებით ცახცახებდნენ.

ნასადილევს ჟანამ და ჟულიენმა წასვლა დააპირეს, მაგრამ ბატონმა დე ფურვილმა არ გაუშვა ისინი, ჩირაღდნებით თევზაობას გიჩვენებთო.

გრაფმა თავის მეუღლესთან ერთად ისინი გაიყვანა პარმაღზე, რომლის საფეხურები გუბურაში ჩადიოდა, ხოლო თვითონ და მსახური ნავში ჩასხდნენ. მსახურს ხელში ბადე და ანთებული ჩირაღდანი ეჭირა. ღამე იყო მოწმენდილი და ცივი, ცა კი ოქროს ქვიშრობივით მოეჭედა ვარსკვლავებს.

ჩირაღდნის უცნაური და მერყევი კვალი წყალზე იკლაკნებოდა, მოციმციმე ნაპერწკლები ლერწმებზე ხტოდა და ნაძვების მაღალ ფარდას ანათებდა. ნავის შემობრუნებისთანავე განათებულ ტყის პირზე უეცრად აღიმართა ადამიანის უზარმაზარი, ფანტასტიკური ჩრდილი. მისი თავი ხეებს ასცდა და ცაში აიჭრა, ხოლო ფეხები გუბურაში ჩაიკარგა. ცოტა ხნის შემდეგ გიგანტმა ხელები აღაპყრო, თითქოს ვარსკვლავებს უნდა სწვდესო მაგრამ ასწია თუ არა გოლიათური ხელები, მყისვე დაუშვა. და იმწუთშივე გაისმა წყლის მსუბუქი ტყაპუნი.

ნავი კიდევ ერთხელ ნელა შემობრუნდა და ვეებერთელა ლანდმა მოძრავი სინათლით გაშუქებულ ტყის გასწვრივ გაირბინა, შემდეგ უჩინარ ჰორიზონტს მიეფარა და უცბად ისევ გამოჩნდა სასახლის ფასადზე, შედარებით პატარა, მაგრამ გაცილებით მკაფიო, იმავე უცნაური მიხვრა-მოხვრით.

გრაფმა ბოხი ხმით დაიყვირა.

— რვა თევზი დავიჭირე ჟილბერტა!

ნიჩბებმა წყალი აათქაფუნა. უზარმაზარი ჩრდილი ახლა უძრავად იდგა კედელზე, მაგრამ სულ უფრო დაბლდებოდა და წვრილდებოდა. მისი თავი ქვევით იწევდა, ტანი კი თანდათან ილეოდა: და როცა ბატონი დე ფურვილი ჩირაღდნიანი მსახურის თანხლებით პარმაღის საფეხურზე ამოდიოდა, ჩრდილი, გრაფის ყველა ჟესტს რომ იმეორებდა, მის ზომამდე შემცირდა.

ბადეში რვა დიდი თევზი ფართხალებდა.

როცა ჟანა და ჟულიენი გაემგზავრნენ, მთლიანად გახვეული ლაბადებსა და მოსასხამებში, რომლებიც ფურვილებმა ათხოვეს, ჟანას უნებურად აღმოხდა.

— რა შესანიშნავი ადამიანია ეს გოლიათი!

ჟულიენმა, რომელიც ცხენს მიერეკებოდა უპასუხა: — კი ,მაგრამ ხშირად თავს ვერ იჭერს საზოგადოებაში.

ერთი კვირის შემდეგ ისინი ესტუმრნენ კუტელიებს, რომლებიც პირველ დიდებულებად ითვლებოდნენ იმ მხარეში. მათი მამული რემინილი დიდ დაბას

— კანის ეკვროდა. ახალი სასახლე, აშენებული ლუდოვიკო XIV დროს, ჩამალული იყო მაღალ, ქვის ღობით შემორაგულ შესანიშნავ პარკში. ბორცვზე მოჩანდა ძველი სასახლის ნანგრევები. საპარადო ტანსაცმლიანმა მსახურებმა სტუმრები შეიყვანეს კარგა მოზრდილ მდიდრულ ოთახში. მის შუაგულში კვარცხლბეკზე იდგა სევრის ფაიფურის უზარმაზარი თასი, ხოლო ცოკოლზე, ბროლის შუშის ქვეშ, იდო მეფის ხელით დაწერილი ბარათი, რომლითაც იგი მარკიზ ლეოპოლდ-ჰერვე-ჟოზეფ-ჟერმე დე ვარნევილ დე როლბოსკ დე კუტელიეს სთხოვდა მიეღო ხელმწიფის ეს საჩუქარი.

ჟანა და ჟულიენი მეფის საჩუქარს ათვალიერებდნენ, როცა მარკიზი და მისი მეუღლე შემოვიდნენ. ქალს პუდრი წაეცხო და თავაზიანობას იჩენდა მოვალეობის გამო, იმანჭებოდა, კეთილგანწყობილება რომ გამოეხატა. მარკიზი მსუქანი კაცი იყო, მაღლა ავარცხნილი ჭაღარა თმებით. თითოეული ჟესტი, ხმა, თავდაჭერილი მანერა ამჟღავნებდა ამპარტავნობას, რომელიც გაგრძნობინებდათ, რომ იგი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო.

ისინი ცერემონიის ხალხი იყვნენ, რომელთა გონებაც, გრძნობაც და სიტყვებიც მუდამ არაბუნებრივი იყო. თანაც მარტო თვითონ ლაპარაკობდნენ, პასუხსაც არ ელოდნენ, გულგრილად იღიმებოდნენ და თითქოს ყოველთვის ასრულებდნენ გვარიშვილობით დაკისრებულ მოვალეობას — თავაზიანად მიეღოთ ამ მიდამოების გუდაშშიერი აზნაურები.

ჟანა და ჟულიენი მთლად დაიბნენ, ცდილობდნენ მასპინძლებისათვის თავი მოეწონებინათ, ეშინოდათ მეტხანს არ დავრჩეთო. და წასვლაც ვერ მოეხერხებინათ. მაგრამ მარკიზმა თვით დააბოლოვა ეს ვიზიტი, როცა ბუნებრივად და უბრალოდ შეწყვიტა საუბარი, როგორც თავაზიანმა დედოფალმა, რომელმაც დარბაზობა დამთავრებულად მიიჩნია.

გზაში ჟულიენმა თქვა: — თუ გსურს, ამით დავამთავრებთ ვიზიტებს; ჩემთვის პირადად ფურვილებიც საკმარისია.

ჟანაც ასე ფიქრობდა.

დეკემბერიც ნელა მიიწურა, ეს ყველაზე ბნელი თვე, თითქოს შავი ჭუჭრუტანა წელიწადისა. განახლდა შარშანდელი კარჩაკეტილი ცხოვრება, მაგრამ ჟანა მოწყენილი აღარ იყო, მთელი დრო მიჰქონდა პოლს, რომელსაც ჟულიენი, შეშფოთებული და

უკმაყოფილო, ალმაცერად უყურებდა.

ხშირად, როცა ჩვილი ეჭირა ხელში და ეფერებოდა თავშეუკავებელი სინაზით, რომელიც დედებს არასოდეს გამოელევათ ხოლმე, ჟანა მამას გაუწვდიდა ბავშვს და ეტყოდა: — ერთხელ მაინც აკოცა ბავშვს, იფიქრებენ, რომ არ გიყვარს იგი.

ჟულიენი ზიზღით ოდნავ შეახებდა ტუჩებს ბავშვის მოტვლეპილ თავს და რკალივით იღუნებოდა, ოღონდაც, ოღონდაც არ მიჰკარებოდა მუდამ მოძრავი და მოკრუნჩხული პაწაწინა ხელები. მერე სწრაფად გადიოდა, თითქოს სიძულვილი ერეკებოდა იქიდან.

დროდადრო სადილად მოდიოდნენ მერი, ექიმი და მღვდელი. ზოგჯერ მოდიოდნენ ფურვილებიც, რომლებსაც სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ.

გრაფი აშკარად აღმერთებდა პოლს, დაისვამდა ბავშვს მუხლზე და ერთი წუთითაც, ზოგჯერ კი მთელ საღამოსაც, არ იშორებდა მას. იგი ფრთხილად კიდებდა მას ვეებერთელა ხელებს, ცხვირში უღიტინებდა თავის გრძელ ულვაშებს. შემდეგ მხურვალედ კოცნიდა ბავშვს, ისე როგორც დედებს სჩვევიათ ეს. გრაფი გამუდმებით იტანჯებოდა, რომ მისი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა.

მარტი მოწმენდილი, მშრალი და თითქმის თბილი იყო. გრაფის მეუღლე ჟილბერტამ განაახლა ლაპარაკი ცხენებით სეირნობაზე. ჟანას ცოტა არ იყოს მობეზრდა ერთფეროვანი და დაუსრულებელი გრძელი საღამოები, გრძელი ღამეები და დღეები და დიდი სიხარულით დაეთანხმა ამ გეგმას. მთელი კვირის განმავლობაში იგი კმაყოფილებით იკერავდა საცხენოსნო კაბას.

შემდეგ დაიწყო სეირნობა. დადიოდნენ ყოველთვის წყვილ-წყვილად: წინ გრაფის მეუღლე და ჟულიენი, ხოლო ასი ნაბიჯით უკან გრაფი და ჟანა. ეს უკანასკნელნი საუბრობდნენ მშვიდად, როგორც ორი მეგობარი, რადგან პატიოსან სულთა და მიამიტ გულთა მსგავსებამ მათ შორის ნამდვილი მეგობრობა წარმოშვა: მეორე წყვილი კი ხშირად ჩურჩულებდა, ხოლო ზოგჯერ ისინი თავშეუკავებლად ხარხარებდნენ, უცებ ერთმანეთს ისე შეხედავდნენ, თითქოს თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს იმას, რაც ენით ვერ წარმოუთქვამთ, და უეცრად თავდავიწყებით გააჭენებდნენ ცხენებს, სადღაც დაკარგვის, შორს, რაც შეიძლება შორს გაქცევის სურვილით აღტაცებულნი.

ბოლო დროს ჟილბერტა თითქმის გაანჩხლდა. ხანდახან მსუბუქ ნიავს მისი ბრაზიანი

ხმა მიჰქონდა ჩამორჩენილ მხედრებამდე. მაშინ გრაფი იღიმებოდა და ჟანას ეუბნებოდა: — ჩემი ცოლი ამ დილას მარცხენა ფეხზეა ამდგარი.

ერთ საღამოს, უკან დაბრუნებისას, როცა გრაფის მეუღლე ხან დეზებს ამოჰკრავდა და აქეზებდა თავის ფაშატს, ხან კი უცბად შეაყენებდა, გრაფმა და ჟანამ რამდენჯერმე გაიგონეს როგორ აფრთხილებდა მას ჟულიენი: — ფრთხილად, იცოდეთ, ფრთხილად, თორემ გაგიტაცებთ ეგ ცხენი.

— გამიტაცოს, ეს თქვენი საქმე არ არის, — ისეთი წკრიალა და მკაცრი ხმით უპასუხა ბოლოს ქალმა, რომ მისი სიტყვები მკაფიოდ გაისმა სივრცეში და თითქოს ჰაერში ჩამოეკიდა.

ცხენი — ყალყზე დგებოდა, წიხლებს ისვრიდა, ფრუტუნებდა პირზე ქაფმორეული. ბოლოს გრაფი შეშფოთდა და მთელი თავისი ძალით ძლიერი ხმით დაიყვირა: — ფრთხილად, ჟილბერტა!

მაშინ, თითქოს ჯიბრზე, ვნებააშლილმა, იმ ქალური ნერვიულობით შეპყრობილმა ჟილბერტამ, რომელსაც ვერაფერი აკავებს, ცხენებს ყურებს შუა მოწყვეტით გადაჰკრა მათრახი. გამძვინვარებული პირუტყვი ყალყზე შედგა, ჰაერში აათამაშა წინა ფეხები, მერე დაეშვა, ვეებერთელა ნახტომი გააკეთა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაქუსლა.

ცხენმა ჯერ მდელო გადაჭრა, შემდეგ ხნულებზე გაიქროლა, ნესტიანი, სქელი მიწის კორიანტელი დააყენა და ისეთი სისწრაფით გაქანდა, რომ ძლივს გაარჩევდით ცხენსა და მხედარს.

დარეტიანებული ჟულიენი ადგილზე გაქვავდა და სასოწარკვეთილი ყვიროდა:

— ქალბატონო, ქალბატონო!

გრაფმა თითქოს დაიბრდღვინა და თავის ზონზროხა ცხენის კისერს გაეკრა, მთელი ტანით წინ გაექანა და ალურზე მიუშვა ცხენი. გრაფი აქეზებდა ერეკებოდა პირუტყვს და ყვირილით მათრახისა და დეზების ცემით ისე ააგზნო, გეგონებოდათ გოლიათ მხედარს მიჰქონდა ბარძაყებში მოქცეული მძიმე ცხენი და ჰაერში აჰყავდა, რათა მასთან ერთად გაფრენილიყო. ისინი მიაჭენებდნენ, წარმოუდგენელი სისწრაფით მიჰქროდნენ წინ და ჟანა ხედავდა იქ, შორს, ორი სილუეტი, ცოლისა და ქმრის, როგორ მიფრინავდა, თანდათან პატარავდებოდა, ფერმკრთალდებოდა, ქრებოდა, შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა, თითქოს ორი ერთმანეთს დადევნებული ჩიტი იკარგებოდა, ინთქმებოდა სადღაც ჰორიზონტზე.

ამ დროს ჟულიენი, რომელსაც კვლავ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ცხენი, მიუახლოვდა ცოლს და გაჯავრებით წაიბუზღუნა: — გაგიჟდა, მგონი, ეს ქალი დღეს.

და ორივენი გაემართნენ მეგობრებისაკენ, რომლებიც ახლა დაკლაკნილ ვაკეზე დაეშვნენ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მათ დაინახეს, რომ ისინი ბრუნდებოდნენ და კვლავ შეუერთდნენ მათ.

გაწითლებული, ოფლიანი, სახემოღიმარი, კმაყოფილი, გამარჯვებული გრაფი თავისი უძლეველი ღონით ჩასჭიდებოდა ცოლის აკანკალებულ ცხენს, ხოლო გაფითრებული, შეწუხებული და სახე გატანჯული ჟილბერტა ცალი ხელით ქმარს დაყრდნობოდა, თითქოს ეს-ესაა გული უნდა წაუვიდესო.

იმ დღეს ჟანა მიხვდა, თუ რა თავდავიწყებით უყვარდა გრაფს თავისი მეუღლე.

მთელი მომდევნო თვის განმავლობაში გრაფის მეუღლე ისეთი მხიარული ჩანდა, როგორც არასოდეს. იგი უფრო ხშირად დადიოდა ჩინარში, გამუდმებით იცინოდა და დიდი სინაზით კოცნიდა ჟანას. გეგონებოდათ, რაღაც იდუმალმა აღფრთოვანებამ დაისადგურა მის ცხოვრებაშიო. მისი ქმარი, ისიც აღტაცებული, თვალს არ აცილებდა ცოლს, გაორკეცებული ვნებით ცდილობდა ყოველ წუთს შეხებოდა მის ხელს ან კაბას.

ერთ საღამოს გრაფი გამოუტყდა ჟანას: — ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ ახლა. არასოდეს ჟილბერტა არ ყოფილა ასე ალერსიანი. მას აღარ ეუფლება ცუდი განწყობილება, აღარ ბრაზობს, ვგონებ რომ ვუყვარვარ, წინათ არ ვიყავი დარწმუნებული.

ჟულიენიც შეცვლილი ჩანდა, უფრო მხიარული იყო, აღარ ღიზიანდებოდა, თითქოს ორი ოჯახის მეგობრობამ სიმშვიდე და სიხარული მოუტანა თითოეულ მათგანს.

გაზაფხული საოცრად ნაადრევი და თბილი იყო.

მშვიდი დილიდან მოკიდებული, წყნარ და თბილ საღამომდე, მზე მიწის მთელ ზედაპირზე ათბობდა მცენარეთა კვირტებს. ყველანაირი კოკორი სწრაფად, შეწყობილად და ძალუმად იშლებოდა. ეს იყო სასიცოცხლო წვენთა ისეთი დაუძლეველი მოწოლა, აღორძინების ისეთი წყურვილი, რომელსაც ბუნება ამჟღავნებს ხანდახან, განსაკუთრებით კარგ წლებში, როცა შეიძლება დაიჯერო ქვეყნის განახლება.

ეს ახლად გაღვიძებული სიცოცხლის დუღილი ბუნდოვნად აღელვებდა ჟანას. ბალახში რომ პატარა ყვავილს შენიშნავდა, სიხარულისგან უეცრად ძალ-ღონე ეცლებოდა, და ეს იყო ტკბილი ნაღვლისა და საოცნებო ნეტარების გრძელი საათები.

ხანდახან ჟანას ეუფლებოდა სიყვარულის პირველი გულისამაჩუყებელი მოგონება. იმიტომ კი არა, რომ გული მოუბრუნდა ჟულიენზე, არა, ამას ბოლო მოეღო, საბოლოოდ და სამუდამოდ, მაგრამ, ნიავის ალერსითა და გაზაფხულის სურნელებით გამსჭვალული მთელი მისი სხეული თრთოდა და ესწრაფოდა რაღაც უჩინარ და ნაზ მოწოდებას.

მას, მოსწონდა მარტოობა, იჟღინთებოდა მზის მცხუნვარებით, მთელი არსებით განიცდიდა მშვიდ, ბუნდოვან და უდარდელ ნეტარებას.

ერთ დილას, როცა ჟანა ამგვარ ოცნებებში თვლემდა, თვალწინ წარმოუდგა მუქი ფოთლების შუაგულში მზით გაშუქებული კორდი ეტლების ჭალაში. აქ, ამ ადგილას, იგი პირველად ააცახცახა ახალგაზრდა კაცის სიახლოვემ, რომელსაც მაშინ უყვარდა იგი. აქ პირველად წასჩურჩულა ჟულიენმა თავისი მორცხვი სურვილი და აქვე მოეჩვენა ჟანას, რომ წინ მოულოდნელად გადაეშალა მისი ოცნებებით გასხივოსნებული მომავალი.

და ჟანას მოუნდა ისევ ენახა ის ჭალა, მოეწყო რაღაც სენტიმენტალური და ცრურწმენებით სავსე გასეირნება, თითქოს ამ ადგილის მონახულება როგორღაც შეცვლიდა მისი ცხოვრების მსვლელობას.

ჟულიენი გათენებისთანავე გაემგზავრა ისე, რომ არ უთქვამს სად მიდიოდა. ჟანამ შეაკაზმვინა მარტენების პატარა თეთრი ცხენი, რომელზეც ხანდახან ჯდებოდა ბოლო დროს, და გზას გაუდგა.

დღე თბილი იყო, მოწმენდილი და მშვიდი: არაფერი — არც ბალახი, არც ფოთოლი არ ინძრეოდა. ყველაფერი თითქოს საუკუნოდ ჩაკვდა და თითქოს ქარმაც კი განუტევა სული. მწერებიც გეგონებოდათ, სადღაც გაუჩინარდნენ.

მწვავე და ძლიერი ყუჩილი შეუმჩნევლად ეშვებოდა მზისაგან და ოქროსფერ ორთქლად იფანტებოდა. ნეტარებით აღვსილ ჟანას ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი. დროდადრო ზევით აიხედავდა და გაჰყურებდა სულ პატარა, ერთ ბენო ბამბასავით თეთრ ღრუბელს, ორთქლის ნაფლეთს, მარტოდმარტო რომ შერჩენოდა იქ, ზევით, ლურჯი ცის შუაგულს.

ჟანა დაეშვა ველზე, რომელიც ზღვამდე მიდიოდა ორ კლდოვან თაღს შორის, ეტრატის ჭიშკარს რომ ეძახიან, და აუჩქარებლად მიაღწია წარაფს. სინათლე ნაკლებად ეშვებოდა ნორჩ მცენარეთა შორის. ჟანა დახეტიალობდა ვიწრო ბილიკებზე და ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა იმ სანეტარო ადგილს.

გრძელი ხეივანი რომ გაიარა, უცბად, სულ ბოლოს, ხეზე მიბმული ორი შეკაზმული ცხენი შენიშნა და მაშინვე იცნო ჟილბერტისა და ჟულიენის ცხენები. მარტოობა უკვე ოდნავ აწუხებდა მას და ამ მოულოდნელი შეხვედრით გახარებულმა ჩორთით წაიყვანა თავისი ფაშატი. მშვიდად მდგომ ორ ცხენთან რომ მივიდა, რომლებიც თითქოს შეჩვეოდნენ ხანგრძლივ ლოდინს, ჟანამ დაუძახა მათ. არავინ გამოეპასუხა.

ქალის ხელთათმანი და ორი მათრახი გათელილ მოლზე ეგდო. მაშასადამე, ისინი აქ ისხდნენ, შემდეგ მიატოვეს ცხენები და იქაურობას გაშორდნენ.

ჟანამ დაიცადა თხუთმეტი-ოცი წუთი. მას უკვირდა და ვერ მიმხვდარიყო, რას აკეთებდნენ ახლა ისინი. რადგან ცხენიდან ჩამოვიდა და უძრავად მიეყრდნო ხის ტანს, ორმა პატარა ჩიტმა ვერ შეამჩნია ჟანა და იქვე ახლოს ბალახზე დაეშვა ერთი მათგანი ფუსფუსებდა, მეორის გარშემო ხტოდა, ფრთებს აფარფატებდა, თავს აქნევდა და ჭიკჭიკებდა. და უცბად ისინი შეუღლდნენ.

ჟანას გაუკვირდა, თითქოს არ იცოდა, თუ ასეთი რამ ხდებოდა. შემდეგ გაიფიქრა: "მართლა, ახლა ხომ გაზაფხულია" და სხვა აზრმა, ეჭვმა გაუელვა. მან ისევ შეათვალიერა ხელთათმანი, მათრახები, ორი მიტოვებული ცხენი. ანაზდად გაქცევის დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო და სწრაფად შეახტა უნაგირს.

ახლა იგი ოთხით მიაჭენებდა ცხენს ჩინარისაკენ. ჟანა გამალებით ფიქრობდა, სჯიდა, აკავშირებდა ფაქტებს, ერთმანეთს უპირისპირებდა სხვადასხვა გარემოებას. როგორ ვერ მიხვდა აქამდე? როგორ ვერ დაინახა ვერაფერი? როგორ ვერ გაიგო ჟულიენის ხშირი არყოფნის, ძველი კოხტაობის განახლებასა და, ბოლოს, მისი ხასიათის შერბილების, მიზეზი? მას აგონდებოდა აგრეთვე ჟილბერტას მოულოდნელი ნერვიული გაფიცხებანი, მისი გადაჭარბებული ალერსი და ნეტარება, რომელსაც გრაფის მეუღლე ეს ერთი ხანია განიცდიდა ქმრის საბედნიეროდ.

ჟანამ ცხენი თავის ნებაზე მიუშვა, რადგან სერიოზული დაფიქრება სჭირდებოდა, ხოლო სწრაფი ალური აზრებს უფანტავდა.

პირველმა მღელვარებამ რომ გაუარა, გული ისევ დაუწყნარდა, არც ეჭვს გრძნობდა და არც გაბოროტებას, მხოლოდ ზიზღმა დაისადგურა მასში, იგი სრულებით არ ფიქრობდა ჟულიენზე. მისი აღარაფერი აკვირვებდა, მაგრამ გრაფის მეუღლის, თავის მეგობრის ორმაგი ღალატი აღშფოთებდა ჟანას. მაშ, ამქვეყნად ყველა მუხთალი, ცრუ, ორპირი ყოფილა? თვალებზე ცრემლი მოაწვა. ზოგჯერ დამსხვრეულ ილუზიებს ისევ მწარედ დასტირიან, როგორც მიცვალებულს.

მაგრამ ჟანამ გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, ვითომ არაფერი იცოდა, გული დაეხშო წარმავალ შეთვისებათაგან და ჰყვარებოდა და მხოლოდ პოლი და მშობლები, სხვებს კი მოთმინებით მოპყრობოდა.

როგორც კი შინ დაბრუნდა, ჟანა თავის შვილს მივარდა, წაიყვანა ოთახში და თითქმის მთელ საათს შეუჩერებლივ გიჟივით კოცნიდა.

ჟულიენი სადილობისას დაბრუნდა, მომხიბლავი და მოღიმარი, მეტისმეტად თავაზიანი. მან იკითხა: — მამა და დედიკო არ ჩამოვლენ წელს?

ჟანას ისე აუჩვილა გული ამ ქათინაურმა, რომ ქმრისადმი მადლობის გრძნობით განიმსჭვალა და თითქმის აპატია ის, რაც ტყეში აღმოაჩინა. უცბად იგი შეიპყრო ძლიერმა სურვილმა: რაც შეიძლება მალე ენახა პოლის შემდეგ ყველაზე საყვარელი ორი ადამიანი; მთელი საღამო ჟანა წერდა ბარათს და ევედრებოდა მათ მალე ჩამოსულიყვნენ.

მშობლებმა უპასუხეს, ოც მაისს ჩამოვალთ, იმ დღეს კი მხოლოდ შვიდი მაისი იყო.

ჟანა სულ უფრო მოუთმენლად ელოდა მას, თითქოს გარდა მშობლიური სიყვარულისა, სურვილი აღძვროდეს თავისი დარდები გაენდო კეთილშობილური გულისათვის, გულწრფელად ესაუბრა წმინდა, სისაძაგლით შეუბღალავ ადამიანებთან, რომელთა სიცოცხლე და საქციელი, ყველა ფიქრი და სურვილი მუდამ ალალმართალი იყო.

სწორედ ახლა გრძნობდა ჟანა თავის სრულ მარტოობას ამ გულქვა ადამიანებს შორის და, თუმცა იგი ერთბაშად მიეჩვია თვალთმაქცობას, თუმცა ღიმილით ხელს უწვდიდა ჩამოსართმევად გრაფის მეუღლეს, მაინც იზრდებოდა, მთლიანად ეუფლებოდა მას სიცარიელის შეგრძნება და ადამიანის ზიზღი. თავისი კუთხის ყოველდღიური პატარ-პატარა ამბებიც უძლიერებდა გულში ადამიანთა მოდგომისადმი უპატივცემულობას.

კუიარების ქალიშვილს ბავშვი შეეძინა. ქორწილი კი წინ იყო; მარტენების ობოლი

მოახლე ფეხმძიმედ იყო; მეზობლის თხუთმეტი წლის გოგონა დღე— დღეზე ელოდა მშობიარობას; საწყალი ქვრივი კოჭლი და ტურტლიანი, რომელსაც საშინელი უსუფთაობის გამო ფეთხუმი შეარქვეს, აგრეთვე ფეხმძიმედ იყო.

ხშირ-ხშირად მოდიოდა ხმები ახალ ფეხმძიმობაზე, ან რომელიმე ქალიშვილისა თუ გათხოვილი ქალის, ოჯახის დეიდის, ან კიდევ შეძლებული, საპატიო ფერმერის საგრფიალო ოინების შსახებ.

ამ შმაგმა გაზაფხულმა, როგორც ჩანს, ადამიანებშიც ისევე აადუღა სასიცოცხლო წვენი, როგორც მცენარეებში.

ჟანა კი, რომელსაც აღარ აღელვებდა ნაადრევ ჩამქრალი გრძნობები, მხოლოდ ჩამკვდარი გულითა და სენტიმენტალური სულით ეხმაურებოდა გაზაფხულის თბილ და ბარაქიან ქროლვას. და ამიტომაც ფიქრებით აგზნებულ მეოცნებეს, ხორციელი ჟინისათვის თავისდა უნებლიეთ გაყინულ ჟანას ანცვიფრებდა, გულს ურევდა, ეზიზღებოდა ეს პირუტყვული საქციელი.

ახლა ჟანას აღშფოთებდა ცოცხალ არსებათა შეუღლება, როგორც არაბუნებრივი რამ; და თუ ჟილბერტას ესაყვედურებოდა, იმიტომ კი არა, რომ მან ქმარი წაართვა, არამედ თვით იმ ფაქტის გამო, რომ სხვების მსგავსად ისიც ამ საქვეყნოდ წუმპეში ჩავარდა.

იგი ხომ არ ეკუთვნებოდა გაუთლელთა შთამომავლობას, რომლებსაც დაბალი ინსტიქტები ამოძრავებთ, როგორ შეეძლო მას ამ ქმნილებებს დამსგავსებოდა?

სწორედ იმ დღეს, როცა ჟანას მშობლები ჩამოდიოდნენ, ჟულიენმა კიდევ უფრო გააღვიძა მასში ეს ზიზღი. მან მხიარულად მოუთხრო ჟანას, როგორც სავსებით ბუნებრივი და თავშესაქცევი რამ, თუ როგორ გაიგონა მეფუნთუშემ რაღაც ფაჩუნი ღუმელში, რაკი ცხობის დღე არ იყო, მეფუნთუშემ გაიფიქრა, ეს არის მაწანწალა კატა დავიჭირეო და თავის ცოლს კი წაანყდა, რომელსაც პურის შენყობის დარდი სრულებით არ ჰქონდა.

და დაუმატა: — მეფუნთუშემ დაკეტა ღუმელის კარი და ისინი შიგ გამოიგუდებოდნენ, მეფუნთუშის ბიჭს რომ არ შეეტყობინებინა მეზობლებისათვის. მან დაინახა როგორ შეძვრა ღუმელში დედამისი მჭედელთან ერთად.

ჟულიენი იცინოდა და იმეორებდა: — სიყვარულის პურს გვაჭმევენ ეს მასხარები, ნამდვილი ლაფონტენის არაკია.

ამის შემდეგ ჟანა პურს ვერ ეკარებოდა.

როცა საფოსტო კარეტა პარმაღთან გაჩერდა და ეტლის ფანჯარაში ბარონის კეთილი სახე გამოჩნდა, ახალგაზრდა ქალს სული და გული ისე აუღელდა, ისე მოიცვა სიყვარულმა, როგორც არასოდეს წინათ.

მაგრამ დედიკო რომ დაინახა, იქვე გაშეშდა და ისე შეძრწუნდა, კინაღამ გრძნობა დაკარგა. ბარონის მეუღლე ზამთრის ამ ექვს თვეში ათი წლით დაბერებულიყო. დაბიჟინებული, დამჭკნარი და ჩამოვარდნილი ლოყები გაწითლებოდა, თითქოს სისხლს გაეჟღინთა; თვალები ჩაქრობოდა; მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ორივე მხარეში შეუდგებოდნენ. დედიკოს მძიმე სუნთქვა ისე გაძნელებული და ხრინწიანი გამხდარიყო, რომ მახლობლებს მწარედ ტანჯავდა მისი გაგონება.

ბარონი ყოველდღე ხედავდა მას და ვერ ამჩნევდა ამ რღვევას, ხოლო როცა მისი მეუღლე განუწყვეტელ სულისხუთვას და მზარდ გასუქებას უჩიოდა, იგი პასუხობდა : „ო, არა, ძვირფასო, რაც გიცნობთ, მუდამ ასეთი იყავით“.

ჟანამ მშობლები მათ საძინებელში მიაცილა, თვითონ კი საკუთარ ოთახში განმარტოვდა, რათა გამოეტირა თავისი ძრწოლა და სასოწარკვეთილება. შემდეგ მამა მოძებნა და თვალცრემლიანი გულში ჩაეკრა: — ღმერთო ჩემო! როგორ შეიცვალა დედა! რა დაემართა მითხარი, რა დაემართა?

ბარონს ძლიერ გაუკვირდა და უპასუხა: — შენ ასე ფიქრობ? რას ამბობ, სრულებითაც არა. მე ყოველთვის მასთან ვარ და გარწმუნებ, ვერავითარ უარესობას ვერ ვხედავ, ისევ ისე, როგორც ყოველთვის.

საღამოს ჟულიენმა უთხრა ცოლს: — იცი, დედაშენი ძლიერ ცუდადაა. მე მეგონია, აღსასრულს უახლოვდება.

და რადგან ჟანა აქვითინდა, გაბრაზებულმა უთხრა: — კარგი გეყოფა, მე არ მითქვამს სულს ღაფავს-მეთქი. შენ ყოველთვის საშინლად აჭარბებ. იგი შეიცვალა. ეს არის და ეს. ეგ ასაკის ბრალია.

ერთი კვირის შემდეგ ჟანა დამშვიდდა, იგი შეეჩვია დედამისის ახალ გამომეტყველებას და, უეჭველია, შეეცადა კიდეც ერთგვარი ეგოისტური ინსტინქტით ჩაეხშო თავისი შიში, ისე როგორც სულიერი სიმშვიდის შენარჩუნების ბუნებრივი მოთხოვნილების გამო ვვახშმობთ და

უკუვაგდებთ ხოლმე მოახლოებულ საფრთხეს და მღელვარებას.

ბარონის მეუღლეს სიარულის თავი აღარ ჰქონდა და დღეში მხოლოდ ნახევარ საათს სეირნობდა. საკმარისი იყო ერთხელ გაევლო „თავის“ ხეივანში, რომ განძრევაც არ შეეძლო და „თავის“ სკამზე ჯდებოდა. ზოგჯერ იგი, ძალაგამოცლილი, ხეივნის ბოლომდე ვერ მილასლასებდა ხოლმე და ამბობდა: — დღეს კმარა. ჰიპერტროფიისაგან ფეხები მეკეცება.

იგი თითქმის აღარ იცინოდა და მხოლოდ იღიმებოდა იმაზე, რაც შარშან მასში გულიან ხარხარს იწვევდა. მაგრამ მხედველობა ჩინებული ჰქონდა და მთელ დღეებს ატარებდა „კორინკას” ან ლამარტინის „ფიქრების“ კითხვაში. შემდეგ ითხოვდა „მოგონების“ ყუთი მომიტანეთო. იგი მუხლებზე გადმოყრიდა ძველ, მისთვის ძვირფას წერილებს, ყუთს იქვე გვერდით სკამზე დადებდა, თვითეულ მათგანს ყურადღებით გადაიკითხავდა და ისევ აწყობდა შიგ, ერთიმეორეზე, თავის „რელიქვიებს“. როცა მარტო იყო, სულ მარტო, ზოგიერთ მათგანს კოცნიდა, როგორც მალულად კოცნიან ხოლმე განსაკუთერებით ძვირფას მიცვალებულის თმებს.

ზოგჯერ ჟანა მოულოდნელად შედიოდა დედიკოსთან და შეესწრებოდა, როცა იგი ტიროდა, ცხარე ცრემლებს ღვრიდა.

— რა მოგივიდა, დედიკო? — შეშფოთებით ეკითხებოდა იგი.

ბარონის მეუღლე ღრმად ამოიოხრებდა და შემდეგ უპასუხებდა: — ეს ჩემი

„რელიკვიები“ მაღელვებს ასე. ზოგჯერ იგონებ ისეთ რამეს, რაც ესოდენ სასიამოვნო იყო და რაც სამუდამო გაქრა! ადამიანები, რომლებზეც დიდი ხანია აღარ ფიქრობ და, ერთ მშვენიერ დღეს უცბად გაგახსენდება, თითქოს ხედავ მათ, გესმის მათი ხმა. ეს კი საშინლად მაღელვებს. ოდესღაც შენც გამოცდი ამას.

როცა ბარონი წაასწრებდა მათ ასეთ მელანქოლიის წუთებში, ქალიშვილს წაუჩურჩულებდა: — ჟანა, ჩემო ძვირფასო, დამიჯერე, დაწვი წერილები. სულ ყველა, დედაშენის, ჩემიც, ყველა უკლებლივ. არაფერი არ არის იმაზე საშინელი, როცა მოხუცებულობისას ცხვირს ჰყოფ ახალგაზრდობის წლებში.

თუმცა სრულებით არ ჰგავდა დედას, მაინც ემორჩილებოდა მეოცნებე სენტიმენტალობის მემკვიდრეობით ინსტინქტს და ინახავდა წერილებს, იმზადებდა თავის „რელიკვიების ყუთს”.

რამდენიმე კვირის შემდეგ ერთი საქმის გამო ბარონს გამგზავრება მოუხდა.

შესანიშნავი ამინდი იდგა. მოფუთფუთე, მნათობებით განათებული თბილი ღამეები მშვიდ საღამოებს მოსდევდა, მონშენდილი საღამოები კი კაშკაშა დღეებს, კაშკაშა დღეები-გაბრწყინებულ გარიჟრაჟებს. მალე დედიკომ თავი უკეთ იგრძნო, ხოლო ჟანას დაავიწყდა ჟულიენის გატაცება და ჟილბერტას ვერაგობა და თითქმის ბედნიერი იყო. ყველაფერი ყვაოდა და სურნელებას აფრქვევდა. მუდამ წყნარი და უკიდეგანო ზღვა დილიდან საღამომდე ელვარებდა მზეზე.

ერთხელ შუადღისას ჟანამ პოლი ხელში აიყვანა და მინდვრად წავიდა სასეირნოდ. იგი ხან თავის შვილს უყურებდა, ხან ყვავილებით აჭრელებულ გზისპირა ბალახს და ბედნიერებისაგან გული ელეოდა. ყოველ წუთში კოცნიდა ბავშვს და გაშმაგებით იკრავდა გულში. მინდვრების თბილ სურნელებაში რომ გაეხვია, მას ძალა გამოეცალა, უსაზღვრო ნეტარებით გაირინდა და პოლის მომავალზე დაიწყო ოცნება. ვინ იქნება იგი? ხან სურდა, რომ იგი გამხდარიყო დიდი კაცი, სახელოვანი და გავლენიანი. ხან ერჩია, რომ უსახელო დარჩენილიყო და მასთან ეცხოვრა, როგორც ერთგულ და დედის მოამაგე შვილს. როცა ჟანას ბავშვი დედის ეგოისტური გულით უყვარდა, მაშინ სწადდა, რომ იგი თავისთვის შეენარჩუნებინა, მხოლოდ თავისთვის; მაგრამ როცა იგი ფიცხი, პატივმოყვარე გონებით უყვარდა, ჟანა ოცნებობდა, რომ მას ღირსეული ადგილი დაეკავებინა ამქვეყნად. ჟანა გზის პირას ჩამოჯდა და შვილს დააცქერდა. ეგონა, რომ არასოდეს ენახა ის. უცბად იგი გააკვირვა იმ აზრზმა, რომ, ეს პატარა არსება დიდი გახდება, რომ იგი გაივლის მტკიცე ნაბიჯებს, ექნება წვერები და ბოხი ხმით ილაპარაკებს.

შორიდან ვიღაცამ დაუძახა. ჟანამ ასწია. მარიუსი მორბოდა. ჟანამ გაიფიქრა, რომ სტუმრები ელოდნენ და უკმაყოფილოდ ადგა, რადგან ხელი შეუშალეს. მაგრამ ბიჭი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორბოდა და, როცა საკმაოდ მიუახლოვდა, დაიყვირა : — ქალბატონო, ბარონის მეუღლე ძალიან ცუდადაა.

თითქოს ყინულოვანი წყლის ნაკადმა დაურბინა ზურგში, თავგზააბნეული ჟანა შინ გაიქცა.

მან შორიდან შენიშნა ჭადრის ქვეშ შეჯგუფული ხალხი და იქითკენ გაიქცა: მას გზა მისცეს და დაინახა მიწაზე გაჭიმული დედიკო, რომელსაც ორი ბალიში უმაგრებდა თავს. სახე გაშავებოდა, თვალები დაეხუჭა, მკერდი კი, რომელიც ოც წელიწადს მძიმედ ქოშინებდა, აღარ იძვროდა. ძიძამ ხელიდან გამოსტაცა ჟანას ბავშვი და წაიყვანა.

დაბნეული ჟანა კითხულობდა: — რა მოხდა? როგორ დაეცა? წავიდეს ვინმე და ექიმი მოიყვანოს.

როცა შემობრუნდა, დაინახა მღვდელი, რომელსაც უკვე გაეგო ეს ამბავი. მან მოსვლისთანავე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა.

საჩქაროდ დაიკაპიწა ანაფორის სახელოები, მაგრამ არც ძმარმა, არც ოდეკოლონმა, არც ტანის დაზელავმ არ უშველა.

— საჭიროა ტანსაცმელი გავხადოთ და ლოგინში ჩავაწვინოთ,— თქვა მან.

მოვიდნენ ფერმერი ჟოზეფ კუიარი, ბიძია სიმონი და ლუდივინა. მოძღვარ პიკოს დახმარებით ისინი შეეცადნენ გადაეტანათ ბარონის მეუღლე, მაგრამ როგორც კი წამოსწიეს იგი, თავი უკან გადაუვარდა, ხოლო კაბა, რომელსაც წაებღაუჭნენ, დიახა, იმდენად ძნელი გახდა მისი მძიმე ტანის განძრევა ადგილიდან. შეძრწუნებულმა ჟანამ შეჰყვირა და ისევ მიწაზე დადეს ვეებერთელა დონდლო სხეული.

საჭირო გახდა სასტუმრო დარბაზიდან საგარძელი მოეტანათ, შიგ ჩაეჯინათ და ამგვარად აეწია იგი. ნაბიჯ-ნაბიჯ აიტანეს იგი პარმაღზე, შემდეგ საძინებლის კიბეზე და ბოლოს ლოგინზე დააწვინეს. თუმცა მზარეულმა ქალმა ბევრი იცოდვილა, ტანზე ვერ გახადა, მაგრამ დროზე მოესწრო დანტიუს ქვრივმა, რომელიც ისევე მოულოდნელად მოვიდა, როგორც მღვდელი; თითქოს მათ, როგორც მსახურები ამბობდნენ, „ყნოსვით იგრძნეს მიცვალებული".

ჟოზეფ კუირმა ექიმის მოსაყვანად მოკურცხლა, მღვდელმა კი მოინდომა ეზიარებინა, მაგრამ მომვლელმა ქალმა ყურში ჩაჩურჩულა: — ნუღარ სწუხდებით ბატონო, დამერწმუნეთ, მან უკვე დასტოვა ეს ქვეყანა.

გაგიჟებული ჟანა ყველას ევედრებოდა, არ იცოდა რა ექნა, რა ეღონა, რა საშუალება ეხმარა. მღვდელმა ყოველ შემთხვევისათვის, წარმოთქვა ცოდვათა შესანდობარი.

ორი საათი იცადეს ამ გალურჯებულ უსიცოცხლო სხეულთან. დაჩოქილი ჟანა ქვითინებდა, შიშითა და მწუხარებით მოცული.

როცა კარი გაიღო და ექიმი გამოჩნდა, ჟანას მოეჩვენა, რომ მოვიდა თვით შველა, ნუგეში, იმედი. იგი მივარდა ექიმს და აბნეულად მოუყვა ყველაფერი, რაც იცოდა მომხდარ

ამბავზე: — ივი სეირნობდა, როგორც ყოველდღე... თავს კარგად გრძნობდა... ძალიან კარგად... საუზმეზე ბულიონი და ორი კვერცხი ჭამა... და უეცრად დაეცა... მთლად გაშავდა, როგორც ხედავთ... და მერე აღარ განძრეულა... ჩვენ ყველაფერი ვცადეთ მის მოსასულიერებლად... ყველაფერი, ყველაფერი.

ჟანა გულგახეთქილი გაჩუმდა, რაკი დაინახა, თუ როგორ მალულად ანიშნა ექიმს მომვლელმა ქალმა ყველაფერი გათავდაო. ჟანას არ სურდა დაეჯერებინა და შეშინებული ერთსა და იმავე შეკითხვებს იძლეოდა: — ეს საშიშია? როგორ ფიქრობთ, მძიმე მდგომარეობაა?

ექიმმა ენის ბორძიკით უპასუხა: — ვშიშობ, ძლიერ ვშიშობ, რომ ეს უნდა იყოს... უნდა იყოს... აღსასრული. ვაჟკაცობა გმართებთ, დიდი ვაჟკაცობა.

ჟანამ ხელები გაშალა და დედამისის გვამს დაეცა.

ამ დროს ჟულიენი დაბრუნდა. იგი განცვიფრებული და აშკარად შეწუხებული იყო, მაგრამ ერთი წამოძახილითაც კი არ გამოუხატავს არც მწუხარება, არც ჭმუნვა, რადგან მოულოდნელობისაგან ვერ მოასწრო გამოეთქვა მდგომარეობის შესაფერისი გრძნობა.

მან ჩაილაპარაკა: — ამას ველოდი, ვგრძნობდი, რომ ეს აღსასრული იყო. — შემდეგ ამოიღო ცხვირსახოცი, მოიწმინდა თვალები. დაიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა, რაღაც წაიდუდუნა და ადგა. მოინდომა ცოლის წამოყენებაც, მაგრამ ჟანას ორივე ხელი მაგრამ მოხვია მიცვალებულისათვის, თითქმის ზედ აწვა და კოცნიდა. საჭირო გახდა მისი იქიდან გაყვანა. იგი გიჟს ჰგავდა.

ერთი საათის შემდეგ ჟანას ნება დართეს ისევ შესულიყო იქ. იმედის ნიშანწყალი აღარ იყო. საძინებელი ოთახი მიცვალებულის ოთახად იქცა. ჟულიენი და მღვდელი ფანჯარასთან ჩურჩულებდნენ. დანტიუს ქვრივი მოხერხებულად იჯდა სავარძელში და ტკბილად ჩაძინებულს ჰგავდა. იგი მიჩვეული იყო ღამისთევას და თავს შინაურულად გრძნობდა ყოველ სახლში, სადაც კი სიკვდილი შეაბიჯებდა.

ღამდებოდა. მღვდელი ჟანასთან მივიდა, აიღო მისი ორივე ხელი და დამშვიდება დაიწყო. იგი უხვად აფრქვევდა მის უნუგეშო გულს რელიგიურ დამაამებელ იმედს და ლაპარაკობდა განსვენებულზე, ადიდებდა მას კანონიკური გამოთქმებით და წუხდა მღვდლისათვის ჩვეული წუხილით, რომლისთვისაც ცხედარი მხოლოდ სარგებლობაა. მან

შესთავაზა, მეც თქვენთან ერთად გავათევ ღამეს მიცვალებულთან ლოცვის კითხვაშიო.

მაგრამ ჟანამ, რომელიც გულამომჯდარი ქვითინებდა, უარი თქვა. მას უნდოდა მარტო, სულ მარტო დარჩენილიყო თავის დედასთან გამოთხოვების ღამეს. მასთან ჟულიენი მივიდა.

— ეს შეუძლებელია. ჩვენ აქ ერთად ვიქნებით.

ჟანას ლაპარაკი არ შეეძლო და უარის ნიშნად თავი გააქნია. ბოლოს მან თქვა: —

ჩემი დედაა, ჩემი. მე მინდა მარტო გავატარო მასთან ღამე.

ექიმმა ჩაიჩურჩულა: — გააკეთოს, როგორც სურს. მომვლელ ქალს შეუძლია დარჩეს მეზობელ ოთახში.

მღვდელი და ჟულიენი დაეთანხმნენ და თავისი საწოლისათვის დაიწყეს ზრუნვა. შემდეგ, თავის მხრივ, მოძღვარმა პიკომ დაიჩოქა, ილოცა, წამოდგა და გასვლისას იმავე ტონით, რომლითაც ამბობდა „Dominus vobiscum“ თქვა: — წმინდა ქალი იყო.

მაშინ ვიკონტმა ცოლს თავისი ჩვეულებრივი ხმით ჰკითხა: — ეგებ ჭამო რამე? ჟანამ არ უპასუხა. არ გაუგონია, თუ მას მიმართეს.

ჟულიენმა გაიმეორა: — კარგს იზამ, თუ ცოტას შეჭამ ძალ-ღონის შესანარჩუნებლად.

პასუხის მაგივრად ჟანამ ტანჯულივით უთხრა: — ახლავე გაგზავნე ვინმე მამასთან.

ჟულიენი გავიდა, რათა ცხენოსანი გაეგზავნა რუანში. ჟანა კი თითქმის გააშეშა სევდამ და ელოდა იმ წუთს, როცა მარტო დარჩებოდა მიცვალებულთან, მოზღვავებულ, გაუვალ მწუხარებას რომ მისცემოდა.

ჩრდილმა აავსო ოთახი და წყვდიადში გახვია მიცვალებული. დანტიუს ქვრივი წინ და უკან ჩუმად დაბორიალობდა, იღიმებოდა და სხვა ადგილას და სხვა ადგილას გადაჰქონდა უჩინარი საგნები მომვლელი ქალის უხმო მოძრაობით. შემდეგ მან აანთო ორი სანთელი და წყნარად დადგა საწოლის თეთრი ხელსახოცით გადაფარებულ ღამის მაგიდაზე.

ჟანა თითქოს ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს გრძნობდა, არც არაფერი ესმოდა, იგი ელოდებოდა იმ წუთს, როცა მარტო დარჩებოდა. ჟულიენმა ისადილა და დაბრუნდა. მან ისევ ჰკითხა: — არ გინდა ჭამო რამე?

ცოლმა თავით ანიშნა „არაო“. ჟულიენი დაჯდა უფრო ბედის მორჩილის, ვიდრე მწუხრის სახით და ხმა აღარ ამოუღია.

სამივენი ასე ისხდნენ, ერთიმეორისგან მოშორებით თავთავის სავარძელში და არ ინძრეოდნენ.

მომვლელი ქალი ერთ წუთს ჩაიძინებდა და ოდნავ ხვრინავდა, შემდეგ ერთბაშად იღვიძებდა.

ბოლოს ჟულიენი ადგა და მიუახლოვდა ჟანას: — გინდა მარტო დარჩე? უნებლიედ აღტყინებული ჟანა ხელებში სწევდა ქმარს: — ო, ძალიან, დამტოვეთ. მან შუბლზე აკოცა ცოლს და წაიბუტბუტა: — დროდადრო მოვალ და გნახავ.

იგი გავიდა დანტიუს ქვრივთან ერთად, რომელმაც თავისი სავარძელი მეზობელ ოთახში გააგორა.

ჟანამ დაკეტა კარი, შემდეგ ფართოდ გააღო ორივე ფანჯარა. მოცელილი თივის არომატით გაჟღენთილი საღამოს თბილი ჰაერი სახეზე მოელამუნა. წინადღით მდელოები გაეთიბათ და ბალახი მწკრივად იყო მთვარის შუქზე.

ამ ტკბილმა შეგრძნებამ ტკივილი მიაყენა ჟანას, თითქოს დასცინისო, და, დაანაღვლიანა იგი.

ჟანა საწოლთან დაბრუნდა, აიღო დედის უსიცოცხლო გაცივებული ხელი და სახეზე დააცქერდა მას.

მისი სახე აღარ იყო ისე დაბიჟინებული, როგორც შეტევის დროს. მძინარეს ჰგავდა და ასე მშვიდად თითქოს არასოდეს სძინებია, სინათლის მკრთალი ალი, რომელსაც ქარი არხევდა, წარამარა ადგილს უცვლიდა ჩრდილებს მიცვალებულის სახეზე და ამის გამო გეგონებოდათ, ცოცხალია და ინძრევაო.

ჟანა ხარბად უყურებდა მას და ბავშვობის შორეულ დღეთა უამრავი მოგონება თავს უბრუებდა.

აგონდებოდა დედიკოს ვიზიტი მონასტრის მისაღებ ოთახში, მისი ჟესტი, როგორ უწვდიდა ნამცხვრებით სავსე ქაღალდის პარკს, მისი ალერსი, სიტყვები, ინტონაცია, ნაცნობი

მოძრაობა, ნაოჭები, თვალებთან რომ უჩნდებოდა სიცილის დროს, ქოშინი სავარძელში ჩაჯდომისას.

ჟანა იდგა, უმზერდა დედიკოს და გონებაჩლუნგივით თავისთვის იმეორებდა:

„იგი მოკვდა" და თანდათან სწვდებოდა ამ სიტყვების საშინელ აზრს.

დედიკო-დედიკო-დედა ადელაიდა, აი აქ რომ წევს, მოკვდა! იგი აღარ იმოძრავებს, აღარ დაილაპარაკებს, აღარ გაიცინებს, აღარასოდეს აღარ დაჯდება სადილად მამიკოს პირდაპირ, აღარ იტყვის „გამარჯობა, ჟანეტა!" იგი მოკვა!

მას ჩასჭედავენ კუბოში, დამარხავენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ვერასოდეს ვეღარ დაინახავენ მას. ნუთუ ეს შესაძლებელია? როგორ? ჟანას აღარ ეყოლება დედა? ეს ძვირფასი, ასე მშობლიური სახე, რომელსაც იგი ხედავდა მას შემდეგ, რაც თვალები გაახილა, უყვარს მას შემდეგ, რაც პაგარამ პირველად გაშალა ხელები, სიყვარულის ეს უდიდესი სავანე, ყველაზე ახლობელი ადამიანი, რომელიც გაცილებით ძვირფასია გულისათვის, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი, — დედა, და იგი უცბად გაქრება. ჟანას მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩა უცქიროს მის სახეს, ამ უძრავ და უაზრო სახეს, შემდეგ კი არაფერი, სრულებით არაფერი, გარდა მოგონებისა.

ჟანა მუხლებზე დაეცა სასოწარკვეთილების საშინელი განცდებით განადგურებული. იგი ორივე ხელით ჩაეჭიდა ზეწარს, თავით დაემხო და შემზარავად დაიყვირა.

— დედა, ჩემო საწყალო დედა, დედა!

ჟანამ იგრძნო, რომ გონებას კარგავდა, როგორც იმ ღამეს თოვლში რომ გაიქცა, და წამოხტა, ფანჯარასთან მიირბინა, რათა სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა, განსხვავებული ამ საწოლის ჰაერისაგან, სიკვდილის ჰაერისაგან.

გათიბული მდელოები, ხეები, ლანდა და მათ იქით ზღვა სამარისებურ სიწყნარეში განისვენებდნენ, მთვარის ნაზი ჯადოთი ჩაძინებულნი. ეს დამამშვიდებელი სიჩუმე ოდნავ შეიჭრა ჟანას სულში და იგი წყნარად ატირდა.

შემდეგ იგი საწოლთან დაბრუნდა, დაჯდა და დედიკოს ხელი აიღო ისე, თითქოს ავადმყოფს უვლისო.

დიდი ხოჭო, რომელიც სანთელმა მიიზიდა, ოთახში შემოფრინდა. იგი ბურთივით ეხეთქებოდა კედლებს და ოთახის ერთი ბოლოდან, მეორემდე დაფრინავდა. მისმა ზუზუნმა ჟანას ყურადღება მიიპყრო და ზევით აიხედა, რომ დაენახა იგი, მაგრამ მხოლოდ მისი მოხეტიალე ჩრდილი შეამჩნია თეთრ ჭერზე.

შემდეგ ხოჭო დადუმდა და ჟანას მოესმა კედლის საათის მსუბუქი ტიკტიკი და კიდევ სხვა სუსტი ხმა, უფრო სწორად — ძლივს გასაგონი შრიალი. ეს მუშაობას განაგრძობდა დედიკოს იმ კაბაში ჩარჩენილი საათი, სკამზე რომ ეგდო სანოლის ფეხებთან. განსვენებულისა და ამ შეუჩერებელი მექანიზმის ბუნდოვან შედარებამ მწვავედ ატკინა გული ჟანას.

მან საათს შეხედა. თერთმეტის ნახევარიც არ იყო; და იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი ღამე უნდა გაეტარებინა აქ, ჟანა საშინელმა შიშმა შეიპყრო.

ახლა სხვა მოგონებანი აეშალნენ-მოგონებები საკუთარი ცხოვრებიდან — როზალია, ჟილბერტა, მწვავე გულგატეხილობა. მაშ ყველაფერი წამებაა, მხოლოდ ტანჯვა, მწუხარება და სიკვდილი. ყველა მატყუარაა, ცრუ, ყველაფერი გაიძულებს იტანჯო და იტირო. სად იპოვი სულ ცოტა შვებას და სიხარულს? რასაკვირველია, სხვა სამყაროში, როცა სული თავისუფალი თავისუფლდება ამქვეყნიური გამოცდისაგან! და იგი დაუფიქრდა ამ მიუწვდომელ საიდუმლოებას და გაიტაცა პოეტურმა ფიქრებმა, რომლებიც მყისვე უარყო სხვა, არანაკლებ ბუნდოვანი ჰიპოთეზები. სად იყო ამ წუთში დედამისის სული? ამ უძრავი და გაყინული სხეულის სული? შეიძლება ძალიან შორს, სადღაც სივრცეში, მაგრამ სად? აორთქლდა, როგორც დამჭკნარი ყვავილის სურნელება? ან იქნებ დაფრინავს? როგორც უჩინარი ჩიტი, გალიას რომ თავი დააღწია?

მიიხმო ღმერთმა? იქნებ გაიფანტა ბედის საცდელად ბუნების ახალ-ახალ ქმნილებაში, ან შეერია ასაყვავებლად გამზადებულ ჩანასახებს? იქნებ სულ ახლოსაა? აქვეა ოთახში, მის მიერ მიტოვებულ უსიცოცხლო სხეულის გვერდით? უეცრად ჟანამ იგრძნო რაღაც მსუბუქი ქროლა, თითქოს უხორცო სული შეეხო. იგი შიშმა შეიპყრო, ისეთმა ძლიერმა, აუტანელმა შიშმა, რომ განძრევასაც ვერ ბედავდა, ვერც ამოსუნთქვასა და მიმოხედვას. გულს შიშით ბაგაბუგი გაჰქონდა.

უცბათ უჩინარმა მწერმა კვლავ განაგრძო ფრენა. იგი ტრიალებდა და ისევ ეხეთქებოდა კედლებს. ჟანა ერთიანად შეკრთა, მაგრამ ბზუილი ნაცნობი ეჩვენა და მაშინვე დამშვიდდა, ადგა, მიმოიხედა. მან დაინახა სფინქსის თავებიანი სეკრეტერი, რომელშიც „რელიკვიები“ ინახებოდა.

მოულოდნელად მას მოკრძალებული და უცნაური აზრი დაებადა. გადაწყვიტა ამ უკანასკნელი გამოთხოვების ღამეს, როგორც ლოცვანი, წაეკითხა ძველი, განსვენებულისათვის ძვირფასი წერილები. მას ეგონა, რომ ამით შეასრულებდა რაღაც წმინდა მოვალეობას, გამოიჩენდა ქალიშვილის ჭეშმარიტ გულისხმიერებას და იმ ქვეყნად ასიამოვნებდა დედას.

ეს იყო ბებიას და ბაბუას ძველისძველი წერილები. ჟანა არც ერთს არ იცნობდა, მაგრამ მათი ქალიშვილის სხეულთან სურდა გასცნობოდა მათ, ამ მწუხარე ღამეს ყოფილიყო მათთან, თითქოს ისინიც იტანჯებოდნენ დღეს, სურდა სიყვარულის რაღაც იდუმალი ჯაჭვი გაება დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა, ახლახან განსვენებულსა და ჯერ ამქვეყნად მყოფ თავის თავს შორის.

ჟანა ადგა, სეკრეტერი გააღო და ქვედა უჯრიდან გაყვითლებული წერილების ათიოდე პატარა შეკვრა ამოიღო. კოხტად შეკრული და მწკრივად დალაგებული.

გულისხმიერი და ნატიფი სიყვარულის გამომხატველი ყურადღებით ჟანამ ყველაფერი ეს ლოგინზე, ბარონის მეუღლის ხელებზე დააწყო და კითხვას შეუდგა.

ეს იყო დიდი ხნის წერილები, რომელთაც ძველებურ საგვარეულო სეკრეტერებში შეხვდებით და რომლებშიც გასული საუკუნის სუნთქვას იგრძნობთ.

პირველი მათგანი იწყებოდა სიტყვებით: „ჩემო ძვირფასო“, მეორე —„ჩემო ლამაზო შვილიკო“, მომდევნო წერილებში კი: „ჩემო პაწაწინა“, „ჩემო სულიკო“, „ჩემო სათაყვანებელო შვილო“, შემდეგ: „ჩემო ბავშვო“, „ ჩემო ძვირფასო ადელაიდა“, „ჩემო ძვირფასო გოგონა“— იმის მიხედვით, გოგონას შეეხებოდა ეს, ქალიშვილს. თუ უფრო გვიან, ახალგაზრდა ქალს.

ყველაფერი ეს მხურვალე და გულუბრყვილო სინაზით იყო სავსე, ათასი ინტიმური წვრილმანებით, დიდი და ყოველდღიური, უცხო ადამიანისათვის სრულიად უმნიშვნელო ოჯახური ამბებით: „მამას ციებ-ცხელება აქვს; მოახლე გოგომ, ჰორტენზიამ თითი დაიწვა; კატა „თაგვიჭამია“ მოკვდა; ღობის მარჯვენა მხარეს ნაძვი მოჭრეს; დედამ ეკლესიიდან დაბრუნებისას თავისი ლოცვანი დაკარგა, მას კი ჰგონია, რომ მოიპარეს“.

წერილებში ლაპარაკი იყო აგრეთვე ჟანასათვის უცნობ ადამიანზე, მაგრამ ბუნდოვნად იხსენებდა, რომ მათი სახელები ოდესღაც, ადრე ბავშვობაში გაეგონა.

ჟანას გული აუჩვილა ამ წვრილმანებმა და ისინი გულახდილ აღიარებად მიიჩნია. მას

მოეჩვენა, რომ უცბად შეაღწია წარსულის სანუკვარ საიდუმლოებაში, დედიკოს გულითად ცხოვრებაში. მან შეათვალიერა გაჭიმული სხეული და მოულოდნელად ხმამაღლა კითხვა დაიწყო. ჟანა კითხულობდა მიცვალებულისათვის, თითქოს სურდა გაერთო და ენუგეშებინა იგი.

ხოლო უძრავ, მკვდარ სხეულს უხაროდა თითქოს.

საწოლის ფეხებთან ჟანა ერთიმეორეზე აწყობდა წერილებს და მას გაუელვა აზრმა, რომ საჭირო იყო ისინი კუბოში ისევე ჩაეწყო, როგორც ყვავილებს აწყობენ.

ჟანამ მეორე შეკვრა გახსნა: ეს სხვა ხელით იყო ნაწერი.

მან კითხვა დაიწყო: „ სიცოცხლე არ შემიძლია შენი ალერსის გარეშე, გაგიჟებით მიყვარხარ“.

მეტი არაფერი. არც ხელმოწერა.

იგი გაოგნებული ატრიალებდა წერილს. ვერაფერი გაუგო მისამართი კი გარკვევით ეწერა: „ ბარონის მეუღლეს, ქალბატონ ლე პერტუი დე ვოს“.

მაშინ ჟანამ მეორე წერილი გახსნა: „მოდი ამ საღამოს, როგორც კი იგი წავა. ჩვენს განკარგულებაში ერთი საათი იქნება. მე შენ გაღმერთებ.“

კიდევ ერთი: „მთელი ღამე ბოდვაში გავათენე, ამაოდ ვნატრობდი, ვგრძნობდი შენს სხეულს ჩემს მკლავებში, შენს ტუჩებს ჩემს ტუჩებზე, შენს თვალებს ჩემს თვალებთან, ვცოფდებოდი და ფანჯრიდან გადავარდნა მსურდა, როცა გავიფიქრებდი, რომ სწორედ ამ დროს შენ მის გვერდით გეძინა, რომ გეძინა, რომ იგი დაგეუფლებოდა, როდესაც მოეპრიანებოდა“...

გაოგნებულმა ჟანამ ვერაფერი გაიგო.

რა იყო ეს? ვისთვის ან ვისი იყო ეს სიყვარულის სიტყვები?

მან განაგრძო კითხვა და ისევ და ისევ ხვდებოდა მხურვალე სატრფიალო აღიარებას, დანიშნულ პაემანთა საათებს, რჩევა-დარიგებას-ფრთხილად იყავიო, და ყველა მათგანი მთავრდებოდა ოთხი სიტყვით: „არ დაგავიწყდეს, წერილი დაწვი”.

ბოლოს ჟანამ გახსნა ოფიციალური ბარათი, უბრალო მადლობა სადილზე მიწვევისათვის, მაგრამ იმავე ხელით ნაწერი. ხელმოწერა „ პოლ დ'ენემერი" ეკუთვნოდა იმ კაცს, ვისაც ბარონი დღესაც, როცა მასზე ლაპარაკობდა, უწოდებდა: „ჩემი საბრალო მოხუცი პოლი", მისი ცოლი კი ბარონის მეუღლის საუკეთესო მეგობარი იყო.

მაშინ ჟანას უცბად ეჭვმა გაუელვა, რომელიც მაშინვე ირწმუნა. იგი დედამისის საყვარელი იყო.

თავდავიწყებულმა ჟანამ უცბათ, ხელის ერთი მოსმით, მუხლებიდან გადაყარა ეს სამარცხვინო წერილები ისე, როგორც მოიშორებდა სხეულზე აცოცებულ შხამიან ცხოველს, ფანჯარასთან მივარდა და მწარედ ატირდა. მას უკვე ძალა არ შესწევდა შეეკავებინა ყელზე მოწოლილი ქვითინი.

შემდეგ მწუხარებისგან მთლად მოტეხილი ჟანა იატაკზე დაეშვა კედელთან და ფარდაში ჩაიმალა, რათა არ გაეგოთ მისი კვნესა. იგი უსაზღვრო სასოწარკვეთილებით ქვითინებდა.

ალბათ, მთელ ღამეს ასე გაატარებდა იგი, მაგრამ მეზობელ ოთახში ფეხის ხმა გაისმა და ჟანა სწრაფად წამოხტა. იქნებ მამა იყო? ყველა წერილი კი გაშლილი ეყარა საწოლსა და იატაკზე: საკმარისია თუნდაც ერთი მათგანი გახსნას და იგი გაიგებს... გაიგებს ამას! იგი...

ჟანამ მიირბინა ორივე ხელით მოხვია ძველ, გაყვითლებულ წერილებს ბებიის, ბაბუის და სასიყვარულო წერილებს. აგრეთვე სხვებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეკვრებად ეწყო სეკრეტერის უჯრაში, ყველაფერი ეს მოაგროვა და ჩაყარა ბუხარში, შემდეგ მან აიღო ერთ-ერთი სანთელი, ღამის მაგიდაზე რომ ენთო, და ცეცხლს მისცა წერილების ეს გროვა. ძლიერმა ალმა კაშკაშა და მოციმციმე ცეცხლით გაანათა ოთახი, მკვდრის სარეცელი და ცხედარი, ხოლო თეთრ ფარდაზე შავი მერხევი ჩრდილით გამოიხატა ზეწრის ქვეშ მოთავსებული ვეებერთელა სხეულის ნაკვთები და გაქვავებული სახის პროფილი.

როცა ბუხრის ფსკერზე მხოლოდ ფერფლის გროვა დარჩა, ჟანა დაბრუნდა ღია ფანჯარასთან, თითქოს უკვე ეშინოდა მიცვალებულთან ახლოს დარჩენა. იგი დაჯდა, სახეზე ხელი აიფარა და ისევ ატირდა, თან სანყლად და სევდიანად კვნესოდა: „ოჰ, დედა! დედიკო! ჩემო საცოდავო დედა!"

ამ დროს საზარელმა აზრმა გაუელვა: ვთქვათ, დედიკო არ მომკვდარა და მხოლოდ საღათას ძილს მიეცა? ხომ შეიძლება აი ახლა ადგეს და დაილაპარაკოს; ნუთუ საშინელი

საიდუმლო, რომელიც ჟანამ ახლახან გაიგო, შეასუსტებდა მათ დედაშვილურ სიყვარულს? აკოცებდა კი დედიკოს ისეთივე მოწიწებით? გააღმერთებდა თუ არა წინანდებურად მას, როგორც სალოცავს? არა, გარდასული აღარ მობრუნდება, ამის შეგნება გულს უკლავდა ჟანას.

ღამე დაილია, ვარსკვლავები ბჟუტავდნენ; დადგა განთიადის წინამორბედი სიცივის საათი. მთვარე დაეშვა და, ვიდრე ზღვაში ჩაიმალებოდა, სადაფის ფერს აფრქვევდა მთელ მის ზედაპირს.

ჟანას მოაგონდა ის ღამე, ჩინარში ჩამოსვლის შემდეგ რომ გაატარა ფანჯარასთან. რა შორეული გახდა იგი, როგორ შეიცვალა ყველაფერი, როგორ გაუცრუა იმედები მომავალმა.

მაგრამ აი ცა გავარდისფრდა. საამო, აზიზი და მომხიბვლელი გახდა. ჟანა ახლა განცვიფრებით უყურებდა, როგორც სასწაულს, ამ გაბრწყინებული დღის დაბადებას, და თავისთავს ეკითხებოდა, ნუთუ შესაძლებელია ქვეყანაზე, სადაც ასეთი განთიადია, არ იყოს არც სიხარული და არც ბედნიერება?

კარის ხმამ შეაკრთო ჟანა. ეს ჟულიენი იყო. მან ჰკითხა: — ძლიერ გაწვალდი? ჟანამ წყნარად თქვა: — არა, — და გაუხარდა, რომ მის მარტოობას ბოლო მოეღო.

— ახლა წადი, დაისვენე, — უთხრა ჟულიენმა. ჟანამ აკოცა დედას ხანგრძლივად, მწუხარედ, და თავის ოთახში წავიდა.

დღე მიიწურა გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ნაღვლიან ფუსფუსში. ბარონი საღამოს ჩამოვიდა. მან ბევრი იტირა.

დაკრძალვა მეორე დღეს შედგა. მას შემდეგ, რაც განსვენებული მორთო და უკანასკნელად მიეკრა ტუჩებით მის გაყინულ შუბლს და დაინახა, როგორ მიაჭედეს კუბოს სახურავი, ჟანა გაეცალა იქაურობას. მალე მოწვეულნი მოვიდნენ.

ჟილბერტა პირველი მივიდა და ქვითინით ჩაეკრა გულში თავის მეგობარს. ფანჯრიდან ჩანდა ეტლები, რომლებიც უხვევდნენ ჭიშკართან და ჩორთით ბრუნდებოდნენ. ვესტიბიულში ხმები ისმოდა, შავებში ჩაცმული ქალები, რომლებსაც ჟანა სრულებით არ იცნობდა, ზედიზედ შემოდიოდნენ ოთახში. მარკიზ დე კუტელიესა და ვიკონტ დე ბრიზვილის მეუღლეებმა გადაკოცნეს იგი.

უცბად ჟანამ შენიშნა, რომ დეიდა ლიზონი მის უკან მოძვრებოდა, იგი დეიდას განსაკუთრებული სინაზით გადაეხვია, რამაც გული კინაღამ შეუღონა შინაბერას.

შემოვიდა სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ჟულიენი, მოხდენილი, შეწუხებული, კმაყოფილი მომსვლელთა სიმრავლით. მან ჩურჩულით მიმართა ცოლს რჩევისათვის და იდუმალი ხმით დაუმატა: — მთელი დიდკაცობა მოვიდა. დაკრძალვა დიდებული იქნება.

შემდეგ მედიდურად დაუკრა თავი მანდილოსნებს და გაბრუნდა.

დეიდა ლიზონი და გრაფის მეუღლე ჟილბერტა მარტო დარჩნენ ჟანასთან, სანამ სრულდებოდა სამგლოვიარო ცერემონია. გრაფის მეუღლე გამუდმებით კოცნიდა მას და იმეორებდა: — ჩემი საბრალო, ჩემი საცოდავი!

ცოლს რომ მიაკითხა, გრაფი დე ფურვილი ისე ტიროდა თითქოს საკუთარი დედა დაემარხოს.

თავი X

მწუხარების დღეები ერთმანეთს მისდევდა. ის ნაღვლიანი დღეები, როცა სახლი დაცარიელებული ჩანს სამუდამოდ გამქრალი საყვარელი არსების არყოფნის გამო, ტანჯვის დღეები, როცა ყველგან ხედავ ნივთს, რომელსაც მიცვალებული ხმარობდა, ყოველ წამს ახალი მოგონება ჩნდება გულში და კოდავს მას. აი მისი სავარძელი, მისი ქოლგა, შემოსასვლელში რომ დარჩენია, მისი ჭიქა, რომელიც მოახლე გოგოს ჯერაც არ აუღია. ყველა ოთახშია გაბნეული მისი ნივთები: მაკრატლები, ხელთათმანები, თხზულებათა ტომი, რომელსაც ფურცლები გაცრეცია მისი შეშუპებული თითებისაგან, და ათასი სხვა წვრილმანი, რომლებიც შემდგომ მტკივნეულ მნიშვნელობას იღებენ, რადგანაც უამრავ პატარ— პატარა ამბავს მოგვაგონებენ.

მისი ხმაც თან დაგდევენ, ყველგან ისმის; და გინდა გაიქცე სახლიდან, სულ ერთია სად, ოღონდ თავი დააღწიო ამ მოჩვენებას! მაგრამ საჭიროა დარჩე, რადგან სხვები რჩებიან და შენსავით იტანჯებიანი.

ყველაზე უფრო ჟანას გულს უკლავდა მისი ახალი აღმოჩენა. ეს მოგონება მძიმე ტვირთად აწვა მას. დაჭრილი გული უმთელდებოდა. საშინელმა საიდუმლომ კიდევ უფრო

გაუძლიერდა ახლანდელი მარტოობა, ადამიანისადმი უკანსაკნელი ნდობაც დაეკარგა უკანსაკნელ რწმენასთან ერთად.

ცოტა ხანში მამაც გაემგზავრა, მისთვის საჭირო იყო მოძრაობა, გარემოს გამოცვლა, რათა გამოსულიყო იმ ღრმა მწუხარებიდან, რომელიც სულ უფრო ტანჯავდა მას.

და დიდი სახლი, რომელიც დრო და დრო ასევე სამუდამოდ აცილებდა თავის რომელიმე მეპატრონეს, კვლავ შეუდგა მშვიდ და დინჯ ცხოვრებას.

შემდეგ პოლი გახდა ავად. ჟანამ მთლად დაკარგა გონება. თორმეტ დღე-ღამეს არც უძინია და თითქმის არც უჭამია.

პოლი განიკურნა, მაგრამ ჟანა შეიპყრო საშინელმა აზრმა, რომ იგი შეიძლება მომკვდარიყო, მაშინ რა უნდა ქნას მან? რა დაემართება? და სრულიად შეუმჩნევლად შეიპარა გულში ბუნდოვანი მოთხოვნილება— გაეჩინა მეორე შვილი. მალე ამაზე ოცნება დაიწყო და მთლიანად დაეუფლა ძველი სურვილი — ჰყოლოდა ორი შვილი, ბიჭი და გოგო. ეს აზრი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა.

მაგრამ როზალიას ამბების შემდეგ ჟანა ჟულიენისაგან განცალკევებით ცხოვრობდა. არსებულ ვითარებაში მათი დაახლოება შეუძლებელიც კი ჩანდა. ესეც რომ არა ყოფილიყო, ჟულიენს სხვა უყვარდა. ეს იცოდა ჟანამ და იმის გაფიქრებაც კი, რომ ისევე მოუწევდა ქმრის ალერსის განცდა, ზიზღის ჟრუანტელს ჰგვრიდა.

თუმცა ჟანა ამას კიდევ მოითმენდა, ისე აწვალებდა დედობის სურვილი, მაგრამ ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა მათი ალერსის განახლება? ჟანა ვერ აიტანდა დამცირებას, თუ ქმარი მიუხვდებოდა განზრახვას, იგი კი, აშკარა იყო, არ ფიქრობდა ცოლზე.

შეიძლება ჟანას უარი ეთქვა თავის განზრახვაზე, მაგრამ ყოველღამე ესიზმრებოდა გოგონა, რომელიც პოლთან ერთად ცელქობდა ჭადრის ქვეშ.

ამიტომ, ზოგჯერ დაუცხრომელ სურვილს გრძნობდა ამდგარიყო და უსიტყვოდ შესულიყო ქმართან საძინებელ ოთახში. ორჯერ კიდევაც მიიპარა მის კარებთან, მაგრამ სირცხვილისაგან გული გამალებით აუძგერდა და მყისვე უკან გაიქცა.

ბარონი გაემგზავრა; დედიკო მოკვდა; ჟანა ახლა ვერავის მიანდობდა გულის საიდუმლოს, ვერავის ჰკითხავდა რჩევას.

მაშინ მან გადაწყვიტა ენახა აბატი პიკო და აღსარების დროს საიდუმლოდ გაენდო თავისი ძნელი განზრახვა.

ჟანა რომ მივიდა, აბატი კურთხევანს კითხულობდა თავის ხეხილის პატარა ბაღში.

რამდენიმე წუთს იქითურ-აქეთურზე ილაპარაკეს, შემდეგ ჟანა გაწითლდა და წაიბუტბუტა: — მე აღსარებაზე მოვედი, ბატონო აბატო.

აბატს გაუკვირდა და სათვალეც კი აიწია, უკეთ რომ შეეთვალიერებინა იგი, შემდეგ გაიცინა: — კი, მაგრამ არ მგონია, რომ თქვენ სინდისს დიდი ცოდვები აწუხებდეს.

ჟანა სულ აიმღვრა და უპასუხა: — არა, მაგრამ მინდა გთხოვოთ რჩევა ისეთ... ისეთ სამძიმო საქმეზე, რომ ვერ ვბედავ ასე, პირდაპირ გითხრათ.

აბატმა მყისვე შეიცვალა თავისი ჩვეულებრივი გულკეთილი გამომეტყველება და მღვდელმსახურის სახე მიიღო: — კარგი, შვილო ჩემო, წავიდეთ. სააღსარებოში მოგისმენთ.

მაგრამ დამორცხვებულმა ჟანამ შეაჩერა მღვდელი და შეყოყმანდა; მას უეცრად მოერიდა ელაპარაკა ასეთი, ცოტა არ იყოს, უხერხულ თემაზე ცარიელი ტაძრის მდუმარებაში.

— უმჯობესია დავრჩეთ... ბატონო აბატო... მე... მე... მე... თუ შეიძლება აქ გეტყვით რისთვის მოვედი... წავიდეთ იქ, დავსხდეთ თქვენს პატარა ტალავერში.

ისინი ნელი ნაბიჯით გაემართნენ ტალავრისაკენ. ჟანამ არ იცოდა, როგორ გადმოეცა თავისი აზრი, რით დაეწყო. ორივენი დასხდნენ.

მაშინ თითქოს აღსარებას ამბობსო, ჟანამ დაიწყო: — მამაო...

შემდეგ ენა შეებორძიკა, ერთხელ კიდევ გაიმეორა: — მამაო... — და გაჩუმდა. იგი სულ დაიბნა.

მღვდელს მუცელზე გადაეჯვარედინებინა ხელები და უცდიდა. როცა დაინახა, რომ ჟანა დაიბნა, გაამხნევა იგი: — რა არის ეს, შვილო ჩემო, თქვენ თითქოს ვერ ბედავთ თქმას, აბა გამხნევდით.

ჟანა ერთბაშად გამხნევდა, როგორც მხდალი, რომელიც პირისპირ შეეჩეხა განსაცდელს.

— მამაო, მინდა მეორე ბავშვი მყავდეს.

მღვდელმა ვერაფერი გაიგო და არ უპასუხა. მაშინ ჟანა შეეცადა აეხსნა, მაგრამ ღელავდა, სიტყვებს ვერ პოულობდა: — მე ახლა მარტო ვარ ამქვეყნად; მამა და ჩემი ქმარი ვერ ეწყობიან ერთმანეთს. დედა მოკვდა; და... და... —აცახცახებულმა ჟანამ ხმადაბლა თქვა: — ამ დღეებში კინაღამ შვილი დავკარგე! რა დამემართებოდა მაშინ?

იგი გაჩუმდა. მღვდელი დაბნეული უყურებდა მას.

— კარგი. განაგრძეთ.

— მეორე ბავშვი მინდა, — გაიმეორა მან. მაშინ მღვდელმა გაიღიმა; იგი შეჩვეული იყო უწმაწურ ხუმრობას გლეხებისაგან, რომლებიც სულაც არ ერიდებოდნენ მას,

— და თავის ცბიერი ცანცარით უპასუხა: — ძალიან კარგი; მაგრამ მე მგონი, ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ჟანამ მღვდელს თავისი ალალმართალი თვალებით ახედა და დარცხვენით ჩაილუღლუღა: — მაგრამ... მას შემდეგ... თქვენ იცით... მას შემდეგ, რაც იმ მოახლე გოგოს გამო მოხდა... ჩემი ქმარი და მე სრულიად ცალ-ცალკე ვცხოვრობთ.

სოფლის აღვირახსნილ, უღირს ზნე-ჩვეულებებს შეჩვეული აბატი გააკვირვა ამ აღიარებამ, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, გამოიცნო ახალგაზრდა ქალის იდუმალი სურვილი. მან ალმაცერად შეხედა ჟანას, თუმცა კეთილგანწყობილად, სიმპათიით მისი გასაჭირის გამო: — დიახ, დიახ, ჩინებულად გაგიგეთ. თქვენ... თქვენ გიმძიმთ ქვრივობა; ახალგაზრდა ხართ, ჯანმრთელი ხარ. ერთი სიტყვით, ეს ბუნებრივია, სავსებით ბუნებრივი.

მან ისევ გაიღიმა, ნებაზე მიუშვა სოფლის მღვდლისათვის დამახასიათებელი სილაღე და ალერსით მოუცაცუნა ჟანას: — ეკლესიის მცნებით ეს ნებადართულია, სავსებით ნებადართული. ხორციელი არსების შექმნა მხოლოდ ქორწინებაში იქნება სასურველი. თქვენ გათხოვილი ხართ, არა? ეს იმიტომ ხომ არა, რომ თალგამი კორტნოთ.

ახლა ჟანამ, თავის მხრივ, ვერ გაიგო მისი გადაკრული სიტყვები, მაგრამ როგორც კი ჩაწვდა მათ აზრს, ალისფრად აენთო, შეძრწუნდა და თვალი აეცრემლა: — ოჰ, რას ამბობთ, ბატონო აბატო? რა გიფიქრიათ? გეფიცებით... გეფიცებით... — ქვითინმა სული შეუგუბა.

მღვდელი განცვიფრდა და შეეცადა დაემშვიდებინა ივი: — კარგი, კმარა, მე როდი მინდოდა მეწყენინებინა თქვენთვის, უბრალოდ გავიხუმრე. წესიერების ფარგლებში ეს აკრძალული არ არის. მაგრამ იქონიეთ ჩემი იმედი, გაბედულად მენდეთ. მე ვეტყვი ბატონ ჟულიენს.

ჟანამ არ იცოდა რა ეთქვა. ახლა მას სურდა თავიდან აეცილებინა ეს ჩარევა, რომელიც შეიძლებოდა უხერხული აღმოჩენილიყო და, მაშასადამე, საზიანოც, მაგრამ ვერ გაბედა ეს ეთქვა და წაიბუტბუტა: — გმადლობთ, ბატონო კიურე! — და იქაურობას გაეცალა.

ერთი კვირა გავიდა. ჟანა მტანჯველ მოუსვენრობას განიცდიდა.

ერთ საღამოს, სადილზე ჟულიენი მას უცნაურად უყურებდა, ტუჩებზე რაღაც უცნაური ღიმილი დასთამაშებდა, რომელსაც ჟანა ყოველთვის ხედავდა მის სახეზე, როცა ვინმეს ქირდავდა ხოლმე. ივი წაეარშიყა კიდეც ცოლს ოდნავი ირონიით, ხოლო შემდეგ, როდესაც დედიკოს დიდ ხეივანში სეირნობდა, მან ყურში ჩაუჩურჩულა ჟანას: — როგორც ჩანს, შევრიგდით.

ჟანამ არაფერი უპასუხა. ივი უყურებდა ახლად ამოყრილი ბალახით თითქმის დაფარულ ხაზს მიწაზე. ეს იყო ბარონის მეუღლის ნაკვალევი, რომელიც თანდათან ქრებოდა, როგორც ქრებიან მოგონებები. ჟანას დარდისგან გული შეეკუმშა. მან თავი დაღუპულად, ყველასაგან მიტოვებულად იგრძნო.

— მე პირადად უკეთესს ვერც ვისურვებდი, — განაგრძო ჟულიენმა. — მხოლოდ ვშიშობდი აღარ მოვწონვარ-მეთქი.

მზე ჩადიოდა, თბილი ამინდი იდგა. ჟანას სურდა ეტირა, გული გადაეხსნა მეგობრისათვის, ჩახვეოდა მას და შეეჩივლა თავისი მწუხარება. ყელში მოწოლილი ცრემლები სულს უხუთავდა. მან ხელები გაშალა და გულში ჩაეკრა ჟულიენს.

ჟანა ტიროდა. განცვიფრებული ჟულიენი ცოლს კეფაზე მისჩერებოდა, რადგან მკერდზე მიყრდნობილს სახე არ მოუჩანდა. მან იფიქრა, ისევ ვუყვარვარო, და კოცნა უწყალობა კეფაზე დახვეულ თმაზე.

შემდეგ უსიტყვოდ დაბრუნდნენ, ივი ოთახში შეყვა ცოლს და მასთან გაატარა ღამე.

ასე განახლდა მათი ძველი ურთიერთობა. ჟულიენი მას ასრულებდა როგორც

მოვალეობას, თუმცა საკმაოდ სიამოვნებდა იგი. ჟანა კი ითმენდა, როგორც გულისამრევ და მტანჯველ აუცილებლობას. გადაწყვეტილი ჰქონდა მაშინვე სამუდამოდ შეეწყვიტა ყოველივე, როგორც კი დაორსულდებოდა.

მალე მან შეამჩნია, რომ ქმრის ალერსი წინანდელს არ ჰგავდა. ახლა ჟულიენი მეტ ოსტატობას იჩენდა, მაგრამ უფრო თავშეკავებული იყო. ქმარი მას ექცეოდა, როგორც ფრთხილი საყვარელი და არა როგორც გულმშვიდი მეუღლე.

ჟანა გაოცდა. დაუკვირდა და მალე შეამჩნია, რომ ჟულიენი ყოველთვის მაშინ წყვეტდა ალერსს, როცა შეიძლება იგი გაენაყოფიერებინა.

ერთ ღამეს, როცა ტუჩი ტუჩზე ჰქონდათ, ჟანამ ჩურჩულით უთხრა: — რატომ ბოლომდე არ რჩები ჩემთან, როგორც წინათ?

ქმარმა დაცინვით უპასუხა: — ეშმაკმა დალახვროს! ბავშვი რომ არ აგყვეს იმიტომ.

ჟანა შეკრთა: — რატომ, არ გინდა შვილი? ჟულიენი განცვიფრებით გაშეშდა.

— რაო? რა თქვი? გაგიჟდი? ბავშვი? ო, არა, ესღა გვაკლდა, ერთიც ზედმეტია, ჭყივის, ყველას აწუხებს და ძვირიც გვიჯდება. მეორე ბავშვი გმადლობთ!

ჟანამ მკლავები მოხვია ქმარს, აკოცა, ვნების ცეცხლში გახვია და სულ ჩუმად უთხრა: — ძვირფასო, გემუდარები, კიდევ ერთხელ გამხადე დედა.

ჟულიენი გაჯავრდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი: — ნამდვილად ჭკუაზე არა ხარ. დამიფარე ასეთი სისულელეებისაგან, გთხოვ.

ჟანა გაჩუმდა და თავი დააიმედა, ეშმაკობით თუ ძალით, მაინც გამოვტაცებ საოცნებო ბედნიერებასო.

ახლა იგი ცდილობდა გაეხალისებინა ჟულიენის ალერსი, თამაშობდა ვნებით გაოფთრებული ქალის კომედიას, გაშმაგებით ეხვეოდა და თვალთმაქცური თავდავიწყებით იკრავდა გულში. ყველანაირი ხრიკი გამოიყენა, მაგრამ ჟულიენი მტკიცედ იკავებდა თავს და ერთხელ არ მისცემია თავდავიწყებას.

როცა აკვიატებულმა სურვილმა მთლად გააწამა იგი, როცა უკიდურესობამდე მივიდა და მზად იყო ყველანაირი ღონე ეხმარა, ყველაფერი გაებედა, ჟანამ ისევ აბატ პიკოს

მიმართა: მღვდელი ამთავრებდა საუზმეს და მთლად წითელი იყო, რადგან ჭამის შემდეგ ყოველთვის აწუხებდა გულისცემა; როგორც კი დაინახა ჟანა, წამოიყვირა: — როგორ არის საქმე? — მას ძლიერ აინტერესებდა გაეგო თავისი შუამავლობის შედეგი.

ახლა ჟანა უფრო გაბედული იყო და დაუმორცხვებლად, პირდაპირ უპასუხა:

— ჩემ ქმარს მეტი შვილი არ უნდა.

აბატი ქალისაკენ შემობრუნდა. მან ცხოველი ინტერესი გამოიჩინა. მღვდლის ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მზად იყო გამოეჩხრიკა სარეცელის ის საიდუმლოებანი, რომლებიც ართობდა მას სააღსარებოში. მან ჰკითხა: — როგორ თუ არ უნდა?

მიუხდავად მთელი თავისი გამბედაობისა, ჟანას შერცხვა და არ იცოდა, როგორ აეხსნა: — მაგრამ იგი... იგი უარზეა დედა გამხადოს.

შემდეგ იგი ცოტახანს ჩაფიქრდა და მშვიდად, თითქოს კარგ მოსავალზე ლაპარაკობდა, დეტალურად მოუხაზა მას მოუხერხებელი მოქმედების გეგმა, თან ყოველ წინადადებას განუმარტავდა: — თქვენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გაქვთ, ჩემო ძვირფასო ბავშვო, უნდა დააჯერო მეუღლე, რომ ფეხმძიმედ ხარ. იგი აღარ მოერიდება და მართლაც დაორსულდებით.

ჟანა ერთიანად გაწითლდა, ცრემლები მოერია, მაგრამ ყველაფრისათვის მზად იყო და იმეორებდა: — თუ... თუ არ დამიჯერა?

აბატმა იცოდა ხალხის ხელში დაჭერისა და მასთან მოქცევის ბევრი ხერხი: — ყველას აცნობეთ, ყველგან ილაპარაკეთ, რომ ფეხმძიმედ ხართ. ბოლოს თვითონაც დაიჯერებს.

შემდეგ, თითქოს ამ ეშმაკობას ინანიებსო დასძინა: — თქვენ ამის უფლება გაქვთ, ეკლესია იწყნარებს მამაკაცისა და ქალის კავშირს მხოლოდ შთამომავლობის გაჩენის მიზნით.

ჟანა გაჰყვა ამ მზაკვრულ რჩევას და ორი კვირის შემდეგ გამოუცხადა ჟულიენს, მგონი ფეხმძიმედ ვარო, ჟულიენი წამოხტა: — ტყუილია! ეს შეუძლებელია!

ჟანამ იმწუთშივე დაუსაბუთა თავისი ეჭვების საფუძვლიანობა, მაგრამ ჟულიენი შეეცადა თავი დაემშვიდებინა: — არა, ეს არაფერია, მოიცადე ცოტა, ვნახავთ.

ამის შემდეგ ყოველ დილით ეკითხებოდა: — როგორაა საქმე?

ჟანა ყოველთვის პასუხობდა: — ჯერჯერობით არაფერია. სრულებით არ მეეჭვება, რომ ორსულად ვარ.

ახლა ჟულიენი შეშფოთდა. რამდენადაც სწყინდა და აწუხებდა ეს ამბავი, იმდენად უკვირდა და იმეორებდა: — არაფერი მესმის, სრულებით არაფერი. თავს სასიკვდილოდ დავდებ, თუ ვიცოდე, როგორ მოხდა ეს!

ერთი თვის შემდეგ ჟანამ ყველას აცნობა ახალი ამბავი, რაღაცნაირად რთული და უბიწო დელიკატობის გამო.

პირველი მღელვარების შემდეგ ჟულიენი აღარ ეკარებოდა ცოლს, მერე სინანულით დაემორჩილა ბედს და განაცხადა: — აი, კიდევ ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი.

და მან ისევ მიაკითხა ცოლის ოთახს.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მღვდელმა გაითვალისწინა. ჟანა დაორსულდა.

მაშინ უსაზღვრო სიხარულით თავდავიწყებული და იმ უხილავი ღვთაების მადლიერი, რომელსაც თაყვანს სცემდა, ჟანა მარადიულ უმანკოებას მიენდო და ყოველ საღამოს კეტავდა ოთახის კარებს.

იგი თითქმის ისევ ბედნიერად გრძნობდა თავს და მხოლოდ უკვირდა, რა სწრაფად გამოიგლოვა დედა, რა უნუგეშოდ გრძნობდა თავს და აი ორი თვეც არ გასულა, რომ ღია ჭრილობა ეხურებოდა. მხოლოდ მინაზებული სევდა შერჩა, თითქოს მის სიცოცხლეს მწუხრის ნისლი გადაფარებოდეს. რა უნდა მომხდარიყო მომავალში ისეთი, რომ ჟანა შეშფოთებულიყო? ბავშვები გაიზრდებიან და ეყვარებათ დედა, ექნება მშვიდი, საამური სიბერე, აღარ შეწუხდება ქმარზე ფიქრით.

სექტემბრის ბოლოს აბატი პიკო ესტუმრა ოფიციალური ვიზიტით. მას ახლი სუტანი ეცვა, რომელიც მხოლოდ ერთი კვირის ჩაცმული იყო, მაგრამ დალაქიანებას ვერ გადარჩენოდა. მან ჟანას წარუდგინა თავისი შემცვლელი აბატი ტოლბიაკი; ეს იყო სულ ახალგაზრდა, ჩხირივით გამხდარი, დაბალი და მაღალფარდოვნად მოლაპარაკე მღვდელი. მისი ჩაცვენილი და მუქი წრეებით შემოფარგლული თვალები სულის მძვინვარებას გამოხატავდა.

მოხუცი კიურე დეკანად დაენიშნათ გოდერვილში.

ჟანას ნამდვილად ეწყინა მისი გამგზავრება. ამ კეთილ კაცს უკავშირდებოდა ახალგაზრდა ქალის ცხოვრების ყველა მოგონება გათხოვების შემდეგ. მან დააქორწინა იგი, მან მონათლა პოლი და მანვე დაასაფლავა ბარონის მეუღლე. ჟანას ვერ წარმოედგინა ეტუვანი ღიპიან აბატ პიკოს გარეშე, ფერმათა გასწვრივ რომ მიაბიჯებდა ხოლმე. მას უყვარდა იგი იმიტომ, რომ ხალისიანი და ბუნებრივი მოხუცი იყო.

მიუხედავად დაწინაურებისა, მართლაც არ იყო ხასიათზე და ამბობდა: — მიძნელდება მე ეს, მიძნელდება, ქალბატონო ვიკონტის მეუღლევ, უკვე თვრამეტი წელი დავყავი აქ. რა თქმა უნდა, მრევლი ღარიბია და არც თუ დიდ რამეს წარმოადგენს. მამაკაცები არ არიან საკმაოდ ღვთისმორწმუნენი, ხოლო ქალებს, ხომ ხედავთ ყოფაქცევა არ უვარგა. ქალიშვილები ისე არ იწერენ ჯვარს ეკლესიაში, თუ წინასწარ არ მოიარეს ღვთისმშობლის მუცელგამობერილთა სამლოცველოები. არც ნარინჯის ყვავილები ფასობს ამ მხარეში და მაინც მიყვარდა აქაურობა.

ახალ კიურეს აღელვება დაეტყო და მთლად გაწითლდა. უცბად მან თქვა: — ჩემს ხელში ყველაფერი შეიცვლება. ღონე მიხდილი და გამხდარი, იგი გაბრაზებულ ბავშვს ჰგავდა უკვე გაცვეთილ, მაგრამ სუფთა სამოსელში.

აბატმა პიკომ ალმაცერად შეხედა მას, როგორც სჩვეოდა ხოლმე მხიარულების დროს, და უპასუხა: — იცით რა, აბატო, ყველაფერი ეს რომ მოსპოთ, მრევლი ჯაჭვით უნდა დააბათ. და ესეც კი არ უშველის.

ახლგაზრდა მღვდელმა მკაცრად უპასუხა: — ამასაც ვნახავთ. მოხუც კიურეს გაეღიმა და ბურნუთი შეისუნთქა.

— ასაკი და მასთან ერთად გამოცდილება დაგაშოშმინებთ, აბატო. ამით თქვენ ეკლესიაში ფეხს აღუკვეთთ უკანასკნელ ღვთისმლოცველებს და მეტს ვერაფერს მიაღწევთ. აქაურები მორწმუნენი არიან, მაგრამ შფოთის თავებიც, და უფრთხილდით! უნდა გამოგიტყდეთ, როცა ქადაგების დროს ეკლესიაში შემოვა ქალიშვილი, რომელიც ცოტათი შესუქებული მეჩვენება, გულში ვამბობ: „ჩემს სამწყსოს კიდევ ერთი კაცი მოემატება-მეთქი, — და ვცდილობ გავათხოვო. თქვენ მათ შეცოდებას ვერ გადააჩვევთ, ეს იცოდეთ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მაშინვე მოძებნოთ ის ახალგაზრდა და დაითანხმოთ, რომ არ მიატოვოს მისი ბავშვის დედა. დააქორწინეთ ისინი, აბატო, დააქორწინეთ, ხსვა რამეს ნუ ეცდებით! ახალმა

კიურემ მკვახედ უპასუხა: — ჩვენ სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ, კამათი უსარგებლოა.

აბატმა პიკომ ისევ გამოთქვა სინანული, რომ ტოვებს თავის სოფელს, ზღვას, რომელსაც იგი ხედავდა სახლის ფანჯრიდან, ძაბრივით ღარტაფებს, სადაც მიდიოდა კურთხევანის წასაკითხად და იცქირებოდა შორს, ჩავლილი ნავები რომ დაენახა.

ორივე მღვდელი გამოემშვიდობა მასპინძელს. მოხუცმა აკოცა ჟანას, რომელიც კინაღამ ატირდა.

ერთი კვირის შემდეგ აბატი ტოლბიაკი ისევ მოვიდა. მან ისეთი მონდომებით ილაპარაკა დაწყებულ რეფორმებზე, თითქოს უფლისწული იყო და სამეფო ტახტს დაეპატრონა. შემდეგ სთხოვა ვიკონტის მეუღლეს აუცილებლად დასწრებოდა საკვირაო წირვას და ზიარებულიყო ყოველ დიდ დღესასწაულზე.

— თქვენ და მე, — ამბობდა იგი, — თემის თავკაცები ვართ, ჩვენ უნდა გავუძღვეთ მას და მუდამ მისაბაძი მაგალითი ვუჩვენოთ, რომ სხვებიც მოვიმხროთ. ჩვენ ერთსულოვნება გვმართებს, გავლენა და პატივისცემა რომ მოვიპოვოთ. თუ ეკლესია და სასახლე ერთმანეთს ხელს მისცემენ, ქოხი შეშინდება და დაგვემორჩილება.

ჟანას რელიგია მხოლოდ და მხოლოდ გრძნობას ეყრდნობა. როგორც ყველა ქალი, ისიც რამდენადმე მისტიკურად იყო განწყობილი, და თუ ძლივძლივობით ასრულებდა წეს-ჩვეულებას, ესეც უმთავრესად მონასტრიდან შერჩენილი ჩვევის გამო. ბარონის ფრონდელურმა ფილოსოფიამ უკვე დიდი ხნის წინათ შეურყია რელიგიური შეხედულებები.

აბატი პიკო იმ მცირედითაც კმაყოფილდებოდა, რისი მიცემაც შეეძლო ჟანას, და არასოდეს უსაყვედურებია მისთვის. მაგრამ მისი შემცვლელი, რაკი ვერ დაინახა იგი საკვირაო წირვაზე, აღელდა და განრისხებული მოვარდა.

ჟანას არ უნდოდა კავშირი გაეწყვიტა მრევლთან და ზრდილობისათვის დაეთანხმა, გულში კი გადაწყვიტა, მხოლოდ პირველ ხანებში გამოეჩინა ერთგულება.

მაგრამ იგი თან და თან მიეჩვია ეკლესიას და ამ უღონო, მოუსყიდავი და მბრძანებელი აბატის გავლენაში მოექცა. ეს ფანატიკოსი მოსწონდა ჟანას თავისი უცნაური და აღტაცებული ჟინიანობით. აბატი შეეხო მისტიკური პოეზიის იმ სიმებს, რომლებიც ყველა ქალის სულში ჟღერს. მისი უტეხი სიმკაცრე, ხორციელ სიამეთა ზიზღი, საამქვეყნო საქმის სიძულვილი, ღვთის სიყვარული, მისი ჭაბუკური გამოუცდელობა და ველური ხასიათი, მისი მკაცრი სიტყვა

და უდრეკი ნებისყოფა ჟანას წარმოდგენას აძლევდა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო წამებული; და იგი, თვითონ გაწამებული და იმედგაცრუებული, მოხიბლა ამ ბავშვში ღვთის მსახურის სასტიკმა ფანატიზმმა.

მღვდელს იგი მიჰყავდა ქრისტე-ნუგეშისმცემელთან, აღუთქვამდა, რომ ყოველგვარ ტანჯვას გაუყუჩებდა რელიგიის ღვთისმოსავი სიხარული და ისიც მორჩილად იდრეკდა მუხლს სააღსარებოში, რადგან თავისი თავი პატარად, უძლურად მიაჩნდა მღვდლის წინაშე, რომელიც თვითონ თხუთმეტი წლისა გეგონებოდათ.

მაგრამ ახალი მღვდელი მალე შეიძულა მთელმა მრევლმა.

საოცრად მკაცრი თავის თავისადმი, იგი ულმობელი შეუწყნარებლობით ეკიდებოდა სხვებს. განსაკუთრებით ერთი რამ იწვევდა მასში რისხვასა და გულისწყრომას — სიყვარული. ქადაგების დროს იგი, საეკლესიო ადათის შესაბამისად მუსრს ავლებდა სიყვარულს ყველაზე უხეში გამოთქმით, სოფლელ მსმენელებს აყრუებდა თავისი მქუხარე სიტყვებით ავხორცობის წინააღმდეგ. ამავე დროს, თვითონ სიბრაზისგან ცახცახებდა, ფეხებს აბაკუნებდა და მთლად ემონებოდა იმ სახეებს, რომლებსაც თვითონ მოუხმობდა თავისი გააფთრებული მხილებით.

მოზრდილი ბიჭები და გოგონები საყდარში ქვეშ-ქვეშ უყურებდნენ ერთმანეთს, ხოლო მოხუცი გლეხები, რომლებიც ყოველდღე ხუმრობდნენ ხოლმე ასეთ რამეზე, წირვის შემდეგ, თავიანთი ცისფერბლუზიანი ვაჟისა და შავმოსასხამიანი მეუღლის გვერდით შინ მიმავალნი, გმობდნენ ცინგლიანი მღვდლის შეუწყნარებლობას. მთელი მხარე აღშფოთებული იყო.

ყველანი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თუ რა სისასტიკეს იჩენდა იგი აღსარების დროს და რა მკაცრ მონანიებას უსჯიდა. ხოლო მისმა ჯიუტობამ — არ შეენდო ცოდვილი ქალიშვილებისათვის, რომლებმაც უმანკოება ვერ შეინარჩუნეს, სასაცილო გახადა იგი. სასაცილო იყო ისიც, რომ საზეიმო— სადღესასწაულო ღვთისმსახურების დროს იგი ქალიშვილებს აიძულებდა თავ— თავის სკამზე მსხდარიყვნენ მაშინ, როცა მათაც სხვებთან ერთად უნდა მიეღოთ ზიარება.

შეყვარებულთა პაემანი რომ ჩაეშალა, მან ბრაკონიერებზე მიჩენილი დარაჯივით დაუწყო თვალთვალი მათ. მთვარიან ღამეში იგი ერეკებოდა წყვილებს გზისპირა თხრილებიდან, დახურული კალოებიდან, დამრეცი გორაკების ფერდობთა კვირინჩხნარებიდან.

ერთხელ იგი წააწყდა წყვილს, რომელმაც მღვდლის დანახვისას, არ ისურვა გათიშვა; გოგო და ბიჭი ერთმანეთს ეხუტებოდნენ, კოცნიდნენ და ისე მიდიოდნენ ქვიანი ხევით.

აბატმა მათ დაუყვირა: — მორჩით ახლა, თქვე პირუტყვებო!

ბიჭი შემობრუნდა და უთხრა : — თქვენს გზას ეწიეთ, ბატონო კიურე, ეს თქვენ არ გეხებათ.

მაშინ აბატმა მოაგროვა კენჭები და სროლა დაუწყო, როგორც ძაღლებს.

ორივე სიცილით მოკურცხლა; შემდგომ კვირას კი ხალხით სავსე ეკლესიაში აბატმა ყველას ამცნო მათი სახელი და გვარი.

იმ სოფლის ყველა ბიჭმა თავი დაანება წირვაზე სიარულს. ყოველ ხუთშაბათს კიურე საბატონო სახლში სადილობდა და კვირის მანძილზე მიდიოდა თავის სულიერ შვილთან სასაუბროდ. მღვდლის მსგავსად, ჟანა ექსტაზში შედიოდა, როცა მსჯელობდნენ არაამქვეყნიურ საგნებზე, და მოხერხებულად იყენებდნენ რელიგიურ კაზუისტიკის უძველეს და რთულ არსენალს.

ისინი სეირნობდნენ ბარონის მეუღლის დიდ ხეივანში და ისე ლაპარაკობდნენ ქრისტესა და მოციქულებზე, ყოვლად წმიდა ქალწულებზე, ეკლესიის მამებზე, თითქოს მათი კარგი ნაცნობები ყოფილიყვნენ. ზოგჯერ განსაკუთრებით ღრმააზროვანი საკითხი დაებადებოდათ, მაშინ ორივე შეჩერდებოდნენ და მისტიკურ ბოდვას იწყებდნენ, ამასთან ჟანას იტაცებდა პოეტური დასკვნები, მუდამჟამ ცაში რომ მიისწრაფოდნენ, ხოლო უფრო ჩამოყალიბებული აბატი დასკვნებს აკეთებდა, როგორც ნამდვილი მონომანი, რომელიც ცდილობდა მათემატიკურად დაემტკიცებინა წრის კვადრატურა.

ჟულიენი ახალ კიურეს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და გამუდმებით იმეორებდა: — ძალიან მომწონს ეს მღვდელი. მისგან დათმობას ნუ ელი.

და იგი, როცა მოესურვებოდა, ამბობდა აღსარებას, იღებდა ზიარებას და უხვ „მაგალითსაც იძლეოდა“.

ჟულიენი ახლა თითქმის ყოველდღე დადიოდა ფურვილებთან, ნადირობდა ქმართან ერთად, რომელიც უამისოდ ვეღარ ძლებდა, ცხენით სეირნოდა გრაფის მეუღლესთან წვიმისას და ცუდ ამინდშიც კი. გრაფი ამბობდა: — ჭკუას კარგავენ ცხენით სეირნობისათვის,

მაგრამ არა უშავს, ეს ძალიან სასარგებლოა ჟულიენისათვის.

ბარონი შუა ნოემბერში დაბრუნდა იგი შეცვლილი, დაბერებული ჩანდა, საშინელი სევდა გულს უღრნიდა. მაგრამ თავისი ქალიშვილის სიყვარული მასში ახალი ძალით იზრდებოდა, თითქოს ამ რამდენიმე დაღვრემილმა მარტოობის თვემ უკიდურესად გაუძლიერა სიყვარულის, სულიერის სიახლოვისა და ალერსის წყურვილი.

ჟანამ არ გაანდო მამას თავისი ახალი აზრები, არც აბატ ტოლბიაკთან მეგობრობასა და თავის რელიგიურ გატაცებაზე უთქვამს რაიმე, მაგრამ პირველი შეხვედრისთანავე ბარონს საშინლად არ მოეწონა მღვდელი.

და როცა საღამოს ახალგაზრდა ქალმა ჰკითხა: — როგორ მოგწონს იგი?

ბარონმა უპასუხა: — იგი პირწავარდნილი ინკვიზიტორია! და ძალიან საშიში კაციც უნდა იყოს!

შემდეგ, როცა ბარონმა მეგობარი გლეხებისაგან გაიგო, რა სასტიკი პიროვნება იყო ახალგაზრდა მღვდელი, როგორ ავიწროებდა ხალხს, როგორ ებრძოდა იგი ბუნების კანონებსა და თანდაყოლილ ინსტინქტებს, მის გულში საშინელმა სიძულვილმა იფეთქა.

თვითონ ბარონი ეკუთვნოდა ბუნების მოტრფიალე ძველ ფილოსოფოსთა თაობას, რომელსაც გულს უჩუყებდა ორი ცოცხალი ქმნილების ერთმანეთთან შეერთების დანახვა, თაყვანს სცემდა პანთეისტების ღმერთს და ებრძოდა კათოლიკურ ღვთაებას, რომელიც თავისი ბურჟუაზიული შეხედულებებით, იეზუიტური გაბოროტებითა და ტირანის შურისმგებლობით ანადგურებდა შეხვედრათა შედეგად წარმოშობილ გარდაუვალ, უსაზღვრო და ყოვლად ძლიერ ქმედებებს, როგორიცაა სიცოცხლე, სინათლე, მიწა, აზრი, მცენარე, ქვა, ადამიანი, ჰაერი, ცხოველი, ვარსკვლავი, ღმერთი, და მწერი ერთდროულად, რომელიც ქმნის, რადგან თვითონაც ქმნილებაა და თანაც უფრო ძლიერი, ვიდრე ნება, უფრო ფართო ვიდრე გონება; ქმნის უმიზნოდ, უაზროდ და უსასრულოდ ყველა მიმართულებით და ყველანაირ ფორმის აღმონაცენს მთელ უკიდეგანო სივრცეში; ქმნის შესაბამისად საბედისწერო შემთხვევისა და მზეთა სიახლოვისა, რომლებიც ათბობენ სამყაროებს.

ქმნილებები შეიცავენ ყოველგვარ ჩანასახებს. აზრი და სიცოცხლე ვითარდება მათში ისე, როგორც ყვავილები და ნაყოფი ხეზე.

ამიტომ გამრავლება ბარონისათვის იყო დიდი საყოველთაო კანონი, საპატიო, წმინდა,

ღვთაებრივი აქტი, უზენაესი ღვთაების მიუწვდომელი და მუდმივი ნების განსახიერება და იგი ფერმას ფერმაზე ამხედრებდა სიცოცხლის მდევნელი აუტანელი მღვდლის წინააღმდეგ.

დადარდიანებული ჟანა ლოცულობდა, ემუდარებოდა ბარონს, მაგრამ იგი ყოველთვის პასუხობდა: — ასეთ ადამიანს უნდა ვებრძოლოთ, ეს ჩვენი მოვალეობა და უფლებაა. მათში არაფერია ადამიანური.

იგი შეიბერტყავდა ხოლმე თავის გრძელ ჭაღარა თმებს და იმეორებდა: — ისინი ადამიანები არ არიან. მათ არაფერი გაეგებათ, სრულებით არაფერი. ისინი დამღუპველი, შემცდარი აზრის ზეგავლენით მოქმედებენ და ბუნების მტრები არიან.

ბარონი ისე ყვიროდა: „ ბუნების მტრები არიან!“ — თითქოს ამით წყევლიდა მოწინააღმდეგეს.

მღვდელს, თუმცა კარად გრძნობდა მტერს, არ უნდოდა თავის ძალა დაეკარგა საბატონო სახლსა და ახალგაზრდა ქალზე და ამიტომ, საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული, იცდიდა.

გარდა ამისა, მღვდელს ერთი აზრი აეკვიატა: მან შემთხვევით აღმოაჩინა ჟულიენისა და ჟილბერტას საგრფიალო ამბავი და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ბოლო მოეღო მისთვის.

ერთხელ იგი ჟანას სანახავად მივიდა. დიდხანს ილაპარაკეს მისტიკურ თემებზე და შემდეგ სთხოვა დახმარებოდა მისსავე ოჯახში ბოროტების მოსპობაში, დაღუპვისაგან ორი სულის გადარჩენაში.

ჟანა ვერ მიხვდა და ახსნა სთხოვა. მღვდელმა უპასუხა: — ჯერ მაგის დრო არ არის, მაგრამ მალე ისევ გნახავთ, — და სასწრაფოდ გავიდა.

ეს მოხდა ნესტიანი და თბილი ზამთრის, დამპალი ზამთრის, როგორც იმ მხარეში ამბობდნენ ხოლმე, მიწურულს.

რამდენიმე დღის შემდეგ აბატი ისევ მოვიდა და ბუნდოვნად ილაპარაკა უღირს კავშირზე იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც უმწიკვლოება მოეთხოვებათ.

— მართებული იქნებოდა, — ამბობდა იგი, — რომ მათ, ვინც იცის ასეთი ცოდვილი

საქმეების შესახებ, ყოველგვარი საშუალებით აღეკვეთათ იგი.— შემდეგ შეუდგა მაღალფარდოვან მსჯელობას, აიღო ჟანას ხელი, მოუხმო მას გაეხილა თვალები. მიმხვდარიყო რაშია საქმე და დახმარებოდა მას.

ამჯერად ჟანა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ შიშით წარმოიდგინა ყველა ის ტანჯვა, რაც თავზე დაატყდებოდა მის ახლა უკვე მშვიდ სახლს, და ხმას არ იღებდა. მან თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა აბატს, მაშინ მღვდელმა მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ თქვა: — მძიმე მოვალეობა მხვდა წილად, ქალბატონო ვიკონტის მეუღლევ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. ჩემი წოდება, ჩემი სამსახური, რომელსაც ვასრულებ, მიბრძანებს გამოგიყვანოთ უმეცრებიდან — შეგატყობინოთ ის, რასაც თქვენ ხელი უნდა შეუშალოთ. მაშ, იცოდეთ, რომ თქვენი ქმარი დანაშაულებრივ კავშირშია ქალბატონ დე ფურვილთან.

ბედის მორჩილმა ჟანამ უღონოდ დახარა თავი: მღვდელი არ ცხრებოდა: — რას აპირებთ ახლა?

— რა ვქნა, ბატონო აბატო? — ჩაიბუტბუტა ჟანამ.

— წინ აღუდექით ამ უკანონო ვნებათა ღელვას, — მრისხანედ უპასუხა აბატმა.

ჟანა ატირდა და ნაღვლიანად თქვა: — მან ერთხელ უკვე მომატყუა მოახლე გოგოსთან; ყურადღებას არ მაქცევს; აღარ ვუყვარვარ; იგი აბუჩად იგდებს ჩემს სურვილებს. რა შემიძლია მე?

მღვდელმა პასუხს თავი აარიდა და დაიყვირა: — მაშასადამე, თქვენ თვალებს ხუჭავთ! ურიგდებით! თმობთ! იწყნარებთ მოღალატეს თქვენს ჭერ ქვეშ! დანაშაული თქვენს თვალწინ ხდება და თვალს არიდებთ! იმის შემდეგ თქვენ მეუღლე გქვიათ? ქრისტიანი? დედა?

ჟანა აქვითინდა: — თქვენი აზრით, რა უნდა ვქნა? რა ვიღონო?

აბატმა მიუგო: — ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ნებაზე ნუ მიუშვებთ ამ საზიზღრობას. ყველაფერი, მე თქვენ გეუბნებით. მიატოვეთ იგი, გაიქეცით ამ წაბილწული სახლიდან.

— კი მაგრამ, მე ფული არ მაქვს, ბატონო აბატო, — შეეკამათა ჟანა — არც გამბედაობა, ან როგორ წავიდე, თუ დამამტკიცებელი საბუთი არ წარვადგინე? ამის უფლებაც კი არა

მაქვს!

მღვდელი ადგა, იგი მთელი ტანით ცახცახებდა.

— სილაჩრე გიმორჩილებთ, ქალბატონო. მე თქვენ სხვანაირი მეგონეთ. თქვენ არ ხართ ღვთის მონყალების ღირსი.

ჟანა მუხლებში ჩაუვარდა მღვდელს: — ოჰ, გემუდარებით, არ მიმატოვოთ, მირჩიეთ რამე!

მან მოკლედ მიუგო: — აუხილეთ თვალები ბატონ დე ფურვილს, მისი მოვალეობაა ბოლო მოეღოს ამ დანაშაულებრივ კავშირს.

ამის გაფიქრებამ საშინლად შეაშინა ჟანა.

— ის ხომ მოკლავს მათ, ბატონო აბატო, და ეს ჩემი დაბეზღებით უნდა მოხდეს? ოჰ არა, არა, არასოდეს!

მაშინ მღვდელმა ხელი ასწია, თითქოს შეჩვენებას უპირებსო, და სიბრაზისაგან აღშფოთდა: — არც მოგცილებოდეთ სირცხვილი და დანაშაული, რადგან მათზე მეტი დამნაშავე თქვენა ხართ, თქვენ ხელს უწყობთ მეუღლეს! მე აქ აღარაფერი მესაქმება!

იგი ისე გააფთრებული წავიდა, რომ მთელი სხეული უცახცახებდა.

დაბნეული ჟანა გაეკიდა მას, უკვე მზად იყო დაეთმო, პირობა მიეცა, მაგრამ აღშფოთებული აბატი მთელი ტანით ძაგძაგებდა, გამალებული მიდიოდა და გაშმაგებით იქნევდა თითქმის მისოდენა, ვეებერთელა ცისფერ ქოლგას.

მღვდელმა მოაჯირთან შენიშნა ჟულიენი, რომელიც ხეების გასხვლას ხელმძღვანელობდა. მაშინ მან მარცხნივ შეუხვია, კუიარების ფერმით რომ წასულიყო, და თან იმეორებდა: — თავი დამანებეთ, ქალბატონო, არაფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო.

სწორედ მის გზაზე, შუაგულ ეზოში, სახლის პატრონის და მეზობლის ბავშვები შეჯგუფებულიყვნენ ძაღლის ხუხულას გარშემო და ცნობისმოყვარედ, ჩუმად და ყურადღებით უყურებდნენ რაღაცას. მათ შორის, სკოლის მასწავლებელივით, ბარონიც იდგა. მას ზურგზე დაეწყო ხელები და ისიც ინტერესით უცქეროდა. როგორც მღვდელი დაინახა, მყისვე გაეცალა იქაურობას, თავიდან რომ აეცილებინა მასთან შეხვედრა, სალამი და ლაპარაკი.

ჟანა ევედრებოდა აბატს: — დამაცადეთ რამდენიმე დღე, ბატონო აბატო, და ისევ მობრძანდით, გეტყვით, რის მოფიქრება და გაკეთება შემეძლება და მაშინ ყველაფერს დავინახავთ.

ამ დროს ისინი ბავშვების ჯგუფთან აღმოჩნდნენ. მღვდელი ახლოს მივიდა, რომ უკეთ დაენახა რით ერთობოდნენ ისინი. გამოირკვა, რომ ძუკნა ძაღლი ლეკვებს ყრიდა. საძაღლის წინ უკვე ხუთი ძაღლი შემოხვეოდა დედას. იგი მთლად გაწამებული გვერდზე იწვა და ალერსიანად ლოკავდა მათ. იმ დროს როცა მღვდელი მისკენ დაიხარა, ძაღლი კრუნჩხვით გაიჭიმა და გაჩნდა მეექვსე ლეკვი. ცელქები სიხარულისაგან ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ: — აი, კიდე ერთი, შეხე, აი, კიდე ერთი!

მათთვის ეს იყო გასართობი, ჩვეულებრივი გასართობი, რომელიც არაფერს ბიწიერს არ შეიცავდა. ისინი ისევე უყურებდნენ ცოცხალ არსებათა დაბადებას, როგორც ხიდან ვაშლების ჩამოცვენას.

აბატი ტოლბიაკი ჯერ განცვიფრებისგან გაშეშდა, შემდეგ გაცოფებულმა ასწია თავისი დიდი ქოლგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავში ჩასცხო ბავშვებს. შეშინებულმა ბიჭუნებმა გაქცევით უშველეს თავს, და მღვდელი აღმოჩნდა მშობიარე ძუკნის პირდაპირ, რომელიც თავს ძალას ატანდა, რომ ამდგარიყო. მაგრამ მღვდელმა არ დააცადა პირუტყვს წამოდგომა და თავდავიწყებით, მთელი ძალ-ღონით დაუწყო ცემა. ჯაჭვით დაბმული ძაღლი ვერსად გაიქცა, საშინლად წკმუოდა და იკლაკნებოდა დარტყმისაგან. აბატს ქოლგა გაუტყდა. მაშინ ხელიდან გააგდო იგი. ფეხით შედგა ძაღლს და გაშმაგებით თელავდა, სრესდა, ჭყლეტდა მას, ძალით გამოაგდებინა უკანასკნელი ლეკვი, მერე გააფთრებით ჩაარტყა ქუსლი მუცელში და ბოლო მოუღო გასისხლიანებულ სხეულს, რომელიც ჯერ კიდევ თრთოდა ახლადდაბადებულთა შორის. ხოლო ბრმა, მოუქნელი ლეკვები კი წკმუტუნებდნენ და უკვე ეძებდნენ დედის ძუძუებს.

ჟანას უნდოდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ მღვდელს ვიღაცამ ქეჩოში წაავლო ხელი, სილა გააწნა და სამკუთხა ქუდი გადაუგდო; აღშფოთებულმა ბარონმა ღობემდე მიათრია იგი და გზაზე გაისროლა.

როცა ბატონი ლე პერ ტუი შემობრუნდა, დაინახა, რომ ლეკვებს შორის დაჩოქილი მისი ქალიშვილი ქვითინებდა და კაბის კალთაში იყრიდა მათ. ბარონი მისკენ დიდი ნაბიჯებით წავიდა, ხელებს იქნევდა და ყვიროდა: — აი, ასეთია, აი ასეთია შენი ანაფორიანი! ხომ დაინახე ახლა?

მოირბინეს ფერმერებმა და ყველანი უყურებდნენ დაფლეთილ ცხოველს, ხოლო კუიარების დედამ წამოიყვირა: — განა შეიძლება კაცი ასეთი ველური იყოს!

ჟანამ აიყვანა შვიდივე ლეკვი და მოისურვა მათი მოვლა.

სცადეს ლეკვებისათვის რძე დაელევინებინათ. სამი მეორე დღესვე მოკვდა. მაშინ ბიძია სიმონმა მთელი სოფელი შემოირბინა მეძუძური ძუკნის საპოვნელად, მაგრამ ვერსად მიაგნო და კატა მოიყვანა. იგი ამტკიცებდა, ესეც გამოდგებაო. იძულებულნი გახდნენ კიდევ სამი ლეკვი გადაეყარათ წყალში და დარჩენილი ლეკვი მიაბარეს ამ სხვა ჯიშის ძიძას. კატამ მაშინვე იშვილა იგი, გაწვა გვერდზე და მიუშვირა თავისი ძუძუები.

დედინაცვალს რომ ძალა არ გამოსცლოდა, ორი კვირის შემდეგ ლეკვს გააშვებინეს ძუძუ და ჟანამ თვითონ იკისრა მისი გამოკვება ბავშვის საწოვარით. ჟანამ მას ტოტო დაარქვა, ბარონმა კი თვითნებურად გამოუცვალა სახელი და მასაკრად[3] მონათლა იგი.

მღვდელი მეტად აღარ გამოჩენილა, მაგრამ უახლოეს კვირას საყდრის კათედრიდან დასწყევლა, გალანძღა, და დაემუქრა სასახლეს, განაცხადა, საჭიროა გავარვარებული რკინით ამოვწვათ წყლულებიო, ანათემას გადასცა ბარონი, რამაც მხოლოდ გაართო ეს უკანასკნელი. და გადაკვრით, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანით და ბუნდოვნად მოიხსენია ჟულიენის ახალი ვნებათა ღელვის ამბავი. ვიკონტი გაშმაგდა, მაგრამ სკანდალის შიშმა დააცხრო მისი მრისხანება.

ამიერიდან ყოველ ქადაგებისას მღვდელი იუწყებოდა თავის შურისძიებაზე. წინასწარმეტყველებდა, რომ ახლოვდებოდა ღვთის წყრომის საათი, როცა ყველა მის მტერს საკადრისად მიეზღვებოდა.

ჟულიენმა არქიეპისკოპოსს მისწერა მოკრძალებული, მაგრამ მეტად საქმიანი წერილი. აბატ ტოლბიაკს შერისხვით დაემუქრნენ და ისიც გაჩუმდა.

აბატი ახლა დიდხანს და მარტო სეირნობდა ხოლმე აჩქარებული ნაბიჯით და ძლიერ აღგზნებული. ცხენებით რომ სეირნობდნენ, ჟილბერტა და ჟულიენი ყველგან ხვდებოდნენ მას, იგი შავი წერტილივით ხან შორიდან მოჩანდა, სადღაც დაბლობის ბოლოს, ხან კიდევ კურთხევანს კითხულობდა ვიწრო ხევში, სადაც თვითონ აპირებდნენ შესვლას. მაშინ ისინი

[3] **მასაკრი** (Massacre) - **ხოცვა-ჟლეტა** (ფრანგ.).

უკანვე ბრუნდებოდნენ, რათა მის ახლოს არ გაევლოთ...

გაზაფხული დადგა და მათი სიყვარულიც გაცხოველდა. ახლა ისინი ყოველდღე ეხვეოდნენ ერთმანეთს ხან აქ, ხან იქ, ყოველგვარ თავშესაფარში, რომელსაც კი გადაეყრებოდნენ სეირნობის დროს.

ხეები ჯერ კიდევ საკმაოდ არ შეფოთლილიყო, არც მიწა გამშრალიყო და მათ

არ შეეძლოთ, როგორც შუაგულ ზაფხულში, ღრმად შესულიყვნენ უღრან ტყეში. ამიტომ ალერსის დასაფარავად ხშირად ირჩევდნენ მწყემსების სადარაჯო ჯიხურს, რომელიც შემოდგომაზე მიეტოვებინათ ვიკოტის ქედის მწვერვალზე.

ჯიხური იქ მარტოდმარტო, მაღალ ბორბლებზე იდგა ხუთასი მეტრის დაშორებით თხემიდან, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ციცაბო დაღმართი იწყებოდა. მათ უცბად ვერავინ წაასწრებდა, რადგან იქიდან მთელი მიდამო ხელისგულივით მოჩანდა. ხელნაზე მიბმული ცხენები კი იცდიდნენ, როდის გაძღებოდნენ მათი პატრონები ერთმანეთის ხვევნა-კოცნით.

მაგრამ აი, ერთ დღეს, იმ მომენტში, როდესაც ამ თავშესაფარს ტოვებდნენ, მათ შეამჩნიეს აბატი ტოლბიაკი, რომელიც ზღვისპირა ლერწმებს შეფარებოდა და გორაკზე იჯდა.

— ცხენები ხევში უნდა დავტოვოთ, — თქვა ჟულიენმა, — თორემ შორიდან გაგვცემენ.

ამის შემდეგ ისინი ცხენებს ხშირი ბუჩქნარით დაფარულ ღარტაფებში აბამდნენ.

ერთ საღამოს, როდესაც ორივენი ლა ვრილეტის სასახლეში ბრუნდებოდნენ, სადაც გრაფთან ერთად უნდა ესადილათ, მათ შეხვდათ ეტუვანელი მღვდელი, რომელიც სასახლიდან გამოდიოდა. იგი გვერდზე გადგა, რომ გზა დაეთმო მათთვის, და მისალმებისას თვალი მოარიდა.

ისინი შეშფოთდნენ, მაგრამ მალე დამშვიდნენ.

მაგრამ ერთ ცივ და ქარიან დღეს (მაისის დამდეგი იყო) ჟანა ცეცხლთან იჯდა და კითხულობდა. უცბად მან დაინახა გრაფი დე ფურვილი, რომელიც ჩინარში ფეხით მოდიოდა და თან ისე ჩქარა, რომ ჟანამ გაიფიქრა, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდაო.

იგი სწრაფად გაექანა გრაფის შესახვედრად და, როცა პირისპირ აღმოჩნდა მასთან, ჟანამ იგი გიჟს მიამსგავსა. მას ეცვა სანადირო ქურთუკი, ეხურა დიდი ბეწვის ქუდი,

რომელსაც მხოლოდ სახლში ხმარობდა, და ისე გაფითრებული იყო, რომ ჟღალი ულვაშები, რომელიც ჩვეულებრივ არც კი უჩანდა მოწითალო სახეზე, ახლა ცეცხლწაკიდებულს ჰგავდა. იგი უაზროდ აცეცებდა თვალებს, თითქოს აზროვნების უნარი დაჰკარგოდა.

მან ძლივძლივობით წარმოთქვა: — ჩემი ცოლი ხომ აქ არის? ჟანა მთლად დაიბნა და უპასუხა: — არა, დღეს არ მინახავს.

მაშინ გრაფს ფეხები მოეკვეთა და სკამზე დავარდა, ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცით რამდენჯერმე ანგარიშმიუცემლად მოიწმინდა შუბლი. შემდეგ ისევ წამოხტა, მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს. ორივე ხელი გაუწოდა, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, გაენდო რაღაც საშინელი მწუხარება, მაგრამ უცბად შეჩერდა, დააშტერდა მას და ისე დასცდა სიტყვები, თითქოს ბოდავსო: — იგი ხომ თქვენი ქმარია... მაშასადამე, თქვენც... — და ზღვისკენ მოკურცხლა.

ჟანა ცდილობდა დაწეოდა, ეძახდა, ემუდარებოდა, გული კი შიშით ეკუმშებოდა და ფიქრობდა: „ყველაფერი იცის! რას აპირებს? ოჰ! ნეტავ ვერ ნახავდეს მათ!"

მაგრამ ჟანამ ვერ შეაჩერა იგი, გრაფი არ უსმენდა მას და უყოყმანოდ, მტკიცედ მიდიოდა თავისი მიზნისკენ, იგი გადაახტა თხრილს, გიგანტური ნაბიჯებით გადაჭრა ლერწმების ბარდი და ქედს მიაღწია.

ჟანა ხეებით შემორგულ ფერდობზე იდგა, დიდხანს აყოლებდა მას თვალს. შემდეგ, როცა იგი მხედველობიდან დაჰკარგა, შიშით გატანჯული შინ დაბრუნდა.

ხოლო გრაფმა მარჯვნივ შეუხვია და გაიქცა. აღელვებული პირქუში ზღვა აგორებდა ზვირთებს. უზარმაზარი შავი ღრუბლები ზედიზედ, გამალებით ახლოვდებოდნენ, ერთიმეორის მიყოლებით მიცურავდნენ და გააფთრებული ნიაღვარივით ცხრილავდნენ ნაპირს. ქარი სტვენდა, ოხრავდა, გლეჯდა ბალახს, მიწაზე აწვენდა ახალ ამონაყარს, იტაცებდა დიდ თეთრ ფრინველებს და ქაფის ფანტელებივით ზღვიდან სადღაც შორს მიერეკებოდნენ.

კოკისპირული წვიმა სახეში სცემდა გრაფს, ესხმოდა ლოყებზე, საიდანაც წყალი ულვაშებზე მიედინებოდა, აყრუებდა ხმაურით და გულს მღელვარებით უვსებდა.

მის წინ გადაშლილი ღრმა ვიკოტის ველი პირდაღებული ნადირის ხახას მოგაგონებდათ. ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა მწყემსის სადარაჯო ჯიხურისა და ცხვრის ცარიელი ბაკისა. მის ახლოს, მოძრავი სახლის ხელნაზე მიბმული იყო ორი ცხენი. რის უნდა

შეშინებოდათ მათ ამ გრიგალში?

როგორც კი ცხენები შეამჩნია, გრაფი მიწას გაეკრა, ხელებსა და მუხლებზე გახოხდა. ტალახში სულ მთლად გათხუპნული უზარმაზარი ტანით და ბანჯგვლიანი ქუდით იგი რომელიღაც ურჩხულს ჰგავდა. ასე მიცოცავდა განმარტოებულ ქოხამდე და დაიმალა მის ქვეშ, რომ არ შეემჩნიათ ჭუჭრუტანიდან.

გრაფი რომ დაინახეს, ცხენები აღელდნენ. თავისი დანით, რომელიც გახსნილი ეკავა ხელში, მან ფრთხილად გადაჭრა აღვირები. მოულოდნელად ამოვარდა გრიგალი და სეტყვით შეფუცხუნებული ცხენები გაჭენდნენ. სეტყვას რახარუხი გაჰქონდა ბორბლიანი ფიცრული სახლის დამრეც სახურავზე და არყევდა მას.

მაშინ გრაფი მუხლებზე წამოიწია. ცალი თვალით მიეკრა კარის ქვეშ ჭუჭრუტანას და შიგ შეიხედა.

ახლა იგი არ იძროდა, თითქოს რაღასაც ელოდებოდა, საკმაოდ დიდმა დრომ განვლო. უცბად თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოსვრილი გრაფი წამოდგა, გააფთრებით დაავლო ხელი კარვის გარეთა ურდულს და კარში გაუყარა, მერე ჩაეჭიდა ხელნებს და ისე შეანძრია ხუხულა, თითქოს ნაფოტებად უნდა აქციოსო. შემდეგ სწრაფად მოექცა მოკაუჭებულ ხელნებში, წარმოუდგენელი დაძაბულობისაგან ტანში მოიხარა. აქოშინდა, ხარივით გასწია და მოძრავი სახლი და შიგ ჩაკეტილებთან ერთად წაათრია ციცაბო კლდის პირამდე.

ჟილბერტა და ჟულიენი ყვიროდნენ, მუშტებს უბრახუნებდნენ კარებს და ვერ გაეგოთ რა ხდებოდა.

ხრამის პირს რომ მიაღწია, გრაფმა ხელი გაუშვა ხელნებს და მსუბუქი სახლი დაღმართში დაგორდა.

ჯიხური სულ უფრო სწრაფად და შეუჩერებლად მიექანებოდა, უმატებდა სიჩქარეს, ხტოდა, პირუტყვივით ბორძიკობდა და მიწაზე სცემდა ხელნებს.

ღრანტეს შეფარებულმა მოხუცმა მათხოვარმა დაინახა, რა ელვის სისწრაფით გადაუარა თავზე ხის ყუთმა და გაიგონა შიგ მყოფთა შემზარავი ყვირილი.

უცბად ქოხს ძლიერმა ბიძგმა ბორბალი მოსწყვიტა, სახლი გვერდზე გადაწია და ისე განაგრძო კოტრიალი, როგორც გოგრამ, როგორც მთის მწვერვალიდან მოწყვეტილმა

სახლმა ხრამის უკანასკნელ საფეხურს რომ მიაღწია, იგი ერთი შეხტა, რკალი შემოხაზა, დაეცა ფსკერზე და კვერცხივით გასკდა.

როგორც კი ჯიხური ხრამის ქვიან ფსკერზე დაიმსხვრა, მოხუცი მათხოვარი, რომელიც ხედავდა, როგორ მოგორავდა იგი, ნელა გამოძვრა ეკლიანი ბუჩქნარებიდან: გლეხურმა სიფრთხილემ მას უკარნახა არ გაკარებოდა დანაფოტებულ ყუთს და მეზობელ ფერმაში გასწია, უბედური შემთხვევა რომ ეუწყებინა.

მოირბინეს ყოველი მხრიდან; აკრიფეს ნამსხვრევები და დაინახეს ორი დასახიჩრებული, დანაკუწებულ, დასისხლიანებული სხეული, მამაკაცს თავის ქალა დაჩეჩქვოდა და მთელი სახე დაჭყლეტოდა. ქალს ბიძგისგან მოწყვეტილი ყბა ჩამოვარდნოდა, და ორივეს დამსხვრეული სხეულის ნაწილები ისე დარბილებოდა, თითქოს უძვლო ყოფილიყოს.

ისინი მაინც იცნეს და დიდხანს იმსჯელეს ამ უბედური შემთხვევის მიზეზზე.

— რა საქმე ჰქონდათ ამ ჯიხურში? — შენიშნა ერთმა ქალმა.

მაშინ მოხუცმა მათხოვარმა ვარაუდით თქვა, თავსხმას თუ შეაფარეს თავი და ალბათ, ქარი ცოფიანივით ეცა ჯიხურს, გადააყირავა და გადმოაგდო იგი. მან განმარტა, რომ თვითონ აპირებდა მასში თავის შეფარებას, მაგრამ დაინახა ხელნაზე მიბმული ცხენები და მიხვდა, რომ ადგილი დაკავებული იყო.

მან კმაყოფილი სახით დასძინა: — ასე რომ არ ყოფილიყო, სული მე გამვარდებოდა.

— მგონი ასე კი აჯობებდა! — გამოეხმაურა ვიღაც.

— რატომ აჯობებდა? ღარიბი რომ ვარ და ისინი მდიდრები იმიტომ? უყურეთ ახლა მათ და იყავით.

ჩამოღლეტილი, გაწუწული, ტურტლიანი მათხოვარი, წვერი რომ აბურძგნოდა და ჩაჭყლეტილ ქუდს ქვემოთ გრძელი ბუწუწები ჩამოშლოდა, მთლად კანკალებდა, თავისი მოკაუჭებული ჯოხის ბოლო გვამებს მიაშვირა და თქვა: — იმქვეყნად ყველანი თანასწორნი ვართ.

სხვა გლეხებიც მოვიდნენ და შეშფოთებით, შიშით, თვალთმაქცურად, ალმაცერად უყურებდნენ გვამებს. შემდეგ ითათბირეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ჯილდოს იმედით

გადაწყვიტეს ორივე მიცვალებული სასახლეში გადაეტანათ. შეაბეს ორი ურიკა, მაგრამ ახალი დაბრკოლება გამოჩნდა: ზოგს უნდოდა საზიდარზე უბრალოდ თივა დაეფინათ, ზოგი კი ამბობდა, უფრო წესიერი იქნება თუ ლეიბს დავაგებთო.

ქალმა, რომელმაც უკვე ილაპარაკა, წამოიყვირა: — ლეიბები სისხლში ამოითხუპნება და მათ ჟაველის წყლითაც ვერ გარეცხავ.

მსუქანი ფერმერი, კეთილი სახე რომ ჰქონდა, არ დაეთანხმა: — ყველაფერში ფულს გადაიხდიან, რასაც მეტს დავხარჯავთ იმდენად მეტს მოგვცემენ.

ეს საბუთი ყველას ჭკუაში დაუჯდა.

ორი დიდბორბლიანი ურესორო ურიკა დაიძრა და ჩორთით გაემართა — ერთი მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ; ოღროჩოღრო გზებზე იგი ანჯღრევდა და აქანავებდა ორივე ადამიანის ნარჩენებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ერთმანეთს ეხვეოდნენ, ამიერიდან კი ვეღარასოდეს ვეღარ შეხვდებოდნენ ერთიმეორეს.

როგორც კი დაინახა, რომ ჯიხური ხრამში გადაგორდა, გრაფი მთელი სისწრაფით გაიქცა წვიმასა და ქარში. ასე მირბოდა იგი რამდენიმე საათს, სჭრიდა გზებს, ახტებოდა მინაყრილებს ამტვრევდა მესერს და თვითონაც არ იცოდა, როგორ დაბრუნდა სახლში უკვე შეღამებისას.

შეშინებული მომსახურეები შეხვდნენ მას და აუწყეს. ორივე ცხენი უმხედროდ დაბრუნდაო. ჟულიენის ცხენი უკან მოსდევდა ჟილბერტას ცხენს.

მაშინ ბატონი დე ფურვილი შეტორტმანდა და ჩამწყდარი ხმით თქვა: — მათ ალბათ რამე შეემთხვათ ამ საშინელ ამინდში. ყველანი დაუყოვნებლივ გაგზავნეთ საძებნელად.

გრაფი თვითონაც წავიდა, მაგრამ როგორც კი თვალს მიეფარა, ეკლიან ბუჩქნარში დაიმალა და უთვალთვალებდა გზას, საიდანაც სულ მალე მკვდარი ან მომაკვდავი, ან იქნებ დასახიჩრებული და სამუდამოდ დამახინჯებული უნდა დაბრუნებულიყო ის, ვინც ჯერ კიდევ გაშმაგებით და ვნებიანად უყვარდა.

მალე ჩაუარა ურიკამ, რომელსაც რაღაც უცნაური ტვირთი მოჰქონდა.

ურიკა სასახლის წინ შეჩერდა და შემდეგ შევიდა ეზოში, დიახ, სწორედ ის იყო, მაგრამ

საშინელმა შიშმა, რომ გაიგებს ყველაფერს, გაიგებს სიმართლეს, გრაფი ადგილს მიაჯაჭვა. იგი არ იძროდა, კურდღელივით გაინაბა და სულ მცირე ჩქამიც კი აკრთობდა.

ასე იცდიდა იგი მთელ საათს, იქნებ ორსაც. ურიკა არ ბრუნდებოდა უკან. გრაფმა გადაწყვიტა ჟილბერტა სიკვდილის პირზეაო და იმის გაფიქრებამ რომ დაინახავდა მას, შეხედავდა თვალებში, თავზარი დასცა. იგი შეშინდა. ამ სამალავში არ მომაგნონო და ძალით არ დამაბრუნონ სულთმობრძავის საყურებლადო, და კიდევ უფრო შორს გაიქცა ტყის სიღრმეში. მაგრამ უეცრად გაიფიქრა, იქნებ მას დახმარება სჭირდებაო და ვინ უნდა მიხედოსო, და თავქუდმოგლეჯილი უკანვე გაიქცა.

გზაზე მებაღე შეხვდა და დაუყვირა მას: — როგორაა საქმე?

მებაღემ ვერ გაბედა ეპასუხა. მაშინ ბატონმა დე ფურვილმა თითქოს დაიღმუვლაო: — მოკვდა?

მსახურმა წაილუღლუღა: — დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

გრაფმა მყისვე შვებით ამოისუნთქა: მის სისხლსა და მთელ დაჭიმულ სხეულში საოცარი სიმშვიდე შეიჭრა. იგი მტკიცე ნაბიჯით ავიდა თავისი სახლის დიდ პარმაღზე.

ამასობაში მეორე ეტლი ჩინარში მივიდა. ჟანამ შორიდან შეამჩნია იგი, დაინახა ლეიბი, მიხვდა, რომ ზედ სხეული იყო და ყველაფერი ნათელი გახდა. ელდა ისეთი ძლიერი იყო, რომ იგი უგრძნობლად ჩაიკეცა.

როცა გონს მოვიდა, ბარონს მისი თავი ეჭირა საფეთქელს ძმრით უსველებდა. მან გაუბედავად ჰკითხა შვილს: — შენ უკვე იცი?

ჟანამ ჩურჩულით უთხრა: — კი, მამა.

მაგრამ, როცა წამოდგომა მოინდომა, ვეღარ შეძლო, იმდენად დიდ ტკივილებს გრძნობდა.

იმავე საღამოს მან მკვდარი ბავშვი, გოგონა შობა.

ჟანა არ დასწრებია ჟულიენის დაკრძალვას და არც არაფერი გაუგია მასზე, მხოლოდ ერთი თუ ორი დღის შემდეგ შეამჩნია, რომ დეიდა ლიზონი დაბრუნებულიყო. საშინლად აგზნებული ბოდვებისაგან დატანჯული ჟანა დაჟინებით ცდილობდა მოეგონებინა, როდის

გაემგზავრა შინაბერა ჩინარიდან, რა დროს ან რა გარემოებაში, მაგრამ ვერ აღადგინა სრული ცნობიერების წუთებშიც კი. მხოლოდ დარწმუნებული იყო, რომ მან იგი დედიკოს სიკვდილის შემდეგ ნახა.

თავი XI

ჟანა სამი თვის განმავლობაში არ გამოსულა თავისი ოთახიდან ისე დასუსტდა და გაფერმკრთალდა, რომ ყველა ფიქრობდა, მისი საქმე წასულიაო. მაგრამ თანდათან გამოკეთდა. მამიკო და დეიდა ლიზონი ჩინარში დასახლდნენ და არ შორდებოდნენ ჟანას. გადატანილმა ტრამვამ მას ავადმყოფური ნერვიულობა დაუტოვა მცირედი ხმაური და სრულიად უმნიშვნელო მიზეზიც კი საკმარისი იყო, რომ გონება დაეკარგა და დიდი ხნით გული წასვლოდა.

არასოდეს დაწვრილებით არ გამოუკითხავს მას ჟულიენის სიკვდილის ამბავი. რა საჭირო იყო? განა მან ისედაც საკმაოდ არ იცოდა? მის გარდა, ყველას სჯეროდა, რომ მოხდა უბედური შემთხვევა. თვითონ კი ღრმად ინახავდა გულში მტანჯველ საიდუმლოს: ქმრის ღალატს და გრაფის უეცარ შემზარავ ვიზიტს კატასტროფის დღეს.

და აი ახლა ჟანას სულს ავსებდა საამო, ნაზი და სევდიანი მოგონებები სიყვარულის ხანმოკლე სიხარულისა, რომელსაც ოდესღაც ქმარი ანიჭებდა მას. იგი ყოველთვის შეკრთებოდა ხოლმე, როგორც კი მოულოდნელად გაიხსენებდა რომელიმე ფაქტს და ჟულიენს ხედავდა ისევ ისეთს, როგორიც იყო იგი ნიშნობის დღეებში და როგორსაც ეტრფოდა იმ ვნებათა ღელვის ორიოდე საათის განმავლობაში, მცხუნვარე მზემ რომ გაუღვიძა იქ, კორსიკაში რაც უფრო შორდებოდა აწმყოს ჟულიენის ჩახურული საფლავი, მისი ყველა ნაკლი ქარწყლდებოდა, უხეშობა ქრებოდა და ღალატიც კი ნელდებოდა. ახლა ჟანა შეიპყრო სიკვდილის შემდეგ დროინდელმა მადლიერების გრძნობამ ადამიანისადმი, რომელიც ეალერსებოდა მას, და მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი წუთების მოგონებისათვის, აპატია ყველა გადატანილი ტანჯვა. დრო კი შეუმჩნევლად მიდიოდა. თვეები თვეებს მისდევდა და დავიწყებამ, როგორც მტვრის ფენამ, ისე გააბუნდოვნა ჟანას მოგონებანი და მწუხარება. იგი მთლიანად შვილმა გაიტაცა.

ბავშვი სათაყვანო კერპი გახდა, მის გარშემო შემოკრებილი სამივე არსების ერთად ერთი საფიქრალი. და იგი ბატონობდა, როგორც ნამდვილი დესპოტი. ერთგვარმა ეჭვიანობამაც კი იჩინა თავი მის სამ მონას შორის. როცა ბარონი მუხლზე დაისვამდა შვილიშვილს და ასე ასეირნებდა ცხენით, ხოლო ამ გასეირნების შემდეგ ბიჭუნა გატაცებით კოცნიდა ბაბუას, ჟანა ნერვიულობდა. დეიდა ლიზონს ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, მასხრად იგდებდნენ. ეს პატარა მებატონე, რომელმაც ჯერ ლაპარაკიც კი არ იცოდა, ზოგჯერ

მოახლესავით ეკიდებოდა მას. და იგიც გულნატკენი მიდიოდა თავის ოთახში და ტიროდა, ერთმანეთს ადარებდა თავის წილ უმნიშვნელო ალერსს, ისიც ძალით მიღწეულს, და იმ გულთბილ კოცნას, რომლითაც ბავშვი დედასა და ბაბუას აჯილდოვებდა.

მშვიდად, ისე, რომ არაფერი შემაშფოთებელი არ მომხდარა და განუწყვეტლივ ბავშვზე ფიქრში განვლო ორმა წელმა. მესამე ზამთრის დამდეგს გადაწყვიტეს გაზაფხულამდე რუანში გადასულიყვნენ საცხოვრებლად. მთელი ოჯახი გადასახლდა. მაგრამ ძველ მიტოვებულ და ნესტიან სახლში ჩამოსვლისთანავე პოლს ისეთი ძლიერი ხველა აუვარდა, რომ პლევრიტისა შეეშინდათ და სამივემ გადაწყვიტა, ბავშვს არ შეუძლია ჩინარის ჰაერის გარეშე ცხოვრებაო. და, როგორც კი განიკურნა, დააბრუნეს უკან.

ერთმანეთს გადაება ერთფეროვანი, მშვიდი წლები.

უფროსები ყოველთვის ბავშვთან იყვნენ, ხან მის ოთახში, ხან სასტუმრო დარბაზში, ზოგჯერ ბაღშიც და ხარობდნენ მისი ტიტინით, მისი ჩიქორთულით და საქციელით.

თავის შვილს ჟანა მოფერებით პოლეს ეძახდა, ბავშვი ვერ გამოთქვამდა ამ სიტყვას და ამბობდა პულე[4], რაც გაუთავებელ სიცილს იწვევდა. ეს მეტსახელი მას კიდეც შერჩა, სხვაგვარად აღარც მიმართავდნენ.

ბიჭი სწრაფად იზრდებოდა და ყველაზე მიმზიდველი გასართობი „სამი დედის", როგორც ბარონი ამბობდა ხოლმე, მისი სიმაღლის გაზომვა იყო.

სასტუმრო ოთახის კარის წირთხლზე ჯაყვით ჭრიდნენ თვიდან თვემდე ბიჭის სიმაღლეში მატების აღმნიშვნელ ჭდეებს. ამ საფეხურებს, რომელიც „პულეს კიბედ" მონათლეს, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ყველა შინაურის ცხოვრებაში.

დროთა ვითარებაში გამოჩნდა ახალი ინდივიდი, რომელიც უმნიშვნელო როლს როდი თამაშობდა ოჯახში. ეს იყო ძაღლის მასაკრი, რომელიც შვილზე გადაყოლილ ჟანას სულ გადაავიწყდა. მას ზრდიდა ლუდვინა. ძაღლი მარტოდმარტო ცხოვრობდა ძველ კასრში თავლის მახლობლად და მუდამ ჯაჭვით იყო დაბმული.

ერთ დილას ბავშვმა შეამჩნია იგი და მორთო ყვირილი, მოინდომა მიალერსებოდა მას. დიდი შიშით მიიყვანეს იგი ძაღლთან. ქოფაკმა უზომოდ გაამხიარულა პოლი და, როცა მათი

[4] პულე (Puulet) - წიწილა (ფრანგ.).

დაშორება დააპირეს, ბავშვი აღრიალდა, მაშინ მასაკრი აუშვეს და სახლში დააბინავეს.

იგი პოლის განუყრელი მეგობარი გახდა, ისინი ერთად გორაობდნენ ხალიჩაზე და იქვე გვერდიგვერდ იძინებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, მასაკრი უკვე თავისი მეგობრის ლოგინში წვებოდა, რადგან ბავშვი უკვე ვერ იცილებდა მას. ჟანას ადარდებდა რწყილები, დეიდა ლიზონს კი ქოფაკი, რომელმაც გამოსტაცა ბიჭუნას სიყვარულის ესოდენ დიდი წილი, სიყვარულისა, რომელიც თვითონ ასე ძალიან სწყუროდა და რომელსაც, როგორც მას ეჩვენებოდა, ჰპარავდა პირუტყვი.

ხანდახან ესტუმრებოდნენ ხოლმე ბრიზვილებსა და კუტელიებს, თავის მხრივ ისინიც მოდიოდნენ საპასუხო ვიზიტით. მხოლოდ მერი და ექიმი რეგულარულად არღვევდნენ ძველი სახლის მარტოობას. მას შემდეგ, რაც მღვდელმა ძაღლი მოკლა, აგრეთვე გრაფის მეუღლისა და ჟულიენის საზარელ დაღუპვასთან დაკავშირებული ეჭვების გამო, ჟანა აღარ დადიოდა ეკლესიაში.

მან დაჰკარგა ღმერთის რწმენა, რომელსაც შეეძლო ჰყოლოდა ასეთი მოციქულები.

აბატი ტოლბიაკი დროგამოშვებით გადაკრული, მაგრამ გასაგები სიტყვებით, შეჩვენებას უგზავნიდა სახლს, სადაც დაიბუდა ავმა სულმა, მარადიული განხეთქილების სულმა, ცდუნებისა და სიცრუის სულმა, უკანონობის, უზნეობისა და ბინიერების სულმა, ყველაფერი ეს ბარონს ეხებოდა.

მისი ეკლესია კი ცარიელი იყო, ხოლო როცა იგი მინდვრებში ჩაივლიდა, სადაც გლეხები გუთნით მიწას ხნავდნენ, ისინი განაგრძობდნენ მუშაობას და მისასალმებლადაც კი არ შემობრუნდებოდნენ ხოლმე, ამავე დროს იგი ჯადოქრად მიაჩნდათ, რადგან ბოროტი სული განდევნა ბნედიანიდან. ამბობდნენ, რომ მან იცოდა გათვალვის საწინააღმდეგო საიდუმლო სიტყვები. გათვალვა კი, მისივე სიტყვებით, სატანის ერთ-ერთი მზაკვრობა იყო. იგი აკვლევინებდა ძროხებს, რომელიც მოლურჯო ფერის რძეს იწველიდნენ ან რგოლივით, იხვევდნენ კუდს, და რაღაცნაირი გაუგებარი სიტყვებით პატრონს აპოვნინებდა ხოლმე დაკარგულ ნივთებს.

მისთვის დამახასიათებელი ფანატიკური შეზღუდულობით აბატი გატაცებით სწავლობდა რელიგიურ წიგნებს, რომლებშიც ლაპარაკი იყო დედამიწაზე ეშმაკის გამოცხადების შესახებს, მისი ძალის მრავალფეროვან გამოვლინებაზე, მისი საიდუმლო სხვადასხვა სახეზე, მის ყოველგვარ ოინსა და ვერაგობის ჩვეულებრივ ხერხებზე. და რაკი იგი თვლიდა, რომ

საგანგებოდ მოწოდებულია ებრძოლოს ამ იდუმალ და საბედისწერო ძალას, მან დაიზეპირა ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოებში მითითებული შელოცვის ყველა ფორმულა.

მას გამუდმებით ელანდებოდა სიბნელეში მოხეტიალე ავი სულის აჩრდილი და ყოველ წუთს პირზე ეკერა ლათინური ფრაზა: Sicont leo rugicns circuit queorensquem divoret[5].

და თანდათან ფეხი მოიკიდა შიშმა მისი ფარული ძლიერების წინაშე. მისი თანამოძმეებიც კი, უმეცარი სოფლის მღვდლები, რომელთათვის ბელზებელი სარწმუნოების დოგმატი იყო და რომლებსაც ასე აუბნია თავგზა რიტუალის დაწვრილებითმა სწავლებამ ავი სულის გამოჩენის შემთხვევაში, რომ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთში აურიეს რელიგია და მაგია, ისინიც კი აბატ ტოლბიაკს ჯადოქრად სთვლიდნენ და იმდენად სცემდნენ პატივს მას ბნელით მოცული ძლიერებისათვის, რამდენადაც უბიწო ზნეობისათვის.

შეხვედრისას მღვდელი არ ესალმებოდა ჟანას.

ეს აწუხებდა და ადარდებდა დეიდა ლიზონს; შინაბერას მფრთხალი სული ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეიძლება ადამიანი არ დადიოდეს ეკლესიაში. უეჭველია, იგი ღვთისმოსავი იყო და ასევე უეჭველია, რომ აღსარებაზეც დადიოდა და საზიარებლადაც, მაგრამ ეს არავინ არ იცოდა და არც არავის სურდა ცოდნოდა.

თუ პოლთან დარჩებოდა, სულ მარტო, დეიდა ლიზონი მას ხმადაბლა ელაპარაკებოდა მოწყალე ღმერთზე. როცა იგი უყვებოდა სამყაროს შექმნის სასწაულებრივ ამბებს; ბიჭუნა ოდნავ მაინც უსმენდა, მაგრამ როცა ეუბნებოდა, ძალიან, ძალიან უნდა გიყვარდეს ღმერთიო, ბავშვი ეკითხებოდა: — სად არის იგი დეიდა?

მაშინ დეიდა ლიზონი ცაზე მიუთითებდა: — იქ, მაღლა, პულე, მაგრამ ნუ ილაპარაკებ ამაზე.

დეიდას ბარონისა ეშინოდა.

მაგრამ ბავშვმა შეატყობინა ბაბუას დეიდას რელიგიური შეგონებანი და ერთ დღეს გამოუცხადა მას: — მოწყალე ღმერთი ყველაგანაა, გარდა ეკლესიისა!

პატარას ათი წელი უსრულდებოდა; დედამისი კი შესახედავად ორმოცი წლისას ჰგავდა.

[5] Sicont leo rugicns circuit queorensquem divoret - „როგორც მბრდღვინავი ლომი, ხეტიალობს იგი, ეძებს ვინ შეჭამოს“.

ბიჭი იყო ღონიერი. მარჯვედ დაცოცავდა ხეებზე, მაგრამ ბევრი არაფერი იცოდა. გაკვეთილები ბეზრდებოდა და მალე თავს ანებებდა მათ. როგორც კი ბარონი შეეცდებოდა ოდნავ მეტხანს დაეყოვნებინა ივი წიგნთან, ჟანა მაშინვე გაჩნდებოდა იქ და ამბობდა: — დაანებე ახლა თავი, წავიდეს, ითამაშოს, ნუ გადაღლი. ის ჯერ სულ პატარაა.

ჟანას წარმოდგენაში პოლი ჯერ კიდევ ექვსი თვის ან ერთი წლისა იყო. მის შეგნებამდე ძლივს აღწევდა, რომ ივი დადიოდა, დარბოდა, ლაპარაკობდა, როგორც პატარა მამაკაცი. მას გამუდმებით ეშინოდა, ვაითუ ბავშვი დაეცეს, ან გაცივდეს, ან დასცხეს თამაშის დროს, ან კიდევ ძლიერ ბევრი ხომ არ უჭამია კუჭის საზიანოდ, ან მისმა ორგანიზმმა საკმარისი საჭმელი თუ მიიღო ნორმალური განვითარებისთვისო.

როცა პოლს თორმეტი წელი შეუსრულდა, ერთმა დიდმა დაბრკოლებამ იჩინა თავი! ეს იყო პირველი ზიარება.

ერთხელ დილით ლიზა მოვიდა ჟანასთან და დაუწყო მტკიცება, უკვე აღარ შეიძლება ბიჭუნა რელიგიური განათლების გარეშე დავტოვოთო, მან უნდა შესრულოს ქრისტიანობის ვალდებულებანიო. მას მოჰყავდა ყოველგვარი არგუმენტები, ასახელებდა ათას მოსაზრებას და, უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ აზრს. დედა ღელავდა, ყოყმანობდა და უმტკიცებდა, კიდევ შეიძლება დაცდაო.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ, როცა ვიზიტად იყო გრაფ დე ბრიზვილის მეუღლესთან, მან, სხვათა შორის, ჰკითხა: — წელს, ალბათ, თქვენი პოლი ეზიარება.

ჟანა ამას არ ელოდა და უპასუხა: — დიახ, ქალბატონო.

ამ შემთხვევითმა სიტყვებმა საკითხი გადააწყვეტინა ჟანას და ლიზონს სთხოვა მამისგან ფარულად წაეყვანა ბავშვი კატეხიზმოს გაკვეთილზე.

მთელ თვეს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ საღამოს პოლი ხმაჩახლეჩილი დაბრუნდა. მეორე დღეს ახველებდა. შეშფოთებულმა დედა ყველაფერი გამოკითხა და გაიგო, რომ ცუდი საქციელის გამო კიურემ ივი გარეთ გააგდო, და გაკვეთილის ბოლომდე აცდევინა ეკლესიის კარს უკან, კარიბჭის გამკრავ ქარში.

მაშინ ჟანამ გაკვეთილებზე აღარ გაუშვა ივი და თვითონ ასწავლიდა რელიგიის ანბანს. მაგრამ აბატმა ტოლბიაკმა, ლიზონის მუდარის მიუხედავად, უარი თქვა ბავშვი მაზიარებლებში ჩაერიცხა, რადგან ზერელედ განსწავლულიყო.

მომდევნო წელსაც, იგივე განმეორდა. მაშინ მოთმინებიდან გამოსულმა ბარონმა განაცხადა, რომ ბავშვს შეუძლია წესიერი ადამიანი გახდეს ამ სისულელის, მიამიტური სიმბოლიკის რწმენის გარეშეცო. გადაწყდა რომ პოლი აღიზრდებოდა ქრისტიანულად, მაგრამ კათოლიკური წეს-ჩვეულებების დაუცველად, და სრულწლოვანი რომ გახდებოდა, თვითონ აირჩევდა თავის გზას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჟანა სტუმრად იყო ბრიზვილებთან, მაგრამ ისინი საპასუხო ვიზიტით არ მოვიდნენ. თავისი მეზობლების პედანტურ თავაზიანობას რომ იცნობდა, ჟანას ეს გაუკვირდა, მაგრამ მარკიზ დე კუტელიეს მეუღლემ ამპარტავნულად გაუმჟღავნა ამ თავშეკავებულობის მიზეზი.

ქმრის მდგომარეობით,აგრეთვე ჭეშმარიტი გვაროვნებით და მნიშვნელოვანი სიმდიდრით გამედიდურებულ მარკიზის მეუღლეს თავი ნორმანდიული არისტოკრატიის ხელმწიფედ მოჰქონდა და ნამდვილი დედოფალივით იქცეოდა: ყველაფერს ლაპარაკობდა მოურიდებლად, ვითარების შესაბამისად, ან ალერსიანი იყო, ან მკაცრი. ყველაფერში ერეოდა, შეეძლო ერთდროულად რჩევა-დარიგებაც მეცა, წაეხალისებინა, გაეკიცხა. და აი მასთან რომ იყო, რამდენიმე ცივი სიტყვის შემდეგ ამ ქალმა მშრალად უთხრა ჟანას: — საზოგადოება ორ კატეგორიად იყოფა: ადამიანებად, რომლებსაც სწამთ ღმერთი, და ადამიანებად, რომელთაც არა სწამთ იგი. ერთნი, ყველაზე უფრო ბეჩავებიც კი, ჩვენი მეგობრები არიან და ჩვენი თანასწორნი; მეორენი კი ჩვენთვის არ არსებობენ.

ჟანამ შემოტევა იგრძნო და უპასუხა: — კი მაგრამ, არ შეიძლება ღმერთი გწამდეს და ეკლესიაში არ დადიოდე?

მარკიზის მეუღლემ უპასუხა: — არა ქალბატონო, მორწმუნენი ღმერთის სალოცავად მის ტაძარში მიდიან ისე, როგორც მივდივართ ადამიანებთან მათ სახლში.

შეურაცხყოფილმა ჟანამ უთხრა: — ღმერთი ყველგანაა, ქალბატონო, მე, მაგალითად, მთელი სულითა და გულით მწამს მისი მოწყალება, მაგრამ მას ვერ ვგრძნობ ამჟამად, რადგან არიან ისეთი მღვდლები, რომლებიც დგანან უფალსა და ჩემს შორის.

მარკიზის მეუღლე ადგა: — მღვდელი ეკლესიის მედროშეა, ქალბატონო; ვინც არ მიჰყვება ამ დროშას, იგი მისი წინააღმდეგიცაა და ჩვენიც.

ჟანაც ადგა. იგი საშინლად კანკალებდა: — თქვენ ქალბატონო, გწამთ ერთი პარტიის

ღმერთი. მე კი მწამს პატიოსანი ხალხის ღმერთი.

მან თავი დაუკრა და გავიდა.

გლეხებიც ერთმანეთში ჰკიცხავდნენ ჟანას, რად არ მიაღებინა პულეს პირველი ზიარებაო. ისინი თვითონ არ ეკარებოდნენ ეკლესიას, არ იღებდნენ ზიარებას მარტო საღვთოდ მიდიოდნენ აღსარებაზე ეკლესიის ფორმალური მოთხოვნილების გამო. მაგრამ ბავშვები სულ სხვაა: არც ერთ მათგანს არ ეყოფოდა გამბედაობა, აღეზარდა ბავშვი ამ საყოველთაო კანონის გარეშე, რადგან რელიგია არის რელიგია.

ჟანა კარგად გრძნობდა ამ მსჯავრდადებას და გულში აღშფოთებდა ეს ორპირობა, უსინდისო საქციელი, საყოველთაო შიში ყველაფრის წინაშე, სულმდაბლობა, ყველას გულში რომ იყო ჩაბუდებული და წესიერების ნიღბის ქვეშ ასე გარკვევით გამოსჭვიოდა.

ბარონმა თვითონ იკისრა პოლის სწავლა-განათლება და ლათინური დაიწყებინა. დედა კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: — მთავარია არ გადაღალო იგი.

ჟანა შეშფოთებული წრიალებდა სასწავლო ოთახთან, როცა მამიკო უკრძალავდა შიგ შესვლას, რადგან იგი ყოველ წუთში აწყვეტინებდა გაკვეთილს და ეკითხებოდა ბავშვს.

— ფეხზე ხომ არ გცივა, პულე?

ან კიდევ: — თავი ხომ არ გტკივა, პულე?

ანდა შეაჩერებდა მასწავლებელს: — ნუ ალაპარაკებ ამდენს, ყელი ეტკინება.

როგორც კი ბიჭი განთავისუფლდებოდა, ბაღში გარბოდა სამუშაოდ დედასთან და დეიდასთან. ისინი ახლა დიდად გაიტაცა მებაღეობამ. გაზაფხულზე სამივენი რგავდნენ ახალგაზრდა ხეებს. თესავდნენ მარცვლეულს, აღტაცებით აკვირდებოდნენ მათ აღმონაცენსა და ზრდას, სხლავდნენ ტოტებს, სჭრიდნენ ყვავილებს თაიგულებისათვის.

ყმაწვილი მეტად გატაცებული იყო სალათის მოშენებით. მის განკარგულებაში იყო ოთხი დიდი კვალი, სადაც მას უდიდესი მზრუნველობით მოჰყავდა ამ საჭმელი ბალახის ყველა ცნობილი ჯიში: ღორის ქადა, რომაული, ვარდ კაჭკაჭა, ბალახ-ვარდა, მეფური. იგი თვითონ ბარავდა, რწყავდა, მარგლავდა, აწარმოებდა გადარგვას ორივე დედის დახმარებით, რომელთაც ამუშავებდა როგორც დაქირავებულებს. ისინი მუხლებზე იდგნენ ოთხ კვალს

შორის, ითხუპნიდნენ კაბებს, ხელებს. ნერგის ფესვებს ასობდნენ თითებით ამოთხრილ პატარა ორმოებში და გულმოდგინედ ამაგრებდნენ მიწაში.

პულე იზრდებოდა, მას უკვე თხუთმეტი წელი უსრულდებოდა: სასტუმრო ოთახის კარზე ამოჭრილი ჭდეები ერთ მეტრსა და ორმოცდათვრამეტ სანტიმეტრს აჩვენებდა, მაგრამ გონებით ნამდვილი ბავშვი იყო, განუვითარებელი, ხეპრე, განებივრებული ამ ორი ქალისა და კეთილი, მაგრამ დროს ჩამორჩენილი მოხუცის მიერ.

ერთ საღამოს ბარონი კოლეჯზე ალაპარაკდა, ჟანა იმ წუთშივე აცრემლდა, შეშინებული დეიდა ლიზონი კუთხეში მიიყუჟა.

დედა ალაპარაკდა: — რად სჭირდება მას ამდენი ცოდნა! იგი გახდება სოფლის მცხოვრები მემამულე, თავის მიწებს დაამუშავებს, როგორც ამას აზნაურები აკეთებენ. იცხოვრებს და ბედნიერად მოხუცდება ამ სახლში. სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც ჩვენ მოვკვდებით. რა იქნება ამაზე უკეთესი?

ბარონი თავს აქნევდა

— მაგრამ რას უპასუხებ შენ, თუ ოცდახუთი წლის შვილი მოვა და გეტყვის: „მე არაფერს არ წარმოვადგენ. არაფერი მისწავლია შენი მიზეზით, შენი დედური ეგოიზმის გამო. მე უნარი არ შემწევს ვიმუშაო, რაღაც გამოვიდე, თანაც მე არ ვარ შექმნილი ამ უსახელო, მშვიდი და საშინლად მოსაწყენი ცხოვრებისათვის, რისთვისაც შენმა უგუნურმა სიყვარულმა გამწირა.“

ჟანა ტიროდა და შვილს ეხვეწებოდა: — თქვი, პულე ხომ არასოდეს მისაყვედურებ იმისათვის, რომ ასე ძალიან მიყვარდი? ხომ არ მისაყვედურებ?

დიდ ბავშვს უკვირდა, მაგრამ ჰპირდებოდა: — არა, დედა.

— დაიფიცებ?

— კი,დედა.

— შენ ხომ გინდა აქ დარჩე?

მაშინ ბარონმა ხმა აიმაღლა: — ჟანა უფლება არ გაქვს თვითნებურად მოექცე ადამიანის სიცოცხლეს. შენ უღირსად, სულმდაბლად იქცევი, თითქმის დანაშაულს სჩადიხარ. საკუთარ ბავშვს ანაცვლებ შენს პირად ბედნიერებას.

ქალმა სახე ხელებით დაიფარა, გულამოსკვნით აქვითინდა და თვალცრემლიანი აბუტბუტდა: — მე ისეთი უბედურება გავიარე... ისე გავიტანჯე. მე მასში ვპოვე ნუგეში და ახლა მართმევენ, რა მომივა... სულ მარტოკას?...

ბარონი ადგა, მის გვერდით დაჯდა და ხელები მოხვია: — მე რა ვქნა ჟანა?

ჟანა უცბად მოეხვია კისერზე, მაგრად აკოცა და ცრემლებისაგან სულშეგუბებულმა ძლივს წარმოთქვა: — დიახ, შენ ალბათ მართალი ხარ... მამიკო. მე განუსჯელად ვიქცევი, მაგრამ ბევრი ვიტანჯე. დე, იგი წავიდეს კოლეჯში.

პულეს ხეირიანად ვერც გაეგო რას უპირებდნენ და, ისიც აცრემლდა.

მაშინ სამმა დედამ კოცნით და ალერსით დააშშვიდა იგი, ხოლო დასაძინებლად რომ წავიდნენ, ყველას გული დამძიმებული ჰქონდა, ყველამ წაიტირა თავ-თავის ლოგინში, თვით ბარონმაც კი, თუმცა თავს იკავებდა.

გადაწყდა, რომ ახალ სასწავლო წელს ბავშვს ჰავრის კოლეჯში მოაწყობდნენ, მთელ ზაფხულს კი ისე ანებივრებდნენ, როგორც არასოდეს.

განშორებაზე რომ ფიქრობდა, დედამისი ხშირად ოხრავდა. მან ისეთი მზითევი მოუმზადა შვილს, თითქოს ათწლიან მოგზაურობას უნდა შედგომოდა; ბოლოს ოქტომბრის ერთ დილას, უძილო ღამის შემდეგ ორი ქალი და ბარონი პოლთან ერთად ჩასხდნენ ეტლში და ცხენები მყისვე ჩორთით დაიძრნენ.

წინა მგზავრობისას პოლს უკვე მიუჩინეს ადგილი დორტუარში და კლასშიც. ახლა დეიდა ლიზონის დახმარებით ჟანა მთელი დღე ბარგს ალაგებდა პატარა კომოდში. რადგან კომოდმა ჩამოტანილი ბარგის მეოთხედიც კი ვერ დაიტია, ჟანა კოლეჯის დირექტორთან წავიდა და მეორე ასეთივე კომოდი სთხოვა. დაუძახეს სამნეო ნაწილის გამგეს. მან თქვა, რომ ამდენი თეთრეული და ტანსაცმელი ბავშვს არასოდეს დასჭირდება და მხოლოდ ხელს შეუშლისო. ამიტომ გადაჭრით განაცხადა, წესს ვერ დავარღვევ და მეორე კამოდს ვერ დავდგამო. მაშინ იმედდაკარგულმა დედამ გადაწყვიტა პატარა ოთახი დაექირავებინა მეზობელ სასტუმროში და სასტუმროს პატრონს დაავალა ბავშვის პირველი მოთხოვნილებისთანავე საკუთარი ხელით მიეტანა პულესათვის ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა.

შემდეგ მოლოსკენ გასწიეს გემების საყურებლად.

მოწყენილი საღამო ჩამოწვა ქალაქში, რომელიც თანდათან ნათდებოდა. სასადილოდ რესტორანში შევიდნენ, ჭამა არც ერთს არ უნდოდა. ერთმანეთს უყურებდნენ აცრემლებული თვალებით; ხოლო თითქმის ხელუხლებელი კერძები, რომლებიც ზედიზედ მოიტანეს, უკანვე მიჰქონდათ.

შემდეგ ნელა გასწიეს კოლეჯისაკენ. ნათესავების ან მოსამსახურეთა თანხლებით ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ყველა ასაკის ბავშვები. ბევრი იცრემლებოდა. ოდნავ განათებულ დიდ ეზოში სლუკუნი ისმოდა.

ჟანა და პულე დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს. მთლად მივიწყებული დეიდა ლიზონი უკან იდგა და სახე ცხვირსახოცში ჩაემალა. ამ დროს ბარონმა, რომელსაც გული აუჩუყდა, მოაშორა პოლს თავისი ქალიშვილი და დაამთავრა გამოთხოვება. ეტლი კარების წინ იცდიდა. სამივენი ჩასხდნენ და ბნელში გამობრუნდნენ ჩინარისაკენ.

დროდადრო წყვდიადში ძლიერი ქვითინი ისმოდა.

მეორე დღეს ჟანამ საღამომდე იტირა. დილით კი ბრძანა ეტლი შეებათ და ჰავრს გაემგზავრა. პულე თითქმის შეურიგდა განშორებას. პირველად სიცოცხლეში მას ჰყავდა ამხანაგები და, მისაღები ოთახის სკამზე დამჯდარს, მათთან თამაშის სურვილი ჟრუანტელს ჰგვრიდა.

ჟანა ასე მიდიოდა ყოველ ორ დღეში, ხოლო კვირაობით შვილი თან მიჰყავდა. გაკვეთილების დროს, შესვენებას რომ უცდიდა, არ იცოდა რა ექნა და, რაკი არც ძალა და არც გამბედაობა არ ყოფნიდა კოლეჯს განშორებოდა, მისაღებ ოთახში იჯდა. დირექტორმა იგი თავისთან მიიპატიჟა და სთხოვა, რაც შეიძლება იშვიათად მოენახულებინა კოლეჯი. ჟანამ არად ჩაუგდო ეს მითითება.

მაშინ დირექტორმა გააფრთხილა ჟანა, შვილს უკანვე დაგიბრუნებ, თუ საშუალებას არ მისცემ თავისუფლად გაერთოს და თავს არ დაანებებ მის მოცდენას მეცადინეობის საათებშიო. ბარონიც გააფრთხილეს წერილობით. ამის შემდეგ ჟანას ისე დარაჯობდნენ ჩინარში, როგორც ტყვეს.

ყოველ არდადეგებს იგი გაცილებით უფრო მოუთმენლად ელოდებოდა, ვიდრე მისი შვილი.

ჟანას გულს უწუხებდა გამუდმებული შიში. იგი ახლომახლო დახეტიალობდა. მთელი

დღეები მარტოდმარტო სეირნობდა მასაკრთან ერთად და ოცნებას ეძლეოდა. ზოგჯერ ნაშუადღევამდე იჯდა და ქედიდან გადასცქეროდა ზღვას, ხან კიდევ ტყის გავლით იპორამდე ჩადიოდა და იმეორებდა ძველ სეირნობას, რომელთა მოგონება კვლავ თან სდევდა. რა შორს, რა შორს იყო ის დრო, როცა ივი, ახალგაზრდა გოგონა, ოცნებებით მთვრალი დაეხეტებოდა ამ ადგილებში.

ყოველთვის, როცა ჟანა შვილს ინახულებდა, ეჩვენებოდა, თითქოს ათი წელია ერთმანეთს დაშორდნენო. პულე დღითიდღე ვაჟკაცდებოდა. ჟანა კი დღითიდღე ბერდებოდა. ბარონი შეიძლებოდა მათ ძმად მიგეჩნიათ, ხოლო დეიდა ლიზონი უფროს დად, რადგან ოცდახუთი წლისა რომ დაჭკნა ლიზა, შემდეგ აღარ შეცვლილა.

პულე სრულებით არ მეცადინეობდა; მეხუთე კლასში მან ორი წელი დაჰყო, მესამე კლასი გაატარა არც ავად, არც კარგად მაგრამ მეორე კლასში ისევ მეორე წელს დასჭირდა ყოფნა და რიტორიკას კლასში მხოლოდ ოცი წლისამ მიაღწია.

ივი გახდა მაღალი, ქერა ჭაბუკი, საკმაოდ ხშირი ბაკენბარდებითა და ახლად აშლილი ულვაშებით. პოლი ახლა ყოველ კვირას თვითონ მიდიოდა ჩინარში. რადგან უკვე დიდი ხნის წინათ შეისწავლა ცხენოსნობა; ივი უბრალოდ ქირაობდა ერთ ცხენს და ორ საათში ფარავდა მთელ გზას.

ჟანა უთენია გამოდიოდა მის შესახვედრად დეიდა და ბარონის თანხლებით, რომელიც სულ უფრო იღუნებოდა წელში, სულ უფრო ემსგავსებოდა ბებრუცანას. სიარულის დროს ივი უკან შემოინყობდა ხოლმე ხელებს, თითქოს იმისათვის, რომ პირქვე არ დაცემულიყო.

ისინი წყნარად მიჰყვებოდნენ ქუჩას, ხანგამოშვებით გზის პირზე სხდებოდნენ და შორს იყურებოდნენ, ცხენოსანი ხომ არ მოჩანსო, როგორც კი შავი წერტილი გამოჩნდებოდა თეთრ ხაზზე, სამივე იქნევდა ცხვირსახოცებს; ის კი დაოთხებით გამოაჭენებდა ცხენს და გრიგალივით მიაგელვებდა მათთან. ჟანას და ლიზონს შიშით გული უსკდებოდათ, აღფრთოვანებული ბაბუა კი უძლური აღტაცებით ყვიროდა: „ბრავო“.

თუმცა პოლი დედაზე მთელი თავით მაღალი იყო, ივი მაინც ძველებურად პატარა ბიჭივით ექცეოდა მას და ეკითხებოდა: — ფეხებზე ხომ არ გცივა, პულე?

როცა პულე ნასაუზმევს პარმაღის წინ სეირნობდა და პაპიროსს ეწეოდა, დედა გააღებდა ფანჯარას და დაუყვირებდა: — გევედრები, თავშიშველი ნუ დადიხარ, სურდო

შეგეყრება.

ჟანა შიშით ცახცახებდა, როცა პოლი ღამე მიდიოდა ცხენით.

— პულე ჩემო პატარა ბიჭო, ჩქარა ნუ ივლი, თავს გაუფრთხილდი. გახსოვდეს საცოდავი დედაშენი, რომელიც ვერ გადაიტანს, შენ რომ რამე მოგივიდეს.

მაგრამ აი, ერთ შაბათ დილას, ჟანამ მიიღო პოლის წერილი, რომელშიც ატყობინებდა, ხვალ ვერ ჩამოვალ, რადგან მეგობრებმა პიკნიკი მოაწყვეს და მეც მიმიპატიჟესო.

ჟანა მთელ კვირა დღეს დარდით იტანჯებოდა, თითქოს რაღაც გარდაუვალი უბედურება ემუქრებოდა, შედეგ თავი ვერ შეიკავა და ხუთშაბათს ჰავრში გაემგზავრა.

შვილი მას შეცვლილი მოეჩვენა, მაგრამ რაში გამოიხატებოდა ცვლილება, თავადაც ვერ მიხვდა. იგი გამოცოცხლებული ჩანდა უფრო მამაკაცური ხმით ლაპარაკობდა, უცბად, თითქოს არაფერიო, უთხრა დედას: — იცი დედა, რადგან შენ მოხვედი, მე არც მომავალ კვირას ჩამოვალ ჩინარში, იმიტომ, რომ კიდევ ვაპირებთ გასეირნებას.

ჟანა ისე გარეტიანდა და შეძრწუნდა, თითქოს შვილს ეთქვას ახალ სამყაროში მივდივარო. გონს რომ მოვიდა, ჰკითხა: — ღმერთო ჩემო, რა მოგდის პულე? მითხარი რა ხდება?

პოლმა გაიცინა და აკოცა მას: — არაფერი, სრულებით არაფერი დედა. ჩემს მეგობრებში ვერთობი. ეს ბუნებრივია ჩემს ასკში.

ჟანამ ვერ იპოვა საპასუხო სიტყვა და, როცა მარტო დარჩა ეტლში, უცნაურმა აზრებმა მოიცვეს იგი. დედა ვეღარ სცნობდა თავის პულეს, თავის წინანდელ პატარა პულეს. პირველად შეამჩნია მან, რომ იგი უკვე მოწიფულია და აღარ ეკუთვნის მას, რომ ამიერიდან თავისი ჭკუით იცხოვრებს და აღარ აინტერესებდა მოხუცები, ჟანას ეჩვენებოდა, რომ პოლი ერთ დღეში გარდაიქმნა. როგორ! ეს მისი შვილი იყო? ეს დიდი ტანადი მამაკაცი, ასეთ ნებისყოფას რომ იჩენდა, ნუთუ მისი პატარა ბავშვი იყო, რომელიც ოდესღაც აიძულებდა სალათი გადაერგო?

სამი თვის განმავლობაში პოლი იშვიათად თუ მოინახულებდა მშობლებს. და ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო უკან. ყოველ საღამოს მიზეზს ეძებდა, რომ თუნდაც ერთი საათი მოეგო. ჟანა ღელავდა, ბარონი კი განუწყვეტლივ

ანუგეშებდა მას და იმეორებდა: — დაანებე თავი ბიჭს, უკვე ოცი წლისა გახლავს ივი!

მაგრამ ერთ დილას ღარიბულად ჩაცმულმა კაცმა გერმანული აქცენტით ეკითხა:

— ქალბატონი ვიკონტის მეუღლე!

მრავალგზის ცერემონიული მისალმების შემდეგ მან ჯიბიდან ამოიღო ჭუჭყიანი საფულე და განაცხადა: — აი, პატარა წერილი თქვენთვის!

შემდეგ გაშალა გაქონილი ქაღალდის ნაგლეჯი და ჟანას გაუწოდა. ჟანამ წაიკითხა ივი. ხელმეორედ წაიკითხა, შეხედა ებრაელს, კიდევ გადაიკითხა და ჰკითხა: — რას ნიშნავს ეს?

მოხუცმა ლაქუცით აუხსნა: — ახლავე მოგახსენებთ. თქვენ შვილს ცოტა ფული დასჭირდა, მე კი ვიცოდი, რომ კეთილი დედა ხართ. მე ვასესხე პატარა თანხა, რამდენიც უნდოდა, სულ წვრილმანია.

ჟანა ცახცახებდა: — კი მაგრამ, რატომ მე არ მთხოვა?

ებრაელმა დაწვრილებით აუხსნა, რომ საქმე ეხებოდა ბანქოს ვალს, რომელიც მეორე დღესვე შუადღემდე უნდა გადაეხადა, რადგან პოლი სრულწლოვანი არ

იყო, მას არავინ ასესხებდა ფულს და „ახალგაზრდა კაცის სახელი შერცხვენილი იქნებოდა“, მისთვის „პატარა დაუზარებელი სამსახური“ რომ არ გაეწია მას.

ჟანას უნდოდა ბარონისათვის დაეძახა, მაგრამ მღელვარებამ ისე მიაჯაჭვა ადგილზე, რომ ადგომა ვერ შეძლო. ბოლოს მევახშეს უთხრა: — მეტად აღარ მოხვიდე.

მან მადლობა გადაუხადა, თავი დაუკრა და გაქრა.

ბაბუა და დედა მაშინვე გაემგზავრნენ ჰავრში, მაგრამ კოლეჯში გაიგეს, რომ მთელი თვე პოლი არ გამოჩენილა. დირექტორს მიეღო ჟანას ხელმოწერილი ოთხი ბარათი, რომლებშიც იუწყებოდნენ პოლის ავადმყოფობას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. თვითეულ წერილზე მიკრული იყო ექიმის მოწმობა, რასაკვირველია, ყველა ყალბი. მამასა და შვილს თავზარი დაეცათ, ადგილზე გაშეშდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.

შეწუხებულმა დირექტორმა მიაცილა ისინი პოლიციის კომისართან. ბაბუამ და დედამ სასტუმროში გაათიეს.

მეორე დღეს პოლი ქალაქის ერთ მეძავთან ნახეს. იგი მაშინვე ჩინარში წაიყვანეს ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავთ მგზავრობის მთელ მანძილზე. ჟანას ცხვირსახოცში ჩაემალა სახე და ტიროდა. პოლი გულგრილად იყურებოდა აქეთ— იქით.

მომდევნო კვირას აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ სამ თვეში მას აუღია თხუთმეტი ათასი ფრანკი. მევალეები ჯერ არსად ჩანდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იგი მალე სრულწლოვანი გახდებოდა.

არავითარი ახსნა-განმარტება მოუთხოვიათ. გადაწყვიტეს პოლი ალერსით მოესყიდათ. აჭმევდნენ ნუგბარ-ნუგბარებს, ასათუთებდნენ, ანებივრებდნენ. გაზაფხული იდგა. თუმცა ჟანას ეშინოდა პოლს მაინც ნავი დაუქირავეს იპორში, რათა ზღვაზე ესეირნა, როცა მოესურვებოდა.

იმის შიში, რომ ჰავრში არ გაიპაროსო, პოლს ცხენზე არ აჯენდნენ.

იგი უსაქმოდ დაყიალობდა; ღიზიანდებოდა და ზოგჯერ უხეშობდა. ბარონი წუხდა, რომ პოლმა ვერ დაასრულა განათლება. ახალი განშორების ფიქრი ჟანას ჭკუას აკარგვინებდა. მაგრამ თავის თავს მაინც ეკითხებოდა, რა მოეხერხებინა შვილისათვის.

ერთ საღამოს პოლი შინ არ დაბრუნდა. გამოირკვა, რომ იგი ნავით წასულიყო

ორ მეზღვაურთან ერთად. შეშლილი დედა ღამით თავშიშველი ჩავიდა იპორში. ნაპირზე რამდენიმე კაცი ელოდებოდა ხომალდის დაბრუნებას.

შორს სინათლე გამოჩნდა... იგი ციმციმით ახლოვდებოდა. პოლი არ აღმოჩნდა ხომალდში. იგი ჰავრში გადასულიყო.

პოლიციამ ამაოდ ეძება იგი, პოლი ვერ იპოვეს. მეძავი ქალიც, რომელთანაც იმალებოდა პირველად, უკვალოდ გაქრა. მას გაუყიდია ავეჯი და ბინის ქირაც გადაუხდია. ჩინარში, პოლის ოთახში, ორი წერილი აღმოაჩინეს იმ ქალისგან, რომელსაც, როგორც ჩანდა, გაგიჟებით უყვარდა. იგი წინადადებას აძლევდა პოლს ინგლისში გავემგზავროთო. საჭირო ფულიც, მისი სიტყვით, ნაშოვნი ჰქონდა.

სასახლის სამი ბინადრისათვის დაიწყო პირქუში და დაღვრემილი ცხოვრება სულიერი წამების შავბნელ ჯოჯოხეთში. ისედაც ჭაღარა თმები ჟანას მთლად გაუთეთრდა. იგი მიამიტად ეკითხებოდა თავისთავს — ასე ხშირად რატომ მსჯის ბედიო.

ჟანამ აბატ ტოლბიაკისაგან წერილი მიიღო: „ქალბატონო, ღვთის მარჯვენამ დაგსაჯათ. თქვენ წაართვით მას მისი ბავშვი. მან თავის მხრივ, იგი გამოგტაცათ, რათა გარყვნილებაში გადაეგდო, ნუთუ ზეცის ეს გაკვეთილი მაინც არ აგიხელთ თვალს? უფლის მოწყალება უსაზღვროა. შეიძლება მან შეგიწყნაროს, თუ დაუბრუნდებით და პირქვე დაემხობით მის წინაშე. მე მისი მორჩილი მსახური ვარ და მაშინვე გაგიღებთ მისი სამყოფელის კარს, როცა კი მოხვალთ და დააკაკუნებთ“.

ჟანა დიდხანს იჯდა, წერილი კი მუხლზე ედო. იქნებ მღვდელი მართალს ამბობდა? და ყველა რელიგიური ეჭვი ისევ საშინლად აწამებდა მის სინდისს. ნუთუ შეიძლება ადამიანის მსგავსად ღმერთი შურისმგებელი და ეჭვიანი იყოს? მაგრამ თუ იგი თავს არ გვიჩვენებს შურიანად ვის შეეშინდება მისი, ვინღა სცემს მას თაყვანს? ალბათ, უკეთ რომ გაგვაცნოს თავი, ამიტომ ავლენს იგი ადამიანთა წინაშე მათთვის დამახასიათებელ გრძნობებს. და ჟანას გულში შეიჭრა ლაჩრული ეჭვი, რომელიც ეკლესიაში მიერეკება მერყევ, აფორიაქებულ ადამიანებს. ერთ საღამოს. როცა დაბნელდა, მან მალულად მიირბინა მღვდლის სახლამდე. განერთხა აბატის ფეხებთან დაცოდვათა შენდობა შეევედრა.

იგი ჟანას შეჰპირდა სანახევროდ შეგინდობთ, რადგან ღმერთს არ შეუძლია მთელი თავისი მადლი მიანიჭოს სახლს, სადაც თავშესაფარი აქვს ბარონის მსგავს ადამიანს.

— თქვენ მალე იგრძნობთ,— დაარწმუნა მან ჟანა,— ღვთაებრივი მოწყალების ძალას.

ორი დღის შემდეგ ჟანამ მართლაც მიიღო შვილის წერილი და მწუხარებისაგან გონებადაკარგულმა იგი აღიქვა, როგორც უკეთესისაკენ შემობრუნება, აბატი რომ დაჰპირდა.

„ძვირფასო დედა, ჩემზე ნუ სწუხარ. მე ლონდონში ვარ, კარგად და ჯანმრთელად, მაგრამ ძალიან მჭირდება ფული. ჩვენ აღარ გვაქვს არც ერთი სუ და ხშირად ვშიმშილობთ. ჩემმა თანამგზავრმა, რომელიც მთელი სულითა და გულით მიყვარს, ყველაფერი დახარჯა, რაც გააჩნდა, ხუთი ათასი ფრანკი, ოღონდ არ დამშორებოდა; შენ გამიგებ, რომ პატიოსნება მავალებს, უპირველეს ყოვლისა, ავუნაზღაურო მას ეს თანხა. დიდ თავაზიანობას გამოიჩენდი, რომ მოგეცა თხუთმეტიოდე ათასი ფრანკი მამის მემკვიდრეობიდან, რადგან სულ ერთია, სულ მალე სრულწლოვანი გავხდები; ამით დიდი გაჭირვებისაგან დამიხსნიდი.

მშვიდობით, ძვირფასო დედა, სულითა და გულით გკოცნი, აგრეთვე ბაბუასა და დეიდა ლიზონს. ვიმედოვნებ, რომ მალე ვნახავთ.

შენი შვილი

ვიკონტი პოლ დელამარი"

პოლმა მისწერა მას! მაშასადამე არ დავიწყებია დედა. ჟანას სრულებით არ უფიქრია იმაზე, რომ შვილი ფულს სთხოვდა. უნდა გაუგზავნონ ფული, რაკი აღარაფერი გააჩნია. რას წარმოადგენს ფული! მთავარი ის არის, რომ პოლმა მოსწერა მას!

და ჟანამ ტირილით გაურბენინა ბარონს წლები. დაუძახეს დეიდა ლიზონს და რამდენჯერმე დამარცვლით წაიკითხეს ბარათი. გაარჩიეს თვითეული სიტყვა.

საკვებით იმედგადაწყვეტილი ჟანა თვალის დახამხამებაში გარდაიქმნა და იმედით გაბრუებული იცავდა პოლს: — რაკი მოგვწერა, იგი დაბრუნდება სულ მალე დაბრუნდება.

უფრო თავშეკავებულმა ბარონმა თქვა: — სულ ერთია, მან ჩვენ მიგვატოვა იმ ქალის გულისათვის. რაკი თავის საქციელზე არც კი დაფიქრებულა, ჩანს, იგი უფრო უყვარს, ვიდრე ჩვენ.

უეცარი საშინელი ტკივილი შეიჭრა ჟანას გულში და მყისვე სიძულვილმა, გაუქარვებელმა, დაუოკებელმა, ეჭვიანი დედის სიძულვილმა იფეთქა მასში პოლის სიყვარულისადმი, რომელმაც შვილი მოსტაცა. აქამდე მთელი მისი ფიქრები მხოლოდ პოლს დასტრიალებდა და სულ არ უფიქრია უნამუსო ქალზე, რომელმაც შეაცდინა მისი შვილი, მაგრამ ბარონის სიტყვებმა მოაგონა ეს მეტოქე, უჩვენა მისი საბედისწერო ძალა. ჟანამ იგრძნო, რომ იმ ქალსა და მას შორის სასტიკი ბრძოლა იწყებოდა და მიხვდა, რომ უფრო შეელეოდა შვილს, ვიდრე ვინმეს გაუზიარებდა მას.

მათ გაგზავნეს თხუთმეტი ათასი ფრანკი და მთელი ხუთი თვის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მიუღიათ.

შემდეგ რწმუნებული გამოცხადდა ჟულიენის მემკვიდრეობის საქმეების მოსაწესრიგებლად. ჟანამ და ბარონმა ანგარიში უკამათოდ ჩააბარეს და უარი განაცხადეს იმ ქონებით სარგებლობაზე, რომელიც კანონით დედას ეკუთვნოდა, და პარიზში დაბრუნებისას პოლმა მიიღო ას ოცი ათასი ფრანკი. ამის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში გამოგზავნა ოთხი წერილი. იგი მოკლედ იტყობინებოდა თავის ამბებს და ბოლოს ცივად გამოთქვამდა თავის გრძნობებს:

„მე ვმუშაობ,— წერდა პოლი, — ვიშოვე ადგილი ბირჟაზე. იმედი მაქვს, როგორმე ჩამოვალ ჩინარში რამდენიმე დღით და პირადად ჩაგკოცნით ძვირფასებო“.

თავის საყვარელს პოლი სულ არ ახსენებდა. ეს სიჩუმე უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე ოთხი გვერდი, დედისთვის რომ მიეძღვნა. ჟანა გრძნობდა, რომ გაყინული სიტყვების იქით იმალებოდა ის ულმობელი გომბიო, დედების ძველის ძველი მტერი.

სამივე განდეგილი მსჯელობდა რა ექნათ, როგორ ეხსნათ პოლი და ვერაფერი მოიფიქრეს. წასულიყვნენ პარიზში? კი მაგრამ რისთვის?

ბარონი ამბობდა: — დაე, ილაჯი გაუწყვიტოს ვნებათა ღელვამ. მაშინ იგი თვითონ დაგვიბრუნდება.

გრძელდებოდა მათი უსიხარულო ცხოვრება.

ჟანა და ლიზონი ბარონის მალულად ერთად დადიოდნენ ეკლესიაში.

საკმაოდ დიდმა დრომ განვლო ისე, რომ პოლზე არაფერი იცოდნენ, როცა ერთ დილას სასოწარკვეთილმა წერილმა შეაშფოთა ისინი.

„ჩემო საბრალო დედა, მე დავიღუპე, თვითმკვლელობის მეტი აღარაფერი დამრჩენია, თუ შენ არ მომეშველები. კომბინაცია, რომელსაც დიდი მოგება უნდა მოეცა, ეს-ეს არის ჩაიფუშა. ვალად დამედო ოთხმოცდახუთი ათასი ფრანკი. თუ მას ვერ გადავიხდი, სახელი გამიტყდება, გავკოტრდები და საშუალება აღარ მექნება რაიმე გავაკეთო მომავალში. მე დავიღუპე. კიდევ ვიმეორებ, მირჩევნია თავი მოვიკლა, ვიდრე ასეთი სირცხვილი ვჭამო. ამდენ ხანს კიდეც შევასრულებდი ამას, რომ არ მამხნევებდეს ქალი, რომელზეც არასოდეს არაფერს გწერ, მაგრამ რომელიც ჩემი ბედის წერა გახდა.

სულითა და გულით გკოცნი, ჩემო ძვირფასო დედა, შეიძლება უკანასკნელადაც კი. მშვიდობით პოლი“.

წერილს ერთვოდა საქმიანი ქაღალდების დასტა, რომელიც კატასტროფის დაწვრილებით განმარტებას იძლეოდა.

ბარონმა იმავე ფოსტით უპასუხა, შევეცდები ჩქარა მივიღო ზომებიო, შემდეგ კი ჰავრში გაემგზავრა ვითარების გასარკვევად. და იქვე დააგირავა მიწები, რათა ფული ეშოვნა და

პოლისათვის გაეგზავნა.

პოლმა გამოგზავნა სამი საპასუხო წერილი, სავსე აღფრთოვანებული მადლიერებითა და უნაზესი გრძნობებით, აგრეთვე დაპირებით, რომ მალე ჩამოვიდოდა და პირადად ჩაიკრავდა გულში თავის ძვირფას მშობლებს.

იგი არ ჩამოსულა.

მთელი წელიწადი გავიდა. ჟანა და ბარონი ის-ის იყო პარიზს უნდა წასულიყვნენ, რათა უკანასკნელად ეცადათ ჭკუაზე მოეყვანათ პოლი. მაგრამ მოკლე წერილიდან შეიტყვეს, რომ იგი ისევ ლონდონში იყო და აყალიბებდა სამგზავრო გემების კომპანიას, ფირმით „პოლ დე ლამარი და კომპანია“. იგი წერდა: „ეს უტყუარი უზრუნველყოფაა, შეიძლება სიმდიდრეც კი. ამასთან არავითარ რისკს არ ვეწევი, თქვენთვის ალბათ აშკარაა მთელი სარგებლობა. შემდგომი შეხვედრისათვის ბრწყინვალე ადგილი მექნება მაღალ საზოგადოებაში. ჩვენს პირობებში მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაჭირვებიდან გამოსვლა“.

სამი თვის შემდეგ სამგზავრო გემის კომბაინი გაკოტრდა და დირექტორი სამართალში მისცეს ანგარიშსწორების სიყალბისათვის.

ჟანას ნერვიული შეტევა მოუვიდა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, შემდეგ კი ლოგინად ჩავარდა.

ბარონი ისევ გაემგზავრა ჰავრს, გაიგო ყველაფერი, ნახა ადვოკატი, რწმუნებულები, ვექილები, სასამართლოს მოხელეები და დაადგინა რომ „ დე ლამარის” საზოგადოების ზარალი ორას ოცდათხუთმეტ ათას ფრანკს შეადგენდა. მან ისევ დააგირავა თავისი უძრავი ქონება. ჩინარის მამული და ორი მისი მოსაზღვრე ფერმა დიდი თანხით დაიბეგრა.

ერთ საღამოს, როცა რწმუნებულის კანტორაში უკანასკნელ ფორმალობას აწესრიგებდა, ბარონი უეცრად დაეცა, მას აპოპლექსიური დამბლა მოუვიდა.

ჟანასთან მხედარი გაგზავნეს. როცა იგი მოვიდა, ბარონი მკვდარი იყო.

ჟანამ მამა ჩინარში გადმოასვენა. იმდენად გარეტიანებული იყო იგი, რომ მისი მწუხარება გაშეშებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სასოწარკვეთას.

აბატმა ტოლბიაკმა გვამი არ შეატანინა ეკლესიაში, თუმცა ორივე ქალი გაშმაგებით

ემუდარებოდა. ბარონი დაკრძალეს შეღამებისას, ყოველგვარი რელიგიური ცერემონიის გარეშე.

პოლს ეს ამბავი შეატყობინეს მისი გაკოტრებული წარმოების ერთ-ერთმა ლიკვიდატორმა. იგი ჯერ კიდევ ინგლისში იმალებოდა: მან წერილით მოიხადა ბოდიში, რომ ვერ ჩამოვიდა, რადგანაც დიდი დაგვიანებით შეიტყო თავს დატეხილი მწუხარება. — „სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც შენ მიხსენი, ძვირფასო დედა, მე დავბრუნდები საფრანგეთში და მალე მოგეხვევი.“

ჟანა ისე გულმოკლული იყო, გეგონებოდათ არაფრის გაგების თავი არ აქვსო.

ზამთრის დალევს დეიდა ლიზონს, რომელიც სამოცდარვა წლისა იყო, ბრონქიტი დაემართა, რაც ფილტვების ანთებაში გადაიზარდა და მან მშვიდად დალია სული, თან ჩურჩულებდა: „ჩემო საბრალო ჟანა, შევევედრები უფალს, რომ შეგიწყალოს“.

ჟანა მას სასაფლაომდე გაჰყვა; დაინახა, თუ როგორ აყრიდნენ მიწას კუბოზე და თვითონაც სიკვდილი ინატრა, რომ მეტად აღარ დატანჯულიყო და აღარ ეფიქრა; მუხლებში ღონე გამოეცალა და ის-ის იყო უნდა დაცემულიყო, რომ ერთმა ჯანიანმა გლეხის ქალმა ხელი სტაცა, აიყვანა და პატარა ბავშვივით წაიღო.

სახლში დაბრუნებისას ჟანა, რომელმაც ხუთი ღამე გაათია შინაბერას სასთუმალთან, დამორჩილდა ამ უცნობი გლეხი ქალის ალერსიან და ღონიერ ხელებს. ქალმა მაშინვე ჩაწვინა იგი ლოგინში და დაღლილობისა და მწუხარებისაგან მოთენთილმა ჟანამ ღრმად ჩაიძინა.

მას შუაღამისას გაეღვიძა. ღამის ლამპა ბუხარზე ენთო. საკარძელში ეძინა ქალს. ვინ იყო ეს ქალი? ჟანამ ვერ იცნო იგი და საწოლის კიდეზე გადმოიწია, რათა სამზარეულოს ზეთით სავსე ჭიქის ზედაპირზე მცურავი პატრუქის მოციმციმე სინათლეზე უკეთ გაერჩია მისი ნაკვთები.

მას თითქოს სადღაც უნახავს ეს სახე, მაგრამ როდის და სად? ქალს მშვიდად ეძინა, თავი მხარზე ჩამოსწოდა, ჩაჩი კი იატაკზე დავარდნოდა. შესახედავად ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. იგი იყო ჩაფსკვნილი, ღაჟღაჟა, ჯმუხი, ღონიერი გლეხის ქალი. დიდი ხელები საკარძლის ორივე მხარეს ჩამოკიდებოდა. თმები შეჭაღარავებოდა. ჟანა მიშტერებოდა მას და გონება ვერ მოეკრიფა აგზნებული ძილის შემდეგ, რაც თან სდევს

ძლიერ სულიერ შერყევას.

დიახ, ნამდვილად უნახავს ეს სახე! მაგრამ დიდი ხნის წინათ თუ ახლახან? ჟანას არ ახსოვდა და ეს გაურკვევლობა აღელვებდა, აღიზიანებდა მას. იგი ჩუმად ადგა. უფრო ახლოდან რომ შეეხედა მძინარესათვის და თითის წვერებზე მივიდა მასთან. ეს იყო ის ქალი, რომელმაც სასაფლაოზე აიყვანა იგი და შემდეგ ლოგინში ჩააწვინა. ყველაფერი ეს ჟანას ბუნდოვნად მოაგონდა. შეხვედრია კი მას უფრო ადრე, მისი სიცოცხლის სხვა პერიოდში; თუ მისი სახე ახსოვს, მხოლოდ უკანასკნელი დღის ბუნდოვანი შთაბეჭდილებებით? ან როგორ მოხვდა იგი აქ, მის ოთახში? რაგომ?

ქალმა თვალი გაახილა, შეამჩნია ჟანა და სწრაფად წამოხტა, ისინი პირისპირ იდგნენ ისე ახლოს, რომ მკერდით ეხებოდნენ ერთმანეთს. უცნობი ქალი აბუზღუნდა: — როგორ? თქვენ ადექით? თქვენ ხომ ავად გახდებით. ახლავე დაწექით ლოგინში! ჟანამ ჰკითხა: — ვინ ხართ თქვენ?

მაგრამ ქალმა ხელები გაშალა, მერე ჟანას მოეხვია, მამაკაცის ღონით აიტაცა და საწოლზე მიიტანა. როდესაც ჟანა ფრთხილად დააწვინა, დაბლა დაიხარა, თითქმის ზედ დააწვა და უცბად ატირდა, თან გაშმაგებით კოცნიდა ლოყებზე, თმებზე, ცრემლებს აღვრიდა სახეზე და ჩურჩულებდა: — ჩემო საბრალო ქალბატონო, მამზელ ჟანა, ჩემო საბრალო ქალბატონო, მაშ ვეღარ მიცანით?

მაშინ ჟანამ წამოიყვირა: — როზალია, ჩემო გოგო!

იგი კისერზე ჩამოეკიდა, მიეკრა და ჰკოცნიდა, მაგრამ ჩახუტებულნი ახლა ორივენი ტიროდნენ, ერთმანეთში ურევდნენ ცრემლებს და ღონე არ შესწევდათ ერთმანეთს მოშორებოდნენ.

როზალია პირველი დამშვიდდა: — საკმარისია, ჭკუით უნდა იყოთ, — უთხრა მან,

— თორემ გაცივდებით.

მან გასწია და შეუკეცა საბანი, ბალიში ამოუდო თავქვეშ ყოფილ ქალბატონს, რომელიც ისევ ქვითინებდა და ცახცახებდა გონებაში გაღვიძებული ძველი მოგონების გამო.

ბოლოს ჟანამ ჰკითხა: — მაშ ისევ ჩემთან მოხვედი, ჩემო საცოდავო გოგო?

როზალიამ უპასუხა: — ღმერთო ჩემო, როგორ შემეძლო სულ მარტო დამეტოვებინეთ ახლა?

ჟანა ისევ ალაპარაკდა: — აანთე სანთელი, რომ დაგინახო.

სანთელი რომ მოიტანეს, ისინი დიდხანს უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ერთმანეთს. შემდეგ ჟანამ გაუწოდა ხელი თავის ყოფილ მოახლეს და წაიბუტბუტა: — ვერაფრით ვერ გიცნობდი, ჩემო გოგო, შენ ძალიან შეცვლილი ხარ, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემზე მეტად მაინც არა.

როზალია უმზერდა ამ თმათეთრ, გამხდარსა და დამჭკნარ ქალს, რომელიც მან ახალგაზრდა, ლამაზი და ნორჩი დატოვა.

— რაც მართალია მართალია, თქვენ შეიცვალეთ, მადამ ჟანა, არცთუ ასაკის გამო, მაგრამ იმაზეც იფიქრეთ, რომ აი, უკვე ოცდაოთხი წელია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. — უპასუხა როზალიამ.

ისინი გაჩუმდნენ და კვლავ ჩაფიქრდნენ.

— შენ მაინც თუ იყავი ბედნიერი? — წაიჩურჩულა ბოლოს ჟანამ.

ჟანას ეშინოდა, რაიმე მეტად მწარე მოგონება არ გავახსენოთ, და ენის ბორძიკით თქვა: — დიახ... დიახ... ვიყავი... ქალბატონო. სამდურავი არაფერი მაქვს... მე თქვენზე უფრო ბედნიერი აღმოვჩნდი... ნამდვილად. ერთი რამ მიკლავდა მხოლოდ გულს: აქ რომ ვერ დავრჩი...

მან უცბად შეწყვიტა სიტყვა, მიხვდა, რომ დაუფიქრებლად შეეხო წარსულს. მაგრამ ჟანამ ტკბილად უთხრა: — რას იზამ, ჩემო გოგო, ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გინდა, შენც დაქვრივდი ხომ?

შემდეგ ხმა აუკანკალდა და თქვა: — გყავს შენ სხვა... სხვა ბავშვი?

— არა, ქალბატონო.

— ის შენი... შენი შვილი... რა კაცი გახდა? კმაყოფილი ხარ?

— დიახ ქალბატონო, იგი შესანიშნავი ყმაწვილია, მშრომელი, უკვე ექვსი თვეა, რაც

ცოლი შეირთო და ჩემი ფერმა წაიღო, რაკი მე თქვენთან გადმოვედი.

მღელვარებისაგან აცახცახებულმა ჟანამ ჩურჩულით თქვა: — მაშ, შენ აღარ მიმატოვებ, ჩემო გოგო?

როზალიამ, ცოტა არ იყოს, უკმეხად უპასუხა: — არასოდეს, ქალბატონო. მე უკვე მივიღე საჭირო ზომები.

ერთხანს ისინი დადუმდნენ. თავისი სურვილის წინააღმდეგ ჟანა ისევ და ისევ ადარებდა ერთმანეთს მათ ორ ცხოვრებას, მაგრამ ბედის უსამართლო სისასტიკის შერიგებული, გულში სრულებით არ გრძნობდა სიმწარეს. მან მხოლოდ ჰკითხა: — ქმარი კარგად გეპყრობათ?

— ოჰ, ის კარგი ადამიანი იყო, ქალბატონო, გამრჯე და ქონებაც დააგროვა. იგი ჭლექით მოკვდა.

მაშინ ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ჟანა ჩამოჯდა თავის ლოგინზე: — აბა, ყველაფერი მომიყევი, ჩემო გოგო, რაც შენს ცხოვრებას შეეხო. ეს შეამსუბუქებს ჩემს დღევანდელ მდგომარეობას.

როზალიამ ახლოს მისწია სკამი, დაჯდა და დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე, თავის სახლზე, თავის სამყაროზე. იგი დეტალურად იჭრებოდა სოფლელი ხალხისათვის ძვირფას წვრილმანებში, აღწერდა თავის სახლ-კარს, ხანდახან იცინოდა თავის გარდასულ, მაგრამ განვლილ ტკბილ მომენტებთან დაკავშირებულ ამბებზე, თანდათან უმაღლებდა ხმას მთელ სახლში მბრძანებლობას მიჩვეული ფერმერი ქალის მსგავსად. ბოლოს მან თქვა: — ახლა იმდენი ქონება მაქვს, არაფრისა მეშინია.

შემდეგ ცოტა შეცბა და დაბალი ხმით დასძინა: — ეს მაინც თქვენი წყალობაა. და იცოდეთ, თქვენი ჯამაგირი არ მინდა, ო, არა, არავითარ შემთხვევაში! თუ თანახმა არ ხართ, მე წავალ.

ჟანამ ჰკითხა: — როგორ უსასყიდლოდ ხომ არ გსურს მემსახურო?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო. რად მინდა მე თქვენი ფული! ჩემი თითქმის იმდენივე მაქვს, რამდენიც თქვენ. თვითონ თქვენ რა დაგრჩებათ ყველა თქვენი დაგირავებისა და ჩასესხების შემდეგ, როცა პროცენტებიც გადაუხდელია და დღითიდღე იზრდება? არ იცით? არა, ხომ? მაშ მე გეტყვით, მხოლოდ ათი ათასი ფრანკი შემოსავალი დაგრჩებათ, გესმით,

ათი ათასი ფრანკი. მაგრამ მე ძლიერ სწრაფად მოვაგვარებ ყველაფერს.

იგი ისევ ხმამაღლა ალაპარაკდა. მას აღიზიანებდა და აღაშფოთებდა პროცენტების გადაუხდელობა და მოსალოდნელი გაკოტრება. როზალიამ დაინახა, რომ ქალბატონს ტუჩებზე გულისამაჩუყებელმა ღიმილმა გადაურბინა და აღშფოთებით დაუყვირა: — სასაცილო არ არის, ქალბატონო, რადგან ადამიანი უფულოდ არარაობაა.

ჟანამ აიღო მისი ორივე ხელი და აღარ გაუშვა. იგი ერთი განუშორებელი აზრით იყო დატყვევებული და ნელა წარმოთქვა: — მე, მე ბედმა მიმუხთლა. ყველაფერი ცუდად წამივიდა, რაღაც ბედისწერა ცუდად მდევნის.

როზალიამ თავი გააქნია: — ნუ ამბობთ მაგას, ქალბატონო, ნუ. თქვენ ცუდი ქმარი შეგხვდათ, ეს არის და ეს. მერე კიდევ, არ უნდა გათხოვდე ისე, თუ კარგად არ იცნობ საქმროს.

და ისინი განაგრძობდნენ ლაპარაკს თავის თავზე, როგორც ორი ძველი მეგობარი.

მზემ გამოანათა, ისინი კი ისევ საუბრობდნენ.

თავი XII

ერთ კვირაში როზალიამ ხელში ჩაიჭირა ყველა და ყველაფერი სასახლეში, ბედს დამორჩილებული ჟანა გულგრილად დაჰყვა მის ნებას. დაუძლურებული ფეხების თრევით, როგორც ოდესღაც მისი დედიკო, იგი გამოდიოდა მოახლის ხელზე დაყრდნობილი. როზალია ასეირნებდა მას ნელი ნაბიჯით, არიგებდა, მოუხეშო და ალერსიანი სიტყვებით ანუგეშებდა და ისე ეპყრობოდა, როგორც ავადმყოფ ბავშვს.

ისინი ყოველთვის წარსულზე საუბრობდნენ — ჟანა ყელში მობჯენილი ცრემლებით, როზალია კი წმინდა გლეხური სიდინჯით. მოახლე რამდენჯერმე დაუბრუნდა უყურადღებოდ დატოვებული პროცენტების საკითხს. შემდეგ მოითხოვა, რომ საქმეში გაურკვეველ ჟანას მისთვის გადაებარებინა დოკუმენტები, რომლებსაც იგი მალავდა, რადგან რცხვენოდა თავისი შვილის საქციელისა.

ამის შემდეგ ერთი კვირის მანძილზე როზალია ყოველ დღე მიემგზავრებოდა ფეკამპში, რომ ყველაფერი გაერკვია ნაცნობი ნოტარიუსის მეშვეობით.

შემდეგ, ერთ საღამოს, როცა ქალბატონი ლოგინში ჩააწვინა, სასთუმალთან მიუჯდა მას და პირდაპირ უთხრა: — ახლა, როცა დაწექით ქალბატონო, მოდი ვისაუბროთ.

და მან გააცნო მდგომარეობა.

როცა ყველაფერს გადაიხდიდნენ, დარჩებოდა დაახლოებით შვიდი ან რვა ათასი ფრანკი რენტა, მეტი არაფერი.

— რა გაღელვებს, ჩემო გოგო? ვგრძნობ, რომ მალე მოვკვდები. მე ესეც მეყოფა,

— უპასუხა ჟანამ.

მაგრამ როზალია გაჯავრდა.

— თქვენ, ქალბატონო, შეიძლება გეყოთ, მაგრამ ბატონ პოლს არაფერს უტოვებთ?

ჟანა აკანკალდა: — გთხოვ, ნურასოდეს მიხსენებ მას, მე ძლიერ მიმძიმს მასზე ფიქრი.

— პირიქით, მე სწორედ მასზე ვილაპარაკებ, რადგან თქვენ ასეთი გაუბედავი ხართ, მადამ ჟანა. ახლა იგი სისულელეებს სჩადის. კარგი და პატიოსანი, მაგრამ დრო მოვა და ასე არ იქნება, ცოლს შეირთავს, ეყოლება ბავშვები, მათ აღსაზრდელად ფული დასჭირდება. ახლა კარგად მომისმინეთ: ჩინარი უნდა გაყიდოთ!..

ჟანა წამოხტა და ლოგინზე დაჯდა: — გავყიდო ჩინარი! ეს რა გიფიქრია! ო! არასოდეს!

მაგრამ როზალიას წარბიც არ შეუხრია: — მე გეუბნებით, რომ გაჰყიდით მას, ქალბატონო, იმიტომ რომ ასეა საჭირო.

და მან აუხსნა თავისი ანგარიშები, გეგმები, მოსაზრებები.

ჩინარსა და ორ მოსაზღვრე ფერმას თუ გაყიდდა, ხოლო ყიდვის მსურველი იპოვა უკვე, დარჩებოდა სენ-ლეონარის ოთხი ფერმა, რომლებიც გირაოსაგან გამოსყიდვის შემდეგ ყოველწლიურად ათას სამას ფრანკს გადადებენ მომავალი კარ-მიდამოს რემონტისა და წესრიგზე მოსაყვანად. დარჩება შვიდი ათასი ფრანკი, რომელთაგან ხუთი ათასს გაიღებენ წლიური ხარჯისათვის, ორი ათასს კი შეინახავენ სხვა საჭიროებისათვის.

მან დასძინა: — ყველა დანარჩენი გაქრა, ვეღარ დაიბრუნებ. გარდა ამისა, გასაღები მე

მექნება, ეს იცოდეთ, და ბატონი პოლი არაფერს არ მიიღებს, სრულებით არაფერს; იგი თქვენ სულით ხორცამდე გაგცლით.

ჟანამ, რომელიც ჩუმად ტიროდა, ჩურჩულით თქვა: — კი მაგრამ, თუ საჭმელი არ ექნება?

— თუ მოშივდება, ჩვენთან მოვა. მისთვის ყოველთვის მოინახება საწოლიც და საჭმელიც. თავიდანვე რომ არ მიგეცათ მისთვის არც ერთი სუ?

— კი მაგრამ, მას ვალები ჰქონდა და სახელი გაუტყდებოდა.

— როცა არაფერი აღარ გექნებათ, არც ფულს ისესხებს. თქვენ გადაუხადეთ, კარგი, მაგრამ მეტს აღარ გადაუხდით, ამაზე მე ვაგებ პასუხს. ღამე მშვიდობისა, ქალბატონო.

და იგი წავიდა.

ჟანას თვალი არ მოუხუჭავს, მას აძრწუნებდა ფიქრი, რომ ჩინარი უნდა გაეყიდა, წასულიყო აქედან, გამოთხოვებოდა სახლს, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი მისი ცხოვრება: მეორე დღეს, როცა მასთან როზალია შევიდა, უთხრა: — ჩემო გოგო, ვერასოდეს ვერ შეველევი აქაურობას, არ შემიძლია.

მოახლე გაბრაზდა: — სხვანაირად არ შეიძლება, ქალბატონო. საცაა ნოტარიუსი მოვა მყიდველთან ერთად. თუ არა და, ოთხ წელიწადში გაღატაკდებით.

სასოწარკვეთილი ჟანა იმეორებდა: — არ შემიძლია, არა და არა.

ერთი საათის შემდეგ ფოსტალიონმა გადასცა მას პოლის წერილი, რომელსაც კიდევ ათი ათასი ფრანკი უნდოდა. რა ექნა? დაბნეულმა ჟანამ რჩევისათვის როზალიას მიაშურა. მან ხელები გაშალა: — რას გეუბნებოდით, ქალბატონო? ოჰ, რა კარგად იცხოვრებდით ორივენი, მე რომ არ დავბრუნებულიყავი!

ჟანა დაჰყვა მოახლის ნებას და ასე უპასუხა პოლს: „ჩემო ძვირფასო შვილო, შენ მე გამაკოტრე; იძულებული ვარ, ჩინარიც გავყიდო. მაგრამ არ დაივიწყო, რომ შენთვის ყოველთვის მექნება ადგილი, თუკი მოისურვებ თავი შეაფარო შენ მოხუც დედას, რომელსაც ცოტა სიმწარე როდი აგვემე.

ჟანა“

როცა ნოტარიუსი რაფინადის ქარხნის ყოფილ მეპატრონე ბატონ ჟოფრესთან ერთად მოვიდა, ჟანამ თვითონ მიიღო ისინი და წინადადება მისცა, ყველაფერი დეტალურად დაათვალიერეთო.

ერთი თვის შემდეგ მან ხელი მოაწერა გაყიდვის ხელშეკრულებას და იმავე დროს გოდერვილის ახლოს, მონტივილიერის დიდ გზაზე, სოფელ ბატვილში იყიდა პატარა, ქალაქის ტიპის სახლი.

შემდეგ სულ მარტო საღამომდე ისეირნა დედიკოს ხეივანში, განადგურებული და გონებაარეული, იგი ტირილით გულამოჭდარი, იმედდაკარგული ეძშვიდობებოდა ჰორიზონტს, ხეებს, ჭიით დახრულ სკამს ჭადრის ძირში, ყველაფერს, რასაც ასე მიეჩვია მისი მზერა, რაც თითქოს შეეზარდა შეგნებასა და სულს. ჟანა ეთხოვებოდა წარაფს, ქვიშიან ფერდობებს, სადაც იგი ასე ხშირად იჯდა, საიდანაც ხედავდა, როგორ გარბოდა ზღვისკენ გრაფი დე ფურვილი ჟულიენის სიკვდილის საშინელ დღეს, კენწერო ჩამოტეხილ ბერ თელას, რომელსაც ხშირად ეყრდნობოდა, და მთელ ამ მშობლიურ ბაღს.

მივიდა როზალია, მოჰკიდა ხელი ჟანას და ძალით წაიყვანა სახლში.

პარმაღთან ოცდახუთი წლის მაღალი გლეხი იცდიდა. იგი მეგობრულად, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, ისე მიესალმა ჟანას.

— გამარჯობათ, მადამ ჟანა, როგორ ბრძანდებით? დედაჩემმა დამავალა მოვსულიყავი გადასვლასთან დაკავშირებით. მინდა ვიცოდე, თან რა მიგაქვთ. ჩემთვის უფრო იოლია, თანდათანობით გადავიტანო ისინი, მინდვრის სამუშაოში რომ ხელი არ შემიშალოს.

ეს იყო მისი მოახლის შვილი, ჟულიენის შვილი, პოლის ძმა.

ჟანამ იგრძნო, რომ გული უჩერდებოდა; ამავე დროს უნდოდა გადაეკოცნა ეს ყმაწვილი.

იგი ათვალიერებდა მას, ეძებდა მსგავსებას თავის ქმარსა და შვილთან. ყმაწვილი იყო ღაჟღაჟა, ღონიერი, დედასავით ქერათმიანი და ცისფერთვალება. და სადღაც იგი ჟულიენსაც მოგაგონებდათ. რით? როგორ? ეს აღარ იცოდა, მაგრამ რაღაც საერთო ჰქონდა ჟულიენის გარეგნობასთან.

— ახლავე რომ მაჩვენებდეთ რა არის გადასატანი, დიდად დამავალებდით ,-

გაიმეორა ბიჭმა.

მაგრამ ჟანამ ჯერ თვითონაც არ იცოდა რას წაიღებდა, რადგან მისი ახალი სახლი მეტად პატარა იყო და სთხოვა, კვირის დამლევს მოდიო.

სხვა ბინაზე გადასვლამ გაართო ჟანა და მისი უღიმღამო და უიმედო ცხოვრებაში ნაღვლიანი ხალისი შეიტანა.

ივი ოთახიდან ოთახში დადიოდა და არჩევდა ნივთებს, რომლებიც რაიმე ამბავს აგონებდნენ, იმ ძვირფას ნივთებს, ჩვენი ცხოვრების ნაწილი რომ ხდებიან, კინაღამ თვით ჩვენი არსების ნაწილიც კი; ნივთებს, რომლებსაც ბავშვობიდან ვიცნობთ და დაკავშირებული არიან სასიხარულო თუ სამწუხარო მოგონებებთან, ჩვენი ცხოვრების მომენტებთან. ჩვენი ტკბილი თუ სევდიანი წუთების მუნჯი თანამგზავრები, ისინი მოძველდნენ, გაიცვითნენ ჩვენს გვერდით, მათი გადასაკრავებიც ადგილ-ადგილ გასკდა, სარჩული დაიხა, სამაგრები მოირყა საღებავი გახუნდა.

ჟანა არჩევდა მათ ერთიმეორეზე, ხშირად ყოყმანობდა და ისე ღელავდა, თითქოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას იღებდა და ყოველ წუთს იცვლიდა აზრს, ვერ გადაეწყვიტა ორი სავარძლიდან რომელი აერჩია, ძველი სეკრეტორი სჯობდა თუ ძველებური სამუშაო მაგიდა.

ივი აღებდა უჯრებს, ყველაფერში ეძებდა მოგონებებს; ბოლოს, როცა მტკიცედ იტყოდა: „დიახ, ამას წავიღებ“, ამორჩეული საგანი სასადილო ოთახში გადაჰქონდათ.

ჟანამ მოინდომა შეენარჩუნებინა თავისი ოთახის მთელი მოწყობილობა: საწოლი, შპალერი, საათი ერთი სიტყვით, ყველაფერი.

სასტუმროდან მან წაიღო რამდენიმე სავარძელი, ისინი, რომელთა ნახატები ბავშვობიდანვე უყვარდა: მელია და ყარყატი, ყვავი და მელია, ჭრიჭინა და ჭიანჭველა, სევდიანი ყანჩა.

შემდეგ ჟანამ მოიარა თავისი მშობლიური საცხოვრებელი სახლის ყველა კუნჭული, რომელიც ის-ის იყო უნდა დაეტოვებინა, და ერთხელ სხვენზეც ავიდა.

მოულოდნელობისაგან ჟანა სახტად დარჩა, სულ სხვადასხვა საგნების ქაოსი რომ დაინახა: ერთნი დამსხვრეულნი, მეორენი მხოლოდ გაჭუჭყიანებულნი. მესამენი რაღაც

უცნობი მიზეზით ამოტანილნი, შეიძლება იმიტომ, რომ მობეზრდათ, ან იმიტომ, რომ სხვებით შეცვალეს. იგი წარამარა აწყდებოდა ათასნაირ სამშვენისებს, რომლებსაც განუწყვეტლივ ხედავდა ოდესღაც, სანამ უეცრად, მისთვის შეუმჩნევლად არ გაქრებოდნენ: აწყდებოდა ყოველდღიურ სახმარ უბრალო ნივთებს, ძველ პატარ-პატარა უმნიშვნელო საგნებს, თხუთმეტი წლის განმავლობაში გარს რომ ეხვივნენ და რომელთაც ყოველდღე ხედავდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა. ახლა აქ, ამ სხვენზე, უფრო მოძველებული სხვა საგნების გვერდით, რომლებიც ჩინარში ჩამოსვლის დღიდანვე მშვენივრად ახსოვდა, ამ წვრილმანებმა შეიძინეს მივიწყებული მოწმეების ან კიდევ ხელახლა ნაპოვნი მეგობრების მნიშვნელობა. ისინი თითქოს ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც დიდი ხანია ხვდები, მაგრამ სრულებით არ იცნობ, ვიდრე ერთ საღამოს სრულიად უმნიშვნელო საბაბით არ ალაპარაკდებიან და არ გადაგიშლიან თავისი სულის სავსებით მოულოდნელ მხარეებს.

ჟანა ერთი საგნიდან მეორეზე გულის ფანცქალით გადადიოდა და თავისთვის ამბობდა: „აი, ეს ჩინური ფინჯანი ერთ საღამოს ხელიდან გამივარდა და გაიბზარა. ეს იყო ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე. ო! აი, დედიკოს პატარა ფარანი და ჯოხი, რომელიც მამიკომ გატეხა, როცა წვიმით გაფართოებული კარის გაღებას ცდილობდა“.

აქ იყო აგრეთვე ბევრი რამ, რომლებიც ჟანამ არ იცოდა და არაფერს აგონებდნენ. ისინი ალბათ, ბებიამ და ბაბუამ ან კიდევ მათმა წინაპრებმა დატოვეს: ეს იყო დამტვერილი, დრომოჭმული საგნები, თითქოს ნაღველით სავსენი იმის გამო, რომ ასე უპატრონოდ მიუგდიათ და არავინ იცოდა არც მათი ისტორია, არც თავგადასავალი, რადგან არავის უნახავს ის პირები, ვინც ეს ნივთები ამოირჩია, იყიდა, ვინც ფლობდა მათ, უყვარდა ისინი; არავის ახსოვდა ის ხელები, რომლებიც ყოველდღიურად ეხებოდნენ მათ, არც ის თვალები, რომლებიც ტკბებოდნენ მათი ცქერით.

ჟანა ხელში იღებდა ამ საგნებს, აგრიალებდა და თავისი თითებით ანაბეჭდს ტოვებდა მტვრის სქელ ფენაზე; ასე იდგა იგი იქ, ხარახურას შორის დღის მკრთალ სინათლეზე, რომელიც სახურავის კვადრატული ფანჯრებიდან შემოდიოდა.

იგი გულმოდგინედ ათვალიერებდა სამფეხა სკამებს და ფიქრობდა, ხომ არ მოაგონებდა ისინი რამეს. მერე წააწყდა სპილენძის სათბურას, გაჭყლეტილ მაყალს, რომელიც ნაცნობი ეჩვენა, და ხმარებიდან გამოსული საოჯახო ჭურჭლეულის მთელ გროვას.

შემდეგ მან ერთად შეაგროვა ის ნივთები, რომელთა წაღება მოისურვა, ძირს ჩამოვიდა და როზალია გაგზავნა მათ მოსატანად. აღშფოთებულმა მოახლემ უარი თქვა გადმოეტანა

„ეს ხარახურა“, მაგრამ ჟანამ, რომელსაც თითქოს აღარ შერჩა არავითარი ნებისყოფა, ამჯერად სიმტკიცე გამოიჩინა და მოახლე იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

ერთხელ, დილით, ახალგაზრდა ფერმერმა, ჟულიენის შვილმა, დენი ლეკოკმა თავისი ურიკა მოაგორა პირველი რეისისათვის. როზალია თან წაჰყვა, რათა თვალყური ედევნებინა ბარგის გადმოტანისათვის და ავეჯი თავ-თავის ადგილზე დაელაგებინა იმ სახლში, რომელიც მათ უნდა დაეკავებინათ.

მარტო დარჩენილი ჟანა საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და ხეტიალი დაიწყო სახლში. იქაურობის სიყვარულით გრძნობა მორეული, იგი, ყველაფერს კოცნიდა, რისი წაღებაც არ შეეძლო. დიდ თეთრ ჩიტებს სასტუმრო ოთახის შპალერზე, ძველებურ შანდლებს, ყველაფერს, რაც კი თვალში მოხვდებოდა. იგი შეშლილივით დადიოდა ოთახიდან ოთახში და ცრემლად იღვრებოდა. შემდეგ წავიდა ზღვასთან დასამშვიდობებლად.

ეს იყო სექტემბრის დამლევს. ჩამოწოლილი ნაცრისფერი ცა თითქოს დედამიწას დამხობოდა. უხალისო, მოყვითალო ტალღები უკიდეგანო შორეთში იკარგებოდნენ. ჟანა დიდხანს იდგა თხემზე და თავში მტანჯველი ფიქრები უტრიალებდა. ბოლოს, რაკი ღამდებოდა, უკანვე დაბრუნდა. ჟანა ამ დღეს არანაკლებ გაიტანჯა, ვიდრე თავისი უდიდესი მწუხარების დღეებში.

როზალია დაბრუნებულიყო და უცდიდა მას. ახალი სახლით მოხიბლული მოახლე ამტკიცებდა, რომ იგი გაცილებით ხალისიანია, ვიდრე ეს ვეებერთელა კიდობანი, რომლის ახლოს გზაც კი არ გადისო.

ჟანა მთელი საღამო ტიროდა.

როგორც კი გაიგეს, მამული გაყიდაო, ფერმერები ჟანასადმი იმდენ თავაზიანობას იჩენდნენ, რამდენიც სავალდებულო იყო, ერთმანეთში კი „შეშლილს“ ეძახდნენ მას, არც კი იცოდნენ, რისთვის, ალბათ იმიტომ, რომ რაღაც ინსტინქტით ხვდებოდნენ მის ავადმყოფურ და განუწყვეტლივ მზარდ მგრძნობელობას, მის მგზნებარე ოცნებებს, მისი საბრალო, უბედურებით შერყეული სულის მღელვარებას.

გამგზავრების წინა დღეს ჟანამ შემთხვევით შეიხედა თავლაში, რაღაც ღრენამ შეაკრთო იგი. ეს იყო მასაკრი, რომელიც მან მიივიწყა უკანასკნელ თვეებში, ბრმა და დამბლიანი იგი იმ ასაკში იყო, რომელსაც ძაღლები ჩვეულებრივ ვერ აღწევენ, და თავის სიცოცხლეს უაზროდ

ამთავრებდა ჩალის საფენზე. მას ლუდივინა ანებივრებდა მზრუნველობას არ აკლებდა. ჟანამ იგი ხელში აიყვანა, აკოცა და სახლში წაიღო. იგი კასრივით გასივდა, ძლივს დახოხავდა თავის გაფარჩხულ და გაშეშებულ თათებზე და ხის სათამაშო ძაღლივით ჰყეფდა.

უკანასკნელი დღეც გათენდა. ჟანას ჟულიენის ყოფილ ოთახში ეძინა, რადგან მისი საძინებლიდან ავეჯი უკვე გაიტანეს.

იგი ლოგინიდან გაწამებული და დამტვრეული ადგა, როგორც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ. საზიდარი, რომელზეც საგზაო სკივრები და დარჩეული ავეჯი ეწყო, უკვე დატვირთული იდგა ეზოში. მეორე ურიკას, ორთვალას უკან რომ იდგა, ქალბატონი და მოახლე უნდა წაეყვანა.

ბიძია სიმონი და ლუდივინა მარტო რჩებოდნენ ახალი მფლობელის მოსვლამდე, შემდეგ კი ნათესავებში დაბრუნდებოდნენ, რადგანაც მათ ჟანამ მცირე წლიური რენტა გამოუყო. გარდა ამისა, მათ საკუთარი დანაზოგიც ჰქონდათ. ისინი უკვე დაჩაჩანაკებული, დაბერებული მსახურები იყვნენ, გამოუდეგარი და ყბედები. მარიუსმა ცოლი შეირთო და დიდი ხანია დატოვა ეს სახლი.

რვა საათისთვის წამოვიდა წვიმა, წვრილი და ცივი წვიმა, რომელიც ზღვის მსუბუქ ნიავს მოჰქონდა. საჭირო გახდა ურიკა ტილოთი გადაეხურათ. ხეებს ფოთლები უკვე ჩამოცვივდა.

სამზარეულოს მაგიდაზე რძიანი ყავით სავსე ფინჯნებს ორთქლი ასდიოდა. ჟანამ თავისი აიღო და დალია პატარ-პატარა ყლუპებით. შემდეგ ადგა და თქვა:

— წავედით.

მან დაიხურა ქუდი, მოისხა შალი და, სანამ როზალია კალოშებს აცმევდა, ცრემლმორეულმა თქვა: — გახსოვს, ჩემო კარგო, როგორ წვიმდა, როცა რუანიდან აქ მოვემგზავრებოდით?

მაგრამ ამ დროს სპაზმამ წაუჭირა გულში, ორივე ხელი მკერდზე მიიჭირა და გულაღმა უგრძნობლად დაეცა.

ერთ საათზე მეტი მკვდარივით ეგდო; შემდეგ გაახილა თვალები, დააწყებინა კრუნჩხვები და ღაპაღუპით წამოცვივდა ცრემლები.

როცა ოდნავ დაწყნარდა, ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ ვერ ადგა, მაგრამ როზალიას შეეშინდა, მეორედ არ მოუვიდეს შეტევა, თუ გამგზავრება დავაყოვნეთო, და შვილი მოძებნა. მათ აიყვანეს ჟანა, წაიღეს და ურიკაში დასვეს გასანთლული ტყავით გადაკრულ ხის სკამზე. მოხუცი მოახლე ჟანას გვერდით დაჯდა, ფეხები დაუთბუნა, მხრებზე თბილი ლაბადა მოახურა, შემდეგ მაღლა დაუჭირა გაშლილი ქოლგა და დაიყვირა: — მალე, დენი, მალე წავიდეთ აქედან.

ყმაწვილი კაცი ავიდა დედამისის გვერდით, ადგილის უქონლობის გამო გვერდულად ჩამოჯდა და ისეთი სისწრაფით გარეკა ცხენები, რომ ძლიერი ბიძგები ორივე ქალს სკამზე ახტუნებდა.

როცა კუთხეში შეუხვიეს და სოფელში გავიდნენ, შეამჩნიეს, რომ ვიღაც წინ და უკან დადიოდა გზაზე. ეს იყო აბატი ტოლბაიკი. როგორც ჩანდა, იგი მათ უდარაჯებდა.

მღვდელი შეჩერდა, გზა დაუთმო ეტლს. იმის შიშით, ტლაპოში არ დამესვაროსო, აბატს ანაფორა აეკაპიწებინა, ხოლო მის ქვემოთ მოჩანდა შავ წინდებიანი, გამხდარი ფეხები, რომლებზეც ვეებერთელა ტალახიანი ფეხსაცმელები წამოეცვა.

ჟანამ თვალები დახარა, რომ მისთვის არ შეეხედა. როზალია კი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, გაცოფდა და აბუზღუნდა: „სოფლის ტეტია, გაუთლელი!“ შემდეგ ხელი წაავლო შვილს: — გადაუჭირე ერთი მაგას მათრახი.

მაგრამ მღვდელს რომ გაუსწორდა, დენიმ თავისი ორთვალას ბორბლები მთელი სისწრაფით უცბად გადაატარა ღრანტეზე და თქრიალით ამოხეთქილმა ტალახის ღვარმა თავიდან ფეხებამდე დაფარა ეს ღვთის მსახური.

გახარებული როზალია შემობრუნდა, მუშტით ემუქრებოდა მას, სანამ იგი თავისი დიდი ცხვირსახოცით ტალახს იწმენდდა.

ისინი უკვე ხუთი წუთი იყვნენ გზაში, როცა ჟანამ უეცრად წამოიყვირა:

— მასაკრი რომ დაგვრჩა!

დენიმ ცხენი გააჩერა და ძაღლის მოსაყვანად გაიქცა, მანამ კი როზალიამ სადავეები დაიკავა.

როგორც იქნა, დენი გამოჩნდა. მას ხელში ეჭირა გასივებული უფორმო, გაქუცული ცხოველი, რომელიც ქალების ფეხებთან დასვა.

თავი XIII

ორი საათის შემდეგ ეტლი გაჩერდა პატარა ავურის სახლის წინ, რომელიც გზის პირას ხეხილის ბაღის შუაში იდგა. ბაღში გაშენებული გასხლული მსხლის თვითოეული ხე თავის ფორმით სართავ ჯარას მოგაგონებდათ.

ოთხი ცხაურიანი ტალავერი, რომლებსაც ჩიტისვაშლა და კატაბარდა შემოხვეოდათ, ბაღის ოთხ კუთხეს ქმნიდა. ბაღი დაყოფილი იყო მწვანილის პატარ-პატარა ოთხკუთხედ კვლებად, რომელთა შორის ხეხილით შემორგული ბილიკები გადიოდა.

ძლიერ მაღალი ცოცხალი მესერი ყოველი მხრიდან გარს ერტყა ამ სახლ-კარს. მეზობელი ფერმისაგან მას ჰყოფდა მინდორი. გზაზე, ას ნაბიჯზე მის წინ, სამჭედლო იყო. სხვა საცხოვრებელი სახლები ერთ კილომეტრზე ახლოს არ იყო.

ირგვლივ ჩანდა ფერმებით მოფენილი კოს დაბლობის ხედი, სადაც მაღალი ხეების ოთხი ორმაგი რიგი გარს შემოხვეოდა ეზოს.

ჩამოსვლისთანავე ჟანამ დაწოლა მოისურვა, მაგრამ როზალიამ არ დაანება, ეშინოდა, ისევ არ დანაღვლიანდესო.

ბინის მოსაწყობად გოდერვილიდან გამოძახებული დურგალი მისულიყო. მაშინვე შეუდგნენ უკვე ჩამოტანილი ავეჯის განლაგებას და ელოდებოდნენ უკანასკნელ ურიკას, რომელიც სადაც იყო ჩამოვიდოდა.

სამუშაო სერიოზული იყო და მოითხოვდა დიდ ფიქრსა და დაკვირვებას.

ერთ საათში უკანასკნელი ურიკა ღობესთან გაჩერდა. იგი წვიმაში გადმოტვირთეს.

როცა დაღამდა, სახლში სრული უწესრიგობა სუფევდა, ავეჯი მიყრილ-მოყრილი იყო. ღონემიხდილმა ჟანამ დაწოლისთანავე ჩაიძინა.

შემდეგ დღეებში ჟანა ისე გადაიტვირთა საქმეებით, რომ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. იგი კიდევაც გაიტაცა ახალი საცხოვრებლის მორთვამ, რადგანა აკვიატებული აზრი, რომ

შვილი აქ დაბრუნდებოდა, გამუდმებით თან სდევდა. მისი ყოფილი ოთახის შპალერი გააკრეს სასადილო ოთახში, რომელიც ამავე დროს სასტუმრო ოთახიც იყო. საგანგებოდ გააწყო მან მეორე სართულის ორი ოთახის ერთ-ერთი ოთახი, რომელსაც გულში "პულეს საძინებელი" უწოდა.

მეორე ოთახი თვითონ დაიჭირა, როზალია კი ზევით, სხვენის გვერდით მოთავსდა.

გულდასმით მორთული პატარა სახლი ძლიერ მომხიბვლელი აღმოჩნდა. ჟანას იგი თავიდანვე მოეწონა. თუმცა რაღაც მაინც აკლდა მაგრამ რა — თვითონაც არ იცოდა.

ერთ დილით ნოტარიუსის კლერკმა ფეკამპიდან მოიტანა სამი ათას ექვსასი ფრანკი, საფასური ჩინარში დატოვებული ნივთებისა, რომლებიც ავეჯის ვაჭარს შეუფასებია. ამ ფულის მიღება ჟანას ისე ესიამოვნა, რომ სიხარულისგან ცახცახებდა. როგორც კი კლერკი წავიდა, მან სასწრაფოდ დაიხურა შლაპა და გოდერვილში წასასვლელად მოემზადა, რათა რაც შეიძლება მალე გადაეგზავნა პოლისათვის ეს მოულოდნელი შემოსავალი.

მაგრამ როცა იგი დიდ გზაზე მიიჩქაროდა, ბაზრიდან მომავალი როზალია შეხვდა. მოახლეს ეჭვმა გაუელვა, თუმცა ხეირიანად ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. სიმართლე რომ შეიტყო, რომელიც ჟანამ ვერ დაუმალა, როზალიამ მიწაზე დადგა თავისი კალათი, თავისუფლად რომ გამოევლინებინა აღშფოთება.

მან დოინჯი შემოიდო და აყვირდა, შემდეგ მარჯვენა ხელი მოჰკიდა თავის ქალბატონს, მარცხენა ხელში კი კალათი დაიჭირა და საშინლად გაჯავრებული, სახლისაკენ გაემართა.

შინ დაბრუნებისთანავე მოახლემ ფული მოსთხოვა, ჟანამ გადამალა ექვსასი ფრანკი და მისცა სამი ათასი, მაგრამ როზალიამ ეჭვი აიღო და მაშინვე გამოამჟღავნა მისი ეშმაკობა. ჟანამ დანარჩენიც მისცა.

ბოლოს როზალია მაინც დაეთანხმა, რომ ეს დარჩენილი თანხა პოლისათვის გაეგზავნათ.

რამდენიმე დღეში მისგან მადლობა მიიღეს.

„შენ დიდი სამსახური გამიწიე ჩემო ძვირფასო დედა, რადგან ჩვენ უკიდურეს გაჭირვებაში ვიყავით".

ჟანა ბატვილს ვერა და ვერ შეეჩვია; მას გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ აქ ისევე ვერ სუნთქავდა, როგორც ყოფილ სახლში, რომ უფრო გრძნობდა მარტოობას, უფრო მივიწყებული და განწირული იყო. ჟანა სასეირნოდ გამოდიოდა, მიდიოდა სოფელ ვერნელამდე და უკან ბრუნდებოდა ტრუა-მარის გავლით. შინ რომ მოდიოდა, ისევ დგებოდა. და გული წასასვლელად მიუწევდა, თითქოს დაავიწყდა სწორედ იმ ადგილას მისვლა, რომელიც უნდა ენახა და სადაც უნდა ესეირნა.

ეს მეორდებოდა ყოველდღე და ჟანას ვერ გაეგო ამ უცნაური მოთხოვნილების მიზეზი. მაგრამ ერთ საღამოს ჟანას უნებლიედ წამოსცდა ფრაზა, რომელმაც გაუხსნა თავისი მოუსვენრობის საიდუმლოება. სადილს რომ უნდა შედგომოდა, მან თქვა: „ოჰ! როგორ მინდა ვნახო ზღვა!" ის, რაც ასე ძლიერ აკლდა იყო ზღვა, მისი დიადი მეზობელი ოცდახუთი წლის მანძილზე. ზღვა თავისი მარილიანი ჰაერით, თავისი ბრაზ მორევით, თავისი გრიალა ხმით და ძლიერი სუნთქვით, ზღვა, რომელსაც ყოველ დილით ხედავდა იგი თავისი ფანჯრიდან ჩინარში, რითაც სუნთქავდა დღე და ღამე, რომელსაც მუდამ გვერდით გრძნობდა და რომელიც უნებლიედ შეიყვარა, როგორც ცოცხალი ადამიანი.

მასაკრსაც უკიდურესად აგზნებული ცხოვრება ჰქონდა. პირველივე საღამოს მან მოიკალათა სამზარეულოში ჭურჭლეულის განჯინის ფეხებთან და მისი იქიდან დაძვრა შეუძლებელი იყო. იგი იქ იწვა მთელ დღეს, თითქმის უძრავად, მხოლოდ დროდადრო გადაბრუნდებოდა ხოლმე ყრუ ღრენით.

მაგრამ შეღამდებოდა თუ არა, იგი დგებოდა და კედელ-კედელ მილასლასებდა ბაღის ჭიშკრისაკენ. გარეთ იმდენხანს რჩებოდა, რამდენიც ესაჭიროებოდა, დაბრუნდებოდა, უკანა ფეხებზე დაჯდებოდა ჯერ კიდევ ცხელი ღუმელის წინ და როგორც კი ორივე დიასახლისი დასაძინებლად წავიდოდა, ყმუილს დაიწყებდა.

და ასე ყმუოდა მთელ ღამეს საწყალი, გულშემზარავი ხმით. ზოგჯერ მთელი საათით შეჩერდებოდა და ხელახლა უფრო გამაყრუებელი ხმით ყმუოდა. იგი ხუხულაში მოათავსეს სახლის წინ, ახლა ფანჯრების ქვემოდან ისმოდა მისი ყმუილი. შემდეგ, რაკი სულ უღონო იყო და სიკვდილის პირას მისული ისევ სამზარეულოში გადაიყვანეს.

ჟანას სულ არ ეძინა. იგი უსმენდა როგორ გამუდმებით ხვნეშოდა და იფხაჭნებოდა ბებერი პირუტყვი, რომელიც ვერ ეგუებოდა ახალ ბინას და ჩინებულად ხვდებოდა, რომ შინ აღარ იყო.

ვერაფერი აშოშმინებდა მას. დღისით იგი თვლემდა, თითქოს ჩამქრალი თვალები და უძლურების შეგრძნება ხელს უშლიდა მოძრაობაში მაშინ, როცა ყველა ცოცხალი არსება ფუსფუსებს და იჩქარის, სამაგიეროდ, შეღამდებოდა თუ არა, ხეტიალს იწყებდა, თითქოს სიცოცხლესა და მოძრაობას ბედავდა მხოლოდ წყვდიადში, როცა ყველა სულდგმული ბრმავდება.

ერთ დილას ძაღლი მკვდარი ნახეს. ეს დიდი შვება იყო.

მოდიოდა ზამთარი; ჟანას დაუძლეველი სასოწარკვეთილება დაეუფლა, ეს არ იყო მწვავე ტკივილი, რომელიც თითქოს ღრღნის სულს, არა ეს იყო ნაღვლიანი და მძიმე კაეშანი.

არაფერი არ ართობდა და არ აფხიზლებდა მას. არავის არ ეცალა მისთვის. მის ახალი სახლის მარცხნივ და მარჯვნივ გადიოდა თითქმის ყოველთვის დაცარიელებული დიდი გზა. დროდადრო გაწითლებული მეეტლე თუ ჩაიქროლებდა მსუბუქი ორთვალა ეტლით. მისი ცისფერი ბლუზა ქარისაგან ზურგზე ბურთივით იბერებოდა; ზოგჯერ ზლაზვნით ჩაივლიდა ფორანი, ან კიდევ შორიდან გამოჩნდებოდა წყვილი გლეხი, კაცი და ქალი, რომლებიც ჰორიზონტზე პატარა ჩანდნენ, სახლთან მოახლოების კვალობაზე იზრდებოდნენ, მაგრამ სახლს რომ ჩაივლიდნენ, ისევ პატარავდებოდნენ და ბოლოს ორ მწერს ემსგავსებოდნენ გზის დასალიერზე. გზისა, რომლის ნათელი ზოლი თვალუწვდენელ შორეთში მიემართებოდა, თვალთაგან იკარგებოდა და ადი— ჩამოდიოდა ველის ტალღისებური მდებარეობის მიხედვით.

როცა ბალახი ისევ ამოიწვერა, ერთი მოკლეკაბიანი გოგონა ყოველ დილით ღობის წინ ჩაატარებდა ხოლმე ორ გამხდარ ძროხას, რომელიც გზისპირა თხრილების გასწვრივ ძოვდნენ. საღამოს გოგონა ძროხებთან ერთად ბრუნდებოდა. თვითონაც ფეხათრევით მოდიოდა, მოიზლაზნებოდა.

ჟანას ყოველ ღამე ესიზმრებოდა, რომ ისევ ჩინარში ცხოვრობდა...

იგი კვლავ იქ ხედავდა თავის თავს მამასა და დედიკოსთან ერთად, ზოგჯერ დეიდა ლიზონსაც კი; იგონებდა იმას, რაც წავიდა და დავიწყებას მიეცა; ეგონა, რომ ისევ ატარებდა მადამ ადელაიდას მის ხეივანში და ყოველი გამოღვიძებისას ცრემლები ახრჩობდა.

ჟანა გამუდმებით პოლზე ფიქრობდა და თავის თავს ეკითხებოდა: „რას აკეთებს იგი? როგორია ის ახლა? იშვიათად მაინც თუ ვაგონდები?" ფერმებს შორის გატკეპნილ ბილიკებზე

სეირნობის დროს თავში უტრიალებდა ეს მტანჯველი ფიქრები. მაგრამ განსაკუთრებით აწამებდა დაუცხრომელი ეჭვი იმ უცნობი ქალისადმი, რომელმაც შვილი წაართვა. მხოლოდ ეს სიძულვილი აკავებდა მას, ხელს უშლიდა ემოქმედა, საძებრად წასულიყო, შეეღწია მის ბინაში. მას სულ ეჩვენებოდა, რომ კარებთან შეხვდებოდა შვილის საყვარელი, რომელიც შეეკითხებოდა: „რა გნებავთ, აქ ქალბატონო,?“ მის დედურ სიამაყეს აღშფოთებდა ასეთი შეხვედრა და ამპარტავნული ქედმაღლობა შეუბღალავად უმწიკლო და მუდამ უბიწო ქალისა მასში აღვივებდა რისხვას მამაკაცის უნამუსობისადმი, ბილწი ხორციელი სიყვარულისადმი, რომელიც მონად აქცევს ადამიანს და თვით გულსაც კი რყვნის. მას ეზიზღებოდა მთელი კაცობრიობა, როცა ფიქრობდა, ავხორცობის ყველა ბინძურ საიდუმლოებაზე, დამამცირებელ ალერსზე, მამაკაცთა და ქალთა შორის მტკიცე კავშირის გამოცანაზე.

კიდევ გავიდა გაზაფხული და ზაფხული. მაგრამ როცა შემოდგომა დადგა და თან მოიტანა განუწყვეტელი წვიმები, მონაცრისფერო ცა და ბნელი ღრუბლები, ჟანას ისე მობეზრდა ასეთი ცხოვრება, რომ გადაწყვიტა უკანასკნელი ღონე ეხმარა პულეს დასაბრუნებლად.

ახალგაზრდა კაცს ვნებათა ღელვა, ალბათ, უკვე დაუცხრა. და მან შვილს მისწერა ცრემლიანი წერილი.

„ჩემო ძვირფასო შვილო, გემუდარები, დამიბრუნდი, გაიხსენე რომ მე, მოხუცი და ავადმყოფი სულ მარტო ვარ მთელი წლების მანძილზე ერთ მოახლე ქალთან ერთად. ახლა ვცხოვრობ პატარა სახლში, ზედ გზასთან. ეს ძალიან მოსაწყენია, მაგრამ შენ რომ დამიბრუნდებოდე, ყველაფერი შეიცვლებოდა. მე მხოლოდ შენღა მყავხარ ამ ქვეყნად და მთელი შვიდი წელია არ მინახიხარ! შენ ვერც წარმოიდგენ, რა ტანჯვა გავიარე და რამდენჯერ შენით დამიმშვიდებია გული. შენ იყავი ჩემი სიცოცხლე, ჩემი ოცნება, ჩემი ერთადერთი იმედი, ერთადერთი სიყვარული, შენ კი ჩემთან არა ხარ, მიმატოვე!

დამიბრუნდი, ჩემო პატარა პულე, დაბრუნდი და გულში ჩამეკარი შენს მოხუც დედას, რომელიც იმედდაკარგული გიწვდის ხელს.

ჟანა“

პოლმა რამდენიმე დღის შემდეგ უპასუხა: „ჩემო ძვირფასო დედა ვერაფერს ვინატრებდი უკეთესს, ვიდრე შენი ნახვაა, მაგრამ ერთი სუც კი არა მაქვს. გამომიგზავნე ცოტა ფული და ჩამოვალ. თუმცა მე თვითონ მინდა მენახე და მოგლაპარაკებოდი ერთი ჩემი განზრახვის

შესახებ, რომელიც საშულებას მომცემდა შემესრულებინა შენი თხოვნა.

იმ ქალის უანგარობა და სიყვარული, რომელიც ჩემი ერთგული იყო გადატანილ მძიმე დღეებში, უსაზღვროა. უკვე აღარ შემიძლია ამ მდგომარეობაში დავრჩე და თავი ავარიდო მისი ერთგული სიყვარულისა და თავგანწირულობის საჯარო აღიარებას. მას ძალიან კარგი ჩვევები აქვს, რასაც შენ, ეჭვი არ მეპარება დააფასებ, ამავე დროს, იგი ძალიან განათლებულია, ბევრს კითხულობს და ბოლოს, შენ ოდნავადაც ვერ წარმოიდგენ, რა იყო იგი მუდამ ჩემთვის. მე არამზადა ვიქნები თუ ჩემს მადლიერებას არ დავუმტკიცებ მას, ამრიგად, გთხოვ ნება დამრთო ჯვარი დავიწერო მასზე. ჩემს შეცდომებსაც მაპატიებდი და ყველანი ერთად ვიცხოვრებდით შენს ახალ სახლში.

შენ რომ მას იცნობდე დაუყოვნებლივ დამეთანხმებოდი. გარწმუნებ, რომ იგი ყველაფრით სრულყოფილი და კეთილშობილია. შენ უეჭველად შეიყვარებ მას. რაც შემეხება მე უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლია.

მოუთმენლად ველი შენს პასუხს, ჩემო ძვირფასო დედა და ორივენი მთელი გულით გკოცნით, შენი შვილი

ვიკონტი პოლ დე ლამარი“.

ჟანას თავზარი დაეცა. წერილი მუხლებზე დაიდო და გაშეშდა. იგი მიხვდა იმ ქალის ოინებს, რომელმაც ისე ჩაიჭირა ხელში მისი შვილი, რომ ერთხელაც არ გამოუშვა დედასთან და რომელიც ელოდებოდა მომენტს, მოხერხებულ დროს, როცა სასოწარკვეთილი მოხუცი, დასუსტებული დედა ვეღარ გაუძლებდა ცდუნებას გულში ჩაეკრა შვილი და შეურიგდებოდა ყველაფერს.

და საშინელი სევდა, რაც პოლის უდრეკმა პატივისცემამ გამოიწვია იმ ნაძირალასადმი, გულს უხეთქავდა ჟანას. იგი თავისთვის იმეორებდა: „არ ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ“.

შემოვიდა როზალია. ჟანამ წაიბუტბუტა: — ახლა მისი შერთვა სურს.

მოახლე წამოხტა: — ოჰ, ქალბატონო, ნება არ დართოთ. ბატონმა პოლმა არ შეირთოს ის ქუჩის დედაკაცი.

მისუსტებულმა, მაგრამ აღშფოთებულმა ჟანამ უპასუხა: — ეს არასოდეს არ მოხდება, ჩემო გოგო. რაკი მას არ სურს ჩამოვიდეს, მე თვითონ წავალ მასთან და მაშინ დავინახავთ,

ვინ ვის დაძლევს.

ჟანამ დაუყოვნებლივ მისწერა პოლს, რომ მიემგზავრება მასთან, მაგრამ შეხვდება სულ სხვა ადგილას და არა იმ გომბიოს ბინაში.

პასუხის მოლოდინში იგი მზადებას შეუდგა. როზალიამ დაიწყო თავისი ქალბატონის თეთრეულისა და ტანსაცმლის ჩალაგება ძველ სამგზავრო სკივრში, მაგრამ როცა გაშალა ჟანას ძველი კაბა, სოფელში რომ ატარებდა, უცბად წამოიყვირა: — თქვენ სულ არაფერი გაქვთ რომ ჩაიცვათ! არა, ასე არ გაგიშვებთ. თქვენ შეგრცხვებათ ხალხის, ხოლო პარიზელი ქალები მოახლედ ჩაგთვლიან.

ჟანა დაემორჩილა და ორივენი წავიდნენ გოდერვილში. შეარჩიეს მწვანე კუბოკრული ქსოვილი და შესაკერად მისცეს ადგილობრივ მკერავს. შემდეგ ცნობებისათვის მივიდნენ ნოტარიუსთან, მეტრ რუსელთან, რომელიც ყოველ წელს ორიოდე კვირით მიემგზავრებოდა დედაქალაქში. თვითონ ჟანა ხომ ოცდარვა წელია პარიზში არ ყოფილა.

მეტრმა დაწვრილებით დაარიგა, როგორ განრიდებოდა ეტლებს, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ არ გაექურდათ და ურჩია ფული ჩაეკერებინა ტანსაცმლის სარჩულში, ხოლო ჯიბეში დაეტოვებინა მარტო სახარჯო თანხა. მან დიდხანს ილაპარაკა ნაკლებ ფასიან რესტორნებზე, რომელთაგან აღნიშნა ორი თუ სამი, სადაც ქალები დადიან. შემდეგ ურჩია დაბინავებულიყო სასტუმრო „ნორმანდიაში“ რკინიგზის სადგურის ახლოს, სადაც თვითონ ჩერდებოდა ხოლმე და სადაც შეიძლებოდა მისი სახელით მისვლა.

უკვე მთელი ექვსი წელი იყო, რაც პარიზსა და ჰავრს შორის დააგეს რკინიგზა, რომელზეც ყველგან ლაპარაკობდნენ. მაგრამ დარდით მოცულ ჟანას ჯერ კიდევ არ ენახა ორთქლის ეს ფურგონები, რომლებმაც ააფორიაქეს მთელი ის მხარე. ამასობაში პოლისაგან პასუხი არ ჩანდა.

ჟანამ დაიცადა ერთი კვირა, შემდეგ ორი. იგი ყოველ დილით გადიოდა გზაზე ფოსტალიონის შესახვედრად და ათრთოლებული ეკითხებოდა: — ჩემი ხომ არაფერი გაქვთ, ძია მალანდენ?

ის კი ცვალებადი ამინდის გამო ჩახრინწული ხმით ყოველთვის ასე პასუხობდა.

— ჯერჯერობით არფერია, ჩემო კეთილო ქალბატონო. დიახ, რა თქმა უნდა, იმ ქალმა არ დაანება ეპასუხნა!

მაშინ ჟანამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო, უნდოდა როზალიაც წაჰყოლოდა, მაგრამ მოახლემ უარი თქვა, მგზავრობის ხარჯები გაიზრდებაო.

სხვათა შორის მან თავის ქალბატონსაც არ დართო ნება სამას ფრანკზე მეტი წაეღო: — თუ კიდევ დაგჭირდებათ, მომწერეთ და მე წავალ ნოტარიუსთან, ვთხოვ, გადმოგიგზავნოთ ფული. მეტი რომ მოგცეთ ბატონი პოლი მიითვისებს.

ამრიგად, დეკემბრის ერთ დილას ისინი დასხდნენ დენი ლეკოკის ორთვალაში და სადგურზე გაემგზავრნენ. როზალიაც იქამდე აცილებდა ქალბატონს.

უპირველეს ყოვლისა, მათ გაიგეს რა ღირდა ბილეთი, შემდეგ, როცა ყველაფერი მოამზადეს და სამგზავრო სკივრი ჩააბარეს, ათვალიერებდნენ მათ წინ მდებარე რკინის ზოლებს და ცდილობდნენ გაეგოთ, როგორ მოქმედებდა იგი. ისინი ისე ჩააფიქრა ამ გამოცანამ, რომ აღარც ახსოვდათ მგზავრობის სამწუხარო მიზეზი.

ბოლოს გაისმა შორეული საყვირის ხმა, მათ თავი მიაბრუნეს და დაინახეს შავი მანქანა, რომელიც თანდათან დიდდებოდა. იგი შემოვიდა საშინელი რახრახით და ახლოს ჩაუარა ქალებს. მანქანა მოათრევდა პატარა მოძრავი სახლების გრძელ ჯაჭვს და, როცა კონდუქტორმა კარები გააღო, ჟანამ ტირილით აკოცა როზალიას და ავიდა ერთ-ერთ ვაგონში.

გულაჩუყებული როზალია ყვიროდა: — ნახვამდის, ქალბატონო, კეთილი მგზავრობა, ნახვამდის!

— ნახვამდის ჩემო გოგო.

კიდევ გაისმა საყვირის ხმა და მძივებივით ჩაწყობილი ვაგონები ჯერ ნელა, მერე უფრო ჩქარა, ბოლოს კი საშინელი სისწრაფით გაგორდა.

კუპეში, სადაც ჟანა იმყოფებოდა, კუთხეში კედელზე მიყრდნობილ ორ ბატონს ეძინა.

ჟანა გაჰყურებდა მინდვრებს, ხეებს, ფერმებს, სოფლებს და ასეთი სისწრაფით გაოცებული გრძნობდა, რომ ჩაიჭირა ახალმა ცხოვრებამ და გაიტაცა ახალ სამყაროში, რომელიც არ ჰგავდა მისი ყრმობის მშვიდ სამყაროს, ერთფეროვან ცხოვრებას.

ბინდდებოდა, როცა მატარებელი პარიზში შევიდა. მებარგულმა აიღო ჟანას ჩემოდანი.

ხალხში გაჭედილი შეშფოთებული ჟანა ძლივს ახერხებდა ფეხის გადადგმას მოძრავ ბრბოში. იგი მისდევდა მებარგულს, ეშინოდა მხედველობიდან არ დამეკარგოსო.

როცა სასტუმროს კანტორაში მივიდა, მან აჩქარებით თქვა: — მე მოვედი ბატონ რუსელის რეკომენდაციით.

სასტუმროს დიასახლისმა, ზორბა და მკაცრი სახის ქალმა, რომელიც საწერ მაგიდასთან იჯდა, ჰკითხა: — ვინ არის ეს ბატონი რუსელი?

ჟანა საგონებელში ჩავარდა და უპასუხა: — გოდერვილელი ნოტარიუსია, რომელიც თქვენთან ჩერდება ყოველ წელს.

მსუქანმა ქალმა უპასუხა.

— შესაძლებელია, მაგრამ მე არ ვიცნობ. თქვენ ოთახი გნებავთ?

— დიახ, ქალბატონო.

მსახურმა აიღო ჟანას ბარგი და წინ გაუძღვა კიბეზე.

ჟანას გული შეეკუმშა. იგი მიუჯდა პატარა მაგიდას და სთხოვა, რომ მისთვის მოეტანათ ბულიონი და ქათმის ფრთა. დილის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩაუდვია.

ჟანამ უხალისოდ ისადილა ერთადერთი სანთლის შუქზე. იგი გაიტაცა ნაღვლიანმა ფიქრებმა. ივონებდა, აქ რომ იყო გზად საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნებისას. აქ, პარიზში ყოფნისას გამოამჟღავნა ჟულიენმა პირველად თავისი ხასიათი, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა იყო, მხნე და მიმნდობი. ახლა კი ფიქრობდა, რომ მოხუცდა, მოუქნელი გახდა, მხდალიც, სუსტი და სულ უმნიშვნელო რამეც კი საკმარისი იყო, რომ დაბნეულიყო. სადილს რომ მორჩა, ფანჯარასთან მივიდა და ხალხით სავსე ქუჩას გადახედა. მას უნდოდა გასულიყო სასტუმროდან, მაგრამ ვერ ბედავდა. იმწუთშივე დავიბნევიო გაიფიქრა. იგი დაწვა და სანთელს სული შეუბერა.

მაგრამ ხმაური, უცხო ქალაქის შეგრძნება და მგზავრობის მღელვარება არ აძინებდა, საათები გადიოდა. გარედან შემოსული ბუბუნი თანდათან ცხრებოდა, თუმცა ჟანას მაინც არ ჩაეძინა, მას აღიზიანებდა ამ დიდი ქალაქის სანახევრო თვლემა. ის ხომ მიეჩვია სიმშვიდეს და მინდორ-ველების ღრმა ძილს, რომელიც ყველაფერს აყუჩებს, მცენარეებს, ადამიანებს,

ცხოველებს. ახლა კი ჟანა ირგვლივ იდუმალ მოუსვენრობას გრძნობდა. თითქმის სასტუმროს კედლებში მოსრიალებსო, ჟანამდე აღწევდა ძლიერ სუსტი ხმები, ზოგჯერ ჭრაჭუნობდა იატაკი, იხურებოდა კარები, წკარუნობდა ზარი.

უეცრად, დაახლოებით ორ საათზე, სწორედ მაშინ, როცა ის-ის იყო ჟანას უნდა ჩასძინებოდა, მეზობელ ოთახში ვიღაც ქალმა დაიყვირა. იგი სწრაფად წამოდგა და ლოგინზე დაჯდა; შემდეგ მას მამაკაცის სიცილი მოესმა.

რაკი დილაც მოახლოვდა, ჟანა პოლზე ფიქრმა დაიმორჩილა. როგორც კი განთიადმა გამოანათა, იგი ადგა და ტანთ ჩაიცვა.

პოლი სოვიაჟის ქუჩაზე ცხოვრობდა, სიტეში, ჟანა როზალიას დარიგებას მიჰყვა და ფეხით წავიდა, ფული რომ დაეზოგა. კარგი ამინდი იდგა. ცივი ჰაერი კანს სუსხავდა. შეწუხებული ხალხი მირბოდა ტროტუარზე. ჟანა რაც შეიძლებოდა ჩქარა მიჰყვებოდა ნაჩვენებ ქუჩას, რომლის ბოლოს მას უნდა გაეხვია მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, მოედანთან რომ მივიდოდა, გზა ისევ უნდა გაეკითხა. მან ვერ მიაგნო მოედანს და შეეკითხა მეპურეს, რომელმაც სულ სხვა მიმართულება უჩვენა. ჟანა იქით გაემართა, ისევ აებნა გზა, იხეტიალა, მიჰყვა სხვადასხვა რჩევას და საბოლოოდ დაიბნა.

ახლა აღელვებული ჟანა თითქმის ალალბედზე მიდიოდა. ის იყო გადაწყვიტა, ეტლი დაექირავებინა, რომ შეამჩნია სენა და სანაპიროს გაჰყვა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგი უკვე სოვაჟის ქუჩაზე აღმოჩნდა. ეს იყო ბნელი და ვიწრო შესახვევი. კარის წინ ისე აღელვებული შეჩერდა, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლო.

პულე აქ ცხოვრობდა, ამ სახლში.

ჟანას მუხლები და ხელები უკანკალებდა; ბოლოს შევიდა, გაჰყვა დერეფანს, დაინახა შვეიცარიის სენაკი, გაუწოდა მეკარეს ვერცხლის ფული და ჰკითხა: — შეგიძლიათ ზემოთ ახვიდეთ და უთხრათ ბატონ პოლ დე ლამარს, რომ მას ელოდება მოხუცი ქალი, დედამისის მეგობარი?

მეკარემ უპასუხა: — იგი აღარ ცხოვრობს აქ.

ჟანა მთლად აცახცახდა და ენის ბორძიკით თქვა.

— ოჰ! სად... სად ცხოვრობს იგი ახლა?

— არ ვიცი.

ჟანა ისე დარეტიანდა, რომ კინაღამ გული წაუვიდა. და ერთ ხანს ხმაც ვერ ამოიღო. ბოლოს თავს ძალა დაატანა, გონება მოიკრიბა დაჩურჩულით იკითხა: — როდის გადავიდა აქედან?

კაცი დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს: ორი კვირა იქნება. ერთ საღამოს ისინი გამოვიდნენ ჩვეულებრივად და აღარ დაბრუნებულან. ამ კვარტალში ვალი აქვთ. თქვენც მიხვდებით, თუ რატომ არ დატოვეს თავისი მისამართი.

ჟანას თვალწინ ნაპერწკლები აირივნენ, თითქოს თოფიდან გამოსროლილი ტყვიები ტრიალებდნენ მის ირგვლივ. მაგრამ ერთი აკვიატებული აზრი აიძულებდა მას არ წაქცეულიყო, მოჩვენებითი სიმშვიდე და გონივრულობა გამოეჩინა: მას სურდა გაეგო ყველაფერი და ეპოვა პულე.

— მაშ წასვლისას არაფერი უთქვამს?

— სრულებით არაფერი. მათ თავს უშველეს, რომ ფული არ გადაეხადათ. ეს არის და ეს.

— კი მაგრამ ვინმე ხომ უნდა გამოგზავნოს წერილებისათვის?

— რას ამბობთ! ისინი წელიწადში ათ წერილსაც არ იღებდნენ. თუმცა წასვლამდე ორი დღით ადრე ავუტანე მათ ერთი წერილი.

ეს ნამდვილად ჟანას წერილი იყო. მან სწრაფად თქვა: — ყური დამიგდეთ, მე მისი დედა ვარ და მასთან ჩამოვედი. აი, თქვენ ათი ფრანკი. თუ რაიმე ახალ ამბავს შეიტყობთ ან ცნობებს მიიღებთ, გამაგებინეთ სასტუმრო „ნორმანდიაში“ ჰავრის ქუჩაზე და კარგად გადაგიხდით კარისკაცმა უპასუხა: — გქონდეთ ჩემი იმედი, ქალბატონო.— და ჟანა გაიქცა.

ახლა იგი მიაბიჯებდა, არც კი ფიქრობდა, სად მიდიოდა ჩქარობდა, თითქოს მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა. სწრაფად მიდიოდა კედელ-კედელ და ხშირად ეჯახებოდა პაკეტებიანი ხალხი; ქუჩებს ისე სჭრიდა, რომ არც კი უყურებდა ეკიპაჟებს და მეეტლეები საშინლად ლანძღავდნენ. იგი არ უყურებდა ტროტუარის საფეხურებს, ხშირად წაჰკრავდა

ხოლმე ფეხს და გონება დაკარგული მირბოდა წინ.

უეცრად იგი ბაღში აღმოჩნდა და თავი ისე დაქანცულად იგრძნო, რომ იქვე სკამზე ჩამოჯდა. როგორც ჩანს, იგი იქ ძალიან დიდხანს იჯდა და თვითონაც ვერ ამჩნევდა თუ ტიროდა, რადგან გამვლელნი ჩერდებოდნენ და უყურებდნენ. ბოლოს იგრძნო, რომ ძალიან შესცივდა; მაშინ ადგა და გზა განაგრძო: იმდენად გატანჯული და დაბეჩავებული იყო, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა. ჟანას უნდოდა ერთი ჭიქა ბულიონი დაელია, მაგრამ რესტორანში შესვლას ვერ ბედავდა შიშითა და რაღაცნაირი სირცხვილით თავისი მწუხარების გამო, რომელიც როგორც მას ეგონა, ძლიერ ეტყობოდა. იგი წუთით ჩერდებოდა ხოლმე რესტორანის კარების წინ, შეიხედავდა შიგ. უყურებდა ხალხს, მაგიდასთან რომ ისხდნენ და სადილობდნენ, დამფრთხალი გარბოდა და თავისთვის ამბობდა: „მეორეში შევალ“, მაგრამ ვერც მეორეში შესვლას ბედავდა.

ბოლოს ჟანამ მეპურესთან იყიდა ქადა და ციცქნიდა მას სიარულის დროს. გზაში ძალიან მოწყურდა, მაგრამ არ იცოდა, სად შეიძლებოდა წყალი დაელია და ითმენდა.

ჟანამ გაიარა რომელიღაცა თაღი და აღმოჩნდა არაკადებით გარშემორტყმულ მეორე ბაღში. მაშინ იცნო პალეროიალი.

მზემ და სიარულმა ცოტათი გაათბო ჟანა და იგი ისევ დაჯდა ერთი თუ ორი საათით.

ბაღში შემოდიოდა კოხტად ჩაცმული ბრბო, საუბრობდნენ, იღიმებოდნენ, ესალმებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო ის სვეკეთილი ხალხი, სადაც ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები კი მდიდრები, სადაც ყველანი ცხოვრობდნენ მხოლოდ ფუფუნებისა და სიამოვნებისათვის.

ჟანას შეეშინდა ესოდენ ბრწყინვალე შეკრებულებისა და გასაქცევად წამოხტა, მაგრამ უეცრად გაუელვა აზრმა, რომ შეიძლებოდა აქ პოლს შეხვედროდა. გაუბედავი და ჩქარი ნაბიჯებით იგი შეუდგა ბაღის ერთ ბოლოდან მეორემდე წინ და უკან ხეტიალს, თან გამვლელებს სახეში აცქერდებოდა.

მოსეირნენი შემობრუნდებოდნენ ხოლმე და უყურებდნენ ჟანას, ზოგი იცინოდა და უთითებდა მასზე. ჟანამ შეამჩნია ეს და იქაურობას გაეცალა. მან გადაწყვიტა, რომ მისი საქციელი და კუბოკრული მწვანე კაბა, რომელიც როზალიამ შეარჩია და მისივე მითითებით შეკერა გოდერვილელმა მკერავმა, ართობდა ხალხს.

ჟანა ვეღარ ბედავდა, რომ გამვლელებისათვის გზა ეკითხა. ბოლოს მაინც გაბედა და

იპოვა თავისი სასტუმრო.

დღის დანარჩენი დრო მან სკამზე გაუნძრევლად გააგარა თავისი საწოლის ფეხებთან. შემდეგ ისადილა, როგორც წინა დღით, წვენითა და ხორცის ნაჭერით, მერე კი დაწვა. იგი ყველაფერს აკეთებდა ანგარიშმიუცემლად, ჩვეულებისამებრ.

მეორე დღეს მან პოლიციის პრეფექტურას მიმართა, შვილი მომიძებნეთო; საიმედო ვერაფერი უთხრეს, მხოლოდ შეჰპირდნენ, ამ საქმეს ხელს მოვკიდებთო.

მაშინ ჟანამ კვლავ დაიწყო ქუჩებში ხეტიალი, იქნებ ჩემ შვილს გადავეყაროო. ამ მოფუსფუსე ხალხში ჟანა უფრო გრძნობდა მარტოობას; უფრო უპატრონოდ და უბედურად მიაჩნია თავი, ვიდრე უკაცრიელ მინდვრებს შორის.

საღამოს, სასტუმროში რომ დაბრუნდა, უთხრეს, ერთმა კაცმა გიკითხათ ბატონი პოლის დავალებით და ხვალ ისევ მოვაო. ჟანას სისხლი აუჩქეფდა გულში და მთელი ღამე თვალი არ მიულულავს, ნეტავი, თვითონ ხომ არ ყოფილა? დიახ, რა თქმა უნდა, ის იყო, თუმცა აღწერილობით ჟანამ ვერ მიამსგავსა მას.

დილის ცხრა საათისათვის კარზე დააკაკუნეს. მან დაიყვირა: — შემობრძანდით!

ჟანა მზად იყო ხელგაშლილი მივარდნოდა მისულს. კარებში ვიღაც უცნობი გამოჩნდა. სანამ იგი ბოდიშს უხდიდა შეწუხებისათვის და უხსნიდა თავის საქმეს — მას სურდა მიეღო პოლის ვალი, ჟანა გრძნობდა რომ ტიროდა. იგი ცდილობდა დაემალა თავისი სისუსტე და თითით იწმენდდა თვალებში მოწოლილ ცრემლებს.

უცნობს სოვაჟის ქუჩის შვეიცარისაგან გაუგია, რომ ჟანა ჩამოვიდა და რაკი, შვილი ვერ იპოვა, დედას მიმართა. მან გაუწოდა ქაღალდი, რომელიც ჟანამ დაუფიქრებლად გამოართვა. წაიკითხა ციფრი— ოთხმოცდაათი ფრანკი, ამოიღო ფული და გადაიხადა.

ამ დღეს ჟანა არსად გასულა.

მეორე დღეს სხვა მოვალეები გამოცხადდნენ. ჟანამ მისცა ყველაფერი, რაც დარჩა, შემოინახა მხოლოდ ოციოდე ფრანკი და როზალიას აცნობა თავისი გასაჭირი.

მოახლის პასუხის მოლოდინში ჟანა მთელ დღეებს ქალაქში ხეტიალობდა. არ იცოდა, რა ექნა, სად მოეკლა ეს ნაღვლიანი დრო, დაუსრულებელი საათები, ვისთვის ეთქვა

ალერსიანი სიტყვა და გაეზიარებინა მწუხარება. იგი ალალბედზე დადიოდა და გამგზავრების სურვილი ტანჯავდა, სურდა დაბრუნებულიყო იქ, თავის პატარა სახლში, განმარტოებით რომ იდგა უკაცრიელ გზის პირად.

რამდენიმე დღის წინათ მას იქ ცხოვრება არ შეეძლო, იმდენად ჩაგრავდა მოწყენილობა, ახლა კი პირიქით, გრძნობდა, რომ შეუძლია იცხოვროს მხოლოდ იქ, სადაც მისი უხალისო ჩვეულებები იყო დანერგილი.

ბოლოს, ერთ საღამოს დახვდა წერილი და ორასი ფრანკი. როზალია სწერდა:

„მადამ ჟანა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდით, რადგან მეტს არაფერს აღარ გამოგიგზავნით. რაც შეეხება პოლს, მე წავალ, მასთან, როგორც კი რაიმეს შევიტყობთ.

მოგესალმებით თქვენი მოახლე როზალია„

იმ დილით, ჟანა რომ ბატვილს გაემგზავრა, თოვდა და ძალიან ცივდა.

თავი XIV

ჩამოსვლის დღიდან ჟანა არც გარეთ გამოდიოდა, არც მოძრაობდა, ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს დგებოდა, ფანჯარაში იხედებოდა, როგორი ამინდიაო, შემდეგ სასადილოდ ოთახში ჩადიოდა და ბუხართან ჯდებოდა.

მთელი დღის განმავლობაში ის ასე იჯდა. არ ინძრეოდა და თვალს არ აცილებდა ალს, უგზო-უკვალოდ დახეტიალობდა თავის ნაღვლიან ფიქრებში და თანმიმდევრობით იგონებდა თავის უბედურების სამწუხარო პროცესს. ბინდი ნელ-ნელა ავსებდა პატარა ოთახს ჟანა კი ისევ ისე უძრავად იჯდა, მხოლოდ შეშას შეუკეთებდა ხანდახან ცეცხლში. მაშინ როზალიას შეჰქონდა ლამპა და გასძახებდა ხოლმე: — წავიდეთ, ქალბატონო ჟანა, ცოტა უნდა იმოძრაოთ, თორემ ვერაფერს შეჭამთ ამ საღამოს.

ხშირად ჟანას აეკვიატებოდა რაიმე აზრი და გულს უწყალებდა, ტანჯავდა, სრულიად უბრალო წვრილმანი მის სნეულ თავში სერიოზულ მნიშვნელობას იღებდა.

უფრო მეტად იგი წარსულით ცხოვრობდა, შორეული წარსულით. გამუდმებით თან სდევდა ყრმობის დროინდელი და კორსიკაში საქორწილო მოგზაურობის მოგონებანი. ამ

შორეული კუნძულის დიდი ხნის წინათ მივიწყებული პეიზაჟები უეცრად თვალწინ დაუდგებოდა ბუხრის მბჟუტავ მუგუზლებში; აგონდებოდა ყველა წვრილმანი, სულ უმნიშვნელო ამბები. ყველა ადამიანი, რომლებიც იქ ნახა, მათი მეგზურის — ჟან რავოლის სახე სულ თვალწინ ედგა, ზოგჯერ კი თითქოს მისი ხმაც ესმოდა.

შემდეგ იხსენებდა პოლის ბავშვობის ტკბილ წლებს, როცა იგი მას, დეიდა ლიზონის გვერდით ნოყიერ მიწაზე დაჩოქილს, აიძულებდა სალათი გადაერგო. ქალები კი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაესწროთ ბავშვის გულის მონადირება, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ გაახარებდა ნერგს და ვინ მიიღებდა მეტ ყლორტებს.

მაშინ ჟანას ტუჩები ძლივგასაგონად ჩურჩულებდნენ, „პულე, ჩემო პატარა პულე“, თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდა. ამ სახელს მისი ოცნებები აღარ სცილდებოდა. გაშვერილი თითით ჰაერში მოეხაზა „პულეს“ შემადგენელი ასოები. ეს ასოები მას ნელა გამოჰყავდა ცეცხლის წინ, წარმოიდგენდა, თითქოს ხედავდა მათ, შემდეგ გაიფიქრებდა, რომ შეცდა, დაღლილობისაგან აკანკალებული ხელით თავიდან იწყებდა ასო პ-დან და თავს ძალას ატანდა, რომ როგორმე ბოლომდე დაეწერა მისი სახელი. დაამთავრებდა თუ არა, ისევ თავიდან იწყებდა.

ბოლოს ქანცი ელეოდა, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა, გამოჰყავდა სხვა სიტყვები და გააფთრებამდე მიდიოდა.

განდეგილთა ყოველგვარმა უცნაურობამ შეიპყრო ჟანა. სულ უმნიშვნელო ნივთის გადაადგილებაც კი აღიზიანებდა მას.

როზალია მაინც აიძულებდა ჟანას, რომ ემოძრავა, სასეირნოდ გამოჰყავდა გზაზე, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ ჟანა აცხადებდა: — მეტი აღარ შემიძლია, ჩემო გოგო, — და გზისპირა თხრილთან ჯდებოდა.

მალე მან ყოველგვარი მოძრაობა შეიძულა და რაც შეიძლებოდა დიდხანს რჩებოდა ლოგინში.

მხოლოდ ერთი ბავშვობის დროინდელი ჩვეულება კვლავ მტკიცედ ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში: რძიანი ყავის დალევისთანავე დგებოდა ლოგინიდან. ეს სასმელი განსაკუთრებით უყვარდა და სხვა ყველაფერს უფრო შველოდა, ვიდრე მას. იგი ყოველ დილით თავისებური აგზნებული მოუთმენლობით ელოდებოდა როზალიას შემოსვლას და,

როგორც კი სავსე ფინჯანი გაჩნდებოდა ღამის პატარა მაგიდაზე, მაშინვე ლოგინზე წამოჯდებოდა და ხარბად სვამდა ყავას. შემდეგ გადაისვრიდა საბანს და ტანთ იცვამდა.

მაგრამ ნელ-ნელა ჟანა მიეჩვია ლამბაქზე ცარიელი ფინჯანის დადგმის შემდეგაც რამდენიმე წამს კიდევ ეოცნება, მერე კი ისევ წვებოდა ლოგინში და ასე დღითიდღე ახანგრძლივებდა ზოზინს, ვიდრე გააფთრებული როზალია არ გამოჩნდებოდა და თითქმის ძალით არ ჩააცმევდა ტანზე.

სხვათა შორის, ჟანას ნებისყოფის ნასახიც აღარ შერჩა და ყოველთვის, როცა მოახლე რჩევისათვის მიმართავდა ან რაიმეს ჰკითხავდა, მისი აზრი რომ გაეგო, იგი პასუხობდა: — როგორც გინდა, ისე გააკეთე, ჩემო გოგო.

ჟანამ დაარწმუნა თავი, უკეთესმართმა ავმა სულმა დამნავსაო, რომ წმინდა აღმოსავლურ ფატალიზმამდე მივიდა; ხედავდა რა, რომ მისი ოცნებები იღუპებოდა, იმედები ემსხვრევა, იგი მთელი დღეობით ყოყმანობდა, ვიდრე სრულიად უმნიშვნელო რამეს გადაწყვეტდა, ისე სჯეროდა, რომ სწორ გზას აცდენილია და საქმე ცუდად წაუვა.

ჟანა წარამარა იმეორებდა: — რა უიღბლო გავჩნდი ამ ქვეყანაზე.

როზალია აღშფოთებული პასუხობდა: — რას იტყოდით მაშინ, ლუკმაპურის ძებნა რომ დაგჭირვებოდათ. ყოველ დღე დილის ექვს საათზე წასულიყავით დღიურ სამუშაოზე? საკმაოდ ბევრია ისეთი ქალები, რომლებიც იძულებული არიან ასე მოიქცნენ, მაგრამ ღრმა მოხუცებულობისას მაინც სიღატაკეში კვდებიან!

ჟანა ეუბნებოდა: — აბა, დაუფიქრდი, მე ხომ სულ მარტო ვარ, შვილმა მიმატოვა.

მაშინ მთლად გაცეცხლებული როზალია ამბობდა: — აი, თურმე რაშია საქმე! იმათ რაღა უნდა თქვან, რომელთა შვილები სამხედრო სამსახურში არიან, ან ამერიკაში გადასახლდნენ?

როზალიას ამერიკა ესახებოდა რაღაც გამოუცნობ ქვეყანად, სადაც სიმდიდრის მოსაპოვებლად მიდიან და საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

როზალია განაგრძობდა: — ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა განშორება აუცილებელია, რადგან მოხუცები და ახალგაზრდები ერთად ცხოვრებას ვერ ეგუებიან.

და ულმობელი ტონით ასკვნიდა: — ან რას იტყოდით, თქვენი შვილი რომ მომკვდარიყო?

ამის პასუხს ჟანა ვეღარ პოულობდა.

როგორც კი გაზაფხულის პირველ დღეებში ჰაერი შერბილდა, ჟანა რამდენადმე მოღონიერდა, მაგრამ ენერგიის დაბრუნების შემდეგ იგი მეტად გაშმაგებით მიეცა თავის შავ ფიქრებს.

ერთხელ, დილით, ჟანა სხვენზე რაღაც ნივთს ეძებდა და შემთხვევით გააღო ძველი კალენდრებით სავსე სკივრი; მათ ინახავდნენ ბევრი სოფლელის ჩვეულებისამებრ.

თითქოს თავისი წარსული ცხოვრების წლები იპოვაო, ჟანა შეიპყრო უცნაურმა, ბუნდოვანმა მღელვარებამ და სახტად იდგა ამ ოთხკუთხედი მუყაოს ქაღალდების გროვის წინ.

მან ყველას ერთად მოხვია ხელი და ქვევით, სასადილო ოთახში ჩაიტანა. ეს იყო ყველანაირი ზომის ქაღალდი, დიდები და პატარები, ჟანა წლების მიხედვით ალაგებდა მათ მაგიდაზე. უეცრად იპოვა პირველი კალენდარი. ის, რომელიც თვითონ ჩამოიტანა ჩინარში.

მან დიდხანს ათვალიერა ეს კალენდარი, რომელზეც საკუთარი ხელით წაეშალა რიცხვი იმ დილით, რუანიდან რომ მიემგზავრებოდა, მონასტრიდან წამოსვლის მეორე დღეს და ატირდა. იგი ტიროდა მწარე, გაშშრალი ცრემლებით, იმ მოხუცი ქალის უმწეო ცრემლებით, რომელსაც თვალწინ დაუდგა თავისი უბედურებით სავსე ცხოვრება, აღბეჭდილი აი, ამ მაგიდაზე გაშლილ მუყაოს ნაჭრებში.

უეცრად გაუელვა ჟანას აზრმა, რომელიც მალე მკაცრ, განუმეორებელ და განურიდებელ მანიად ექცა. მან მოინდომა დღიდან დღემდე აღედგინა ყველაფერი, რაც კი გაუკეთებია თავის სიცოცხლეში.

მუყაოს ეს გაყვითლებული კვადრატები მან ერთიმეორეს მიყოლებით დაამაგრა კედელზე და საათებს ატარებდა ხან ერთის, ხან მეორის წინ და იხსენებდა: „რა შემემთხვა მე ამ თვეში“?

ხაზს უსვამდა თავის ცხოვრების ღირს სამახსოვრო თარიღებს და, ამრიგად, ზოგიერთი თვე მთლიანად აღადგინა მეხსიერებაში, ერთმანეთს უხამებდა და უკავშირებდა რა ყოველ

წვრილმან ფაქტს, რომელიც წინ უსწრებდა ან მისდევდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას.

მხოლოდ ყურადღების და მეხსიერების დიდი დაძაბვით, მთელი ნებისყოფის მოკრეფით და იმის წყალობით, რომ ძლიერ იოლად და მკაფიოდ იხსენებდა თავისი ცხოვრების შორეული წარსულის მოვლენებს, მან მოახერხა თითქმის მთლიანად აღედგინა ჩინარში ყოფნის პირველი ორი წელიწადი.

მაგრამ შემდგომი წლები ბურუსში იკარგებოდა, ირეოდა, ერთმანეთს ახვავდებოდა. ზოგჯერ ჟანა დიდხანს იჯდა თავჩაღუნული რომელიმე კალენდრის წინ და, წარსულზე ფიქრით გადაქანცულს, ვერაფერი ვერ გაერკვია, მუყაოს ამ ნაჭერს ეკუთვნოდა თუ არა ესა თუ ის მოგონება. იგი დადიოდა კალენდრიდან კალენდართან, სამუდამოდ ჩავლილი დღეების ამ სურათებთან, რომლებითაც გზაჯვარედინის მსგავსად მოფენილი იყო მთელი ოთახი. შემდეგ ერთ-ერთი მათგანის წინ სკამს დაიდგამდა და, თავის მოგონებებში ჩაძირული, უძრავად იჯდა დაღამებამდე.

და უცბად, როცა მზის მცხუნვარებამ სიცოცხლე გააღვიძა, როცა მინდვრად ნათესები ამოიწვერა, ხოლო ხეებმა ფოთლები მოისხეს, როცა ვაშლის ხეები ბაღებში ვარდისფერ ბუჩქებად გადაიფურჩქნა და არომატით გაიჟღინთა ვაკე, ჟანაც საოცრად აღეგზნო.

იგი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, წინ და უკან დადიოდა, დღეში ოცჯერ გადიოდა და ისევ შემოდიოდა. ხშირად სინანულის ციებ-ცხელებით შეპყრობილი შორს, ფერმებს შორის ხეტიალობდა.

ხშირ ბალახში ჩამალული ზიზილები, მზის სხივი, ფოთლებს შორის რომ იპარებოდა, ნაურმალში დაგუბებული წყალი, რომელშიც ლურჯი ცა ისარკებოდა, ყველაფერი ეს აღელვებდა ჟანას, გულს უჩუყებდა, გონებას ურევდა, მივიწყებულ გრძნობებს უღვივებდა. როგორც მისი ქალიშვილური განცდების გამოძახილს, როცა იგი მინდვრებზე დახეტიალობდა და ოცნებობდა.

იგი ისევე თრთოდა, ისევე ტკბებოდა გაზაფხულის სითბოს გამაბრუებელი სიამითა და ნეტარებით როგორც მაშინ, როცა მომავლის მოლოდინით ცხოვრობდა. და ახლა, როცა დაუფიქრდა და მიხვდა, რომ მომავალი აღარსადაა, ჟანა ერთსა და იმავე დროს მთელი გულითაც ხარობდა და იტანჯებოდა კიდეც, თითქოს მის გამომშრალ კანში, მის გაცივებულ სისხლში, მის დამძიმებულ სულში შეღწეულ გაღვიძებული სამყაროს მარადიულ სიხარულს ახლა მისთვის მხოლოდ მიმქრალი, მიბჟუტული მიმზიდველობა შეეძლო გაემეტებინა.

ჟანას ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა ამქვეყნად. მზე ისე ვეღარ ათბობდა, როგორ მის ყრმობაში, ცასაც არ ჰქონდა ისეთი ლურჯი ფერი, ბალახსაც დაეკარგა თავისი მწვანე ფერი, ყვავილებიც კი გაუფერულდნენ, ნაკლებად მომხიბვლელი გახდნენ და ვეღარ ავრცელებდნენ წინანდელ გამაბრუებელ სურნელებას.

მაგრამ ისეთი დღეებიც გამოერეოდა, როცა ჟანას კარგი გუნებაგანწყობა ეუფლებოდა და იგი ისევ ოცნებობდა, იმედოვნებდა, ელოდა. ან კი განა შეიძლება, რაგინდ ულმობელი და სასტიკი ბედი გხვდეს, მუდამ უიმედო იყო, როცა გარეთ ასეთი სიამეა?

თავისი აგზნებული სულით გამხნევებული ჟანა მთელი საათობით დადიოდა სახლის წინ, ზოგჯერ უეცრად შეჩერდებოდა, ჩამოჯდებოდა გზის პირას და სევდიან ფიქრებს მიეცემოდა. რატომ არ უყვარდათ იგი ისე, როგორც სხვები? რატომ არ ხვდა მას წილად ეგემნა სულ უბრალო სიხარულიც კი მშვიდი არსებობისა?

ზოგჯერ ჟანა წუთით ივიწყებდა, რომ მოხუცი იყო. რომ ამიერიდან არაფერი აღარ ელოდა, გარდა რამდენიმე უსიხარულო და განდეგილი წელიწადისა, რომ მთელმა მისმა ცხოვრებამ უკვე ჩაიარა და იგი, როგორც ოდესღაც თექვსმეტი

წლისა, აწყობდა გულის გამხარებელ გეგმებს, ხატავდა მომავლის მომხიბვლელ სურათებს. მაგრამ უეცრად მკაცრი სინამდვილის შეგნება დაატყდებოდა თავს; იგი დგებოდა ისე დამტვრეული, თითქოს რაღაც სიმძიმე დაეცა და წელი მოწყვიტაო, და უკვე ნელა გაუდგებოდა გზას სახლისაკენ. იგი ჩურჩულებდა: — ოჰ! გამოშტერებული ბებერი ვარ! სულელი ბებერი!

ახლა როზალია წამდაუწუმ ეუბნებოდა: — დაწყნარდით ქალბატონო, რა გაღელვებთ ასე?

ჟანა დაღვრემილი პასუხობდა: — რა გინდა, მე მასაკრსა ვგევარ მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში.

ერთხელ, დილით, მოახლე ჩვეულებრივზე ადრე შევიდა მის ოთახში, მაგიდაზე რძიანი ყავა დაუდგა და უთხრა: — აბა, ჩქარა დალიეთ, დენი გველოდება პარმაღთან. ჩინარში უნდა წავიდეთ, იქ საქმე მაქვს.

ჟანას ეგონა, ეს-ესაა გული შემიღონდებაო. მღელვარებითა და შიშით აცახცახებულმა ტანთ ჩაიცვა. იმის გაფიქრება, რომ იგი კვლავ ნახავდა თავის ძვირფას სახლს, აბნევდა და

ძალ-ღონეს აცლიდა.

გაბრწყინებული ცა გადაფენოდა დედამიწას. ცხენი გახალისდა და ზოგჯერ ჭენებით მიგელავდა. ეტუვანის თემში შესვლისას ჟანას სუნთქვა შეეკრა, ისე ძლიერად უცემდა გული, ხოლო როცა აგურის ბოძებიანი ღობე შეამჩნია, ორჯერ თუ სამჯერ უნებლიეთ ამოიოხრა: — ოჰ! ოჰ! ოჰ! —თითქოს გულის შემაღონებელ სანახაობას უყურებსო.

ორთვალა კუიარებთან გააჩერეს და სანამ როზალია და მისი შვილი თავის საქმეებზე დადიოდნენ, ფერმერებმა ჟანას შესთავაზეს, მეპატრონეები არ არიან, სახლში შეიარეთო და გასაღებები მისცეს.

ჟანა მარტო წავიდა. ძველ სასახლეს ზღვის მხრიდან მიადგა, შეჩერდა და შეათვალიერა იგი. გარედან ყველაფერი უცვლელად დაეტოვებინათ. იმ დღეს ამ განიერი მონაცისფრო შენობის პირქუშ კედლებზე მზის სხივები იღიმებოდნენ. ყველა დარაბა დაკეტილი იყო.

ჟანას პატარა გამხმარი ტოტი დაეცა კაბაზე. მან ზევით აიხედა: ჭადრიდან დასცემია. იგი მიუახლოვდა გლუვ და მქრქალ კანიან სქელ ხეს და ხელებით მიეალერსა, როგორც ცოცხალ არსებას; ბალახში დამპალ ხის ნატეხს წამოჰკრა ფეხი. ეს იყო უკანასკნელი ნამტვრევი იმ სკამისა, რომელზეც იგი ისე ხშირად ჯდებოდა თავისიანებთან ერთად და რომელიც იქ დადგეს ჟულიენის პირველი ვიზიტის დღეს.

შემდეგ ჟანა ვესტიბიულის ორსართულიან კარებს მიადგა და დიდი გაჭირვებით გააღო იგი, რადგან მძიმე, დაჟანგული კლიტე არ ემორჩილებოდა, ბოლოს ბოქლომი ზანტი ჭრიალით ნებას დაჰყვა და უკვე ცოტათი მორყეული კარი ერთი ბიძგით გაიღო.

ჟანამ მაშინვე, თითქოს სირბილით მიაშურა თავის საძინებელს. მან ვერ იცნო იგი. იქ თეთრი შპალერი გაუკრავთ, მაგრამ ფანჯარა რომ გააღო და საყვარელ ჰორიზონტს გახედა, სულის სიღრმემდე შეძრული ჟანა იქვე გაქვავდა. იგი უყურებდა წარაფებს, თელებს, ლანდას, შორიდან თითქოს უძრავი, წაბლისფერი იალქნებით მოფენილ ზღვას.

შემდეგ მან ხეტიალი დაიწყო ამ ვეებერთელა, ცარიელ სახლში. ათვალიერებდა კედლებს, ძლიერ ნაცნობ ლაქებს. იგი შეჩერდა ერთი ჭუჭრუტანის წინ, რომელიც მამამისმა გაბურღა შელესილ კედელში. იმ კედელს რომ ჩაუვლიდა, ბარონი ახალგაზრდობას გაიხსენებდა და გასართობად ჯოხით ფარიკაობდა.

დედიკოს ოთახში, საწოლის ახლოს, ბნელ კუთხეში, კარის უკან მან იპოვა ოქროს

თავიანი ქინძისთავი, რომელიც ოდესღაც თვითონ ჩაარჭო იქ (როგორც ახლა აგონდება ეს), შემდეგ კი წლობით ეძებდა, და ვერც ვერავინ იპოვა. ჟანამ აიღო ქინძისთავი, როგორც ფასდაუდებელი რელიკვია და აკოცა.

ჟანა ყველაფერს ედებოდა. ეძებდა და პოულობდა თითქმის უჩინარ ანაბეჭდებს წინანდელ, გამოუცვლელ გადასაკრავებზე, კვლავ ხედავდა იმ უცნაურ ფიგურებს, რომელთაც ჩვენი ფანტაზია მიაწერს ხოლმე ქსოვილის ნახატებს, მარმარილოს ძარღვებს და გამოსახულებათა ჩრდილებს ჟამთა ვითარებაში გამუქებულ ჭერზე.

იგი უხმაუროდ, სულ მარტო დადიოდა ვეებერთელა დადუმებულ სახლში, როგორც სასაფლაოზე. მთელი მისი ცხოვრება აქ იყო დამარხული. ჟანა სასტუმრო ოთახში ჩავიდა. დარაბები დახურული იყო და ბნელოდა. ერთხანს ჟანა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ შემდეგ თვალი შეაჩვია სიბნელეს და თანდათან იცნო მაღალი შპალერი, რომელზეც ჩიტები დაფარფატებდნენ. ორი სავარძელი ძველებურად ბუხრის წინ იდგა, თითქოს ეს-ეს არის მიატოვესო. თვით სუნიც კი ოთახისა, მისი განსაკუთრებული სუნი, როგორც ეს ცოცხალ არსებებს აქვთ ხოლმე, სუსტი, მაგრამ კარგად ნაცნობი არომატი, ძველ სავანეთა ნაზი და გაურკვეველი სურნელება იჭრებოდა ჟანაში, ახვევდა მას მოგონებებში, უბრუებდა ტვინს, წარსულის ამ ამონასუნთქ დაწაფებულ ჟანას სული ეხუთებოდა და თვალს არ აცილებდა ორ სავარძელს. უცბად აკვიატებულმა აზრმა წარმოშვა წამიერი ჰალუცინაცია. მას მოეჩვენა, არა, ცხადად დაინახა, როგორც ხშირად დაუნახავს წინათ, რომ დედა და მამა სხედან და ფეხებს ითბობენ ცეცხლთან.

შეშინებულმა ჟანამ უკან დაიხია, ზურგით დაეჯახა კარს და მიეყრდნო მას, რომ არ დაცემულიყო, მაგრამ სავარძლისათვის თვალი მაინც არ მოუშორებია.

მოჩვენება გაქრა.

რამდენიმე წუთს ჟანა გონს ვერ მოვიდა; შემდეგ ნელ-ნელა თავი შეიკავა და იმის შიშით, მთლად არ გავგიჟდეო, გაქცევა მოინდომა. შემთხვევით მან თვალი მოჰკრა კარის ამყოლს, რომელსაც ეყრდნობოდა, და შეამჩნია „პოლის ჭდეები“.

სუსტი ანაბეჭდები უთანასწორო შუალედებით ზევით მიჰყვებოდა შეღებილი კარის კიდეს, ხოლო ჯაყვით ამოჭრილი ციფრები უჩვენებდა მისი შვილის წლებს, თვეებს და სიმაღლეს, ზოგი ხელწერა, უფრო მსხვილი, ბარონისა იყო. უფრო წვრილი კი თვით ჟანასი; ხან კიდევ დეიდა ლიზონისა, აკანკალებული ხელით დაწერილი. ჟანას მოეჩვენა, რომ პატარა

პოლი აქაა, მის წინ და თითქოს ქერათმიანი თავით ისევ ეკვრის კედელს, რომ სიმაღლე გაუზომონ.

ბარონი ყვიროდა: „ჟანა, იგი ერთი სანტიმეტრით გაიზარდა ამ ექვსი კვირის განმავლობაში!"

ჟანამ გაშმაგებული სიყვარულით დაკოცნა კარის ამყოლი. მაგრამ მას ეზოდან დაუძახეს. ეს როზალია იყო: — მადამ ჟანა, მადამ ჟანა, საუზმეზე გელოდებიან.

ჟანა თავგზააბნეული გავიდა, არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდნენ. ჭამდა, რასაც მოუტანდნენ, ყურს უგდებდა საუბარს, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა, ალბათ ესაუბრა ფერმერ ქალებს, რომლებსაც მისი ჯანმრთელობა აინტერესებდათ, ნებას რთავდა მისთვის ეკოცნათ, თვითონაც კოცნიდა მიშვერილ ლოყებს და, ბოლოს, ჩაჯდა ეტლში.

როცა სახლის მაღალი სახურავი ხეებს ამოეფარა და მხედველობიდან დაკარგა, ჟანამ საშინელი გულისტკივილი იგრძნო. გრძნობდა, რომ ახლა კი სამუდამოდ გამოემშვიდობა საკუთარ სახლს.

დაბრუნდნენ ბატვილში.

ახალ ბინაში რომ შედიოდა, ჟანამ კარებს ქვეშ თეთრი რაღაც შეამჩნია. ეს იყო წერილი, რომელიც ფოსტალიონმა შეაგდო ჟანას იქ არყოფნის დროს. მან იმწუთშივე იცნო პოლის წერილი, მღელვარებისგან აცახცახებულმა გახსნა და წაიკითხა: „ჩემო ძვირფასო დედა, აქამდე იმიტომ არ გწერდი, რომ არ მინდოდა იძულებული გამეხადე ტყუილ-უბრალოდ ჩამოსულიყავი პარიზში, რადგან მე თვითონ დღე დღეზე ვაპირებდი შენს მონახულებას. ამჟამად დიდი უბედურება დამატყდა თავს და მეტის მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარ. სამი დღის წინ ჩემს ცოლს გოგონა შეეძინა და ახლა სიკვდილის პირზეა. მე კი ერთი სუც არ გამაჩნია. არ ვიცი რა ვუყო ბავშვს. ჯერჯერობით მას შეძლებისდაგვარად ჩემი მეკარე ქალი ზრდის საწოვარათი. მაგრამ მეშინია ისიც არ დავკარგო. ხომ არ შეგიძლია შენ იკისრო მისი გაზრდა? მე სრულებით არ ვიცი რა გავაკეთო და არც ფული მაქვს, რომ ბავშვი გავაძიძო. მიპასუხე სასწრაფოდ. შენი მოსიყვარულე შვილი.

პოლი"

ჟანა სკამზე ჩაიკეცა და ძლივს მოიკრიბა ძალა, როზალიასათვის რომ დაეძახა. როცა მოახლე ქალი მოვიდა, მათ ერთად გადაიკითხეს წერილი და შემდეგ დიდხანს ჩუმად ისხდნენ

ერთმანეთის პირისპირ.

ბოლოს როზალიამ თქვა: — მე წავალ პატარას ჩამოსაყვანად, ქალბატონო. ბავშვს ხომ ვერ მივატოვებთ ასე.

ჟანამ უპასუხა: — წადი, ჩემო გოგო.

ისინი ისევ გაჩუმდნენ, შემდეგ მოახლემ განაგრძო: — დაიხურეთ შლაპა, ქალბატონო, და წავიდეთ გოდერვილში ნოტარიუსთან. თუ ის ქალი კვდება, ბატონმა პოლმა უნდა შეირთოს იგი გოგონას გულისათვის.

ჟანამ უსიტყვოდ დაიხურა შლაპა. ღრმა, იდუმალმა სიხარულმა აავსო მისი გული, ვერაგულმა სიხარულმა, რომლის დაფარვასაც ყოველნაირად ცდილობდა იგი, იმ უსინდისო სიხარულმა, რომლისგანაც წითლდებიან, მაგრამ რომლითაც გულის სიღრმეში გაგიჟებით ტკბებიან! მისი შვილის სიყვარული კვდებოდა.

ნოტარიუსმა დაწვრილებით აუხსნა მოახლეს, როგორ უნდა ემოქმედა; როზალიამ რამდენჯერმე გაამეორებინა და, როცა დარწმუნდა, აღარ შევცდებიო, განაცხადა: — ნუ გეშინიათ. ახლა ყველაფერი ჩემზე იყოს.

იგი იმ საღამოსვე გაემგზავრა პარიზს.

ჟანა ორ დღეს ისე ღელავდა, რომ აზროვნების უნარი გამოეცალა. მესამე დღეს, დილით, როზალიასაგან მიიღო ბარათი, რომელიც აუწყებდა, რომ მოახლე საღამოს მატარებლით დაბრუნდებოდა, მეტი არაფერი.

სამი საათისათვის ჟანამ მეზობელს ორთვალა ეტლი შეაბმევინა და ბეზვილის სადგურში გაემგზავრა როზალიას შესახვედრად.

ჟანა ბაქანზე იდგა და თვალ მოუშორებლივ უყურებდა ლიანდაგების სწორ ხაზებს, რომლებიც შორს მიდიოდნენ და სადღაც იქ, ჰორიზონტზე ერთმანეთს უერთდებოდნენ. დროდადრო იგი საათს უყურებდა. „კიდევ ათი წუთი,— კიდევ ხუთი,— კიდევ ორი წუთი.— აი უკვე დროა“, მაგრამ შორს ლიანდაგზე არაფერი ჩანდა, შემდეგ უეცრად შეამჩნია თეთრი ლაქა, კვამლი, შემდეგ მის ქვემოთ შავი წერტილი, რომელიც თანდათან დიდდებოდა და მთელი სისწრაფით ახლოვდებოდა. ბოლოს ვეებერთელა მანქანამ სვლას უკლო და ქშენით ჩაუარა ჟანას, რომელიც ხარბად ათვალიერებდა ვაგონის კარებს, რამდენიმე მათგანი გაიღო,

პლატფორმაზე ჩამოდიოდნენ ბლუზიანი გლეხები, კალათებიანი ფერმერი ქალები, შლაპიანი წვრილი ბურჟუები. ბოლოს მან დაინახა როზალია, რაღაც თეთრი შეკვრა ეკავა.

ჟანას უნდოდა მისკენ წასულიყო, მაგრამ შეეშინდა, არ დავეცეო, ისე დასუსტებოდა ფეხები. დაინახა თუ არა იგი, მოახლე ჩვეული სიმშვიდით მიუახლოვდა და უთხრა: — გამარჯობათ, მადამ ჟანა, აი მე დავბრუნდი, თუმცა ბევრი გასაჭირი შემხვდა.

ჟანამ წაილუღლუღა: — მაინც?

როზალიამ უპასუხა: — რა და, ქალი წუხელ გარდაიცვალა. ისინი ცოლ-ქმარნი არიან. აი პატარა.

და მან გაუწოდა ბავშვი, რომელიც არც კი ჩანდა აუარება სახვევში.

ჟანამ უნებლიეთ გამოართვა იგი. ისინი სადგურიდან გავიდნენ და ეტლში ჩასხდნენ.

როზალიამ აუწყა: — ბატონი პოლი დაკრძალვის შემდეგ ჩამოვა, შეიძლება ხვალ, ამ დროს.

ჟანამ წაილუღლუღა.

— პოლი...

მხოლოდ ეს ერთი სიტყვა.

მზე ჰორიზონტზე ეშვებოდა და სინათლით რწყავდა ამწვანებულ ველებს, შეფერადებულთ აყვავებული რაფსის ოქროსფერი ლაქებით და სისხლისფერი ყაყაჩოებით. უსაზღვრო მყუდროება სუფევდა დამშვიდებულ მინაზე, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა. ორთვალა სწრაფად მიგორავდა. გლეხი ენას აწკლაპუნებდა და აქეზებდა ცხენს. ჟანა იყურებოდა პირდაპირ, ცაში, რომელსაც აფრენილი მერცხლების გუნდი რაკეტასავით კვეთდა. უეცრად ნაზმა სითბომ, სიცოცხლის სითბომ, შეატანა ჟანას კაბაში, გადაეცა ფეხებს და მთელ სხეულში შეიჭრა. ეს იყო იმ პატარა არსების სითბო, მის მუხლებზე რომ ეძინა.

მაშინ ჟანა განუზომელმა მღელვარებამ შეიპყრო. მან სწრაფად გამოაჩინა ბავშვის სახე, თავისი შვილიშვილის სახე, რომელიც ჯერ არ ენახა და მკვეთრი სინათლით შეშფოთებულმა სუსტმა არსებამ თავისი ცისფერი თვალები გაახილა და ტუჩები ააცმაცუნა. ჟანამ მაგრად ჩაიკრა იგი გულში, მერე კი გაშმაგებული კოცნით დაუფარა სახე.

მაგრამ კმაყოფილმა როზალიამ შეაჩერა იგი: — კმარა, კმარა, ქალბატონო ჟანა, გეყოფათ, თორემ ააგირებთ პატარას.— შემდეგ მან დასძინა , თითქოს თავის საკუთარ ფიქრებს პასუხობსო: — ხედავთ, როგორია წუთისოფელი; იგი არც ისე კარგია და არცთუ ისე ცუდი, როგორც ჰგონიათ.

ფრანგულიდან თარგმნა ლამარა მხეიძემ

სარჩევი

თავი I 1

თავი II 16

თავი III 22

თავი IV 37

თავი V 54

თავი VI 68

თავი VII 85

თავი VIII 110

თავი IX 123

თავი X 148

თავი XI 173

თავი XII 195

თავი XIII 204

თავი XIV 217